

**კომუნიკაციის ეთნოსტილი და მიმართვის საალერსო ფორმები
ქართულსა და ინგლისურ ენებში**

მარინე ლევიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების
ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მარსაგიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარინე ლევიძე
20.02.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს მიმართვის სააღწერსო ფორმების კროსკულტურული ტიპოლოგიური ანალიზი ქართულისა და ინგლისური ენის მასალაზე დაყრდნობით. ნაშრომში გამოყოფილია მიმართვის სააღწერსო ფორმების ტიპოლოგიური მოდელები ქართულსა და ინგლისურ ენებში და შეპირისპირებულია მიღებული კლასიფიკაციები, რის შედეგადაც გამოვლენილია ეთნოენობრივი ცნობიერების სპეციფიკა, კომუნიკაციური სტილი და კულტუროლოგიური პარამეტრები.

ნაშრომი შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან. თეორიული მხარე მოიცავს სააღწერსო ფორმების ანალიზს კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალსაზრისიდან, სოციო- და ფსიქოლინგვისტიკის, სამეტყველო აქტების თეორიისა და ლინგვოკულტუროლოგიის მიღწევათა გათვალისწინებით. ნაშრომის პრაქტიკული მხარე კი შეიცავს ემპირიულ კვლევას, რომელიც წარმოადგენს ქართული და ინგლისური ენების კორპუსული მასალების გამოყენებით, რის შედეგადაც, გამოვლინდა აღწერსობითობის ფენომენის უნივერსალური ნაციონალურ-სპეციფიკური თავისებურებები.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან. პირველ თავში განხილულია მიმართვის სააღწერსო ფორმების შესწავლის ისტორია და მათ მიმართ ინტერესის წარმოშობი მიზეზები. განსაზღვრულია სააღწერსო ფორმების ლინგვისტური სტატუსის შემადგენელი პარამეტრები. აქვე სააღწერსო ფორმები შედარებულია მიმართვის სხვა ტიპოლოგიურ ნაირსახეობებთან და გამიჯნულია მათგან.

მეორე თავში გამოვლენილია მიმართვის სააღწერსო ფორმების გამომხატველი ენობრივი საშუალებები და მათი ტიპოლოგიური მოდელები. შემდეგ აღვწერეთ სააღწერსო მიმართვებში ასახული როგორც ქართული, ისე ინგლისური ენის ენობრივი

მარკერები, და დადგენილია ის პარამეტრები, რომლებიც განაპირობებენ აღნიშნულ კულტურებში მიმართვის საალერსო ფორმების ფუნქციონირებას რეალურ კომუნიკაციაში. ერთმანეთის პარალელურად განხილული ორი ენის სტილით დეტერმინირებული სოციო- და ფსიქოლოგიური თავისებურებების ანალიზი იძლევა ეთნოენობრივი ცნობიერების სიტყვიერი გამოხატულების სპეციფიკის დადგენის საშუალებას, რასაც ეძღვნება მესამე თავი, რომელშიც გამოკვლეულია ქართულისა და ინგლისური ენის კომუნიკაციის ზეგავლენა საალერსო მიმართვის შერჩევაზე. ამავე თავში განხილულია ორივე ენაში გამოვლენილი საალერსო მიმართვასთან დაკავშირებული ენობრივი სტერეოტიპები, რაც შესაძლებელს ხდის გამოვავლინოთ ქართველებისა და ინგლისელების ეთნოეროვნულ მენტალობაში უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური ცნობიერების ფაქტები. დასასრულ, კორპუსულ მასალაზე დაყრდნობით გამოიკვეთა საალერსო მიმართვის განვითარების ტენდენციები ინგლისურ (ბრიტანულსა და ამერიკულ ვარიანტებში) და ქართულ ენებში.

დასკვნაში შეჯამებულია საკვლევ ფენომენთან დაკავშირებული შეხედულებები, განსაზღვრულია საალერსო მიმართვის ლინგვისტური სტატუსი, გამოვლენილია ენობრივი მარკირების რესურსი, ფუნქციონირების მექანიზმების, შერჩევის სტრატეგიებისა და კომუნიკაციური ეთნოსტილის ურთიერთმიმართება და საალერსო კომუნიკაციის უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნები.

კვლევისას გამოყენებული პრაქტიკული მასალა ეფუძნება ქართული და ინგლისური ენის კორპუსებს. ქართული ენის მასალის მოპოვების მიზნით საკვლევ კორპუსებად აღებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ქეეკ/GNC) და ქართული ენის კორპუსი (ქეკ/GLC).

ინგლისური მასალა მოპოვებულია რამდენიმე წყაროდან: ინგლისური ენის ბრიტანული კორპუსიდან (BNC – British National Corpus), თანამედროვე ამერიკული ინგლისურის კორპუსიდან (The Corpus of Contemporary American English, COCA), ინგლისური ენის ოქსფორდის კორპუსიდან (Oxford English Corpus) და ამერიკული ინგლისურის ეროვნული კორპუსიდან (The American National Corpus).

ძირითადი საძიებო სიტყვები: მიმართვის სააღწერსო ფორმები, მიმართვა, სამეტყველო ეტიკეტი, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, კომუნიკაციის ეთნოსტილი.

Abstract

The purpose of this research paper is to investigate the crosscultural and typological analysis of endearment terms of address based on Georgian and English languages. The paper reveals typological models of endearment terms in Georgian and English languages, and the respective classifications are compared to each other. As a result, specifications of ethnolinguistic cognition, interactional style and culturological parameters are determined.

The paper comprises theoretical and practical parts. The theoretical part contains the analysis of endearment terms of address based on the viewpoints in communicology, achievements in socio- and pshycholinguistics, speech act theory and linguistic culturology. The practical part includes empirical research based on the Georgian and English language corpora; Consequently, universal and national specifications of the phenomenon of endearment are revealed.

The structure of the research paper comprises three core chapters. The first chapter represents the history of the study of endearment terms of address, as well as the review of the reasons of interests drawn to them. The constituent parameters of linguistic status of endearment terms are defined. Hereby, endearment terms of address are compared against other types of address terms. The second chapter reveals linguistic means expressing endearment terms and their typological models. Further on, linguistic markers of Georgian and English languages reflected in endearment terms are described. In addition, the parameters allowing endearment terms to operate in linguistic communication are determined within the language in question. The analysis of sociological and phsycological characteristics in the two languages leads to determining the verbal manifestation of ethnolinguistic cognition. Chapter three deals with the influence of Georgian and English Languages on the selection of endearment terms is investigated. In this chapter, endearment-related linguistic stereotypes of both languages in question are reviewed while revealing universal and ethno-specific

cognition. Finally, the tendencies of development of endearment terms in Georgian and English languages are revealed.

In conclusion, the existing views on the phenomenon in question are summarized, the linguistic status of endearment terms of address is defined, the linguistic markers, interrelationship of functioning mechanisms, selection strategies and interactional ethnostyle as well as the universal and nation-specific markers of endearing communication are determined.

The empirical data were based on the Georgian and English language corpora. With the purpose of retrieving data of the Georgian language, The Georgian National Corpus (GNC) and The Georgian Language Corpus (GLC) have been applied.

The data of the English language were collected through several sources: British National Corpus (BNC), The Corpus of Contemporary American English (COCA), Oxford English Corpus (OEC) and The American National Corpus (ANC).

Keywords: Endearment terms of address, address, speech etiquette, interactional linguistics, communicology, ethnic style of communication.

მადლობა

მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ჩემი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით დედას - ტურთა ირემაშვილს, რომელიც დაუღალავად გვერდში მედგა და მუდმივად მამხნევებდა, ჩემს ხელმძღვანელსა და პედაგოგს - რეზო მარსაგიშვილს, განუელი თანადგომისთვის და ჩემს მეგობარს მანანა ლარიბაშვილს - ჩემში მუდმივი რწმენისთვის.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომელთა შენიშვნებმა და კომენტარებმა განაპირობა ჩემი სადისერტაციო თემის მიმართულება და განვითარება: ზაალ კიკვიძეს, დავით გოცირიძეს, რევაზ ძნელაძეს, თამარ მახარობლიძეს, ნინო დობორჯგინიძეს, მზალო დოხტურიშვილს, ნინო აფციაურს.

და, ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის თამარ ცაგარეიშვილს განუელი დახმარებისთვის.

სარჩევი

სარჩევი	viii
ცხრილების ჩამონათვალი	x
შესავალი	1
თავი 1. კვლევის თეორიული წანამძღვრები	11
1.1 მიმართვის ფორმათა შესწავლის ისტორია	11
1.2 მიმართვის ფორმების ლინგვისტური სტატუსი და კატეგორიული ბუნება.....	27
1.3 საალერსო მიმართვის სპეციფიკა და ადგილი მიმართვის ფორმების ტიპოლოგიაში	45
თავი 2: საალერსო მიმართვის ენობრივი მოდელები და ფუნქციონირების პრობლემები ინგლისურსა და ქართულ ენებში	57
2.1 საალერსო მიმართვის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები ქართულ ენაში	57
<i>2.1.1 საალერსო მიმართვის საკომუნიკაციო კოდი და რესურსები ქართულ ენაში</i>	<i>57</i>
2.2 საალერსო მიმართვის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები ინგლისურ ენაში	101
<i>2.2.1 საალერსო მიმართვის საკომუნიკაციო კოდი და რესურსები ინგლისურ ენაში</i>	<i>102</i>

თავი 3: საალერსო მიმართვის უნივერსალური ბუნება და ნაციონალურ-სპეციფიკური თავისებურებები	123
3.1 საალერსო მიმართვის ეთნოსტილი და კომუნიკაციის სპეციფიკა	123
3.2 საალერსო მიმართვის განვითარების ტენდენციები ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ კულტურებში	176
დასკვნა	183
ბიბლიოგრაფია	187
დანართები	198
დანართი 1: ზოგიერთი საკუთარი სახელი და მათი კნინობითი ფორმები ქართულ ენაში	198
დანართი 2: ინგლისურ ენაში გამოყენებული საალერსო ეპითეტები	201
დანართი 3: კითხვარი	204

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: ფრიდერიკე ბრაუნის მიმართვის ფორმების კლასიფიკაცია (ბრაუნი 1988)	36
ცხრილი 2: მიმართვის ფორმების თანაზიარი გამოყენება (ბრაუნი 1988)	37
ცხრილი 3: მიმართვის ფორმების არათანაზიარი გამოყენება (ბრაუნი 1988)	37
ცხრილი 4: მიმართვის ფორმების სიმეტრიული გამოყენება (ბრაუნი 1988)	38
ცხრილი 5: მიმართვის ფორმების არასიმეტრიული გამოყენება (ბრაუნი 1988)	38
ცხრილი 6: გოდერძიშვილის -იკ სუფიქსით ფორმირების სქემა (გოდერძიშვილი 2012, 127)	62
ცხრილი 7: ნათესაური ურთიერთობების სემის შემცველი მიმართვები ქართულ ენაში	69
ცხრილი 8: საყვარელო ფორმის მონაცემები ქვეკ-ში	80
ცხრილი 9: საალერსო ტერმინთა რაოდენობა ქართულ დიალექტურ კორპუსში	87
ცხრილი 10: გენაცვალე სიტყვის ფორმები	87
ცხრილი 11: ჭირიმე სიტყვის ფორმები	89
ცხრილი 12: შემოგველე სიტყვის კორპუსული მონაცემები	92
ცხრილი 13: სიტყვა კვნესამე და მისი კოლოკაციების პოზიციონირება ქვეკ-ში	96
ცხრილი 14: ლაპის ჰიპოქორისტიკის ფორმათწარმოების ხერხები (ლაპი 2007)	106
ცხრილი 15: თანხმოვნის ცვლილება y(ie)-სუფიქსით ფორმათწარმოებაში (ლაპი 2007)	107
ცხრილი 16: ენქორინგის ვარიაციები ჰიპოქორისტიკაში (ლაპი 2007)	108
ცხრილი 17: ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგის თავაზიანობის კონტინუუმი (ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი 1996)	141

შესავალი

მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაციამ ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა, კულტურათმორისი კომუნიკაციის კონტაქტური ველი შეცვალა და შესაძლებელი გახდა კომუნიკაციის განსხვავებული ეთნოსტილების ურთიერთობა. საქართველო, ისევე როგორც ბევრი ქვეყანა, საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკურად დამოუკიდებელი სტატუსით გამოვიდა, ახალმა რეალობამ კი ახალი პარტნიორული ურთიერთობა მოიტანა, მათ შორის ისეთ ქვეყნებთან, რომელთა შესახებაც ფართო საზოგადოებას ახლო წარსულში წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ახალ და განსხვავებულ კულტურებთან კონტაქტების გაფართოების ეპოქაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს კულტურათმორისი კომუნიკაციის პრინციპების ცოდნა, რაც პარტნიორებთან ურთიერთობის რეგულირების ახლებური ეფექტიანი მექანიზმის შემუშავების აუცილებლობას მოითხოვს და კულტურათა დიალოგის, პატივისცემის, ტოლერანტობის, ურთიერთგაგების პრინციპებზე დაფუძნებას გულისხმობს. ეს კი თავისთავად მოითხოვს შესაბამისი კულტურების ქცევითი ნორმებისა და ღირებულებების ცოდნას.

კომუნიკაციის კონტაქტური ველის გაფართოებამ, რასაც მოჰყვა კომუნიკაციის ადრესატის ეთნო-სოციო კულტურული ტიპების გამრავალფეროვნება, გამოიწვია სამეტყველო სტრატეგიების ახალ, შეცვლილ პირობებში მოდერნიზაციის აუცილებლობა. ის, რაც შიდაენობრივ კომუნიკაციაში ურთიერთობის ჩამოყალიბებულ ტაქტიკას ეყრდნობოდა და ითვალისწინებდა კულტურაში მიღებულ ნორმებსა და ღირებულებებს, სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, ხშირად გამოუსადეგარი ხდებოდა, ვინაიდან სხვა კულტურის წარმომადგენლები ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის შეფასებისას ხელმძღვანელობდნენ განსხვავებული ღირებულებებითა და მიმართებებით. შექმნილ ახალ რეალობაში უაღრესად აქტუალურია კომუნიკაციური ეთნოსტილების შეჯერება და მათი კროსკულტურული ანალიზი. კომუნიკაციის ეთნოსტილი, ანუ ნაციონალური სტილი, ხალხის ისტორიულად

ჩამოყალიბებული, კულტურით განპირობებული და ტრადიციით განმტკიცებული კომუნიკაციური ქცევის ტიპია, რომელიც კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში უპირისპირდება კონტაქტური კულტურის ანალოგიურ სისტემას და ურთიერთობა ახლებურ (თანამშრომლობისა თუ დაპირისპირების) რეჟიმში გადაჰყავს.

თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა სამეტყველო ეტიკეტი, რომელიც ურთიერთობათა ჰარმონიზაციის პროცესის გააზრებასა და წარმართვაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ის წარმოადგენს სოციალური ქცევის წესებს, რომლებიც დაკავშირებულია კომუნიკანტთა სტატუსურ და როლებრივ ნიშნებთან და გამოხატავენ მოცემული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან მორალურ და ეთიკურ ნორმებს. ეტიკეტი შეიმუშავებს ქცევის, ურთიერთობის ნორმებს, აგრეთვე მათი რეგლამენტაციის საშუალებებსა და ხერხებს. სამეტყველო ეტიკეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს მიმართვა წარმოადგენს, რომელიც, ისევე, როგორც სამეტყველო ეტიკეტის ნებისმიერი სხვა ერთეული, მეტყველებაში ნაციონალური სპეციფიკური ვერბალური ერთეულებით გამოიხატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმართვა წარმოადგენს ეტიკეტური კომუნიკაციის სასტარტო ერთეულს, რომლიდანაც ყველა სამეტყველო კონტაქტი იწყება. მიმართვა შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას შესაბამის კომუნიკაციურ კულტურაში არსებულ კომუნიკაციური ნორმებისა და ტრადიციების, სოციალურ-სტატუსური ურთიერთობის ხასიათისა და თავაზიანობის ნორმების შესახებ.

სწორედ საზოგადოების მზარდმა ინტერესმა კულტურათშორისი და ინტერპერსონალური კომუნიკაციის პრობლემების მიმართ, საქართველოს გლობალურ საკომუნიკაციო სივრცეში დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსით ჩართვამ და პარტნიორებთან ეფექტიანი ურთიერთობისთვის აუცილებელი ეთნო-სოციო-ფსიქოლოგიური და დეონტოლოგიური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობამ განსაზღვრა პრობლემის აქტუალობა და განაპირობა თემის არჩევანი.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში მიმართვის ფორმების კვლევას დიდი ადგილი უკავია და მრავალი დარგის კვლევის ობიექტი გახდა: კომუნიკაციური ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა, სამეტყველო

აქტების თეორია, ფსიქოლინგვისტიკა, ანთროპოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია და სხვა, პრობლემა ჯერ კიდევ თეორიული გააზრების სტადიაშია და ვიწროდისციპლინარული განსაზღვრებების ტყვეობაშია მოქცეული. ყველა ცალკეულ დისციპლინას, რომლის ინტერესთა სფეროში შემოდის აღნიშნული მოვლენა, თავისი დარგობრივი ინტერესი აქვს, რომლის ფარგლებშიც ხდება მიმართვის ინტერპრეტაცია, რაც ხელს არ უწყობს მისი კატეგორიული ბუნების გამოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვა შესწავლილია სხვადასხვა ასპექტში: ნომინაციის თეორიის, სინტაქსური და მორფოლოგიური სტატუსის, სამეტყველო ეტიკეტის რეპრეზენტაციის, სოციალური მარკირების, პრაგმალინგვისტიკის, სამეტყველო აქტების თეორიის, ლინგვოპერსონოლოგიური სტატუსის, კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკისა და ეთნოლინგვისტიკის პოზიციებიდან, დაუმუშავებელია მისი პარადიგმატული ვარიანტების აღწერისა და ინტრატიპოლოგიის პრობლემები. სწორედ ამ უკანასკნელი პრობლემის აქტუალობამ განაპირობა კვლევის ობიექტად მიმართვის უაღრესად საინტერესო ნაირსახეობის - საალერსო მიმართვის არჩევა, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს როგორც კროსკულტურულ, ასევე ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში და ურთიერთობის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

ჩვენი დისერტაციის კვლევის საგანია მიმართვის საალერსო ფორმების ტიპოლოგიური მოდელები და მათი გამოხატვა ინგლისურსა და ქართულ ენებში.

კვლევის საკითხები მოიცავს:

- მიმართვის საალერსო ფორმების ზოგად კლასიფიკაციას.
- ინგლისურ და ქართულ ენებში არსებული მიმართვის საალერსო ფორმების კვლევას.
- ამ ორ ენაში არსებული მიმართვის საალერსო ფორმების ტიპოლოგიური მოდელების აღწერას.
- მიღებული ტიპოლოგიური მოდელების შეპირისპირებასა და თავისებურებების გაანალიზებას.

- მიმართვის საალერსო ფორმების არჩევანისა და გამოყენების განმაპირობებელი სოციო-კულტურული კონტექსტის ანალიზს.

აღნიშნული საკითხები დაკავშირებულია კვლევის **ჰიპოთეზასთან და, შესაბამისად, სიახლესთან. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ** ინგლისურ და ქართულ ენებში მიმართვის საალერსო ფორმების ტიპოლოგიური მოდელის დადგენა შესაძლებელია კორპუსული მონაცემების გაანალიზებით, რაც საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ მიმართვის საალერსო ფორმების სოციო-ფსიქო- და პრაგმალინგვისტური მახასიათებლები და მოცემულ ორ ენაში არსებული სხვაობები და მსგავსებები, რაც, სავარაუდოდ, განპირობებული უნდა იყოს სოციოკულტურული ფაქტორებით, ისტორიული წარსულითა და ეკონომიკური განვითარების დონით.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლე შემდეგნაირად გვესახება :

- 1) საალერსო ფორმების კროსკულტურული ტიპოლოგიური ანალიზი პირველად არის დაფუძნებული ინგლისური და ქართული ენების მასალაზე;
- 2) მოცემული მოვლენა პირველად განიხილება კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალსაზრისიდან, სოციო- და ფსიქოლინგვისტიკის, სამეტყველო აქტების თეორიისა და ლინგვოკულტუროლოგიის მიღწევათა გათვალისწინებით;
- 3) სიახლეს წარმოადგენს ემპირიული კვლევის ინგლისური და ქართული ენების **კორპუსულ მასალაზე** დაყრდნობა, რაც მოვლენის დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში გააზრების საშუალებას გვაძლევს;
- 4) დადგენილია ალერსობითობის სამეტყველო სტრატეგიის რეალიზაციის ეთნონობრივი სპეციფიკა და პრინციპები.
- 5) გამოვლენილია ალერსობითობის ფენომენის უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური თავისებურებები და მარკერები.
- 6) საალერსო მიმართვის ფორმები პირველადაა განხილული, როგორც ინტერპერსონალური და ინტერკულტურული ურთიერთობის დარეგულირების საშუალება.

ამრიგად, კვლევის მიზანია სააღერსო მიმართვების კროსკულტურული და, ტიპოლოგიური, სამეტყველო ეტიკეტის სტრუქტურაში მათი სტატუსისა და, ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა.

კვლევის მიზანია აგრეთვე:

1. დავადგინოთ მიმართვის სააღერსო ფორმების ტიპოლოგიური მოდელები ინგლისურსა და ქართულ ენებში;
2. მოვახდინოთ მიღებული კლასიფიკაციების შეპირისპირება;
3. შევისწავლოთ სოციალური კონტექსტის ზეგავლენა მიმართვის სხვადასხვა ფორმების გამოყენებაზე;
4. განვიხილოთ სააღერსო მიმართვები კომუნიკაციურ ჭრილში სოციო-და ფსიქოლინგვისტიკის მიღწევათა თვალსაწიერიდან;
5. ემპირიული კვლევა წარმართოთ ქართული და ინგლისური ენების კორპუსული მასალების გამოყენებით;
6. გამოვავლინოთ აღერსობითობის ფენომენის უნივერსალური თუ ნაციონალურ-სპეციფიკური თავისებურებები.

დისერტაციაში განხილულია აგრეთვე კვლევის ცალკეული ამოცანებიც:

1. აღერსობითობის ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი.
2. აღერსობითობის ეთნოსპეციფიკური მარკერების გამოვლენა.
4. ინგლისური და ქართული ენების კორპუსულ მასალაზე დაყრდნობით აღერსობითობის განვითარების ტენდენციების ჩვენება.
5. სააღერსო მიმართვების, როგორც ინტერპერსონალური ურთიერთობის დარეგულირების საშუალების ჩვენება.

კვლევის მიზნები და ამოცანები განსაზღვრავენ იმ მეთოდთა ერთობლიობას, რომლებიც რელევანტურია დასახული ამოცანის გადანყვეტისას. კვლევაში ვიყენებთ შერეული მეთოდოლოგიის პრინციპს, ვინაიდან მასალა თავისი ბუნებით მრავალასპექტიანია. ემპირიული მასალის აღსაწერად ვიყენებთ დესკრიფციულ მეთოდს. მოპოვებული მასალის თეორიული ინტერპრეტაციისას ჩვენ ვეყრდნობით კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების თეორიაში, სოციოლინგვისტიკაში,

ლინგვოპრაგმატიკაში, ეთნო- და ფსიქოლინგვისტიკაში გამოყენებულ მეთოდებს (კომუნიკაციურ-ინტერაქციული მეთოდი, კონტექსტური ანალიზი, გამოკითხვა, ინტერვიუ, ასოციაციური ექსპერიმენტი). ტიპოლოგიური მეთოდი გვეხმარება საკვლევი ფენომენის უნივერსალურ და ნაციონალურ სპეციფიკურ თავისებურებათა გამოვლენაში. რაოდენობრივი მეთოდი წარმოდგენილია კორპუსულ კვლევაში (ლექსიკომეტრიული მიდგომა, კონკორდანსი, სტატისტიკა) და საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ მოქმედ ენობრივ ტენდენციებს, მოვახდინოთ მათი განვითარების პროგნოზირება. თვისებრივი მეთოდი გამოყენებულია მიმართვის ფორმების სოციოლინგვისტური ანალიზისას (შეპირისპირებითი, ინტერვიუ ე.წ. ინტერდისციპლინარული და არგუმენტაციული მიდგომები, კითხვარი).

ემპირიული მასალა ამოკრებილია ქართული და ინგლისური ენების კორპუსებიდან, რომლებიც შეიცავენ ცოცხალი მეტყველების მაგალითებს. ჩვენ არ მივიჩნიეთ საჭიროდ პრეცედენტული სახის გამონათქვამების კორპუსში გადამონშება (საყოველთაოდ ცნობილი ფრაზები, რომლებიც ფონობრივ ცოდნას ემყარებიან, მაგალითად, რუსთაველის აფორიზმები). ინგლისურ-ამერიკული კორპუსების მასალასთან ერთად შესაძლებლად მივიჩნიეთ პრობლემასთან დაკავშირებულ ემპირიულ კვლევათა მონაცემთა ბაზის გამოყენება (ფ. ბრაუნი, ლარინა და სხვ.)

წინამდებარე ნაშრომში ქართული ენის მასალის მოპოვების მიზნით საკვლევი კორპუსებად აღებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ქვეკ/GNC) და ქართული ენის კორპუსი (ქვეკ/GLC). პირველი წარმოდგენს არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროექტს, მეორე კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის პროექტია. ქართული ენის ეროვნული კორპუსი შედგება რამდენიმე ქვეკორპუსისგან: ძველი, საშუალი და ახალი ქართული ენის ქვეკორპუსები, რეფერენციალური ქვეკორპუსი, დიალექტური ქვეკორპუსი (GDC), სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში (SSGG). კორპუსში შესულია ასევე მეგრული და სვანური ტექსტები და ტრანსკრიბირებული დიალექტური ჩანაწერების ორი ქვეკორპუსი. **ქვეკ** ანოტირებული კორპუსია. ზემოთ ჩამოთვლილი ქვეკორპუსები ლინგვისტური და მეტაენობრივი დამუშავების განსხვავებულ დონეებს გვიჩვენებენ. მათში შესული

ტექსტების უმრავლესობა გრამატიკულად ანოტირებულია. კორპუსი ასევე აღჭურვილია მრავალფუნქციური სამომხმარებლო ნიღბით და მისი საშუალებით შესაძლებელია სინქრონიული და დიაქრონიული კვლევების ჩატარება. კორპუსის მოცულობა 200000000-ს აღემატება. კორპუსს ასევე მოეპოვება ღია დიგიტალური ინტერნეტრესურსები. ყველა ტექსტი აღჭურვილია მეტამონაცემებით, რაც აადვილებს მონაცემების ანალიზს.

რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსს, ის შედარებით უფრო მცირე მოცულობის კორპუსია (100 000 000-ზე მეტი სიტყვა-ფორმა) და შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: 1. ძველი და საშუალო ქართული ენა 2. ახალი და უახლესი ქართული ენა. კორპუსში ინტეგრირებულია თანამედროვე ქართული ენის ანალიზატორი.

ინგლისური მასალა რამდენიმე წყაროდან ამოვკრიბეთ: ინგლისური ენის ბრიტანული კორპუსიდან (BNC – British National Corpus), რომელიც დღეს ეტალონურად ითვლება და რომლის ბაზაზეც შეიქმნა თანამედროვე კორპუსების უმრავლესობა. ის შეიცავს როგორც მეტატექსტურ, ასევე მორფოლოგიურ მონიშვნას და წარმოადგენს ზოგადი დანიშნულების სინქრონულ კორპუსს. ინგლისური ენის ოქსფორდის კორპუსი (Oxford English Corpus) თავისი მოცულობით ყველაზე დიდია კორპუსებს შორის და 2 მილიარდამდე სიტყვაფორმას მოიცავს ენის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. Oxford English Corpus-ში, რომელიც 2000 წელს შეიქმნა, შედის ნაბეჭდი ტექსტები, ტექნიკური ინსტრუქციები, საგაზეთო და საჟურნალო სტატიები, მხატვრული ნაწარმოებები. ეს კორპუსი გამოიყენება Oxford University Press-ის თანამშრომლების მიერ ლექსიკონების შესაქმნელად. ჩვენ გამოვიყენეთ თანამედროვე ამერიკული ინგლისურის კორპუსი (The Corpus of Contemporary American English, COCA), რომელიც ინგლისური ენის ყველაზე დიდი ხელმისაწვდომი კორპუსია (<http://corpus.byu.edu/coca/>). ეს კორპუსი, რომელიც მ.დევისმა შექმნა 2008 წელს (Brigham Young University), შერეული ტიპის კორპუსს წარმოადგენს და სხვადასხვა ტიპის ზეპირ და წერილობით ტექსტს (მხატვრულ ლიტერატურას, საგაზეთო და საჟურნალო სტატიებს, სამეცნიერო ლიტერატურას) მოიცავს. მისი მოცულობა 445 მილიონ სიტყვაფორმას შეადგენს (1990

წლიდან დღემდე) წელიწადში ორჯერ განახლდება, რაც ძალზე მოსახერხებელია ენობრივი დინამიკის პროცესების თვალის მისადევნებლად. The American National Corpus, ANC ბრიტანული BNC მიხედვითაა შექმნილი და მიზნად ისახავს თანამედროვე ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტის ასახვას 1990 წლიდან. კორპუსის მოცულობა 22 სიტყვათვორმას შეადგენს, რომელთაგან 150 მილიონი თავისუფლად შეგვიძლია გადმოვიტანოთ საიტდან: www.americannationalcorpus.org/OANC/index.html. აღნიშნული კორპუსების გარდა, ემპირიული მასალა ჩვენ სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევებში და მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში მოვიძიეთ.

ნაშრომის **თეორიული** მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ საშუალებას იძლევა დავხვეწოთ მიმართვის ფენომენის ინტრატიპოლოგია, განვაზოგადოთ საალერსო მიმართვის კვლევის შედეგები, ხოლო მეთოდიკა გამოვიყენოთ კულტურათმორისი და ინტერპერსონალური კომუნიკაციის პრინციპების დახვეწისათვის. ნაშრომის **თეორიული ღირებულება** იმითაც განისაზღვრება, რომ ის, გარკვეულწილად, აფართოებს და განაზოგადებს საალერსო კომუნიკაციის თეორიულ კვლევას, რაც კულტურათმორისი ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული რეკომენდაციების საფუძვლადაც შეიძლება იქცეს. ამასთანავე, თეორიული მნიშვნელობა მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულთან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს კომუნიკაციის პრობლემების კვლევისას მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობაში. მისი დებულებები შეიძლება გახდეს სპეცკურსებისა და სპეცსემინარების შინაარსის ნაწილი ისეთ დარგებში, როგორცაა კულტურათმორისი კომუნიკაცია, კომუნიკაციის თეორია, სოციოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლინგვისტიკა, სამეტყველო აქტების თეორია, ნომინაციის თეორია, ლინგვოკულტუროლოგია და ა.შ. სადისერტაციო კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, კონფლიქტოლოგიისა და თარგმანთმცოდნეობის სფეროშიც.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები განაპირობებენ ნაშრომის არქიტექტონიკას, ხოლო სტრუქტურა განსაზღვრავს ჩვენ მიერ დასახული ამოცანების

გადანყვეტის თანმიმდევრობას. „სიუჟეტის“ ლოგიკური განვითარება შემდეგნაირად გვესახება:

პირველ თავში – „კვლევის თეორიული წანამძღვრები“ - მოცემულია მიმართვის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და განმარტებულია ის ცნებითი კატეგორიები, რომლებიც წარმოადგენენ სააღფრსო მიმართვის ინტერპრეტაციის საფუძველს.

პირველ ქვეთავში - „მიმართვის ფორმათა შესწავლის ისტორია“ - განხილულია და შეფასებულია პრობლემის გადანყვეტის ისტორიული გამოცდილება და საკითხისადმი ინტერესის წარმომშობი მიზეზები;

მეორე ქვეთავში - „მიმართვის ფორმების ლინგვისტური სტატუსი და კატეგორიული ბუნება“ - ანთროპოცენტრისტული პარადიგმის პოზიციებიდან განხილულია აღნიშნული კონცეპტის მაკონსტრუირებელი ძირითადი პარამეტრები;

მესამე ქვეთავში კი - „სააღფრსო მიმართვის სპეციფიკა და ადგილი მიმართვის ფორმების ტიპოლოგიაში“ - განსაზღვრულია საკვლევი კატეგორიის ლინგვისტური სტატუსი, ხოლო მისი შედარება მიმართვის სხვა ტიპოლოგიურ ნაირსახეობებთან შესაძლებლობას გვაძლევს, საკვლევი ფენომენის სპეციფიკა გამოვკვეთოთ.

აღნიშნული პრობლემების განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს სააღფრსო მიმართვის კვლევას თეორიული საფუძვლები დავედოთ.

მეორე თავში - „სააღფრსო მიმართვის ენობრივი მოდელები და ფუნქციონირების პრობლემები ინგლისურსა და ქართულ ენებში“ გამოვლენილია ენობრივი საშუალებები, რომლებიც აღნიშნულ კატეგორიას საკვლევი ენებში გამოხატავენ.

პირველ ქვეთავში - „სააღფრსო მიმართვის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები ქართულ ენაში“ - აღწერილია სააღფრსო მიმართვებში ასახული ქართული ენის ენობრივი მარკერები, დადგენილია კომუნიკაციის ქართული სტილით დეტერმინირებული სოციო- და ფსიქოლოგიური პარამეტრები, რომლებიც განაპირობებენ მათ ფუნქციონირებას რეალურ კომუნიკაციაში.

იგივე პრობლემები, ოღონდ ინგლისურ ენასთან მიმართებაში, განიხილება **მეორე ქვეთავში** - „საალერსო მიმართვის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები ინგლისურ ენაში“. საალერსო მიმართვის პარალელური განხილვის შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა განვიხილოთ ეთნოენობრივი ცნობიერების ვერბალური გამოვლენის სპეციფიკა და ამას **მესამე თავი** - „საალერსო მიმართვის უნივერსალური ბუნება და ნაციონალურ-სპეციფიკური თავისებურებები“ მივუძღვნათ. **მესამე თავის პირველ ქვეთავში**: „საალერსო მიმართვის ეთნოსტილი და კომუნიკაციის სპეციფიკა“ - შედარებულია კომუნიკაციის ინგლისური და ქართული მოდელები და გამოვლენილია მათი ზეგავლენა საალერსო მიმართვის სელექციაზე. **აქვე** განხილულია კონცეპტთან „საალერსო მიმართვა“ დაკავშირებული ენობრივი სტერეოტიპები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება, ქართველებისა და ინგლისელების ეთნოეროვნულ მენტალობაში უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური ცნობიერების ფაქტები გამოვავლინოთ. აღნიშნული თავის **მეორე ქვეთავში კი** - „საალერსო მიმართვის განვითარების ტენდენციები ინგლისურ და ქართულ ენებში“ კორპუსულ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია საკვლევი ობიექტის დინამიკა.

დასკვნებში განზოგადებულია კვლევის შედეგები, შეჯამებულია მიმართვის საალერსო ფორმების შესახებ არსებული შეხედულებები, განსაზღვრულია მათი ლინგვისტური სტატუსი, გამოვლენილია ენობრივი მარკირების რესურსები, ფუნქციონირების სოციალური და ფსიქოლოგიური მექანიზმების, შერჩევის სტრატეგიებისა და კომუნიკაციური ეთნოსტილის ურთიერთმიმართება და საალერსო კომუნიკაციის უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნები.

ჩვენ ჩამოვყალიბეთ კვლევის მიზნები და ამოცანები, განვსაზღვრეთ მასალის სპეციფიკა, დავსახეთ მისი ინტერპრეტაციის გზები და შევიმუშავეთ პრობლემური საკითხების გადაჭრის თანმიმდევრობა, რის შემდეგაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია უშუალოდ პრობლემაზე გადასვლა.

თავი 1: კვლევის თეორიული წინამძღვრები

1.1 მიმართვის ფორმათა შესწავლის ისტორია

მიუხედავად იმისა, რომ მიმართვის ფორმებისადმი სპეციალური ინტერესის გაჩენა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება, მიმართვის ფორმის ინტერპრეტაციის მცდელობა ჯერ კიდევ პლატონთან გვხვდება. ენის ფილოსოფიის ონომატოლოგიური მიმართულების ყველაზე ცნობილ წინამორბედთან სახელდების ბევრი პრობლემა დაისვა და გადაწყდა კიდევ. მიმართვისადმი თავდაპირველი ინტერესი პლატონს საკუთარი სახელის სტატუსის დადგენის სურვილმა გაუჩინა. მის ცნობილ დიალოგ „კრატილში“ სოკრატე ეხება ანთროპონიმ „გერმოგენეს“ და აღნიშნავს, რომ ამ სახელის მიმართვის ფუნქციით მრავალჯერ გამოყენების შემთხვევაშიც კი არ დგინდება ორგანული კავშირი სახელსა და მის ბუნებას შორის (პლატონი 1990, 67).

სახელისა და მისი ბუნების ონომასიოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა შუა საუკუნეებშიც გადმოვიდა და ნომინალისტებისა და რეალისტების დაპირისპირებითაა ცნობილი. სამწუხაროდ, ამ პერიოდის შრომებშიც მიმართვის საკითხისადმი ინტერესმა შემდგომი განვითარება ვერ პოვა და ის ნომინალისტების პრობლემატიკის სფეროს ვერ გასცდა. შუა საუკუნეებში მიმართვის პრობლემისადმი პრაქტიკული ინტერესი შედარებით აქტუალური გახდა სამეფო კარის ეტიკეტთან დამოკიდებულებაში, თუმცა ამას უფრო დეონტოლოგიური რეგლამენტაციის პრინციპების ძიების ხასიათი ჰქონდა და მიმართვის ფენომენის თეორიული გააზრების მცდელობა არ მოჰყოლია, საკითხი კი ნომენკლატურულ აღწერას ვერ გასცდა.

ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე მიმართვის ფორმების ანალიზი ხან მორფოლოგიის, ხან სინტაქსის, ხან ნომინალისტების პრობლემებს დაუკავშირეს. მორფოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს მიმართვის პრობლემა იწვევდა იმ ენებში, რომლებშიც სპეციალური მიმართვის აღრესატის გამოსახატავად სპეციალური წოდებითი ბრუნვა (ვოკატივი) არსებობს. უნდა ითქვას, რომ ამ

კატეგორიისადმი დამოკიდებულება საკმაოდ არაერთგვაროვანია: ა. ჩიქობავა, ვ. მატეზიუსი, ნ. ფორმანოვსკაია თვლიან, რომ ეს ფორმა არ წარმოადგენს ბრუნვას, ვინაიდან ნომინატიურ ერთეულს - სიტყვას არ შეიძლება ჰქონდეს ინტონაცია. მეცნიერთა მეორე ჯგუფის აზრით, ეს ფორმა ბრუნვას წარმოადგენს და არის შესაბამისი პარადიგმის ნაწილი (შანიძე, გრინბაუმი და კვერკვი, მიკლოშიჩი და სხვ.).

ამ მხრივ საინტერესოა ქართული ენა, რომელიც თანდათან კარგავს ამ ბრუნვას და სხვა საშუალებებით ანაცვლებს მას. მიმართვის პრობლემას მეცნიერები სიტყვათწარმოების საკითხებთან დაკავშირებითაც, კერძოდ, კნინობითი ფორმების წარმოებასთან მიმართებაშიც მოიხსენიებენ (ვ. თოფურია, ს. ჯანაშია).

სინტაქსურ კვლევებში მიმართვა, ძირითადად, გერის მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი არსებობა წინადადების წევრებს შორის სინტაქსური კავშირების პრობლემასთან დაკავშირებით ახსენდებოდათ. ითვლებოდა, რომ მიმართვას წინადადების წევრებთან სინტაქსური კავშირი არ ჰქონდა და საუკეთესო შემთხვევაში დეტერმინანტს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვა არ ითვლებოდა სინტაქსური სტრუქტურის მაკონსტრუირებელ ელემენტად, ის მაინც ძირითად სინტაქსური სტრუქტურების გარემოცვასთან დაკავშირებულ ისეთ მოვლენათა რიგში მოიხსენიებოდა, როგორცაა ჩართული, დანართი და მოდალური კომპონენტები. ამ საკითხს რიგი ნაშრომი მიეძღვნა, რომელთა შორის აღსანიშნავია ჯეტერი ლიჩის გამოკვლევა, რომელშიც ის მიმართვას განიხილავდა ისეთი სიტყვებისა და შესიტყვებების რიგში, რომლებიც, პირიანი ზმნის უქონლობის მიუხედავად, მაქსიმალური კომუნიკაციური დამოუკიდებლობით ხასიათდებიან (ისევე როგორც ფორმები: Yes, Sorry, No wonder), მაგრამ არ ემნიან არც წინადადებებს და არც მათ ნაწილებთან შედიან სინტაქსურ კავშირში. ფორმალურად მიმართვის (რომელსაც ლიჩი C-unit-ად მოიხსენიებს) მთავარი დანიშნულებაა კომუნიკაციური იმპულსის, ბიძგის მიცემა, რაც წინადადების სხვა წევრებს არ აძლევს საშუალებას, დაამყაროს მასთან სინტაქსური კავშირი (არც ერთი ფორმით) და ის რჩება, რაოდენ გავრცობილიც უნდა იყოს, მოცემული წინადადებისთვის უცხოდ (ლიჩი 83, 108).

უნდა აღინიშნოს, რომ მიმართვის სინტაქსურ სტრუქტურასთან კავშირში განხილვა უპასუხოდ ტოვებდა მისი სხვადასხვა სიტუაციებში ფუნქციონირების სპეციფიკის საკითხს, რაც აღნიშნულ ენობრივ დონეზე ვერ აიხსნებოდა. ანთროპოცენტრისტულმა მიდგომამ დღის წესრიგში დააყენა მიმართვის ახლებური გააზრების პრობლემა. მოვლენისადმი სტატიკურმა მიდგომამ ადგილი დაუთმო კომუნიკაციურს, რამაც შეცვალა ჩვეული წარმოდგენები მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებების, ლინგვისტური სტატუსის, სიტუაციისა და მონაწილეთა ინტერაქციის სპეციფიკის შესახებ და პრობლემა ახლებურ სიბრტყეში გადაიყვანა.

თანამედროვე ანთროპოცენტრისტულ პარადიგმაში მიმართვისადმი ინტერესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით გაიზარდა კომუნიკაციაზე ორიენტირებულ დისციპლინებში (კომუნიკაციის თეორია, სოციო- და ფსიქოლინგვისტიკა, სამეტყველო ეტიკეტი და სამეტყველო აქტების თეორია, პრაგმალინგვისტიკა და სხვ.), რასაც ადასტურებს ამ საკითხთან დაკავშირებული ნაშრომების რაოდენობაცა და მრავალფეროვნებაც. ყველა ამ მიმართულებამ თავისი წვლილი შეიტანა პრობლემის მეცნიერულ ინტერპრეტაციაში. ასე, მაგალითად, სოციოლინგვისტური კუთხით მიმართვის ფორმების შესწავლა დაიწყო 1960-იანი წლებიდან (ბრაუნი, გილმენი 1958, 1960; ბრაუნი, ფორდი 1961). იმ დროისთვის სრულიად ახალი დარგი მიმართვის ფორმათა შესწავლის პროცესს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც ამ მიმართულების ერთ-ერთი პიონერი ფ. ბრაუნი აღნიშნავდა, „ამ დრომდე მიმართვის ფორმების კვლევა და აღწერა ხდებოდა სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა სათაურის ქვეშ - ისტორიული ლინგვისტიკა, სტილისტიკა, ეტიმოლოგია, ანთროპოლოგია-ეთნოლოგია, გრამატიკა და სხვა“ (ბრაუნი 1988, 297).

მიმართვის ფორმების თემაზე გამოცემული სოციოლინგვისტური მიმართულების ნაშრომებიდან უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა როჯერ ბრაუნისა და მისი კოლეგების, ალბერტ გილმენისა და მარგერიტ ფორდის, ფრიდერიკე ბრაუნისა, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ მიმართვის ფორმების თანამედროვე სოციოლინგვისტური კვლევის მამამთავრებად. გილმენ და ბრაუნის (1958), ბრაუნი და გილმენის (1960) და ბრაუნი და ფორდის (1961) გამოკვლევები გვევლინება პრობლემის თეორიული

ინტერპრეტაციის პიონერებად. ალბერტ გილმენი და როჯერ ბრაუნი (1958) განიხილავენ მიმართვის ნაცვალსახელების დიფერენციაციას ევროპულ ენებში. ისინი იწყებენ ლათინური *vos* განხილვით და წარმოგვიდგენენ მისი გამოყენების ორ განზომილებას: ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურს. (1) ვერტიკალური სტატუსის განზომილება (მრავლობითი/ თავაზიანი ნაცვალსახელი სტატუსით უფროსის მიმართ, მხოლოდობითი/ ფამილარული ნაცვალსახელი სტატუსით უმცროსის მიმართ), (2) ჰორიზონტალური სტატუსის განზომილება (მრავლობითი, თავაზიანი ნაცვალსახელი არაახლობელ თანასწორებთან მიმართებაში, მხოლოდობითი/ფამილარული ნაცვალსახელი ახლობელ თანასწორებთან მიმართებაში). ავტორებმა დიაქრონულ ჭრილში შეისწავლეს ამ ორი განზომილების ფუნქციონირება ფრანგულ ენაში მიმართვის ნაცვალსახელების მაგალითზე და დაადგინეს, რომ ჰორიზონტალური განზომილება და მიმართვის სიმეტრიულობა დომინანტური გახდა ბოლო ხანს, ხოლო სტატუსში განსხვავებები უფრო და უფრო ნაკლებად ისახება მიმართვაში.

როჯერ ბრაუნი/ალბერტ გილმენი (1960) მათ ნაშრომში პრონომინალურ მიმართვაში განსხვავებებს განიხილავენ. მეორე პირის „ფამილარული“ და „თავაზიანი“ ნაცვალსახელების აღსანიშნავად მათ შემოაქვეთ სიმბოლოები T და V (ლათინური tu და vos). პრონომინალური სხვაობების ამოსავალ წერტილად ავტორები რომის იმპერიას მიიჩნევენ. შუა საუკუნეებში T/V -ს გამოყენება იმართებოდა „ძალაუფლების სემანტიკით“. სტატუსით უფროსები იღებდნენ V -ს, უმცროსები კი - T -ს. აქედან გამომდინარე, არათანაზიარობა და ასიმეტრია ხშირი იყო. პრონომინალური მიმართვა ამგვარად ასახავდა სოციალურ სტრუქტურასა და და ძალაუფლების სემანტიკას მე-19 საუკუნეში. მოგვიანებით, T -ს და V -ს სელექცია, ძალაუფლების გარდა, სხვა ფაქტორებით ისაზღვრებოდა - მაგალითად, ჰქონდათ თუ არა კომუნიკაციის მონაწილეებს T ნაცვალსახელსა და V ნაცვალსახელს რამე საერთო. სოციალური მახასიათებლების ამგვარ გადაფასებას „სოლიდარობის სემანტიკა“ ეწოდა. ამ ყველაფერმა მიგვიყვანა ახლობელთა შორის საერთო T და შორეულ ურთიერთობებში V -თი მიმართვის თანაზიარობამდე. ამან კი T -ს გამოყენების არეალი გაათავართოვა (ბრაუნი 1988, 15). ბრაუნი და გილმენი ყურადღებას ამახვილებენ ძალაუფლების სემანტიკის, სტატიკური და

იერარქიული საზოგადოების სოციალურ ფონზე, რაც უპირისპირდება სოლიდარული სემანტიკის ევალიტარულ იდეოლოგიას. ავტორების დაკვირვებით, საზოგადოებაში არსებობს სოციალური ჯგუფების ან ინდივიდუალური მოსაუბრეებისთვის დამახასიათებელი მიმართვის განსაზღვრული სტილი (იდეოლოგიის შესაბამისად).

როჯერ ბრაუნი და მარგერიტ ფორდი (1961) სახელურ მიმართვას განიხილავენ ამერიკულ ინგლისურში. ისინი ერთმანეთს უპირისპირებენ სახელით მიმართვას და ტიტული + გვართ მიმართვას. ავტორების დაკვირვებით, შემთხვევების უმრავლესობაში სახელით მიმართვა თანაზიარია, მაშინ როდესაც ტიტული + გვარი გამოიყენება მხოლოდ ნაცნობობის დასაწყისში. ამგვარად, სიახლოვე და დისტანცია განსაზღვრავს სელექციას სიმეტრიულ ურთიერთობებში. არათანაზიარობა სახელითა და ტიტული + გვართ მიმართვის დროს განპირობებულია ასაკსა და პროფესიულ სტატუსს შორის სხვაობით. დანარჩენი სახელური ვარიანტები შემდეგ კატეგორიებში ხვდება: ტიტული უფრო პატივსაცემია, ვიდრე ტიტული + გვარი; მხოლოდ გვართ მიმართვა კი სახელისა და ტიტული + გვართ მიმართვის შუაშია. მრავლობითი სახელით მიმართვა უკიდურესი ფამილარულობის მაჩვენებელია. ლექსიკური დიფერენციაცია ერთი და იმავე ობიექტის მიმართ, ავტორების თანახმად, მოსაუბრისთვის ამ ურთიერთობის დიდი ღირებულების მაჩვენებელია.

სუზან ერვინ-ტრიპი (1972) ცნობილი გახდა მიმართვის ფორმების დიაგრამული სელექციის გამოკვლევით (On Sociolinguistic rules: Alteration and co-occurrence). მის ამ ნაშრომში წარმოდგენილია მიმართვითი ფორმების მონაცვლეობის შემთხვევა. იგი აპირისპირებს და აღარებს სახელით მიმართვასა და ტიტული + გვართ მიმართვას და განიხილავს მათ დისტრიბუციას ამერიკულ ინგლისურში, ხოლო დიაგრამაში, რომელიც კომპიუტერულ დიაგრამას მოგვაგონებს, აჯამებს ამგვარი დისტრიბუციის კანონზომიერებებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიაგრამა არ წარმოადგენს სელექციის ძირითად მოდელს, იგი ვარიანტების არჩევანის ფაქტორების განსაზღვრის შედეგებს გვიჩვენებს მეტყველ სუბიექტებს შორის. ავტორი ამ ფაქტორებს „სელექტორებს“ უწოდებს. მიმართვის აზიური სისტემის საფუძველზე და ერთი კონკრეტული საზოგადოების მაგალითზე მეცნიერი განიხილავს ვარიაციებს მიმართვით ქცევაში.

მიმართვის T/V ნაცვალსახელების დიქტომიური სისტემის მაგალითზე, დასტურდება, რომ ორვარიანტული სისტემა არ გულისხმობს მასში უფრო მარტივი წესების არსებობას უფრო მოცულობით სისტემასთან შედარებით. მოსაუბრეთა სხვადასხვა ჯგუფი შეიძლება იყენებდეს სხვადასხვა წესს. საკუთარ მოსაზრებებს ერვინ-ტრიპი გამოთქვამს მიმართვის სისტემის ტიპოლოგიასთან დაკავშირებითაც და ინტერფერენციიდან, გამომდინარე მიმართვით ქცევაში პრიორიტეტული პრობლემების რიგს გამოყოფს, მათ შორის სოციალური ურთიერთობების გამოხატვის ტიპოლოგიურ მოდელებს.

შეუძლებელია არ ვახსენოთ თანამედროვე გერმანელი ენათმეცნიერი ფრიდერიკე ბრაუნი (1988), მიმართვის ფორმებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევის ავტორი. მისი ნაშრომი „მიმართვის ფორმები - სხვადასხვა ენასა და კულტურებში მათ მოდელებს და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები“ წარმოადგენს იმ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ კვლევას. ავტორი მიმართვის ფორმებს სოციოლინგვისტიკური კუთხით განიხილავს და გვაძლევს მათ კლასიფიკაციას, რომელიც შემდგომ, ამავე თემაზე მომუშავე მრავალი სოციოლინგვისტის კვლევის საფუძვლად გვევლინება. ფ.ბრაუნი გვთავაზობს მიმართვის ფორმების კვლევასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, მიმოიხილავს არსებულ თეორიებს, გამოყოფს საბაზისო კონცეპტებს, კრიტიკულად განიხილავს ემპირიული მასალის მოგროვების მეთოდოლოგიას (მის დადებით და უარყოფით მხარეებსა და ვალიდურობას), იკვლევს ასევე მიმართვის ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებს, როგორცაა მიმართვის თანაზიარობა/არათანაზიარობა, სიმეტრიულობა /ასიმეტრიულობა და მიმართვის ინვერსია. ავტორმა ბიბლიოგრაფიაში თავი მოუყარა მიმართვის თემაზე ან მასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ნაშრომებს, რამაც საშუალება მისცა პრობლემით დაინტერესებულ მკვლევრებს მეტ-ნაკლებად სრული ნუსხით ესარგებლათ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და მიმართვის ფორმებს შორის კორელაციას ეძღვნება მაიკლ კლაინის, კატრინ ნორბისა და ჯეინ უორენის ნაშრომი (კლაინი, ნორბი და უორენი 2009), რომელშიც ავტორები ემპირიულ მასალაზე (ფრანგული, გერმანული და შვედური) დაყრდნობით, იკვლევენ ცვლილებებს სამი ევროპული ენის მიმართვის

ფორმების სისტემაში. მათი ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუ რა ხარისხით იქონია ზეგავლენა სოციოპოლიტიკურმა ცვლილებებმა მოცემულ ენებზე, განსაკუთრებით კი 1960-იანი წლების მერე. ავტორები თვლიან, რომ ისტორიის ამ მონაკვეთში მიმდინარე მოვლენებმა დიდი ზეგავლენა იქონია საზოგადოებაზე არა მარტო ევროპაში, არამედ ასევე ამერიკასა და აზიაში. მათი კვლევა ეყრდნობა როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს. ანალიზისას გათვალისწინებულია ასევე საკვლევო ენების ნაციონალური ვარიანტები. მათი ნაშრომი ხუთ ადგილას ჩატარებულ კვლევას ეყრდნობა, ესენია: პარიზი (საფრანგეთი), ვენა (ავსტრია), ლაიფციგი (გერმანია), გეტებორგი (შვედეთი) და ვაასა (ფინეთი). თითოეულ ობიექტზე მონაცემთა 5 ჯგუფია მოცემული: ორი ფოკუს-ჯგუფი, ორი ნაწილისგან შემდგარი ქსელური ინტერვიუები (დახურული და ღია კითხვები), მონაწილეთა დაკვირვებები და ეგრეთ წოდებული „ჩატ-ჯგუფები“. სხვადასხვა საკითხის განხილვისას (მაგ., ადამიანთა ურთიერთობების სპეციფიკის გამოვლენა მიმართვის ფორმათა არჩევანის გზით) ავტორები იყენებენ როგორც ტიპოლოგიურ, ასევე კონტრასტული პრაგმატიკის მიდგომებს.

სოციალური ურთიერთობების ენობრივი გამოვლინების კვლევის თემაზე არსებული სხვა ნაშრომების მსგავსად, კლაინის, ნორბისა და უორენის ნაშრომიც ინტერაქციისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის პოსტულატებს ეყრდნობა და მიმართვის რელევანტურობის პრობლემას ამ კუთხით განიხილავს.

კლაინი, ნორბი და უორენი თვლიან, რომ ნებისმიერი კვლევა სოციალური ურთიერთობების ენობრივი გამოვლინების თემაზე უნდა ითვალისწინებდეს თავაზიანობის ცნებას და მიუთითებენ შემდეგ ნაშრომებზე: ბრაუნი და ლევინსონი 1987, ფრეიზერი 1990, ჰოლტგრეივისი 2001, უოტსი, იდე და ელიხი 1992, უოტსი 2003, ლეიკოფი და იდე 2005 (კლაინი, ნორბი და უორენი 2009).

მიმართვის გარკვეული ფორმის გამოყენება თავისი სპეციფიკით გამოირჩევა. ის, რაც ერთ შემთხვევაში ანგარიშიანი ქცევაა, მეორეში შეიძლება აღქმული იყოს როგორც მეტისმეტად თავაზიანი. ინტერაქციის პროცესში კომუნიკანტები ფონობრივ ცოდნას ეყრდნობიან იმის შესათვალისწინებლად, თუ რა არის მისაღები რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში და რა არის განსაზღვრული სოციოკულტურული დეტერმინანტებით

(კლაინი, ნორბი და უორენი 2009, 25). კომუნიკაციის სოციოლინგვისტური ასპექტები მჭიდროდაა დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტთან, რომლის ფარგლებში მიმართვამ სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია მიიღო. ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა ნ.ფორმანოვსკაიას შრომები, რომლებშიც სამეტყველო ეტიკეტის ცნება საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი. ის განიხილავს სამეტყველო ეტიკეტთან დაკავშირებულ ტიპურ სიტუაციებს, „სამეტყველო სიტუაციის თემატურ ერთეულებს და მიმართვას „კონტაქტის დამამყარებელ საშუალებას“ უწოდებს, ისევე როგორც მისალმებებს, დამშვიდობებებს, ბოდიშის მოხდას, მაღლიერებას, თხოვნას, გაცნობას, რჩევას და ა.შ. (ფორმანოვსკაია 1990, 35). ის თვლის, რომ სამეტყველო ეტიკეტი წარმოადგენს ნაციონალურ-სპეციფიკურ ვერბალურ ერთეულთა მიკროსისტემას, რომელიც მიღებულია საზოგადოებაში, რათა სამეტყველო ქცევის წესების მიხედვით დაარეგულიროს მოსაუბრეთა შორის კონტაქტის დამყარებისა და ურთიერთობის სასურველ ტონალობაში წარმართვის პროცესი (ფორმანოვსკაია 1987, 63).

მნიშვნელოვანია მისი აზრი მიმართვის სტერეოტიპული ხასიათის შესახებ, რაც ადამიანის ენობრივ ცნობიერებაში თავისებური მზა ტიპიზებული ფორმების სახით ინახება (იგივე).

პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ტ.გრუშევიცკაია, რომელიც აღნიშნავს, რომ სამეტყველო ეტიკეტის წესები განსხვავებულია კომუნიკაციის დონისა (სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციების) და მისი პარამეტრების (მოსაუბრის პიროვნება, თემა, ადგილი, დრო, საუბრის მიზანი და მოტივი) მიხედვით. ურთიერთობის დონეებთან დაკავშირებით ავტორი გამოყოფს (კომუნიკაციაში პიროვნების ჩართულობის სპეციფიკის მიხედვით) სამ დონეს სოციალურ-როლებრივ (ხანმოკლე ურთიერთობას), საქმიანსა და ინტიმურ-პირადულს და მიმართვას კომუნიკაციის განსხვავებულ რეჟიმებში აანალიზებს (გრუშევიცკაია 1987, 156).

თავის ნაშრომში“ Linguistic Etiquette“ გერცი მსჯელობს მიმართვასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მის ხასიათზე გავლენას ახდენს როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური კავშირები. ურთიერთობის პროცესში

კომუნიკანტები გამოდიან, როგორც გარკვეული სოციალური როლების მატარებლები, რომლებიც შეიძლება სიმეტრიული და ასიმეტრიული იყოს და განსაზღვრავენ ურთიერთობის საკომუნიკაციო სტილს (დომინანტურ-დეპენდენტურს, მეგობრულსა თუ კონფრონტაციულს, ღიას თუ დახურულს). საკომუნიკაციო აქტებში თითოეული პარტნიორი განიცდის იმ სიტუაციათა და მდგომარეობათა ზეგავლენას, რომელშიც მას აყენებენ შესაბამისი საკომუნიკაციო როლის მატარებელი თანამოსაუბრეები. მიმართვას ავტორი ყურადღების მიპყრობის საშუალებებთან აიგივებს, სამეტყველო კონტაქტში შესვლის ეტიკეტურ სიტუაციად განიხილავს, რომლის ფარგლებში მას შემდეგი მნიშვნელობა აქვს: მეორე კომუნიკანტის ადრესატის ფუნქციით აღჭურვა, დაძახება-მოხმობის, შემდგომი კითხვის, შეტყობინების ზემოქმედების მოხდენის, ყურადღების მოპყრობის მიზნით (გერცი 1970, 167).

სოციალური სიტუაციებსა და პოლიტკორექტულობასთან დაკავშირებით მიმართვას ეხებიან არჯილი (1981), ბრაუნი და ლევისონი (1978), ფერგიუსონი (1976), ჰოლი (1977), ოკამოტო შიგეკო (2010).

კომუნიკაციის თავაზიან სტილთან დაკავშირებით პრობლემას ეხებიან სპენსერი (2008), უოტსი (2003), ტ. ლარინა (2009) და სხვ.

სამეტყველო სტრატეგიებთან მიმართებაში პრობლემას მოიხსენებენ: გამპერზი (1982), ჰაასი (1978), ლიჩი (2016), პოსტი (2008) და სხვ.

მიმართვა, როგორც ცნობილია, ინტერპერსონალური ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი მარკერია. მიმართვა არა მარტო დიალოგში ჩართვისა და კომუნიკაციის ხელშეწყობის საშუალებაა, არამედ ურთიერთობაში გამოყენებული ფსიქოლოგიური ხერხი. სწორედ ეს გახდა პრობლემისადმი ფსიქოლინგვისტების ინტერესის კატალიზატორი, რაც შესაბამის ნაშრომებშიც აისახა: ლამბერტი (1972), ლენდერი (1966), ლურია (2014), არჯილი (1994), ემინოვიჩი (1981), ვორკაჩოვი (2001) და სხვ.

ფსიქოლინგვისტებისთვის მნიშვნელოვანი იყო ინტერპერსონალური ურთიერთობის ისეთი ასპექტიც, როგორცაა ადრესაცია. ამ პრობლემას გრაისის (1978)

და ერვინ-ტრიპის (1972; 1973) გარდა, ეხებიან უიტკატი (1980), კრუჩინინა (1981), გოლდინი (1982) და სხვ.

ადრესატის კატეგორიის ენობრივ გამოხატვას უკავშირდება ი. კრუჩინინას განსაზღვრა, „მიმართვა წინადადების ან რთული სინტაქსური მთელის გრამატიკულად დამოუკიდებელი და განკერძოებული კომპონენტია, რომელიც აღნიშნავს პიროვნებას ან საგანს, რომლისკენაც მიმართულია მეტყველება. მიმართვა გამოიხატება არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვით ან მისი ეკვივალენტური სიტყვაფორმით, რომელიც გაფორმებულია განსაკუთრებული ძახილის ინტონაციით“ (კრუჩინინა 1990, 706). გოლდინი ასევე აღნიშნავს, რომ „მიმართვა განსაკუთრებული ენობრივი ფორმაა იმის დასახელებისა, ვისაც სიტყვით მივმართავთ. ეს არის ადრესატის სახელი. მიმართვა შეიძლება ნებისმიერი წინადადების სტრუქტურაში შედიოდეს და წინადადების თავში, შუასა და ბოლოში იყოს განლაგებული“ (გოლდინი 2009, 24).

თანამედროვე ეპოქაში მიმართვის პრობლემის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური ხდება კულტურათმშორისი კომუნიკაციის თვალსაზრისით, ვინაიდან მიმართვა აშკარად გამოხატული ეროვნული სპეციფიკის მქონეა. პრობლემას კულტურათმშორისი კომუნიკაციისა და ტიპოლოგიის კუთხით ეხებიან ჰაიმსი (1971), ლადო (1957), ვეუბიცკაია (1996), გრინბერგი (1971). ინგლისური ენისა და ცალკეული ენების მიმართვების კროსკულტურულ ანალიზს უძღვნიან თავიანთ ნაშრომებს დილუორთ პარკინსონი (1985) - ეგვიპტური არაბული, ბინი (1978) - კანარას ენა, პოლ ფრიდრიხი (1966) - მე-19 საუკუნის რუსული ენა, ელინორ დიკი (1996, 2002) - ბერძნული და ლათინური ენები, ლენდელი (1971) - უნგრული ენა, მაი (1980) - ვიეტნამური ენა, ფელიჩკინა (1988) - გერმანული ენა და სხვ.

ინგლისურ მიმართვებთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან რუსი ავტორები, რაც, შესაძლოა, პოლიტიკური პარადიგმის შეცვლითაა გამოწვეული. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ საბჭოთა პერიოდში ფაქტიურად გამორიცხული იყო უცხოელ ადამიანებთან ინტერპერსონალური ურთიერთობის შესაძლებლობა, რაც არააქტუალურს ხდიდა მიმართვის კატეგორიის შესწავლას. საინტერესოა, რომ ინგლისური ენის მიმართვის ფორმების საკითხთან დაკავშირებული

ნაშრომების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა პოსტსაბჭოთა პერიოდშია შექმნილი. შეპირისპირებით პლანშია შესრულებული ნ.მესნიანკინას დისერტაცია „მისალმებისა და დამშვიდობების ფორმულები ინგლისურ ენაში“ (1993), სადაც სპეციალური ყურადღება ექცევა მიმართვის ფორმების როლს ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში. ისტორიულ პლანშია გადანყვეტილი ე.ბალაშოვას ნაშრომი „მიმართვის ისტორიული განვითარება ინგლისურ ენაში“ (1984), რუსულ-ინგლისური მასალის შეპირისპირებას ეძღვნება კარაცევას (1979), ფორმანოვსკაიას (1979; 1983; 1987; 1989; 1990), ველტისტოვას (1964), ლარინას (2009) ნაშრომები.

უშუალოდ ინგლისური ენის მიმართვებს სხვადასხვა კუთხით ეხება შემდეგი ნაშრომები: სოციალური ფაქტორებით დეტერმინირებულობას - ნ. ადამუშკო (1973), ისტორიული განვითარების კუთხით - ე. ბალაშოვა (1984), ინგლისური ენის ნაციონალურ ვარიანტებში ფუნქციონირების თვალსაზრისით - ლ. რუსეცკაია (1991), თანამედროვე ეტაპზე ფუნქციონირების თვალსაზრისით - ა. ველტისტოვა (1964), ტ. მოისეენკო (1988) და ლ. სტუპინა და კ. იგნატიევი (1980).

ზემოთ აღნიშნულმა ავტორებმა და მათმა ნაშრომებმა, განსაკუთრებით კი ალბერტ გილმენისა და როჯერ ბრაუნის (1958), როჯერ ბრაუნისა და ალბერტ გილმენის (1960), როჯერ ბრაუნისა და მარგერიტ ფორდისა (1961) და ფრიდერიკე ბრაუნის (1988) კვლევებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს მიმართვის თეორიის განვითარებაზე და კვლევის შემდგომი ვექტორი განსაზღვრეს.

მიმართვის ფორმების კვლევა ქართულ ენათმეცნიერებაში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. აკაკი შანიძე ეხება პრობლემას ქართულ ბრუნვათა სისტემის განხილვასთან დაკავშირებით: „ბრუნვათა რაოდენობა დღევანდელ სალიტერატურო ქართულში, საერთოდ მიღებული შეხედულების თანახმად, შვიდია. თითოეულ ბრუნვას თავისი სახელი ჰქვია და საკუთარი ნიშანი აქვს. ეს ნიშნები სიტყვას ბოლოს დაერთვის, დაბოლოებაა“ (შანიძე 1980, 44-45) და მიმართვას წოდებით ბრუნვასთან აკავშირებს. განსხვავებულია არნოლდ ჩიქობავას პოზიცია, რომელიც თვლის, რომ: „ბრუნვა ქართულში ექვსია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, მიმართულებითი, ნათესაობითი და მოქმედებითი“ (ჩიქობავა 1950, 035). ტრადიციით გამოყოფენ წოდებით

ბრუნვასაც (ძმაო, ამხანაგო!, მეგობარო! კაცო! ა.შ.). ესაა მიმართვის ფორმა. ის არ უკავშირდება არც ზმნას, არც სახელს; მას შეიძლება ჰქონდეს მსაზღვრულად სახელი (ძვირფასო ძმაო!). მაგრამ მსაზღვრელიანია თუ ცალკე აღებული მიმართვა, იგი წინადადების ორგანულ ქსოვილში არ შედის: წინადადებაში სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი (ჩიქობავა 1950, 036).

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო“-ში გამოქვეყნებული სტატია „თავაზიანი მიმართვის ფორმა ქართულ ენაში“ (ძიძიგური 1965) ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. ავტორი დიაქრონიულ ჭრილში განიხილავს მიმართვის ფორმა „ბატონო“-ს - ამ სიტყვის წარმოშობას, მისი მნიშვნელობების გამრავალფეროვნების პროცესს და ადგილს ქართული ენის მიმართვის ფორმების სისტემაში. ოდნავ მოგვიანებით ქვეყნდება ცირა კალაძის სტატია ნომინალური მიმართვის შესახებ - „სახელ-მამის სახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში“, სადაც ის განიხილავს სახელითა და მამის სახელით მიმართვას (კალაძე 1984). ავტორის (ასევე შ. ძიძიგურის) ვარაუდით, ეს მოვლენა ქართული ენისთვის ბუნებრივი არ უნდა ყოფილიყო, არც ისტორიულად და არც კილოების მიხედვით, რადგან ასეთი ფორმა (მაგ.: *ივანე აბულეთის ძე, ოთაღო შერვაშის ძე*) მიმართვის ფორმად არც ერთ შემთხვევაში არ გამოიყენება. ის უკავშირდება ქართველ და რუს ხალხებს შორის პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების დამყარებას. ავტორის თანახმად, ქართველ ხალხს ეს მოვლენა ვერ გაუთავისებია და უცდია მისი „გაქართულება“ (მაგ.: *იოსებ დავითისი*). ეს მოდელი არც ისე უცხოა ქართული ენისთვის და ამ ფორმით საკუთარი სახელების გამოყენება ხშირია სახარებასა და ბიბლიაში (მაგ.: *ისუ ბარაბაძისი*) (კალაძე 2005, 310-311).

მიმართვის ფორმების საკითხზე აღსანიშნავია შ. აფრიდონიძის ნაშრომები. ერთ-ერთი მათგანია სტატია „აპელატიური მიმართვის ფორმების გამოყენებისათვის ქართულში“ (აფრიდონიძე 1990). ავტორი განიხილავს მიმართვის ნომინალური ფორმების ინვერსიას - რეფლექსურ (უკუქცევით) და ფიქტიურ ინვერსიას. სტატიაში ასევე მოცემულია ახლო ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელი აპელატივების ავტორისეული კლასიფიკაცია ქართული ენის საფუძველზე. კლასიფიკაცია ეფუძნება ფონეტიკურ, მორფოსინტაქსურ და სემანტიკურ კატეგორიებს.

ზემოთ ხსენებული ავტორის ნაშრომთა სიას ეკუთვნის ასევე სტატია „ბრძანებითი როგორც მიმართვის ზმნური ფორმა“ (აფრიდონიძე 1995), სადაც ავტორი ზმნის იმპერატივს მიიჩნევს მიმართვის სისტემის სრულყოფილებიან წევრად და განიხილავს ზოგიერთი მიმართვის ზმნური ფორმის ეტიმოლოგიას (მაგ.: *გეთაყვა, გენაცვა*).

1999 წელს ზ. კიკვიძის ავტორობით გამოიცა სტატია „მრავლობითი თუ თავაზიანი ფორმა: გრამატიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა“ (კიკვიძე 1999), სადაც ავტორი იკვლევს ისეთი გრამატიკული კატეგორიების ოპოზიციებს, როგორცაა ფამილარული და თავაზიანი ფორმა და, ასევე, თავაზიანი და მრავლობითი ფორმა. ავტორის თანახმად, ქართულ ენას შუალედური პოზიცია უკავია თავაზიანობის გრამატიკული საშუალებებით გამოხატვის მხრივ, სხვა ენებთან შედარებით. ეს „შუალედურობა“ კი გამოიხატება იმაში, რომ, განსხვავებით სხვა ენებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფიან თავაზიანობის გრამატიკული კატეგორიების არსებობა-არარსებობის მიხედვით, ქართულ ენას მოეპოვება ზემოთ ხსენებული ორივე ჯგუფის მახასიათებლები – თავაზიანობა გამოიხატება როგორც გრამატიკული კატეგორიების, ასევე T/V ნაცვალსახელების საშუალებით. სტატიაში მოცემულია სოციოლინგვისტური წესები, სადაც ავტორი აჯამებს თავაზიანობის გამოხატვის კანონზომიერებს ქართულ ენაში. წესები კი შემდეგში მდგომარეობს:

- 1) თუ პრედიკატივი მხოლოდობით რიცხვშია და ზმნას დართული აქვს მარკერი -თ, მოცემული ფრაზა თავაზიანობას გამოხატავს („თქვენ კარგი ადამიანი ხართ“);
- 2) ქართულ ენაში მოიპოვება ზმნების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც თავაზიანობის შინაარსის გამომხატველი ფორმებია ლექსიკური თვალსაზრისით და მათი პოენიერება -თ მარკერთან ერთად თავაზიანობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხარისხით გამოხატულების გრამატიკული საშუალებაა („შემობრძანდით“);
- 3) მარკერი -თ ქართულ ენაში თანდათან უფრო ვრცელ სინტაქსურ არეალში იჩენს თავს, მაგალითად, არაზმნურ გამოთქმებში („კარგი“ (მდრ. რუს. да-ც (<сударь!)).

მიმართვის ფორმების თემაზე ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ კვლევას წარმოადგენს შუქია აფრიდონიძის სადისერტაციო ნაშრომი „მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში“ (აფრიდონიძე 2003), რომელიც წინამდებარე

ნაშრომის ქართული ენის საკვლევი მასალისთვის თეორიული ჩარჩოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიც იქნება. ავტორს მოცემული აქვს ქართულ ენაში არსებული მიმართვის ფორმების სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია. ავტორის ცდა, ახლებურად გაიაზროს მიმართვა ახალ ქართულში, ეფუძნება მიმართვის ფორმების სხვაგვარ, კერძოდ, მათ ფუნქციონალურ ინტერპრეტაციას. ნაშრომის ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ნათესავთა აღმნიშვნელი აპელატივების დახასიათება, რომელსაც მიყვავართ მეტად საინტერესო შედეგებამდე (მაგალითად, უფროსი თაობის აღმნიშვნელი „მშობელთა ჯგუფის“ აპელატივები მორფოლოგიურად ემიჯნება სხვა დანარჩენ ჯგუფებს) (აფრიდონიძე 2003, 14).

ნაშრომი ოთხ ძირითად ჯგუფს განიხილავს: ვოკატიურ (სახელურ), იმპერატიულ (ზმნურ), მახვილის გავლენით რედუცირებულ და ელიპტირებულ (სასიგნალო) და ინტეროგატიულ მიმართვებს. თითოეული ნაწილი წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვლევ მასალას და მოვლენის განვითარების საგულისხმო შედეგებს. ავტორი მიმოიხილავს მახვილის გავლენით რედუცირებულ და ელიპტირებულ მიმართვებს. ზეპირ მეტყველებაში ყველაზე გავრცელებული ზმნები ან სახელები „ცვეთას“ განიცდიან, რაც ინტენსიური მახვილის შედეგად თავკიდური ან ბოლოკიდური მარცვლის ჩამოშორებაში გამოიხატება, მაგალითად, „გო“ (გოგო), „ქა“ (ქალო), ან „ზმნადალექილი ტრადიციული საალერსო ფორმულები“ - „გენაცვა“, „გეთაყვა“ (აფრიდონიძე 2003, 74). ეს ნაწილი ასევე მოიცავს სინტაგმის ცვეთის შედეგად „დალექილი“ სიტყვების მიმოხილვას, მაგალითად, „სიჩუმე!“, რომელთაც ავტორი „პრაგმატულ მიმართვებს“ უწოდებს. მესამე ჯგუფში ავტორი განიხილავს კითხვით მიმართვებს, სადაც განსაკუთრებით საყურადღებოა ჩაკითხვითი ტიპის მიმართვების თავისებურებანი. კერძოდ, კითხვითი წინადადების ეკვივალენტური ერთმარცვლიანი სიტყვების დაგრძელება (ხა-↑არ?; ი-↑იქ?) თვისებრივი მოვლენაა და მახვილი მოულის მეორე მარცვალზე. ნაშრომის მეორე ნაწილი ეხება მიმართვის ფორმების ფუნქციონირებასა და ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთობას. ისეთი საინტერესო ფენომენი, როგორიცაა მიმართვის ფორმების ინვერსია, რომელიც რეფლექსიის სახელით არის მოხსენიებული, განხილულია ქართული ენის თავისებურებების გათვალისწინებით – კნინობით-

საალერსო სუფიქსი მრავლობით ნიშანთან ერთად აწარმოებს აპელატიური ლექსემის (ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინის) რეფლექსიას, მაგალითად: „გამარჯობა, ბიძიკოებო!“ (ბიძა მიმართავს ძმის/დისწულებს) (აფრიდონიძე 2003, 190).

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი აფრიდონიძის კვლევის სფეროდან წარმოადგენს ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართვები და ტაბუირება ქართულ ტრადიციებში (აფრიდონიძე 2002). მის სტატიაში, რომელიც გარკვეულწილად ამ ავტორის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილსაც წარმოადგენს, ყურადღება გამახვილებულია იმ ქართულ ტრადიციებზე, რომლებიც გულისხმობს ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართვების თავისებურებებს.

ქართულისთვის სპეციფიკურ საალერსო ფორმებს, როგორცაა *გენაცვალე, შემოგველე, გეთაყვანე* ოთარ გაჩეჩილაძე მიმართვისა და შორისდებულის ურთიერთდამოკიდებულების ფონზე განიხილავს: „ხშირად შორისდებული მიმართვის ფორმის გამაძლიერებლად გვევლინება, ხოლო ზოგჯერ რაიმე ემოციების გამოხატვის მიზნითაა წარმოთქმული“ (გაჩეჩილაძე 1979, 125).

2005 წელს ნ. რუხაძის ავტორობით გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ავტორი თვლის, რომ მიმართვის ფორმების შერჩევა კულტურული ნორმების გათვალისწინებით „სოციალური სახის“ შენარჩუნების განმსაზღვრელი ფაქტორია, რაც გარკვეულწილად ლ. გოქსაძის სტატიის ლოგიკური გაგრძელებაა („ყოფითი ღირებულებანი და ნორმათა რღვევა როგორც „სახის“ დაკარგვის საშიშროების შემქმნელი ლინგვისტური ქმედება“) (გოქსაძე 2002).

2007 წელს მ. რუსიეშვილის ავტორობით დაიბეჭდა სტატია, რომელიც განიხილავდა მიმართვის ფორმების გამოყენებას აკადემიურ დისკურში საქართველოში (რუსიეშვილი 2007).

ძალზე საინტერესოა მაია ჩხეიძის ნაშრომი „ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა“ (1993), რომელშიც ავტორი განიხილავს დადებითი ემოციური დამოკიდებულების აღმნიშვნელ ერთეულთა ჯგუფს და იმ სიტყვა-იდენტიფიკატორებს, რომლებიც თავისი სემანტიკური გრადაციის პრინციპებით ძალზე

ახლოა საალერსო მიმართებებთან. ველის სტრუქტურირებისას გამოყოფილი სემანტიკური ნიშნები სრულ ანალოგიას ამჟღავნებენ საკვლევ მასალასთან, ამიტომ ქვემოთ ამ კლასიფიკაციას უფრო დანვრილებით შევხებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს კლასიფიკაცია უფრო სრულყოფილი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ სიტყვა-იდენტიფიკატორებმა შეიძლება შეიცვალონ მათი ინტენციები გარკვეულ ფრაზებში და სულაც არ აღმოჩნდნენ დადებითი ემოციური მუხტის მატარებელი, მაგალითად, *ეშმაკი* დადებითი ემოციის/დამოკიდებულების გამომხატველი იქნება, თუ მას მცირეწლოვან ბავშვთან მიმართ გამოვიყენებთ, თუმცა ზრდასრულ ადამიანთან ის, მართალია, ისევ ფიგურალური მნიშვნელობით, მაგრამ უარყოფითი ემოციის გამომხატველი ერთეული იქნება (აქ პარალინგვისტური მახასიათებლები განსაზღვრავენ მოცემული ერთეულის გამოყენების ინტენციას და სემანტიკას) - *მითხარი, შე წყეულო და შეჩვენებულო ეშმაკო* (მიველ დე სერვანტესი - დონ-კიხოტ ლამანჩელი/ქეეკ). მოცემულ კლასიფიკაციაში შერწყმული ზონებიც შეიძლება არსებობდეს - *ბაჭია* (სიპატარავისა და ცხოველთა ზონა), *გემოსა* და ფიზიკური მახასიათებლების ზონა - *ფუნთუშა* (ჩხეიძე, 1993, 122).

ზემოთ დასახელებული ნაშრომები მხოლოდ რამდენიმე ავტორს წარმოადგენენ იმ მრავალრიცხოვანი ქართველი ავტორების სიიდან, რომელთაც გარკვეული ხარისხით და წილით გამოიკვლიეს მიმართვის ფორმების საკითხი. წინამდებარე ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში მოყვანილია ამ საკითხზე გამოცემული ნაშრომების შედარებით უფრო ვრცელი სია.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ მიმართვის პრობლემის შესწავლის ისტორია საკმაოდ საინტერესო სურათს გვიხატავს. თავდაპირველი ინტერესი ნომინაციის სფეროსა და სასახლის კარის ეტიკეტს უკავშირდება, შემდგომში მორფოლოგიისა და სინტაქსის პრობლემებთან მიმართებაში ნათელი ხდება მისი სპეციფიკური ხასიათი, რაც მისი იგნორირებისა და არარელევანტური კრიტერიუმებით დახასიათების მიზეზი ხდება. სისტემურ-სტრუქტურული მიდგომისას ჯეროვნად არ იყო შეფასებული ადრესატის ფაქტორი და მიმართვაში ასახული პიროვნებათმორის ურთიერთობებთან დაკავშირებული სემანტიკურ ნიუანსთა მრავალფეროვნება, რაც ახლებურ მიდგომას

მოითხოვდა. პრობლემის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება 1960-იან წლებს, როდესაც მიმართვის კვლევა ანთროპოცენტრისტული პარადიგმის შემადგენელი დისციპლინების (სოციო- და ფსიქოლინგვისტიკის, ეთნო -და პრაგმალინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების თეორიის) კომპეტენციაში გადადის და ახლებურ ინტერპრეტაციას იძენს. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია, გადავიდეთ მიმართვის ფორმების ლინგვისტური სტატუსისა და კატეგორიული ბუნების ანალიზზე.

1.2 მიმართვის ფორმების ლინგვისტური სტატუსი და კატეგორიული ბუნება

როგორც აღვნიშნეთ, მიმართვის ფენომენის ობიექტის სირთულიდან და წინააღმდეგობრივი ბუნებიდან გამომდინარე, ბევრი კითხვა, მათ შორის ისეთები, რომლებიც მიმართვის ძირითადი ნიშნების განსაზღვრას ეხებიან, დღემდე გადაუწყვეტელი რჩება ან სრულიად არაერთგვაროვნად არის განმარტებული სხვადასხვა წყაროში. გარდა იმისა, რომ მიმართვას უშუალო კავშირი აქვს სამეტყველო ეტიკეტთან, მიმართვა უდიდეს როლს თამაშობს ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, არეგულირებს ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთობას და ეხმარება მათ, შექმნან თავისებური კომუნიკაციური სივრცე. მიმართვას ახასიათებს სტერეოტიპისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორიცაა ფიქსირებული ფორმით აღწარმოება, ანუ უწყვეტად წარმოება და განახლება, სამეტყველო პროცესში გამოყენების მაღალი სიხშირე, კომუნიკაციური კონტაქტის მაქსიმალური ეფექტის მიღწევის ინტენცია. მიმართვა წარმოადგენს აგრეთვე ეტიკეტურ სამეტყველო ერთეულს, რომელიც ფრიად საგულისხმო როლს თამაშობს პიროვნებათშორის ურთიერთობაში. მიმართვა წინადადების ადრესატულ ცენტრდაც მიიჩნევა, რომელიც ფუნქციონალურად და სინტაქსურად შეესაბამება დეტერმინანტის ბუნებას. როგორც სიტყვა, ის შეიცავს მახასიათებლებს, რომლებიც სცდება ლექსიკური ერთეულის დონეს, აქვს ინტონაცია და პრედიკაცია. მიმართვა რთული მრავალფუნქციური ერთეულია, რომლის

ფუნქციონირების სპეციფიკას კომუნიკაციურ-პრაგმატიკული კონტექსტი განსაზღვრავს. მიმართვა წარმოადგენს უნივერსალურ საშუალებას, რომელიც ენამ შეიმუშავა ადამიანური ურთიერთობებისათვის და გამონათქვამებსა და ურთიერთობის სუბიექტთა შორის კავშირის დასამყარებლად (გოლდინი 2009, 114), რომელსაც მნიშვნელოვანი კომუნიკაციური დატვირთვა აქვს და რიგ სამეტყველო ამოცანას ასრულებს უშუალო სამეტყველო კონტაქტის პირობებში. უკვე ჩამოთვლილი ასპექტები სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ერთიანი საკლასიფიკაციო ნიშნის შერჩევა, რომელიც დააკმაყოფილებდა ამ ფენომენის შესწავლასთან დაკავშირებულ ყველა მეცნიერებას, საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

ნებისმიერი ფენომენის ბუნების გამოვლენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა მისი ფუნქციების განსაზღვრა. ავტორთა უმრავლესობა ინგლისური მიმართვების შემდეგ ფუნქციებს გამოყოფს:

ნომინატიურს, ანუ ადრესატის დასახელების ფუნქციას;

მახასიათებელს, ანუ ადრესატისადმი პირადი დამოკიდებულების დემონსტრირების ფუნქციას;

ეტიკეტურს, ანუ სოციალურ-მარეგულირებელ ფუნქციას, რომელიც უფლებას გვაძლევს ურთიერთობა განვიხილოთ, როგორც პროცესი, რომლის მიმდინარეობაც შეესაბამება ამ საზოგადოებაში (სოციალურ ჯგუფში) სხვადასხვა სოციალური სიტუაციებისთვის მიღებულ ურთიერთობის კონვენციურ ნორმებს;

ზემოქმედებით ფუნქციას.

ძირითად ფუნქციად მიღებულია **ნომინატიური ფუნქცია**, უფრო ზუსტად, **აპელაციური ფუნქცია**, რომელიც ადრესატის დასახელებისას დაძახების, ძახილის, მოხმობის ინტონაციით გამოიხატება.

მიმართვისას ადრესატისადმი პირადი დამოკიდებულების გამოხატვა, რომელიც ემყარება გარკვეულ ცოდნას მის შესახებ, მეტყველებს ემოციურ-შეფასებით მიმართებაზე და ვლინდება **მახასიათებელ ფუნქციაში**.

მიმართვის ფორმის არჩევანის მნიშვნელოვანი ხასიათი ავტორებს უფლებას აძლევს, **ეტიკეტური, ანუ სოციალურ-მარეგულირებელი ფუნქციაც გამოყოფონ**.

ვინაიდან ინგლისურ ენაში **სოციალურ-მარეგულირებელი** მიმართვები სტატუსის მხოლოდ აღმავალი ვექტორითაა მარკირებული, ანუ გამოიყენება უფრო მაღალი სტატუსის მქონე პარტნიორთან ურთიერთობაში (რასაც ტერმინთა ეტიმოლოგიაც ადასტურებს (sir - senior, Mr. - master), კარასიკი ვარაუდობს, რომ სოციალური რეგულაციის ფუნქცია ემთხვევა ეტიკეტურს. თავაზიანობის ნორმები მოსაუბრის სტატუსის აღიარებასა და მის ამალღებაში ვლინდება, ამიტომ სხვადასხვა ავტორის შრომებში არსებული სახელწოდებები – ეტიკეტური და სოციალურ-მარეგულირებელი, ფაქტობრივად ერთი და იგივე ჯგუფია (კარასიკი 1992).

მიმართვა არა მარტო ასახელებს ადრესატს, არამედ პიროვნებათშორისი ურთიერთობის ინდიკატორს წარმოადგენს, აღნიშნავს რა ადრესანტისა და ადრესატის ტიპობრივი ურთიერთმიმართების მდგომარეობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმართვა ასახავს კომუნიკანტთა როლებრივ ფუნქციებს, გამოხატავს მათ საზოგადოებრივ სტატუსთა თანათარღობას, ასაკობრივ, გენდერულ მიმართებებს, ნაცნობობის ხარისხს, რაც ადასტურებს არჩევანის დამოკიდებულებას კომუნიკანტთა ურთიერთობის სფეროსთან, დანყებული ოფიციალურიდან, ფამილარულ-ინტიმური და მთავრებული. **ზემოქმედებით ფუნქციას** ნაკლები ყურადღება ექცევა და მას ყველა მკვლევარი არ გამოყოფს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სამეტყველო ერთეულს, მას საკუთარი კომუნიკაციური დანიშნულება და ინტონაციური გაფორმება აქვს, რაც, უდავოდ აძლევს ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობას. ასე, მაგალითად: ფრაზაში I am with you, *friend*, ადრესანტი იყენებს მიმართვას friend, ცდილობს, განწყოს პარტნიორი, დაამშვიდოს, რწმენა ჩაუნერგოს და პოზიტიური ზემოქმედება მოახდინოს.

მიმართვის ფუნქციების საკუთარი კლასიფიკაციის შექმნას ცდილობს უ.სეიტუნოვი, რომელიც მიმართვის ცხრა ფუნქციას გამოყოფს:

1. ნომინატიურს (ასახელებს ადრესატს): “- Amanda, I’m tired of standing”;
2. ადრესატის ყურადღების მიქცევისა და მოსაუბრის მოსასმენად განწყობისა “- Michael, let us drink something there!”;

3. ადრესატის შეფასებისა (რომელიც მოიცავს დადებით, უარყოფით და ნეიტრალურ შეფასებებს): “- Ah, my dear Basil, that is exactly why I can feel it”.

4. პერლოკუციურს (ადრესატზე ზეგავლენის ფუნქცია, რათა გარკვეულ მიზანს მიაღწიოს): “My dear fellow, I have just remembered”. აღსანიშნავია, რომ მოცემული ფუნქცია ძირითადად კონტექსტში რეალიზდება.

5. იდენტიფიკაციისა: “- Mr.Black. is it?”;

6. დეიქტურს : “- Hey you, come here!”;

7. თავაზიანობის გამოხატვისა: “- Am I to go, Mr. Gray?”;

8. ემოციურს: “- My sweetie! You cannot do it!”;

9. მარეგულირებლისა (მიმართვა არეგულირებს კომუნიკანტთა მიმართებას ურთიერთობაში. ასე, მაგალითად, დაქვემდებარებულს არ შეუძლია, უბრძანოს უფროსს: “- Mrs. Bradshaw is in the living-room, sir” (სეიტუნოვი 2010, 11).

ავტორი აღნიშნავს, რომ მიმართვის ყველა ფუნქცია ურთიერთდაკავშირებულია, ხოლო ადრესატის ნომინაციის ფუნქცია ყველა მათგანში შედის. უნდა ითქვას, რომ ეს კლასიფიკაცია ღიდად არ განსხვავდება ზემოთ მოყვანილისგან და იმავე ფუნქციებს სხვა დასახელებით გვანვდის.

მიმართვის ძირითადი ფუნქციები მიმართვის ტიპოლოგიურ მოდელებში ვლინდება. მიმართვის ობიექტთან დაკავშირებით მეცნიერთა აზრები ღიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. იგულისხმება, რომ ნებისმიერი არსებითი სახელი, რომელსაც შეიძლება მივმართოთ, შეიძლება მიმართვის ფუნქციით გამოვიყენოთ. მაგალითად: *ღრმად პატივცემულო ბატონო კარადა!* მაგრამ უპირობო პრიორიტეტი ამ თვალსაზრისით საკუთარ სახელებს, პირის ნაცვალსახელებს, გასუბსტანტებულ ზედსართავებსა და სუბსტანტიურ შესიტყვებებს ეკუთვნის. მორფოლოგიური მახასიათებლების თვალსაზრისით ინგლისური მიმართვების კლასიფიკაცია მეტყველების სამ ნაწილს ეფუძნება: არსებით სახელს, გასუბსტანტებულ ზედსართავსა და ნაცვალსახელს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ენის ნომინაციური ფუნქციის

რეალიზაცია მხოლოდ სახელს შეუძლია, რაც გამოიხატება ენობრივი ერთეულის უნარში არა მარტო საგნისა თუ მოვლენის, არამედ რეალური სამყაროს ნებისმიერი ელემენტის სახელდება მოახდინოს. მიმართვის ფუნქციით გამოყენებული საკუთარი სახელები საკმაოდ არაერთგვაროვანია და სხვადასხვა ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი :

სახელის სრული ფორმით: Beverly, Matthew, Megan;

შემოკლებული ფორმით: Bev, Mat, Meg;

დიმინუტივით: Meggy, Vinnie;

მარტო გვარით ან მეტსახელით: McQuillan;

სახელისა და გვარის კომბინაციით : Stephen Gaunt და ა.შ.

მიმართვის ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკუთარი სახელები, ტიტულები, მიმართვები, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში არსებულ მდგომარეობასთან და ასახავენ კომუნიკანტთა ურთიერთმიმართებებს, აგრეთვე პირის ნაცვალსახელები (ბონვილენი 2003, 81).

ადრესატიდან გამომდინარე მიმართვა შეიძლება წარმოადგენდეს :

პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის სახელებს (dear friends, ladies and gentlemen, darling, Sir, Madam და ა.შ.): Come here, guys!

“What an excellent father you have, girls!” said she, when the door was shut.

სულიერი არსების, მაგრამ არა პირის სახელს: You are probably hungry, my lovely little kitten!

უსულო საგნის სახელს:

The sun greeted me this morning! Stars, bring me up with you, bring me to the place you sleep.

I wonder how they do it.

მიმართვის ფორმების ზოგადი კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიური მოდელების განხილვისას ამოსავალი წერტილია ფრიდერიკე ბრაუნის (1988) მიერ მოცემული კლასიფიკაცია. ეს მოდელი დღესდღეობით არსებული მოდელებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე სრულყოფილია.

ფრიდერიკე ბრაუნი მიმართვას განსაზღვრავს, როგორც მეტყველი სუბიექტის ენობრივ მიმართვას მისი თანამოსაუბრისადმი (1988). ის არ მოიცავს პირველი კონტაქტის დამყარების ან ინტერაქციის დაწყებისთვის აუცილებელ ლინგვისტურ საშუალებებს. მიმართვის ფორმები თავად წარმოადგენენ კონტაქტის დაწყების საშუალებებს. ბრაუნი მიმართვის განსაზღვრისას არ განიხილავს მომიჯნავე მოვლენებს, როგორცაა, ინგლისურ ენაში არსებული „Hey!“, გერმანული *Sag mal, ...* ფრანგული *Pardon !*, რომლებიც მიმართვაში გამოყენებული სიტყვები და ფრაზებია. ისინი თანამოსაუბრეზე ახდენენ რეფერენციას და, ამგვარად, შეიცავენ დეიქსის ძლიერ ელემენტს. ავტორის აზრით, ენების უმეტესობაში მიმართვის ფორმები სიტყვათა სამ კლასს ეყდრნობა: (1) ნაცვალსახელებს, (2) ზმნებს, (3) სახელებს და მათზე სინტაქსურად დამოკიდებულ სიტყვებს.

მიმართვის ნაცვალსახელები ისეთი ნაცვალსახელებია, რომლებიც თანამოსაუბრეს მიმართავენ. ესენია, პირველ რიგში, მეორე პირის ნაცვალსახელები, როგორცაა ინგლისურ ენაში არსებული *you*, გერმანულ ენაში - *du/ihr*, ფრანგულ ენაში - *tu* და *vous*. სხვა გრამატიკული პირები მიმართვის ნაცვალსახელის ფუნქციას შეასრულებენ, თუ ისინი საკომუნიკაციო პარტნიორს მიმართავენ.

მიმართვის ფორმების აღწერისას ვეყრდნობით რ. ბრაუნისა და ა. გილმენის (1960) მიერ შემოტანილ სიმბოლოებს ენაში მარტივი და შინაურული მიმართვის ნაცვალსახელის (T) და მიმართვის თავაზიანი, დისტანციური ან მეორადი ნაცვალსახელის (V) აღსანიშნავად. აბრევიატურები T და V სათავეს იღებენ ლათინურ ენაში არსებული „*tu*“- და „*vos*“-დან. ნაცვალსახელებით გამოხატული მიმართვები დიდი ვარიანტულობით არ გამოირჩევიან. ძირითადად ამ ფუნქციით გამოიყენება მეორე პირის ნაცვალსახელი - *you* (არქ./რელიგ.: *thou/thee*); განსაზღვრებითი ნაცვალსახელი *everyone, everybody*; ნაცვალსახელები არ ასახელებენ ადრესატს და მასზე მხოლოდ

მიუთითებენ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათ არ შეუძლიათ, შეასრულონ ნომინაციური ფუნქცია, რაც განასხვავებს მათ სხვა ტიპის მიმართვებისაგან. ასევე შესაძლებელია მიმართვის ფუნქციით ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის კომბინაცია: Listen, *you two*, I'm dying of thirst; (Modern English Plays 1966, 182) და ნაცვალსახელის, როგორც დანართის შემადგენელ ნაწილად გამოყენება: I never even met him, *you silly thing*, I was only on a fishing expedition...; (Binchy 2003, 27) Oh, no, no ... *Jack - my love*, what's happened to you? (Neil 2002, 98).

კომუნიკაციურ სიტუაციებში, სადაც ურთიერთობის პერსონალური დისტანცია მოქმედებს, მიმართვას ძალზე ხშირად ახლავს ნაცვალსახელი *my*, რომელიც, ერთი მხრივ, ურთიერთობის პრივატულობის ხარისხს ზრდის, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულ დამოძღვრის მნიშვნელობასაც შეიცავს:

Whatever you do, *my dear boy*, marry a girl who's your equal. (Modern English Drama 1984, 78);

Don't seem to realize the world you're living in, *my boy*. (იქვე, 44);

You start sneering again, *my boy*, just remember one thing. (იქვე, 68).

*მიმართვის მხნური ფორმები. არსებობს მოსაზრება, რომ ფლექსიურ ენებში მხნის ფორმას შეუძლია რეფერენტის ნომინაცია მოახდინოს და გახდეს თანამოსაუბრის რეფერენტის მატარებელი. მაგალითში „სად მიდიხარ?“ ფლექსიური პრეფიქსი *ბ-* (მეორე პირის მხოლოდობითი რიცხვი) თანამოსაუბრისადმი რეფერენტის გამოხატავს.*

მიმართვის სახელური ფორმები სუბსტანტივები და ზედსართავი სახელებია, რომლებიც თანამოსაუბრეს აღნიშნავენ ან მათზე რეფერირებას ასრულებენ რომელიმე სხვა საშუალებით. ეს კლასი ყველაზე მრავალფეროვანი კლასია. მასში შეიძლება შედიოდეს სხვადასხვა 1) სახელები, მათ შორის საკუთარი სახელებიც, რომლებიც ზოგჯერ შეზღუდულია ან ტაბუდადებულია, როგორც მიმართვის ფორმები; 2) ნათესაური ტერმინები (ნტ), რომლებიც სისხლით ან ქორწინებრივ ნათესაობას აღნიშნავენ. როდესაც ნტ გამოიყენება ისეთ მიმართვაში, რომელიც მოსაუბრესთან არანაირ კავშირში არ არის, მას ნტ-ის ფიქტიურ გამოყენებას უწოდებენ. 3) ამ ჯგუფში ბრაუნი ათავსებს მიმართვის ისეთ ფორმებს, როგორიცაა ინგლისურ ენაში Mr/Mrs,


გერმანულ ენაში Herr/Frau, პოლონურ ენაში pan/pani და ა.შ. როგორც ავტორი თვლის, ეს ზოგადი ფორმებია და ამ ჯგუფის ფორმების დეტალური დახასიათება მოიცავს ენისთვის სპეციფიკურ მახასიათებლებს. მათ სხვადასხვა ენაში შეიძლება ნაირგვარი ფორმალური, კომბინატორული თუ სოციალური მახასიათებლები ჰქონდეთ. 4) ამ ჯგუფში ავტორი ათავსებს წოდებით ტიტულებს და, ამასთანავე, დასძენს, რომ მათი კლასიფიცირება ძნელია. ხშირად, განსაკუთრებით ინგლისურ ენაში, ტერმინი *ტიტული* განუსაზღვრელად გამოიყენება ყველა ნომინალური ვარიანტისთვის, გარდა სახელებისა. ბრაუნი ამჯობინებს ტიტული უწოდოს ისეთ ფორმებს, რომლებიც მინიჭებულია, პოზიციაზე დანიშნით არის მიღებული (როგორცაა *ექიმი*) ან მემკვიდრეობით არის გადაცემული (*გრაფი, ჰერცოგი*). მათი აბსტრაქტული და პროფესიული სახელებისგან გამოყოფა ხშირად რთულია. 5) აბსტრაქტული სახელები მიმართვის ის ფორმებია, რომლებიც ადრესატის რომელიმე აბსტრაქტულ თვისებაზე ახდენს რეფერენციას, მაგ.: (*თქვენო*) *ბრწყინვალეზავ, (თქვენო) უდიდებულესობა*. 6) პროფესიული სახელები გამოიყენება ადრესატის პროფესიის ან ფუნქციის აღსანიშნავად, მაგ.: ინგლისური waiter, ფრანგული chauffeur და ა.შ. მათ ხშირად შევხვდებით სხვა ნომინალურ ვარიანტებთან კომბინაციაშიც, მაგ.: ბატონი/ქალბატონი *ვარიანტი*. 7) მრავალ ენაში გამოიყენება გარკვეული ტიპის ურთიერთობების აღმნიშვნელი სიტყვები მიმართვის ფორმების ფუნქციით, მაგ.: თურქული *arkadaş* „მეგობარი“. ამ ტერმინით გამოხატული ურთიერთობა არ მიესადაგება რეალურ ურთიერთობას. ასეთი ურთიერთობები ხშირია უცნობებს შორისაც კი. 8) საალერსო ფორმები განისაზღვრება კონტექსტითა და ფუნქციით, და არა ფორმალური ან სემანტიკური მახასიათებლებით. ბავშვების ან ახლობელი ადამიანების მიმართვისას, თითქმის ნებისმიერი სახელი - მანამდე არსებული თუ ამ მიზნისთვის შექმნილი - შეიძლება ასრულებდეს მიმართვის ფორმის ფუნქციას. საალერსო ფორმები, გარკვეული ხარისხით, პირობითია, მაგრამ ენობრივი შემოქმედებითობა და ინდივიდუალური ფანტაზია აქ დიდ როლს თამაშობს (ბრაუნი 1988, 10). 9) მიმართვის ზოგიერთი ფორმა განსაზღვრავს ადრესატს როგორც მავანის მამას, ძმას, ცოლს, ან ქალიშვილს, გამოხატავს რა ადრესატის მიმართებას ამ ადამიანთან. ასეთი ფორმებია,

მაგალითად, არაბული *abu A:li* „ალის მამა“, *bint Ahmed* „აჰმედის ქალიშვილი“. ხშირად მათ აღრესატის სახელის გამოყენების თავიდან ასარიდებლად მიმართავენ.

ნომინალურ ფორმებს რაც შეეხება, აუცილებელია მიმართვა განვასხვაოთ რეფერენციისგან. ნათესაური ტერმინების გამოყენებისას მიმართვისა და რეფერენციის წესები განსხვავდებიან. ინგლისური ნტ (*grandson*) *შვილიშვილი* რეფერენციის გავრცელებული ფორმაა, მაგრამ იშვიათად გამოიყენება მიმართვის ფორმად (შვილიშვილის მიმართვისას მიღებულია სახელის გამოყენება). აქვე უნდა აღვნიშნოთ ლ. ფაჩულიას მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია ქართული და ქართველურ ენათა, კერძოდ, მეგრული ენის მონაცემებზე დაყრდნობით (ფაჩულია 2012). მეგრულში საზოგადო და საკუთარი სახელები სახელდების ფუნქციით გამოიყენებიან. მათი მიმართვის ფორმებად გამოიყენება და მათ მიმართ შეზღუდვები განსხვავებულია (ფაჩულია 2012, 109). ავტორის თანახმად, საზოგადო სახელების მიმართვის ფორმებად გამოიყენება განისაზღვრება „ოფიციალური და ფამილარული რეგისტრებით“ მაგალითად, *ბოში* უფრო მეტად გამოიყენება ოფიციალურ საუბარში, ხოლო *წიე* - ფამილარულში. საკუთარი სახელები კი „დამკვიდრებული ტრადიციით“ (ფაჩულია 2012, 110). ზოგიერთი ენათმეცნიერი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, რადგან თვლიან, რომ *წიე* მუდამ და მხოლოდ წოდებითი ბრუნვის ფორმაა (= ბიჭო!).

მიმართვის ბმული და თავისუფალი ფორმები. ბრაუნი ბმულ ფორმებს განმარტავს როგორც წინადადებაში ინტეგრირებულ მიმართვით ფორმებს (მაგალითად, მიმართვის ნაცვალსახელები ინგლისურ ენაში - *do you come along to the pictures?*), ხოლო თავისუფალ ფორმებს კი უწოდებს იმ სინტაქსურად გამოთავისუფლებულ ფორმებს, რომლებიც წინადადების სტრუქტურის „საზღვრებს გარეთ“ იმყოფებიან - მას წინ უძღვიან, მოჰყვებიან, ან ჩართული არიან წინადადებაში (მაგალითად, მიმართვითი სახელები - *May I talk to you, Mr. Mayer, for a moment?*) (ბრაუნი 1988, 11). ბმულ და თავისუფალ ფორმებს შორის განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თავისუფალ ფორმებში არა მხოლოდ ნაცვალსახელები იცვლიან „მნიშვნელობას“, არამედ ნომინალური ვარიანტებიც ნაირგვარ ხარისხს გამოხატავენ როგორც მყარ, ასევე თავისუფალ ფორმებში.

ფრიდერიკე ბრაუნის მიერ მოცემული კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება (ბრაუნი 1988):




ცხრილი 1: ფრ. ბრაუნის მიმართვის ფორმების კლასიფიკაცია (ბრაუნი 1988).

მიმართვის ფორმების განხილვის თვალსაზრისით საინტერესო თემას წარმოადგენს მიმართვის განსაკუთრებული შემთხვევები: *მიმართვის ინვერსია* (ნომინალური მიმართვის განსაკუთრებული ფორმა). ეს გამოთქმა თავდაპირველად რენციმ (1968) გამოიყენა როგორც *allocuzione inversa*. მიმართვის ინვერსია ტერმინის (მხოლოდ ნტ) ისეთი გამოყენებაა, რომელიც გამოხატავს არა აღრესატის (ჩვეულებისამებრ) როლს დიალოგში, არამედ მოსაუბრის როლს, მაგალითად, როდესაც დედა მიმართავს შვილს თვითნოდებით – „დედა“. ეს ფენომენი ვლინდება ასევე ფიქტიურ ნათესაობაში. არაბულ ენაში მოსაუბრისთვის უცხო, ასაკით უფროს მამაკაცს მიმართავენ როგორც *‘ammi* „ბიძაჩემო“. ინვერსიის მეშვეობით ერთი და იგივე ტერმინი შეიძლება უკუქცევით იყოს გამოყენებული ასაკით უმცროსი ადამიანის მიმართ.

ქართულ და მეგრულ ენებში ეს ფენომენი ჩვეულებრივია: მამა მიმართავს შვილს: ბაბა, მეუ ყუღება „მამა (= შვილო), წადი სახლში“ (ფაჩულია 2012, 110).

თანაზიარობა და სიმეტრია. მიმართვის ფორმების თანაზიარი გამოყენება უნდა გავმიჯნოთ არათანაზიარისგან, ისევე როგორც მიმართვის *სიმეტრიული* კავშირი-*ასიმეტრიულისგან*. მიმართვა თანაზიარია, როდესაც ორი მოსაუბრე ერთმანეთის მიმართ მიმართვის ერთსა და იმავე (ან ეკვივალენტურ) ფორმას იყენებს. სხვადასხვა ფორმების გამოყენებისას მიმართვის კავშირი ასიმეტრიულია. კავშირს შეიძლება ეწოდოს სიმეტრიული, თუ ფორმების გარკვეული ნაწილი გამოიყენება თანაზიარად.




ცხრილი 2: მიმართვის ფორმების თანაზიარი გამოყენება (ბრაუნი 1988).



ცხრილი 3: მიმართვის ფორმების არათანაზიარი გამოყენება (ბრაუნი 1988).



ცხრილი 4: მიმართვის ფორმების სიმეტრიული გამოყენება (ბრაუნი 1988).



ცხრილი 5: მიმართვის ფორმების ასიმეტრიული გამოყენება (ბრაუნი 1988).

მიმართვის სისტემა ერთ ენაში არსებულ ყველა ფორმას და მათ შორის არსებულ ურთიერთობებს მოიცავს. ყველა ენას მიმართვის ფორმების სხვადასხვა „რეპერტუარი“ აქვს. ზოგიერთ ენაში ინდივიდუალური ადრესატისთვის მიმართვის ერთი ნაცვალსახელი არსებობს, სხვებში შეიძლება ორი, სამი ან მეტიც არსებობდეს. ცხადია,

რომ ვარიანტების მრავალფეროვნება აადვილებს არათანაზიარი ფორმების გამოყენებას და ასევე საშუალებას გვაძლევს, უფრო დეტალურად „გავშიფროთ“ სხვაობები ასაკში, სქესში, სოციალურ თუ პროფესიულ სტატუსში.

მიმართვითი ქცევა ცალკეული მოსაუბრის ან მოსაუბრეთა ჯგუფის მიერ მისთვის ხელმისაწვდომი მიმართვის ვარიანტების მისეული გამოყენების ფორმაა. სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, მიმართვითი ქცევა მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც მოსაუბრეებს ვარიანტებს შორის არჩევანის საშუალება ეძლევათ, ანუ მოცემული სასაუბრო კონტექსტისთვის ყველა გრამატიკულად სწორი ვარიანტიდან ხდება ერთ-ერთის არჩევა. გარეენობრივი ფაქტორები განსაზღვრავენ გრამატიკულად ურთიერთჩანაცვლებადი ფორმების არჩევანს. აქედან გამომდინარე, არჩეული ვარიანტები გამოხატავენ დიალოგის სოციალურ მახასიათებლებს. მოსაუბრის სოციალური და ენობრივი „წარსული“ ზეგავლენას ახდენს მიმართვით ფორმებზე.

მიმართვის ფორმების განხილვისას თავაზიანობის თემა ხშირად იჩენს თავს მათი გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე. სხვადასხვა ენის წარმომადგენლები ზოგ უცხო ენას უფრო მეტად „თავაზიანად“ თვლიან, ზოგს კი – ნაკლებად, „თუმცა ამ უკანასკნელის წარმომადგენლები არასდროს უჩივიან „არათავაზიანი“ ფორმების არსებობას მათ ენაში, რადგან ისინი იმ კონკრეტულ ენაში მიღებული ფორმებია“ (ფ. ბრაუნი 1988, 46).

მიმართვის ფორმები თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი გამონათქვამების კარგი მაგალითია. მიმართვის სისტემა საკმაოდ რთული სისტემაა ყველა ენაში და არ არსებობს ენა, რომ მასში მიმართვის რამდენიმე ვარიანტი არ არსებობდეს, სულ მცირე ნომინალური მაინც. მრავალ ენაში არსებობს მიმართვის სულ მცირე ორი ნაცვალსახელი – „ფამილარული“ და „თავაზიანი“. შესაბამისი კულტურა თუ საზოგადოება თავად განსაზღვრავს, სად და როდის არის საჭირო „თავაზიანი“ ფორმის გამოყენება. თავაზიანობის ფორმულის გამოყენება ავტომატურად არ გულისხმობს თავაზიანობის გამოჩენას (ბრაუნი 1988, 46).

რაც შეეხება თავაზიანობის ფორმების „არათავაზიანად“ გამოყენებას, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქართულ ენაში არსებული ფორმანტი -თ (თქვენ),

რომელიც თანატოლებთან საუბარში ნაძალადევ თავაზიანობას გამოხატავს. როდესაც მშობელი შვილს ტუქსავს და „თქვენ“ ნაცვალსახელს იყენებს, ნაცვალსახელის ასეთი გამოყენება მოკლებულია თავაზიანობის ყველა ინტენციას. ის მიუთითებს არასასიამოვნო ატმოსფეროს არსებობაზე. ოჯახში კი, როდესაც ამ ნაცვალსახელით მიმართავენ დედას, ან ხუმრობად, ან თავაზიან ქათინაურად აღიქმება. „თავაზიანი“ ფორმები თავაზიანობის კონოტაციას ხშირად კარგავენ.

როგორც მიმართვის თავაზიან ფორმას შეუძლია მიიღოს უარყოფითი კონოტაცია, ასევე „არათავაზიანმა“ ფორმებმაც შეიძლება გამოხატონ პატივისცემა და ფორმალობა. როგორც გინეკენი აღნიშნავს (გინეკენი 1934, 291), მიმართვის მხოლოდობით რიცხვში გამოყენება თბილი და მეგობრული ქცევის ნაწილია ქალის მიმართ. ის ასევე აღნიშნავს, რომ მრავლობითი რიცხვი, როგორც თავაზიანი ფორმა, აღარ არსებობს, და ამის მიზეზად ცნებების გადაფასებას ასახელებს. ალმასოვი (1974, 57) აღწერს ესპანურ ენაში *tu*-ს გამოყენების შესაბამის მაგალითებს: გარდაცვლილი ადამიანისადმი მიმართვა, სადაც *tu* გამოხატავს პატივისცემასა და ფიცს, ორი მღვდელი ერთმანეთს მიმართავს *tu*-ს გამოყენებით საეკლესიო ცერემონიის მსვლელობისას, რელიგიური ხასიათის საუბრებისას და სამეფო ოჯახის წევრების მიმართვისას. სტატუსით უფროსის მიერ არათანაზიარი *du* („შენ“) ფორმის გამოყენება უფრო მეტად სასიამოვნოა, ვიდრე V ნაცვალსახელისა (ფ. ბრაუნი 1988, 49).

ადამიანები საკუთარ ენაში მათ მიერ მიმართვის ვარიანტების განხილვისას კონკრეტულ ფორმებს ხშირად თავაზიან ფორმებად ასახელებენ, რადგან ისინი მათზე უფრო მაღალი სტატუსის მქონე ადამიანების მიმართ გამოიყენება, თუმცა არათავაზიანი მნიშვნელობის მქონე სიტყვებიც ხშირად მიიჩნევიან თავაზიან ფორმებად; მაგალითად, თურქულ ენაში არსებული *amca* „ბიძა“ („რატომაც არა, მე მას ხომ როგორც საკუთარ ბიძას, ისე ვუყურებ?!“).

მიმართვის ლინგვისტური სტატუსის, სიტუაციისა და ურთიერთობის მონაწილეთა, აგრეთვე მორფოლოგიური და სემანტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, გამოყოფენ მიმართვის სხვადასხვა ნაირსახეობებს.

სიხშირის მიხედვით მიმართვები იყოფა - უზუალურ და ოკაზიონალურ ნაირსახეობებად. უზუალური (ლექსიკალიზებული ან ფრაზეოლოგიზებული) მიმართვები ენის ერთეულებს წარმოადგენენ, ხოლო ოკაზიონალურები - მეტყველების მიმართვის სხვადასხვა ფორმის გამოყენება დამოკიდებულია სამეტყველო სტილზე :

-სასაუბრო ენაში ხშირად გვხვდება გაუვრცობელი მიმართვები, რომლებიც პიროვნებას სახელით ან გვარით მიმართავენ.

- წერით მეტყველებაში ხშირად გვხვდება გავრცობილი მიმართვები, რომლებშიც პირის სახელს თან ახლავს განსაზღვრებები, რომლებიც პირისადმი დამოკიდებულებას გამოხატავენ.

- როგორც აგებულების, ასევე მნიშვნელობის თვალსაზრისით ძალზე მრავალფეროვანია მხატვრულ ნაწარმოებების ტექსტში არსებული მიმართვები, განსაკუთრებით ეს ეხება პოეტურ მეტყველებას. ეჭვგარეშეა, რომ გარკვეულ საზოგადოებაში მიმდინარე კომუნიკაციის პროცესი, დეტერმინირებულია ურთიერთობის ეთნიკური და სოციოკულტურული ნორმებით, რომლებიც საყოველთაოდ მიღებულია ერთ კულტურაში და არ არის რელევანტური მეორისთვის.

მიმართვის ნორმის კრიტერიუმის თვალსაზრისით პირობითად შეიძლება გამოიყოს ნორმატიული და არანორმატიული მიმართვები, ვინაიდან მათი, ისევე როგორც ნებისმიერი ენობრივი ერთეულის, გამოყენება განპირობებულია ამ საზოგადოებაში მიღებული ნორმებით. ნორმატიულს მიეკუთვნებიან მიმართვები, რომლებიც კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაზე არ არიან მიბმულნი, საყოველთაო ხასიათისაა, ხოლო მათი ცოდნა წარმოადგენს აუცილებელ პირობას ამ ენაზე კომუნიკაციის პროცესის განხორციელებისათვის. ამგვარ მიმართვებს ბევრი რამ აქვთ საერთო სამეტყველო სტერეოტიპებთან - მდგრადობა, ფიქსირებული ფორმით აღწარმოებადობა, რიტუალურობა. მათი გამოყენება კომუნიკაციური სიტუაციის პირობებით (ვისთვისაა განკუთვნილი შეტყობინება, რა ვითარებაში მიმდინარეობს კონტაქტი და სხვ.) რეგულირდება და ადრესანტის ფონობრივი ცოდნით კონტროლირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოლაპარაკე ფლობს ენობრივი სისტემის

ნორმებს და შეტყობინების ადრესაციის პროცესში იყენებს მიმართვის სტანდარტულ ფორმულას, რომელსაც ის მისაღებად თვლის მოცემულ საკომუნიკაციო სიტუაციაში. ამგვარი ნორმები „...კომუნიკანტთა ცნობიერებაში იმპლიციტურად არსებობს და თავს იჩენს, როგორც წესი, მათი დარღვევის შემთხვევაში“ (ანისიმოვა 1983, 5).

ნორმატიულ, ანუ სტერეოტიპულს განეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ეტიკეტური (Mr., Miss, Mrs., Ms., Sir, და სხვ.) და პროფესიულ-თანამდებობრივი (Doctor, Professor, Colonel, Minister, Speaker და სხვა) მიმართვები, რომლებიც ადრესატის სოციალურ ან პროფესიული სტატუსის იდენტიფიცირებას ახდენენ. ამის გარდა, ნორმატიულ, ანუ სტერეოტიპულ გამოთქმებს მიეკუთვნება შეფასებით-დამახასიათებელი მიმართვები, ნათესაობის ტერმინები, ასაკობრივი და გენდერული ნიშნების მაიდენტიფიცირებელი მიმართვები.

არანორმატიულად უნდა ჩაითვალოს ის მიმართვები, რომლებიც ადრესანტის ცნობიერებაში იმპლიციტურად არ არის წარმოდგენილი, ანუ არ წარმოადგენს სისტემის ნორმას. ამგვარ სიტუაციებში ადრესანტი ხელმძღვანელობს არა სტერეოტიპული სიტუაციით, არამედ ადრესანტზე პირადი შეხედულებით და ამავდროულად ხაზს უსვამს მოსაუბრის სუბიექტურ-ემოციურ შეფასებას (მის ქცევას, ხასიათის რომელიმე თვისებას: Mr. Married, Mr. Cool, Mr. Fancy-Pants Party Director). როგორც მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, ამგვარი მიმართვების პირველი ნაწილი სტანდარტული მიმართვაა, რომელიც ადამიანის სოციალური სტატუსის იდენტიფიკაციას ახდენს, ხოლო პიროვნების სტანდარტული სახელის ნაცვლად მეორე კომპონენტის გამოყენება მხოლოდ კომუნიკაციურ-პრაგმატიკული კონტექსტით შეიძლება აიხსნას. **არანორმატიულს უახლოვდება მიმართვის ფუნქციით გამოყენებული საზოგადო არსებითი სახელები, რომლებიც დიდი არაერთგვაროვნებით გამოირჩევიან, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ კლასიფიკაციას, ვინაიდან მას საფუძვლად შეიძლება დაედოს განსხვავებული კრიტერიუმები და პრინციპები. საზოგადო არსებითი სახელებში ხშირად ფიგურირებს აბსტრაქტულ სახელთა ქვეჯგუფი, რომლებიც ადრესატს ახასიათებენ „მისი როლით ადრესატის ცხოვრებაში“ და წარმოადგენენ მას „როგორც ადრესანტის ამა თუ იმ მდგომარეობის წყაროდ“ (არუთინოვა 1977, 341).**

მიმართვების **სემანტიკური დახასიათების თვალსაზრისით** ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, რომ ის შეიცავს მინიმუმ ორ (და მეტ) მაღიფერენცირებელ სემანტიკურ ნიშანს. მაგალითად, მიმართვა *littleman* შეიცავს სქესისა და ასაკის სემანტიკურ ნიშანს, მიმართვა *Sir* - სქესისა და სოციალური სტატუსისას, მიმართვა *Duchess* - სქესისა და ტიტულის, *daddy* - სქესის, ნათესაური დამოკიდებულებისა და ასაკისა. ამას ვერ ვიტყვით შეფასებით-დამახასიათებელ მიმართვებზე, რომლებიც ფუნქციონირებენ კომუნიკაციურ სიტუაციებში, სადაც ურთიერთობის პერსონალური დისტანცია მოქმედებს და ერთადერთ მაღიფერენცირებელ ნიშანს პირადული დამოკიდებულების ფაქტორი წარმოადგენს. ასე, მაგალითად, მიმართვა *darling* შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მამაკაცის, ქალის, ასევე ბავშვის მიმართაც. მიმართვას *silly* მაღიფერენცირებელ სემანტიკურ ნიშნად მხოლოდ ადრესატის ფსიქოლოგიური დახასიათება უდევს საფუძვლად. უკანასკნელი მაგალითი ადასტურებს, რომ მიმართვის ფორმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გასუბსტანტებული ზედსართავი სახელები: *No, silly, just to talk to you* (კუპერი 1996, 29); *Sweet, my precious, I will make you happy* (ქართლენდი 1977, 256).

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ზედსართავი სახელები ხშირად თან ახლავს მიმართვას.

მიმართვის სტრუქტურული თავისებურებების თვალსაზრისით საინტერესოა ორმაგი მიმართვები, რომლებიც საკმაოდ გავრცელებულია: *Beverly, dear; Jeff, darling; Vinnie, baby; Matthew, sweetheart; Ben, my boy; Marigold, my sweet.*

ამ შემთხვევაში პირველ პოზიციაში გამოიყენება საკუთარი სახელი სრულ, შემოკლებულ და საალერსო ფორმებში, ხოლო მეორეში - შეფასებით-მახასიათებელი კომპონენტი. მსგავსი სტრუქტურის მიმართვები ზემოქმედებით ფუნქციებს ახორციელებენ (განსაკუთრებით ეს ეხება მეორე კომპონენტს) და ურთიერთობის დადებითი ტონალობის ფასილიტატორის როლს ასრულებენ, რასაც მნიშვნელოვანწილად თვით მიმართვის სტრუქტურა განაპირობებს, რომელიც კომუნიკაციას ადრესატისადმი მეგობრულ, თანაგრძნობის გამომხატველ, კეთილგანწყობილ მიმართვას ასახავს.

შესაძლოა ისეთი სტრუქტურაც, სადაც მიმართვის მეორე ნაწილი აგვირგვინებს გამონათქვამს და თხოვნის პრაგმატიკული მნიშვნელობის გაძლიერებას ემსახურება და, შესაძლოა, ფუნქციონალურად სიტყვა please-ს გაუტოლოთ: *Mick, could you come over here for a moment, mate?* (ბანჩი 2003, 106.). ამგვარი სტრუქტურა ხაზს უსვამს კომუნიკაციის მეგობრულ ატმოსფეროს და თავაზიან დამოკიდებულებას პარტნიორისადმი.

მიმართვის სტრუქტურის კიდევ ერთ თავისებურებად მისი გავრცობილობის ხარისხი ითვლება. გავრცობილი მიმართვები შეიცავენ ერთ ან რამდენიმე განსაზღვრებას, როგორც წესი, სტერეოტიპულს: *Poor little Sally; My dear young lady.* იშვიათად გვხვდება არატიპური გავრცობის მაგალითები: *Ella Brady from Tara Road, how are you?* (იგივე). ადრესანტი ცდილობს არამართო კონტაქტი დაამყაროს, არამედ მიმართვის ატრიბუტების საშუალებით თავისი დადებითი (ზოგჯერ კი ირონიული) დამოკიდებულება გამოხატოს ადრესატის მიმართ. მიმართვის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები არ ამოიწურება ადრესატის დასახელებითა და მისი ყურადღების მიპყრობით, არც კომუნიკაციის მონაწილეთა ლინგვოპერსონოლოგიური სტატუსისა და სიტუაციის ტიპის განსაზღვრით, არც მისი მორფოლოგიური პრობლემატიკითა და სემანტიკური ფაქტორებით, სწორედ ამიტომ იქმნება მიმართვის კომუნიკაციურ-პრაგმატულ დონეზე შესწავლის აუცილებლობა და იმ სოციოლინგვისტური ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განაპირობებენ მიმართვის ფორმების კონკრეტულ არჩევანს. მანამდე მოკლედ შევაჯამოთ ამოსავალი დებულებები, რომლებიც შემდგომი კვლევისთვის გარკვეული თეორიული ბაზა იქნება:

მიმართვა წარმოადგენს სიტყვას ან შესიტყვებას, რომელიც ასახელებს პირს, ვისკენაცაა მიმართული საუბარი და გამოიხატება ადამიანთა სახელებით, ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინებით, სოციალური მდგომარეობის, პროფესიის, წოდებრივი, ნაციონალური ან ასაკობრივი მახასიათებლებით, ურთიერთობის ტიპით და ა.შ. მიმართვების აგებულება განსხვავდება მეტყველების ფორმისა და სპეციფიკის მიხედვით.

მიმართვა სამეტყველო სიტუაციის თემატური ერთეულია, რომელიც დაკავშირებულია სამეტყველო ეტიკეტთან და თავაზიანობის სისტემასთან და

წარმოადგენს ადრესატის კატეგორიის გამოხატვის მთავარ საშუალებას, რომლის მიზანია მოსაუბრის ყურადღების მიპყრობა სამეტყველო კონტაქტში შესვლის მიზნით;

მიმართვის ფორმები წარმოადგენენ გარკვეულ სოციალურ ერთობაში მიღებულ ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულების გამოხატვის ენობრივ საშუალებებს და ასრულებენ ადრესატის დასახელების, მისი დახასიათების, მასზე ზემოქმედებისა და სოციალურ-მარეგულირებელ ფუნქციებს.

მიმართვა არა მარტო ასახელებს ადრესატს, არამედ პიროვნებათშორისი ურთიერთობის ინდიკატორსაც წარმოადგენს, აღნიშნავს რა ადრესანტისა და ადრესატის ტიპობრივი ურთიერთმიმართების მდგომარეობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმართვა ასახავს კომუნიკანტთა როლებრივ ფუნქციებს, გამოხატავს მათ საზოგადოებრივ მდგომარეობათა თანათარღობას, ასაკობრივ, გენდერულ მიმართებებს, ნაცნობობის ხარისხს, რაც ადასტურებს არჩევანის დამოკიდებულებას კომუნიკანტთა ურთიერთობის სფეროსთან.

თავაზიანობის თემის განხილვას მიმართვის ფორმებთან მიმართებაში მივყავართ მიმართვის ფორმების სოციალურ მნიშვნელობებამდე, რაც წინამდებარე ნაშრომის შემდგომი განხილვის თემაა.

1.3 საალერსო მიმართვის სპეციფიკა და ადგილი მიმართვის ფორმების ტიპოლოგიაში

ჩვენი ეპოქის ძირითად დიქტომიას, რომელიც თანამედროვე საკომუნიკაციო პრაქტიკას ახასიათებს, წარმოადგენს შემოქმედებითი და დესტრუქციული კომუნიკაციების ოპოზიცია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ფსიქოლოგიურად ადამიანი განწყობილია, პირველ ყოვლისა, სხვების უარყოფითი მახასიათებლები დაინახოს, ვინაიდან ვარაუდობს, რომ ისინი მისთვის შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდნენ, ხოლო დადებით თვისებებს თავისთავად (ნორმატიულად) აღიქვამს, არ უნდა გაგვიკვირდეს ის ფაქტი, რომ პეიორატიული (უარყოფით-შეფასებითი)

მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულები გაცილებით მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ, ვიდრე დადებით-შეფასებითი მნიშვნელობის მატარებელი ლექსიკური ერთეულები, ანუ **მელიორატივები**. სავარაუდოდ, ეს მდგომარეობა გარეენობრივ ფაქტორებს უკავშირდება. მიმართვის ინტრატიპოლოგიის განხილვისას ჩვენ კვლევის ობიექტად საალერსო მიმართვა ავირჩიეთ, რომლის ჯეროვანი ინტერპრეტაცია მოითხოვს იმ მოვლენებს შევხებით, რომელთა ფონზეც ნათლად გამოჩნდება საკვლევი ობიექტის სპეციფიკა. მართალია, მიმართვა წარმოადგენს სამეტყველო სიტუაციის თემატურ ერთეულს, რომელიც დაკავშირებულია სამეტყველო ეტიკეტთან და თავაზიანობის სისტემასთან, არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ რეალური სამეტყველო სიტუაცია, სადაც სრულიად განსხვავებული ინტენციების შეჯახება შეიძლება მოხდეს, მართო სამეტყველო ეტიკეტითა და თავაზიანობის პოსტულატებით არ რეგულირდება. სამწუხაროდ, კონსტრუქციული კომუნიკაციური სტრატეგიების გვერდზე არსებობს დესტრუქციულიც, რომელშიც მიმართვა ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, მიმართვის მოყვანილ ინტერპრეტაციებში გარკვეული კორექტივები უნდა შევიტანოთ. დესტრუქციული და კონსტრუქციული კომუნიკაცია ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენს და წარმოუდგენელია მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა. ავილოთ დესტრუქციული კომუნიკაციის ისეთი კონცეპტები, როგორცაა პეიორატივები (ლათ. *pējōrāre* — „გაუარესება“), და დეროგატივები (ინგლ. *derogatory term*) — სიტყვები ან შესიტყვებები, რომლებიც ვინმეს ან რაიმეს ნეგატიურ შეფასებას, გაკიცხვას, ირონიას ან ზიზღს გამოხატავენ. მიუხედავად იმისა, რომ პეიორატივების მეშვეობით უარყოფითი ემოციები გადმოიცემა, ისინი არ უნდა ავურიოთ ლანძღვა-გინებასთან, რადგან სალანძღავი სიტყვები და გამონათქვამები და არანორმატიული ლექსიკა, როგორც წესი, არ შედის პეიორატივებში.

სემანტიკით პეიორატივები და დეროგატივები ახლოა ინვექტივებთან (ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ მკვეთრი, შეურაცხმყოფელი გამოსვლა, ლანძღვა). დეროგატივები უარყოფითი შეფასების (ზიზღის, დამცრობის, კნინობითობის) გამომხატველი სიტყვებია. დეროგატივი ფუნქციონალურ-სემანტიკური კატეგორიაა და სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოიხატება: მორფოლოგიურზე, ფონეტიკურზე, ლექსიკურზე და აგრეთვე

სტილისტიკურსა და ფრაზეოლოგიურზე. უაღრესად საინტერესოა, რომ სუფიქსებს, რომლებსაც ინგლისური ენა იყენებს უარყოფითი მნიშვნელობის გამოსახატავად, *-let, -ling, -y, -ie, -ster* (რითაც აბუჩად აგდებას, დამცირებას, ზიზღს გამოხატავს, მაგალითად, *chicklet* (წინილა), *kinglet* (მეფუნა), *priestling* (მღვდლის კნინობითი ფორმა), *manling* (კაცუნა), *tubby* (ლიპიანი), *meanie* (მარიანი), *huckster* (ვაჭრუკანა) ამბივალენტური ხასიათი აქვს და საალერსო ფორმების მთავარ მანარმოებლადაც ითვლება. დამამცირებლობისა და დაცინვის მნიშვნელობა, ისევე როგორც დიმინუტივებში, ინგლისურში ნახევარაფიქსებითაც გადმოიცემა (მარჩენდი 1969, 23), მაგალითად, *-monger, -monkey, -ape, -jerk, -slinger, -hop/-hopper word-monger* (მაღალფარდოვანი სიტყვების მოყვარული): *newsmonger* (ჭორიკანა), *broom-monkey* (მენაგვე), *mudslinger* (ჭორების შემქმნელი). ნეგატიური მნიშვნელობა რთული სიტყვების მეშვეობითაც იწარმოება. მაგალითად, *cheese-eater* (ინფორმატორი, ჩამშვები), *cake-eater* (ფლეიბოი), *booze-killer/whiskey-killer* (დალევის მოყვარული). დერივატები *-wrangler, -wrestler-ით*, ისევე როგორც *-jerk, -slinger-ით*, ქმნიან სინონიმურ რიგებს *booze-wrangler, booze-wrestler, bottle-wrangler, bottle-wrestler, pot-wrestler, cow-sort* (არამზადა), *shit-face* (მახინჯი), *blockhead* (სულელი), *dump-ass* (უტვინო), *kiss-ass* (ქლესა), *chatterbox* (ტრაბახა), *skinflint* (კრიჟანგი), და ა.შ. დეროგატივები ხშირად გვხვდება სლენგში - *asshole* (უსიამოვნო ადამიანი), *asskisser* (თვალთმაქცი), *chicken* (ჩლუნგი) და ა.შ.

ვ. კარასიკის აზრით, პეიორატივების მნიშვნელობებში ასახულია ადამიანთა ნაკლოვანებების მთელი სპექტრი, რომლის კლასიფიკაცია სხვადასხვა პრინციპებზე შეიძლება დაფუძნდეს: სოციალური საშიშროების მიხედვით, კონტროლის თვალსაზრისით, ლაბილობის ხარისხით და სხვ. (კარასიკი 1992).

კომუნიკაციის ნეგატიური და პოზიტიური სტრატეგიები თავს იჩენს სამეტყველო ეტიკეტში და ზრდილობის კატეგორიის ორ მხარეს წარმოადგენს. ეს პრობლემა საკმაოდ კარგადაა შესწავლილი გრაისის, ლიჩის, ისერსის შრომებში, ამიტომ მათ სპეციალურ განხილვას არ შევუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ კულტურათმორის კომუნიკაციაში (ისევე როგორც ინტერპერსონალურში) ძალზე მნიშვნელოვანია

პოლიტკორექტულობის ფაქტორი, რომელიც თავაზიანობის კატეგორიასთანაა დაკავშირებული და სხვადასხვა ლინგვოკულტურების ქცევას არეგულირებს. ეს კი საშუალებას გვაძლევს მათ ლოგიკას მივაღწევოთ თვალი (ლარინა 2009). პოლიტკორექტულობა რეალიზდება თავაზიანობის სტრატეგიის ფარგლებში და წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ იარაღს ვერბალური აგრესიის წინააღმდეგ და მოსაუბრის პოზიტიური სახის შესანარჩუნებლად (შლიახტინა 2009). თავაზიანობის კატეგორია, ისევე როგორც პოლიტკორექტულობა, მოიცავს ისეთ საკვანძო მაქსიმებს, როგორცაა ტაქტიანობა, ტოლერანტობა, დიდსულოვნება, პატივისცემა. სამეტყველო ქცევის თვალსაზრისით თავაზიანობა გულისხმობს ზიანის მიუყენებლობას მეტყველების საშუალებით და მიმართულია ჰარმონიული უკონფლიქტო ურთიერთობის დამყარებისკენ. ამგვარად, პოლიტკორექტულობას საფუძვლად უდევს კეთილშობილი მცდელობა, არ აწყენინოს, უხეშად არ შეეხოს ადამიანის გრძნობებს, შეუნარჩუნოს ადამიანს ღირსება და კარგი განწყობა (ფორმანოვსკაია 1987, 64). პოლიტკორექტულობასა და თავაზიანობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტის ერთ-ერთი ცენტრალური ერთეული - მიმართვა. თანამედროვე სამყაროში ენობრივი კონტაქტების გაფართოების ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტაქტების დამყარებისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბების უნარს. გარდა კონტაქტის დამამყარებელი ფუნქციისა, მიმართვას სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ფუნქციაც გააჩნია და შეიცავს აგრეთვე მნიშვნელოვან ინფორმაციას შესაბამის კომუნიკაციურ კულტურაში არსებული ნორმებისა და ტრადიციების, სოციალურ-სტატუსური ურთიერთობების ხასიათის, თავაზიანობის წესების შესახებ.

საალერსო მიმართვის ტიპოლოგიური სპეციფიკის დასადგენად მნიშვნელოვანია მისი შედარება აპელატივებთან. აპელაციური ფუნქცია მოწოდების ფუნქციაა, რომელიც უბიძგებს ადრესატს ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად. რ.იაკობსონი აღნიშნავს, რომ კონაციური (აპელაციური) ფუნქცია შეესაბამება ადრესატს, ვისთვისაც არის გამიზნული შეტყობინება და მიმართულია ზემოქმედების მოხდენაზე, რეაქციის გამოწვევაზე. გრამატიკულად ეს გამოიხატება ბრძანებითი კილოთი და წოდებითი

ბრუნვით (იაკობსონი 358, 59). აპელაციური ფუნქცია გამოიხატება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსაუბრე უბიძგებს ადრესატს რაიმე მოქმედების შესრულებისკენ: აიღე კალმისტარი, ვანო! მიმართვა და მოწოდება აპელატივის მსგავსი სამეტყველო აქტებია. მათი ძირითადი ფუნქციაა ადრესატის ყურადღების მიქცევა. მიმართვა სისტემური სამეტყველო აქტია, რომელიც მიმართულია კომუნიკანტთა შორის კონტაქტის დამყარებასა და ადრესატის დახასიათებისკენ. მოწოდების სამეტყველო აქტი კი მდგომარეობს ადრესატის იძულებაში, რაიმე მოქმედება შესრულოს. ეს ფუნქცია, რომელსაც დირექტიულსა და კონაციურსაც უწოდებენ, ორიენტირებულია ადრესატზე. კომუნიკაციურ-პრაგმატულ დონეზე აპელატივები განიხილება, როგორც ენობრივი საშუალება, რომელიც გამოხატავს აპელაციურ ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მიმართვა და მოსაუბრის ყურადღების მიპყრობა. უნდა ითქვას, რომ ამით მთავრდება საალერსო მიმართვებისა და აპელატივების მსგავსება, რაც მათი ფუნქციების სხვაობითაც დასტურდება. ალერსობითობის ფენომენს მიმართვის ტიპოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და კონსტრუქციული კომუნიკაციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მას უდიდესი როლი ენიჭება როგორც ინტერპერსონალურ, ასევე სოციალურ კომუნიკაციაში. პოზიტიური ემოციური დამოკიდებულების გამოხატვა კაცობრიობას ოდითგანვე აღეღვებდა, რასაც შედეგად უნივერსალური კატეგორიის - საალერსო-მოფერებითი მიმართვის ჩამოყალიბება მოჰყვა. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საკვლევ ფენომენტან დაკავშირებული ტერმინები. ნაშრომში “Diminutives in English“ ლინა უილსონი დიმინუტივს განიხილავს, როგორც საალერსო ფორმას, ისეთი მოვლენის რიგში, როგორიცაა *pet name* (მოფერებითი მეტსახელი/საყვარელი ცხოველების მეტსახელი), სიყვარულის გამომხატველი ტერმინების - terms of endearment, კომპლიმენტის, ფილონიმების, კრიპტონიმებისა და ჰიპოქორიზმების რიგში.

„დიმინუტივი“ ცნებითს კატეგორიას წარმოადგენს, რომელშიც თავს იჩენს უმნიშვნელობის, ექსპრესიულობისა და შეფასების სემები. დიმინუტივი არ შემოიფარგლება ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებებით (ალერსობით-კნინობითი სუფიქსებით). მისი კონკრეტულ სამეტყველო

აქტში გამოყენება ადრესანტის კომუნიკაციურ ინტენციას უკავშირდება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული რეფერენტის ექსპრესიულად ხაზგასმულ დადებით ან უარყოფით შეფასებასთან. დომინუტივის კატეგორია სხვადასხვა ენებში წარმოდგენილია მორფოლოგიურ, ლექსიკურ-სემანტიკურ და ფრაზეოლოგიურ დონეზე ამა თუ იმ ენის სამყაროს კონცეპტუალური ხატის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ენის დომინუტიური რეფერენტის სტანდარტებს (შნაიდერი, 2003).

დომინუტივი გამოხატავს სპეციფიკურ ენობრივ მნიშვნელობას, რომელიც დაკავშირებულია ობიექტის ზომების შემცირებასთან და, როგორც წესი, მორფოლოგიურად გამოიხატება გარკვეული აფიქსების დამატებით. ინგლისურ ენაში ალერსობითობის გამომხატველი სუფიქსები ნაკლებად არის წარმოდგენილი, ამიტომ დომინუტიური მნიშვნელობა სხვა ენობრივი საშუალებებითაც არის წარმოდგენილი. დომინუტივები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ემოტივებთან და აქტიურად გამოიყენებიან ნომინაციის ობიექტის მიმართ როგორც სიყვარულის, ასევე ზიზღის გამოსახატავად, ხოლო მის სუბიექტურად გამოხატულ პოზიტიურ ან ნეგატიურ შეფასებას სამეტყველო ობიექტის მცირე ზომას უკავშირებენ.

დომინუტივის საწინააღმდეგო მოვლენას **აუგმენტატივი** წარმოადგენს, რომლის ემოციური ეფექტი, პირიქით, გადიდება-გაძლიერებაზეა აგებული, რაც ასევე პოზიტიური და ნეგატიური შეფერილობისა შეიძლება იყოს.

ალერსობით კომუნიკაციასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ მოვლენას, როგორცაა ფილონიმები, რომლებიც საყვარელი არსებების აღსანიშნავად შექმნილ სიტყვებს წარმოადგენენ (ბერძნული philia, სიყვარული + onyma, სახელი). ეს არის მოფერებითი სახელი, რომელიც საყვარელი ადამიანისთვის მიმართვისას გამოიყენება.

ოფიციალურ, ახლობელთა და საყვარელ ადამიანთა სახელებთან ერთად არსებობს სასიყვარულო მეტსახელების ურიცხვი რაოდენობა: საზოგადოებისთვის ცნობილ სახელებს **ფილონიმებს** უწოდებენ, ხოლო **კრიპტონიმებს** – ისეთებს, რომლებიც მხოლოდ ორმა იცის და რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სტანდარტულ

ფორმებს არ ემთხვევა. ფილონიმების არც ერთი სია არ შეიძლება იყოს ამომწურავი, იმიტომ რომ ისინი მუდამ განახლების პროცესში არიან: იქმნება ახლები, დავიწყებას ეძლევა ძველები და ა.შ. პრინციპში ნებისმიერი სიტყვა სიტუაციურად შეიძლება იქცეს ფილონიმად: ასე, მაგალითად, ილიასთან ვხვდებით მიმართვის ფორმას „ჩემო გოშია“, რომელიც ტექსტობრივად არის მოტივირებული და გვევლინება არა მოსალოდნელი დეროგატიული, არამედ საალერსო მნიშვნელობით.

ფილონიმებისგან განსხვავებით, კრიპტონიმები წარმოადგენს „საიდუმლო სახელებს“, რომლებითაც შეყვარებულები ერთმანეთს მიმართავენ. შეყვარებულები თავს არიდებენ გაცვეთილ სტერეოტიპულ მიმართვებს და უჩნდებათ სურვილი, სატრფოს სხვებისთვის უცნობი საიდუმლო სახელი უწოდონ, რომლითაც მასზე განსაკუთრებულ უფლებებს უსვამენ ხაზს. ზოგჯერ კრიპტონიმს გაუმიფრავ ფსევდონიმსაც უწოდებენ. კრიპტონიმის გაშიფვრა საიდუმლოს თანამონაწილედ აქცევს ადამიანს.

საალერსო ფორმებს ხშირად ჰიპოქორიზმების სახელითაც მოიხსენიებენ. ჰიპოქორიზმი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (*ბერძნ. ὑποκορίζεσθαι hypokorizesthai*) და „ბავშვის ენას“ გულისხმობს). ჰიპოქორიზმი ასევე ცნობილია, როგორც საალერსო სახელი ან დასაძახებელი სახელი, რომელიც არის მოკლე, დიმინუტივის ან აუგმენტატივის ფორმით მოცემული სიტყვა ან სახელი, რომელსაც ინტიმურ სიტუაციებში მოფერების მიზნით ან როგორც მეტსახელს ვიყენებთ.

ჰიპოქორისტიკის მეცნიერული განმარტება ადვილი არ არის, რადგან ენათმეცნიერები მას განმარტავენ, როგორც იმავე სემანტიკური შინაარსის მქონე სახელთა ალტერნატიულ ფორმებს, მოფერებით სახელებსა და სახელთა კნინობით ფორმებს. დევიდ კრისტალი მიმართვის ისეთ საალერსო ფორმებსაც კი, როგორიცაა: honey (ინგლ.) ჰიპოქორიზმებს მიაკუთვნებს (კრისტალი 1999). ონომასტიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული. ნ. პოდოლსკაია ჰიპოქორიზმსა და დიმინუტივს მსგავს განსაზღვრებას ანიჭებს: სახელის შემოკლებული და საალერსო ფორმა (პოდოლსკაია 1978, 11). მის მოსაზრებას იზიარებენ ჩეხი და გერმანელი ონომასტები (ი. სვობოდა; ტ. ვიტკოვსკი). პოლონელი ენათმეცნიერები კი

მიჯნავენ ჰიპოქორისტიკას (შემოკლებულ სახელებს) დიმიუტივისგან (მოფერებითი სახელები) (გოდერძიშვილი 2012, 103). ე. გოდერძიშვილი აღნიშნავს, რომ მოფერებითი და შემოკლებული სახელები უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს, რადგან ეს ორი განსხვავებული მოვლენაა. ის ასევე ჰიპოქორისტიკის, როგორც ტერმინის განმარტებაში გამორიცხავს ემოციური დატვირთვის ასპექტს (გოდერძიშვილი 2012, 102). მაქს რადინი, ფილოლოგი, ჰიპოქორიზმებს შემდეგნაირად განმარტავს: „ადამიანის ან ნებისმიერი სხვა რამის ჩვეული სახელის ისეთი წარმოება, რომელიც გამიზნულია, გამოხატოს მხიარული, ფამილარული, ინტიმური ან გულითადი გრძნობა-განწყობა“ (რადინი 1919).

წინამდებარე ნაშრომისთვის ჰიპოქორისტიკას განვიხილავთ, როგორც საკუთარი სახელისგან წარმომდგარ იმავე დენოტაციის, მაგრამ სხვადასხვა ფორმალური რეგისტრის მქონე სახელებს. მნიშვნელოვანია აქვე აღვნიშნოთ, რომ ჰიპოქორიზმები ძირითადად გულისხმობენ შერქმეულ სახელებსა და სახელის კნინობით ფორმებს, რომელსაც მოფერება-ალერსის მიზნით მიმართავენ.

უნდა ითქვას, რომ სახელების შეკვეცა არ არის მხოლოდ საალერსო ფორმების ექსკლუზიური ნიშან-თვისება: ხშირ შემთხვევაში, კნინობითი სახელი ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს დაშინების ან დამცირების ფუნქციით. გაურკვევლობისა და ორაზროვნების მოხსნა კონტექსტით ხდება (შნაიდერი 2003). ფერსი და სხვა ინგლისელი ავტორები ჰიპოქორიზმს მოფერებით-საალერსო სახელს უწოდებენ და ისეთი ტერმინების გვერდით მოიხსენიებენ, როგორებიცაა: “pet name.“, “nickname“ , ან “term of endearment”.

ჰიპოქორიზმები შეიძლება იწარმოებოდეს საკუთარი სახელებით, საზოგადო სახელებით, მათ შორის ნათესაობის აღმნიშვნელი სახელებითაც.

შნაიდერს მოჰყავს ჰიპოქორიზმების წარმოების ხერხებიც:

- გრძელი სიტყვის ან შესიტყვების რედუქციით და ბოლოში *-y* ან *-ie* დამატებით, მაგალითად, *movie* ("moving picture"), *telly* ("television") or *Aussie* ("Australian")

- საკუთარი სახელის შემოკლებული ფორმით, მაგალითად, *Tony Anthony-დან, Rosy - Rosemarie* -დან ან *Vicky - Victoria-დან*
- ბავშვის მეტყველების მიბაძვით *Bess - Elizabeth-იდან, or Bubba - brother-დან*
- დომინუტივის სუფიქსის დართვით საკუთარ სახელზე (შნაიდერი 2003)

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ჰიპოქორიზმი არის სიტყვისა თუ სახელის შემოკლებული ფორმა, მაგალითად, როდესაც ინტიმურ სიტუაციაში იყენებენ მეტსახელს ან საალერსო ტერმინს.

მნიშვნელოვანია აქვე აღვნიშნოთ, რომ ჰიპოქორიზმები ძირითადად გულისხმობენ სახელის კნინობით ფორმას, რომელსაც მოფერება-ალერსის მიზნით მიმართავენ, თუმცა საკუთარი სახელების კნინობითი ფორმები, ჩვენი მოსაზრებით, ცალკე კატეგორიად შეიძლება გამოიყოს, რადგან საალერსო ფორმები, გარდა საკუთარი სახელებისა, სხვა კატეგორიებსაც მოიცავენ. კნინობითი სახელები ძირითადად ასაკით უფროსების ან უფროსი შვილების მიერ უმცროსი ოჯახის წევრების მიმართ გამოიყენება და მას ხშირად ვერტიკალური და დამავალი მიმართულება აქვს. შვილები და უმცროსი წევრები უფროსების მიმართ იშვიათად იყენებენ საკუთარი სახელების კნინობით ფორმას, თუმცა არსებობს განსხვავებული შემთხვევებიც. თანატოლები ან შვილები ჰორიზონტალურად გამოიყენებენ ჰიპოქორიზმებს. ხშირად, ჰიპოქორიზმები ადამიანს მოზრდილობამდე მიჰყვება, ხანდახან ცხოვრების ბოლომდეც კი. როდესაც ასეთი ფორმები უფროსს-უმცროსს შორის გამოიყენება, ისინი სითბოსიყვარულს გამოხატავენ. ბავშვებს შორის მათი გამოყენება ყოველთვის არ გულისხმობს ხსენებულ კონოტაციას, ის უბრალოდ „უნიშნო“ მიმართვის ფორმაა (ფერგიუსონი 1977, 234).

უნდა ითქვას, რომ მიმართვის ფორმები მრავალფეროვან სისტემას წარმოადგენენ ყველა ენაში და არსებული კლასიფიკაციები სხვადასხვა კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებს მოიცავენ. მათ შორის ერთ-ერთია საალერსო ფორმები. ენათმეცნიერები ამ კატეგორიის სიტყვებს შემდეგნაირად განმარტავენ: „ტერმინთა ჯგუფი, რომელსაც მეგობრების, სატრფოთა, მეუღლეთა, მათი შვილებისა და პატარა

ბავშვებისადმი სიყვარულის გამოსახატავად მიმართავენ“ (პარკინსონი 1985, 195). ზოგადად, „საალერსო ფორმები“ აღნიშნავენ იმ სიტყვებსა თუ გამოთქმებს, რომელთა საშუალებითაც მოსაუბრე ადრესატის მიმართ დადებით გრძნობას, სავარაუდოდ, მონონება-სიყვარულს გამოხატავს. ისინი მიჩნეულია ინტიმურ ფორმებად და გამოიყენება მხოლოდ ისეთი უახლოეს პირთა მიმართ, როგორებიცაა ოჯახის წევრები, სატრფო, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ეს ტერმინები გამოხატავენ „უნივერსალურად ღირებულ თვისებებს, სითბოს, სილამაზეს, სიმშვიდეს, უმანკობას, სითბოს, ონაზრობას, დაფასებას, მოფრთხილებასა და მოფერებას“ (კასნიგი 2012). საალერსო სიტყვები და ფრაზები ძირითადად გამოიყენება უახლოესი ოჯახის წევრების (იშვიათად – მამაკაცის მიერ მამაკაცის მიმართ), პარტნიორებისა და სხვა „საყვარელი“ ადამიანების მიმართ. მიმართვის ალერსობით ფორმებზე არსებული კვლევები გვიჩვენებენ, რომ, როგორც ქალები, ასევე მამაკაცებიც მიმართავენ მათ და მათი გამოყენება სულაც არ გულისხმობს ადრესატისა და ადრესანტის „ემოციურ ან ინტიმურ სიახლოვეს“. თუმცა ეს არც იმას ნიშნავს, რომ მათ ორივე სქესის წარმომადგენლები ერთნაირად იყენებენ. ლეიკოფის, თანახმად, „საზოგადოებაში სუბორდინაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. მომსახურების სფეროში დასაქმებული ქალები საალერსო ფორმებს მიმართავენ ორივე სქესის წარმომადგენლის მიმართ (უცხო პირებთან), მაშინ როდესაც, ჰეტეროსექსუალი მამაკაცები მიმართვის ალერსობით ფორმებს მხოლოდ ქალების მიმართ იყენებენ და თითქმის არასოდეს მიმართავენ ასეთ ფორმებს მამაკაცების მიმართ“ (ლეიკოფი 2004, 99). ლეიკოფი ასევე შენიშნავს, რომ მამაკაცები ურთიერთობის დასაწყისშივე იწყებენ მიმართვის საალერსო ფორმების გამოყენებას, ქალებისგან განსხვავებით (ლეიკოფი 2004, 99).

მიმართვის საალერსო ფორმების გამოყენების სოციალური მიზნები შეიძლება განპირობებული იყოს მრავალი მიზეზით. მათ შორის ერთ-ერთია ასაკი. „მრავალი ადამიანის კომუნიკაციის სპეციფიკა დამოკიდებულია მათ ასაკზე. ასევე საალერსო ფორმების შერჩევის პრინციპი შეიძლება ასაკით იყოს განპირობებული“ (სკაგერსტრომი 2009, 3). მაიერსის თანახმად, ადამიანი ასაკთან ერთად შესაძლებელია შეიცვალოს ორი მიმართულებით. პირველი მიმართულება გულისხმობს ადამიანის

დამოკიდებულების შეცვლას მის გარშემო მიმდინარე მოვლენების მიმართ გარკვეული ასაკის შემდეგ. მეორე გამორიცხავს ასეთ ცვლილებას. მისი ქცევა იგივე რჩება (მაიერსი 2005, 373). ეს კი, თავის მხრივ, ხსნის იმას, თუ რატომ არის უფროსი თაობის კომუნიკაცია მკვეთრად განსხვავებული უმცროსი თაობის კომუნიკაციისგან. სქესი ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს მიმართვის ფორმების გამოყენებისთვის. ბავშვებში ზრდასთან ერთად გენდერული იდენტობაც ვითარდება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სხვაობას კომუნიკაციაში. “ის, თუ როგორ ესაუბრება მშობელი შვილს, ასწავლის ამ უკანასკნელს, როგორ ისაუბროს შემდგომში” (სტიუარტი და სხვ. 2003, 4-5). ცნობილია, რომ ქალები უფრო მეტ ალწერთი ტიპის სიტყვებს იყენებენ, მაგალითად, „ფანტასტიკური“, „ღვთაებრივი“ და „ხორცისფერი“ (უორდჰოუ 1998, 312). ბავშვები ქცევის დროს ხშირად მშობლების მაგალითს მისდევენ. ოჯახური კულტურა მნიშვნელოვნად განაპირობებს შვილების აზროვნების მიმართულებასა და ქცევას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმართვის საალერსო ფორმები ადრესატის მიმართ „კეთილგანწყობას“ გამოხატავენ, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. არსებობს შემთხვევები, როდესაც ეგრეთ წოდებული „ბენევილენტური“ დამოკიდებულება მხოლოდ ზედაპირული და/ან ფიქტიურია, ხოლო ადრესანტის მთავარი მიზანია სარკაზმი, დამცირება, გამონწვევა ან პროვოკაცია.

საალერსო ტერმინების კატეგორია სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი. ენის მუდმივად ცვალებადი ბუნებისა და ინდივიდის ფანტაზიის უსაზღვრობის გამო საალერსო ფორმების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა რთულია. მაგალითად, არაბულ ენაში მხოლოდ ერთი ტერმინის - *habiibi* (მდ. *habibti*, მრ.რ. *habaybi*) (*ჩემო საყვარელო*) სამი ფორმის გამოყენების 120 შემთხვევა არსებობს (ჰარკინსონი 1985). მაგრამ, დაახლოებით რა მოცულობის „არსენალი“ გააჩნია ამა თუ იმ ენას, ამის წარმოდგენა შესაძლებელია ამ თემაზე არსებული არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ნაშრომების საფუძველზე. ზოგიერთი ენა განსაკუთრებით მდიდარია ასეთი ფორმებით, თუმცა, ფრიდერიკე ბრაუნის თანახმად, ენაში კონკრეტული ფორმის არარსებობა ან ფორმათა განსხვავებული რაოდენობა არ მიუთითებს ამ ენის „არათავაზიანობასა“ თუ მოცემულ ენაზე მოსაუბრეთა „ცივ“ ბუნებაზე

(ბრაუნი 1988). ხშირად ამა თუ იმ ფორმის არარსებობა ან განსხვავებული წესით გამოყენება შესაძლებელია მოცემული საზოგადოების გარკვეულ სოციალურ სტრუქტურასა თუ ისტორიულ წარსულზეც მიუთითებდეს (კლაინი 2009).

ჩვენ შევეცადეთ, მიმართვის ფენომენის სტრუქტურაში მისი ნაირსახეობები გაგვეანალიზებინა. სათუქვლად ავიღეთ მისი საალერსო მიმართვის კომუნიკაციური სტატუსი და, მისგან გამომდინარე, გავმიჯნეთ დესტრუქციული და კონსტრუქციული ურთიერთობა. პირველის მარკერებად გვევლინებიან დეროგატივები, პეიორატივები და ინვექტივები, ხოლო მეორისა - ფილონიმები, კრიპტონიმები, ჰიპოქორიზმები, დიმიუტივები. საალერსო მიმართვები ამ უკანასკნელი ჯგუფის შემადგენლობაში შედის და მათგან უფრო ფუნქციონალური თვალსაზრისით გამოირჩევა, რასაც შემდეგ თავში ვაჩვენებთ.

თავი 2. სააღწერსო მიმართვის ენობრივი მოდელეები და ფუნქციონირების პრობლემაები ინგლისურსა და ქართულ ენებში

2.1 სააღწერსო მიმართვის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები ქართულ ენაში

სააღწერსო მიმართვების ანალიზი ქართულ და ინგლისურ ენებში მოითხოვს აღწერისა და ინტერპრეტაციის ერთიან მოდელს, რომელიც საშუალებას მოგვცემს შეპირისპირებისას გამოვავლინოთ უნივერსალური და ნაციონალურ სპეციფიკური ნიშნები. ვინაიდან სააღწერსო მიმართვა წარმოადგენს სამეტყველო კომუნიკაციის სპეციფიკურ სტრატეგიას, მისი ინტერპრეტაციისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიყენოთ საკომუნიკაციო აქტის აღწერის მოდელი, რაც გულისხმობს ადრესანტისა და ადრესატის როლებრივი პარტიტურის, საკომუნიკაციო კოდისა და რესურსებისა თუ ურთიერთობის სოციოფსიქოლოგიური და პრაგმატიკული კონტექსტის გათვალისწინებას. ვინაიდან საოპერაციო ერთეულს წარმოადგენს საკომუნიკაციო კოდი და რესურსები, რომელთა საშუალებითაც ხდება კომუნიკანტთა სამეტყველო აქტში გაერთიანება, ანალიზი დავიწყოთ ამ კატეგორიიდან.

2.1.1 სააღწერსო მიმართვის საკომუნიკაციო კოდი და რესურსები ქართულ ენაში

მორფოლოგიური რესურსების თვალსაზრისით ქართული სააღწერსო მიმართვა ოთხი ძირითადი გრამატიკული კატეგორიით გამოიხატება: არსებითი სახელებით, გასუბსტანტებული ზედსართავი სახელით, ნაცვალსახელითა და ზმნური ფორმით. მიმართვის ფუნქციის მატარებელი არსებითი სახელები ძირითადად საკუთარი სახელებით და საკმაოდ მრავალფეროვანი სახით არიან წარმოდგენილნი:

შემოკლებული - დაათ; პირველადი - გიორგი; საალერსო - გიორგუნა, გვართი - ხვედელიძე და ა.შ.

მიმართვის ფუნქციის მატარებელი საზოგადო სახელები უფრო მეტი არაერთგვაროვნებით გამოირჩევა, რაც ძალზე ართულებს მათი კლასიფიკაციის საკითხს, ვინაიდან მას საფუძვლად შეიძლება განსხვავებული პრინციპები და კრიტერიუმები დაედოს. ასე, მაგალითად, საზოგადო სახელებს შორის, რომლებიც მიმართვის ფუნქციით გვხვდება, ხშირად გამოიყენება აბსტრაქტულ სახელთა ქვეკლასი, რომლებიც ადრესატს ახასიათებენ მისი როლის მიხედვით ადრესანტის ცხოვრებაში და წარმოადგენენ მისი ამა თუ იმ მდგომარეობის წყაროს (არუთინოვა 1977, 341): *ძვირფასო! ჩემო მშველელო!* და ა.შ.

მიმართვის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელები თავის თავში სხვადასხვა მცირე ქვეჯგუფებსაც შეიცავს: საკუთარ სახელებს, საზოგადო სახელებს, მეტსახელებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საალერსო მნიშვნელობის გამომხატველ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენენ ჰიპოქორიზმები, რომლებსაც ენათმეცნიერები განმარტავენ, როგორც იმავე სემანტიკური შინაარსის მქონე სახელთა ალტერნატიულ ფორმებს, მოფერებით სახელებსა და სახელთა კნინობით ფორმებს. წინამდებარე ნაშრომისთვის ჰიპოქორისტიკას განვიხილავთ, როგორც საკუთარი სახელისგან წარმომდგარ იმავე დენოტაციის, მაგრამ სხვადასხვა ფორმალური რეგისტრის მქონე სახელებს. მნიშვნელოვანია აქვე აღვნიშნოთ, რომ ჰიპოქორიზმები ძირითადად გულისხმობენ შერქმეულ სახელებსა და სახელის კნინობით ფორმებს, რომელსაც მოფერება-ალერსის მიზნით მიმართავენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნა, ჰიპოქორისტიკა გულისხმობს მოდიფიკაციას სახელში, აფიქსაციის ან რედუპლიკაციის გზით, და ადრესატისადმი სიყვარულს გადმოსცემს. ჰიპოქორიზმებს ახასიათებთ კნინობითი დაბოლოებები და ფამილარობის მარკერები. ისინი, ადრესანტის სიყვარულთან ერთად, ხშირად რეფერენტის კნინობით ბუნებასაც გამოხატავენ. მაგალითად, სახელ *სანდრიკო*-ს კონოტაციაა *პატარა სანდრო*. ეს ფენომენი ძალიან ახლოს დგას -y or -ie სუფიქსაციასთან ინგლისურ ენაში: *bird* - >*birdie*.

ჰიპოქორიზმები შეიძლება იწარმოებოდეს საკუთარი და საზოგადო სახელებიდან მათ შორის ნათესაობის აღმნიშვნელი სახელებიდანაც. განვიხილოთ საკუთარი სახელებისგან წარმოებული კნინობითი და შინაურული სახელები (ეს უკანასკნელნი კი შეიძლება წარმოდგენილნი იყვნენ ხან შემოკლებული და ხან დაგრძელებული ფორმებით), რომლებიც ალერსობითობის გამოხატვის ძირითად მორფოლოგიურ რესურსს წარმოადგენს.

მოკლედ მიმოვიხილოთ ქართულ ენაში ჰიპოქორისტიკის წარმოების პროსოდული-მორფოლოგიური მექანიზმი.

ქართულ ენაში ჰიპოქორიზმები ეწარმოებათ თითქმის ყველანაირი ტიპის საკუთარ სახელებს, მიუხედავად მათი წარმოშობისა, იქნება ეს რელიგიური თუ კულტურული. ქართულ ენაში არსებობს სუფიქსთა გარკვეული „რეპერტუარი“, რომელიც საკუთარ სახელთა ჰიპოქორისტიკულ (კნინობით) ფორმებს აწარმოებენ. ახალ ქართულ ენაში კნინობითი სახელების სემანტიკური ქვეჯგუფი და მორფოფუნქციური სტრუქტურა გამრავალფეროვნდა - ძველ ქართულ ენაში ამ ჯგუფის მანარმობელ აფიქსთა რიცხვი ათამდე იყო, „დღესდღეობით კი 100-ს აჭარბებს“ (ფეიქრიშვილი 2008, 155). თუ აქამდე, აფიქსების საშუალებით კნინობითი სახელები მხოლოდ საგნის ზომის სიმცირეს, სიპატარავეს გამოხატავდნენ, ახლა მათ შეუძლიათ გამოხატონ მოფერება-ალერსი, დაცინვა-დამცირება, ირონია-ფამილარობა და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, სავარაუდოდ, სწორედ კნინობითი სახელების სემანტიკური ჯგუფების ასეთმა გამრავალფეროვნებამ გამოიწვია სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „კნინობითი“-ს გარდაქმნაც: „მოფერებით-კნინობითი“ (ალ. ლლონტი), „კნინობით-საალერსო“ (ბ. ჯორბენაძე), „კნინობით-საალერსო“ (ზ. სარჯველაძე) (ფეიქრიშვილი 2008, 156).

ტერმინი *კნინობითი* ამომწურავად ვერ გამოხატავს ყველა იმ ფუნქციას, რომელსაც კნინობითი სახელები ასრულებენ. სწორედ ამიტომ, დავეთანხმებით უ. ფეიქრიშვილს და კნინობითი სახელების მანარმობელ აფიქსთა ფუნქციებზე დაფუძნებით, რომლებიც „დაემყარება ერთ ძირითად ფუნქციას“, უმჯობესი იქნება, თუ

დამკვიდრდება ტერმინი „საალერსო“ ან „მოფერებით-საალერსო“ (ფეიქრიშვილი 2008, 157).

როგორც ცნობილია, ანთროპონიმზე სუფიქსის დართვა ადრესატისა და ასევე ადრესანტის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვანვლის - გამოყენებული ფორმის საშუალებით შეიძლება გავიგოთ, თუ რა ურთიერთობაა კომუნიკანტებს შორის, რა ასაკობრივ ჯგუფებს მიუკუთვნებიან ისინი (განსაკუთრებით კი ადრესატი), რომელ სოციალურ კლასს წარმოადგენენ, ან რა გეოგრაფიულ რეგიონს მიეკუთვნებიან.

ჰიპოქორისტიკული ფორმების მანარმოებელი სუფიქსების მაგალითებია: -ა, -აკ/-აკო, -ია, -იკ/-იკო, -ილო, -უნა, -უნია, -იკელა, -ი, -აკო, -იკა, -უცა, -უკ/-უკა:

-ა: ქეთა (<ქეთევანი)

-აკ: მაკა (<მარინე/მარიამი/მანია)

-ია: ნათია (ნათელა)

-იკო: თამრიკო (<თამარი), თინიკო (<თინათინი), აჩიკო (<არჩილი), მერიკო (<მერი)

-ილო: გიგილო (<გიორგი)

-უნა: ბექუნა (<ბექა), თამუნა (<თამარი)

-უნია: თამუნია (<თამარი)

-იკელა: ზურიკელა (<ზურაბი), თამრიკელა (<თამარი)

-ი: გაგი (<გაიოზი), ნანი (<ნანა)

-აკო: ნიაკო (<ნია)

-იკა: მარიკა (<მარიამი)

-უცა: ნუცა (<ნინო), ქაქუცა (<ქაიხოსრო)


ზოგიერთი სახელის კნინობით ფორმას ერთზე მეტი სუფიქსი აწარმოებს: *ბექ-უნ-ა, ზურ-იკ-ელ-ა, თამ-უნ-ია*.

არსებობს საკუთარი სახელები, რომლებიც უნიკალური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სუფიქსით აწარმოებენ კნინობით ფორმებს: *ირინ-ოლა*.

ბოლო ხანს ქართულ ენაში რუსული გზით გავრცელდა ისეთი სუფიქსები, როგორცაა: -ა: ნინა, -იჩკა: *ვერ-იჩკა*. მსგავსი ხერხით კნინობითი ფორმის წარმოება უცხო, პირველ ყოვლისა, რუსული წარმოშობისაა: *ელიჩკა, ნინიჩკა* და სხვ. ხსენებული წესით წარმოებული სახელები ხშირად ასაკოვანი ადამიანების მიმართ გამოიყენება მათი თანატოლების მიერ: „... *საქმე თუ არ გაქვს, ჩვენ წავგვებმარე, ჰა, ელიჩკა ...*“ (ახალი ვერსია, ქვევ).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულენოვან სივრცეში საკუთარი სახელის კნინობით ფორმით მიმართვა ყოველთვის ალერსს/სიყვარულს არ გამოხატავს. ის შეიძლება ადრესატის სახელის ერთადერთი ვარიანტი იყოს: „*ნანიკო, რა არის თქვენი მომდევნო გადაცემის თემა?*“. ამის მიზეზი კი უნდა იყოს „თანამედროვე ეპოქაში ტენდენციური კნინობითი სუფიქსებით წარმოებული სახელების ემოციური ელფერის განეიტრალება (რუსკა, ნანკა, ვერიკო, ნანიკო), რაც გარკვეულწილად წარმოქმნილი სახელების გაოფიციალურებამ, ამ სახელის მატარებელი პიროვნების პოპულარობამ და მოდურმა ტენდენციებმაც განაპირობა“ (გოდერძიშვილი 2012, 139).

გოდერძიშვილი აღნიშნავს, რომ, როდესაც პირველადი ან შემოკლებული სახელი ფორმდება -იკ სუფიქსით, ის ყოველთვის არ სძენს მას ემოციურ ელფერს: იქ გასათვალისწინებელია, რომელ ფენას განეკუთვნება პიროვნება ან რამდენად ღირსეული პიროვნებაა. ავტორი იქვე გვთავაზობს სქემას:



ცხრილი 6. გოდერძიშვილის -იკ სუფიქსით ფორმირების სქემა (გოდერძიშვილი 2012, 127)

სხვა ემოციური ელფერის (-უნ და -იკ მსგავსად) არიან -უკ, -უც, -უჩ, -უთ, -ელ, -ულ, -იტ, -ინ (ქეთა, ნანუკა, ნინუცა, ქეთუთა, დათუჩა, ბეჟუკა, დათუკა). საალერსო აფიქსებიდან იკვეთება შემოკლებულ სახელებზე დართული -ი სუფიქსი და ასევე - სუფიქსზე დართული (ქეთი, თამრი, ანი). სახელთან ამ ფორმებში უფრო მეტი ინტიმი იგრძნობა, ვიდრე ისეთ მოფერებით სახელებში, როგორცაა ქეთინო, თამრიკო, ანიკო. და ამის მიზეზად გოდერძიშვილი ასახელებს იმას, რომ მათ მიმართვის ელფერი დაჰკრავთ და ამით უფრო ინტიმური ფორმები ხდებიან. თითქოს ისინი მიმართვისას თბილი დამოკიდებულების გამოვლენისთვისაა შექმნილი. ავტორის აზრით, -ი სუფიქსი გამორჩეული სუფიქსია. ალექსანდრე - საშა - საშუა - საშუი. ბოლო ფორმა მის წინაზე უფრო მოსაფერებელია. მაგალითები: მარი, ციცი, ნაი(რა), სოფი(ო), ირი(ნა), მაგრამ განასხვავებს დიალექტური -ი სუფიქსისგან - გიგლაი, ნოდარაი, კონიაი (გოდერძიშვილი 2012, 132).

აქვე უნდა გამოვყოთ ისეთი გარმაგებულფუძისეულხმოვნისანი ფორმები, როგორცაა *სოოფ, ქეეთ, მააკ, რუუს, ნიინ* - ესენია უაფიქსოდ ხმარებულ ანთროპონიმთა ძირი, სადაც წარმოთქმისას გრძელდება კონსონანტებს შორის მოქცეული ხმოვანი. ისინი ალერსს გამოხატავენ. ასევე, *vc* სუფიქსით დამთავრებული ფორმებიც: *ნიკუშ, ქეთუშ, მაკუშ*, რაც რუსული ენის გავლენითაა შემოსული ქართულ ენაში. ასევეა პირველადი სახელების ხმოვანმოკვეცილი ფორმები: *მაყვალ! მანან!*

მაგრამ მას, გოდერძიშვილის თანახმად, გადავყავართ დიალექტურ სივრცეში (გოდერძიშვილი 2012, 134).

-ისი სუფიქსიც აწარმოებს ნანათესაობითარ საალერსო ფორმებს - იაკოსი, ონისეისი (-ეს – მოხეურ კილოში).

-უნ აფიქსზე დართული -ია აძლიერებს სახელის ალერსობით ემოციურ ელფერს (*ქეთუნია, ეკუნია*). გოდერძიშვილის თანახმად თანხმოვანზე შემოკლებულ სახელებთან დართული -ია სუფიქსი ხშირად დიალექტურ გარემოში რუსული ანთროპონიმული მოდელი (*ვანია*) გავლენას ახდენს ქართულ სახელებზე და შესაბამისად ვიღებთ ოდნავ საალერსო ელფერით: *თინია, ვასია*. არადიალექტურ გარემოში ასეთი სახელები იშვიათია და საალერსოა: *ნათია, ნინია* (გოდერძიშვილი 2012, 135).

გოდერძიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ აფიქსით გაფორმებული ანთროპონიმების შესწავლა მრავლისმომცემია „საზოგადოების ურთიერთობების ამა თუ იმ საკითხის გამოვლენისა და შესწავლის“ თვალსაზრისით, რადგან ამით შეიძლება გამოვავლინოთ პერსონაჟის (წინამდებარე ნაშრომის საფუძველზე, როგორც ადრესატის ისე ადრესანტის) სოციალური პროფილი (ასაკი, სქესი, სოციალური ფენა, რეგიონი და სხვ.) (გოდერძიშვილი 2012, 136).

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთმა აფიქსმა ნეიტრალურობა შეიძინა და მრავალი ასე წარმოებული სახელი - მაკა, სოსო, ვანო, ეკა, მარიკა - ოფიციალურ, საპასპორტო სახელებადაც იქცა.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ადრე ხშირად ცნობილი პიროვნებების მიერ კნინობითი სუფიქსით სახელის ტარება განაპირობებდა ამ სახელის გაოფიციალურებას, ახლა კი თავად სახელი შეიძლება უწყობს ხელს ადამიანთა პოპულარობას, რადგან ამით აქცენტირება ხდება მათს „თანამედროვეობაზე“, იმის სურვილზე, რომ დაიმკვიდრონ თავი დადებითი ემოციური ელფერით. სახელების გარკვეულმა ფორმებმა ერთგვარი იდენტიფიკაციის ფუნქციაც შეიძინა.

თანამედროვე ქართულ ენაში უფრო მეტად ტენდენციური გახდა არაქართული (განსაკუთრებით კი რუსული) სუფიქსებით სახელის გაფორმება. აქ ჩამოვთვლით

რამდენიმე, უფრო მეტად გავრცელებულ მათგანს – უს-ია (ჟ-დიფთონგის არარსებობის გამო ქართულ ენაში გამოდის როგორც -ია – მარუსია), -უშა (ანუშკა – юша-ს გადმოქართულებული ვარიანტი), -ინ-კა (მაშინკა, კატინკა), -იჩ-კა (ვერიჩკა/ვანიჩკა), -ოჩ-კა (სოფოჩკა), -უშ-ა (პავლუშა). ადგილი აქვს ასევე ხელოვნურ აფიქსსაც: მანჩო, ანჩო, ნინჩო (რუსული აფიქსის -იჩ კონსონანტური ნაწილისა და ქართული -ო/-ი სუფიქსების კომბინაცია) (გოდერძიშვილი 2012, 144).

დღესდღეობით ასევე ტენდენციურია ისტორიულად ცნობილი პირველადი სახელების დარქმევა (მათ შორის კი ჭარბობს ქართული წარმოშობისა და ქრისტიანული რელიგიის პერსონაჟების სახელები): მარიამი, ალექსანდრე, მაკინე, თეკლა, ანდრია, თომა, არჩილი, საბა, ნიკოლოზი, რუსუდანი.

რაც შეეხება შემოკლებული სახელების მანარმოებელ -ო სუფიქსს, აქ აზრთა სხვადასხვაობაა (ეთერ - ეთო; დავით - დათო). უთურგაიძის აზრით, ეს წოდებითი ბრუნვის წარმოშობისაა (გოდერძიშვილი 2012, 146). გ. წულაიას თანახმად, „წოდებითისეული -ო გამოყენებულია ფამილარული ფორმის საწარმოებლად: ვანო, მიტო“ (გოდერძიშვილი 2012, 146). თავად გოდერძიშვილი ამ აზრს არ იზიარებს. ის აღნიშნავს, რომ -ო მხოლოდ და მხოლოდ წარმოქმნის აფიქსია აპოკოპისა და სინკოპირების გზით მიღებული ფორმების დასასრულებად (გარდა იმ შემთვევებისა სადაც ო ფუძისეული ხმოვანია - როსტო, ნიკო) (გოდერძიშვილი 2012, 147). პირველადი წარმოების არა-შემოკლებულ თანხმოვანფუძიან სახელებში (ეთერ-ო, ბეჟან-ო) -ო წოდებითი ბრუნვის, თუმცა არანორმირებული, ნიშანია, რასაც მოფერებითობით დატვირთული ემოციური ელფერი აქვს (გოდერძიშვილი 2012, 139).

მეტსახელები საალერსო ნომინაციის და ზოგადად ენობრივი ნომინაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ, რომელიც პიროვნების სოციო-ფსიქოლოგიური მახასიათებლის როლს თამაშობს და თანამედროვე გვარ-სახელების ფორმირების უმთავრეს წყაროსაც წარმოადგენს. მეტსახელების საფუძვლად შეიძლება იყოს მიმართვები, რომლებიც ადამიანს ხასიათის რომელიმე ნიშნის, გარეგნობის, ქცევის თავისებურებების მიხედვით ეძლევა. ქ. გოდერძიშვილი მეტსახელების გამოყენების რამდენიმე მიზეზს ასახელებს: ქრისტიანული სახელის უცხოენოვნება, რაც

დენტატის შესახებ მწირ ინფორმაციას იძლევა, მოსახელეთა სიმრავლე (რაც აადვილებს ერთი და იმავე სახელის მქონე პირების იდენტიფიკაცია) და მეტსახელის ინტიმურობა (მეტსახელი საკუთრივ ანთროპონიმზე უფრო მეტ ინტიმურ ელფერს ატარებს) (გოდერძიშვილი 2012, 226). სოფელი წარმოადგენს მეტსახელთა ქმნალობის ბუდეს (გოდერძიშვილი 2012, 231). შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ მეტსახელთა უმეტესობა დიალექტური წარმოშობისაა. თანამედროვე ეპოქაში კი ძირითადად ახალგაზრდები არიან სახელშემოქმედების ავტორები. მეტსახელის საჭიროებას განაპირობებს მისი გამორჩეულობით-განმასხვავებლობითი ფუნქცია (გოდერძიშვილი 2012, 233). მეტსახელთა ხმარებითა და მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რეგიონი (გოდერძიშვილი 2012, 234). სამწუხაროდ, ქ.გოდერძიშვილის დებულებას, რომ სოფელი წარმოადგენს მეტსახელების ქმნალობის ბუდეს და ამ კატეგორიის სახელთა შემქმნელები მხოლოდ ახალგაზრდები არიან, ჩვენ მთლიანად ვერ დავეთანხმებით, რადგან მეტსახელები არანაკლები წარმატებით იქმნება ქალაქსა და დაბაშიც და არც გეოგრაფიული საზღვრებითაა შეზღუდული ამგვარი შემოქმედება. ქალაქის ავტოპარკი, თავშეყრის ადგილები (ე.წ. „ბირჟები“) ავტოგასამართი სადგურები, სპორტული სექციები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სასტელაღსრულებითი დაწესებულებები, ბაზრობები და ა.შ., არანაკლები პროდუქტიულობით გამოირჩევა. იქ იბადება მრავალი მეტსახელი და საკმაოდ გამორჩეული ნიჭიერებითაც. რაც შეეხება ასაკობრივ დაყოფას (თითქოს ასეთი სახელების შემქმნელები მხოლოდ ახალგაზრდები არიან), აქაც გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ჭარმაგთა ფანტაზია უფრო მახვილი და მორგებულია სახელდების ობიექტს.

მეტსახელი შეფასებითი სიტყვაა და მას მიმართვაში რამდენიმე ფუნქცია აკისრია. მეტსახელები შეიძლება იყონ სახუმარო, დაცინვითი, მოფერებითი, პატივისცემის გამოხატვისა და ნეიტრალური (გოდერძიშვილი 2012, 261). წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ყურადღებას ვამახვილებთ **მოფერებით მეტსახელებზე**.¹ ასეთ მეტსახელებს უმთავრესად ოჯახის წევრები ქმნიან ადრესატის

¹ ნაშრომის ბოლოს მოცემულია ზოგიერთი ქართული საკუთარი სახელისა და მათი კნინობითი ფორმების სია (იხ. დანართი 1).

მიმართ სიყვარულის გამოსახატავად. თანამედროვე ქართულ ენაში ეს სახელები მარცვლების სიმოკლით ხასიათდებიან, ისინი ძირითადად ორმარცვლიანი სიტყვებია: დედუ, ბუბა, ბუკა, დოდო. გოდერძიშვილი მათ მარცვალსახელებს უწოდებს (2012, 266).

სუფიქსი შეიძლება იყოს დატვირთული დადებითი და უარყოფითი ემოციებით. პირველ შემთხვევაში მან სახელს შეიძლება შესძინოს საალერსო ელფერი: *დათუნა*. მეორე შემთხვევაში კი სუფიქსმა შეიძლება დამცრობითი ელფერი მიანიჭოს: *ვანუა*, *თემურა*.

*ალერსობითობასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევხებით შემოკლებულ სახელებს, რომლებიც, როგორც წესი, ნაკლებად ფორმალურია, ვიდრე მათი სრული ფორმები და გამოხატავენ არაფორმალურ/ფამილარულ დამოკიდებულას ადრესატის მიმართ. „ხშირად მიმართვის ფორმად შემოკლებული ფორმის არასტანდარტული ფორმა გამოიყენება და ფორმის არჩევანი ინფორმაციას გვანვდის მოსაუბრე ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და სასაუბრო თემის შესახებ“ (მაშუტა 1997, 2), მაგალითად, *Michael – Mike, Patricia – Pat*.*

შემოკლებული ვარიანტები ქართულ საკუთარ სახელებსაც მოეპოვებათ: *ქრისტინე – ქრისტი; ნათია – ნათი; ზურაბი – ზურა; ეკატერინე – ეკა, დემეტრე – დემე*.

ქართულ ენაში შემოკლებული სახელები არაფორმალურ გარემოში გამოიყენება, ხშირად მეგობრის ან სხვა ახლობელი ადამიანის მიმართ: „... *გავიყდები ადამიანი, ნათი – უყვებოდა ეკა მეგობარს ...*“ (მეტრეველი, ველური წაბლის ხეივანი).

სახელის ამგვარი ფორმით გამოყენება ქართულ ენაში არაახლობელ ადამიანთან ან ფორმალურ გარემოში მიუღებელია. ეს ფორმა დადებითი თავაზიანობის ერთ-ერთ მარკერად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მისი გამოყენება გამოხატავს ჯგუფის შიდა იდენტობას.

საკმაოდ მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს ნათესაური ურთიერთობების აღმნიშვნელი ტერმინებიდან ნაწარმოები მიმართვის ფორმულები (დედიკო, მამიკო და ა.შ.), რომლებიც ახლო ნათესაური კავშირების მარკერებია. ლიჩის თანახმად, ასეთი

ტერმინები ასაკით უფროსი ოჯახის წევრებისადმი მიმართვით შემოიფარგლება (ლიჩი 1974).

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში მიმართვის საალერსო ფორმების ნათესავების მიმართ გამოყენება ხშირია. ქართულ ენაში ნათესაური ტერმინების (ამიერიდან ნტ) საალერსო ფორმები საკუთარი სახელების კნინობითი ფორმის წარმოების საშუალებების მსგავსია.

ქართულ ენაში ნათესაური კავშირის აღმნიშვნელი სახელების კნინობითი ფორმა ინარმოება -იკო სუფიქსის დართვით, თუმცა ეს სუფიქსი ყველა ასეთი ტიპის სახელისთვის არ არის მიღებული - *დედ-იკო, მამ-იკო, შვილ-იკო, ბებ-იკო*. ახალ ქართულ ენაში სუფიქსი -უკა შეიმჩნევა მხოლოდ ერთ სახელთან - *ბაბ-უკა*. არსებობს ფორმები *დედილო, მამილო*. ა. შანიძის თანხმად, ეს ფორმები -ილო კნინობითი ფორმის მანარმოებელი სუფიქსია და დასაბამს აძლევს ისეთ ფორმებს, როგორცაა *დედი! მამი!* (შანიძე 1955, 73). შუქია აფრიდონიძე კი აღნიშნავს, რომ *დედი/მამი* შეკვეცილი ფორმებია *დედიკო/მამიკო*-დან (აფრიდონიძე 1991, 141). *დედილო/მამილო* ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ამ მოსაზრებების საპირისპიროდ აბულაძე და ლუდენი აღნიშნავენ რომ -ილ არ არის ჰიპოქორისტიკული სუფიქსი (აბულაძე და ლუდენი 2013, 30). ამის საფუძველად ისინი ასახელებენ იმ ფაქტს, რომ -ილ არის ნამცოს გამოხატვის საშუალება. მათი მოსაზრებით, ის მომდინარეობს ისეთი სიტყვებიდან, როგორცაა *დობილი, დედობილი, მამობილი, შვილობილი, ძმობილი*. თუმცა აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ვერ დავეთანხმებით ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს, რადგან *ძმობილო* ფორმის საფუძველი სავარაუდოდ არის სიტყვა *ძმობილი*, რომელიც მეტყველებაში ხშირად გამოიყენება *ძმაო* მიმართვის მსგავსად (და, ასევე, გამოწვეული აუცილებლობის გამოც - საქართველოში ისტორიულად ხშირი მოვლენა იყო დაძმობილება), რის შედეგადაც მიიღო წოდებითი ბრუნვის ნიშანი -ო. რაც შეეხება სუფიქსს -ილ, მისი საშუალებით ქართულ ენაში იქმნება არა მხოლოდ სიტყვები *ძმობ-ილ-ი, დობ-ილ-ი, დედობ-ილ-ი, მამობ-ილ-ი* და *შვილობ-ილ-ი*, არამედ *ძამ-ილ-ო* და სხვა მისი მსგავსი ფორმები - *დედ-ილ-ო, მამ-ილ-ო*). ასეთი ფორმები კი ჰიპოქორისტიკული ფორმებია და მხოლოდ

წოდებით ბრუნვაში მიმართვის ფორმად გამოიყენება. აქედან გამომდინარე, -ილ პოლისემიური სუფიქსია – ის შეიძლება გამოხატავდეს და აწარმოებდეს, ერთის მხრივ, ჰიპოქორიზმს და, მეორეს მხრივ, ნამყოს მიმღეობის სუფიქსი იყოს: „არა, ტატუ ძამილო, მე შენზე მეტი ვიტანჯე. ვარ მარტო, მიუსაფარი, კონკრეტულ გარემოსა და საზოგადოებას მონყვეტილი“ (ჩვენ მარად ხუთნი ვიქნებით ... აკაკი ბაქრაძე 80 წლისა).

მიმართვის ფორმებად ხშირად გამოიყენება ნათესაური კავშირის აღმნიშვნელი სახელების შემოკლებული ფორმები - დიდი (დიდედა), ბაბუ (ბაბუა), ბები (ბებია).

ნათესაური კავშირის აღმნიშვნელ სახელთა სხვადასხვა ფორმების წარმოების მორფოლოგიური მექანიზმით ფორმები გარკვეულ სემანტიკურ და/ან სოციალურ მნიშვნელობასაც იძენენ.

შემოკლებული სახელების უმრავლესობა მეტყველებაში გამოხატავენ ალერსს/სიყვარულს ადრესატის მიმართ - „ლევანას ბაბუაც ხომ შენ არ გეარშიყებოდა, ბები?“ (ლორთქიფანიძე, სოფლის აშიკი). მსგავსი ფორმებია ბება, ბებო, ბებე, დედი, მამი, ბაბუ, დიდი, პაპი. მეტყველებაში ამ ფორმების გამოყენება გულისხმობს კომუნიკანტებს შორის „თბილი“ ურთიერთობის გამოხატვას. ხშირად ასეთ ფორმებს თხოვნა მოსდევს, რაც გარკვეულ ინტენციამე მიუთითებს - მეტყველი სუბიექტი ცდილობს, ადრესატს მიანიშნოს მისი ადრესატის მიმართ დამოკიდებულებაზე, და შემდგომ დაიყოლიოს მისი თხოვნის შესრულებაზე: „პაპი, კანფეტებს ხომ მომიტან“

რაც შეეხება ფორმებს დე! მა!, მათი სოციალური მნიშვნელობა ხშირად პარალინგვისტური საშუალებებით გამოიხატება - ინტონაციით. სხვადასხვა ტემბრით, ტონითა და მახვილით წარმოთქმული ფორმა განსაზღვრავს მიმართვის მნიშვნელობას. პროსოდიკის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია კონტექსტი, რომელიც მინიშნების როლს ასრულებს მიმართვის ფორმის სოციალური მნიშვნელობის განსაზღვრა/გამოვლენაში.

შდრ.:

ა) შენც მაგათნაირი არსება ხარ, დე! მე თქვენთან ერთად ცხოვრება აღარ შემიძლია! (ქეეკ)

ბ) ღამე მშვიდობისა, დე! - ვუთხარი და მხარზე დავადე თავი... (ქეეკ)

ნტ	კნინობით-საალერსო
ბებია	ბებო
	ბები, ბებიკო
	ბაბო
	ბე
დიდედა	დიდედ
ბაბუა (გავრცელებული ფორმაა დასავლეთ საქართველოში)	ბაბუ
	ბაბუკა/-ო
დედა	დედიკო, დედიკონა, დედიკუნა
	დედი
	დედეუნა, დედეუკა,
	დედილო
	დე
მამა	მამიკო
	მამი
	მა
	მამილო
პაპა (გავრცელებული ფორმაა აღმოსავლეთ საქართველოში)	პაპიკო
	პაპი
	პა
ძმა	ძამიკო
	ძამია
	ძამილო
და	დაიკო
	დაია
ბიძა	ბიძია, ძია
	ბიძიკო

ცხრილი 7. ნათესაური ურთიერთობების სემის შემცველი მიმართვები ქართულ ენაში

ცხრილში (ცხრილი 7) მოცემული ფორმებიდან საალერსო ფორმებად უნდა ჩაითვალოს ბებო, ბებიკო, ბაბუ, ბაბუკა, დედიკო, დედილო, დედუნა, დედი, მამიკო, პაპი, პაპიკო, ძამიკო, ძამილო, ძამია/ძამა (დიალექტ.), დაიკო, დაია და ბიძიკო.

რაც შეეხება მიმართვის ისეთ შემოკლებულ ფორმებს, როგორიცაა, დე, მა, ბე, მათი საალერსო ფორმების კატეგორიაში განეწიანება გარე- და პარალინგვისტურ ფაქტორებზე და მოკიდებულია - ხმის ტონი, სახის გამომეტყველება, გარემო, კონტექსტი და სხვა (იხ. მაგალითები ა) და ბ). ასეთი ფორმებით მიმართვა გამიზნულია ახლო ნათესავების მიმართ. მათ გამოყენებას ვერტიკალური და აღმავალი მიმართულება აქვს: უმცროსი თაობა უფროსი თაობის მიმართ იყენებს.

ა) *შენც მაგათნაირი არსება ხარ, დე! მე თქვენთან ერთად ცხოვრება აღარ შემიძლია!*
(ჯაბა ზარქუა, ზაზუნას თვითმკვლელობა)

ბ) *მეც ძალიან მიყვარხარ, დე! თეონამ იგრძნო, რომ ამ სიტყვების მოსმენის ღირსად რომ ჩათვალა ღმერთმა, ...*“ (თამარ ყურაშვილი, ხვალ ხუთშაბათია)

ინგლისურ ენაში ნტ-ის კნინობითი ფორმები შეიძლება შეგვხდეს საკუთარ სახელთან კომბინაციაში: *Auntie Elizabeth*. არსებობს ისეთი კომბინაციები, სადაც ნტ-ის კნინობითი ფორმა საკუთარი სახელის კნინობით ფორმასთან ერთად გამოიყენება, თუმცა იშვიათად *Auntie Beth*. ქართულ ენაში ასეთი კომბინაციები მისაღებია მიმართვის ფორმად, მხოლოდ არა ნტ-ის კნინობითი ფორმების საშუალებით - *ბიძია დათო, პაპა თედო*.

ქართულ ენაში ისეთი ფორმები, როგორიცაა *ძამიკო* (იშვიათად *ძამილო*), *ძამია*, *დაიკო*, *დაია*, *დედილო*, *ბებო*, *ბაბუ* ხშირად უცნობი ადამიანების მიმართაც გამოიყენება, უმეტესწილად კი თხოვნა/კითხვებში. მიზეზი ადრესატის უარყოფითი სახის რღვევის საფრთხეა, რისი „შერბილება“ ხდება დადებითი თავაზიანობის მარკერით - ნტ-ის საალერსო ფორმებით: „*რა გქვია შენა, დაია? - პეპელა, - უპასუხა მიმტანმა ქალმა*“ (ბესო ხვედელიძე, აბრეშუმის გზა).

მიმართვის საალერსო ფორმების წარმოება საზოგადო სახელებიდანაც ხდება. ადამიანის გარდა მიმართვის აღრესატი შეიძლება იყოს სხვა სულიერი არსება, მაგრამ არა ადამიანი: „შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი, შენ ჩემო ლაბავ, ნუ შევჭურდება (ილია, „გუთნის დედა“); უსულო საგანი: ვინ იცის, მტკვარო, რას დუდუნებ, ვისთვის რას იტყვი (ბარათაშვილი, „ფიქრი მტკვრის პირას“).

მორთოლოგიური წარმოება არ არის ერთადერთი რესურსი, რომლითაც ქართულ ენაში საალერსო მიმართვის გამოხატვა ხდება. არსებითი სახელებით გამოხატულ საალერსო მიმართვას შეიძლება სიტყვა თავისი ლექსიკურ-სემანტიკური მნიშვნელობით გამოხატავდეს, განსაკუთრებით ეს ეხება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას, სადაც მეტაფორული აზროვნებაც ერთვება. ქართულსა და ინგლისურ ენებში ალერსობითობის გამოხატვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სამეტყველო ფიგურები, რომელთა პრაგმატიკული ფუნქცია საკომუნიკაციო ბლოკში ყურადღების მიპყრობა, იდენტიფიკაცია ან გაზვიადებაა.

მეტაფორული ფუნქცია ხშირად ზედსართავი სახელებით რეალიზდება. საალერსო მიმართვების ენობრივი რესურსებიდან გარკვეული ადგილი უჭირავს გასუბსტანტებულ ზედსართავ სახელებს, რომელთა გამოყენებას განსაკუთრებული გენდერული რეგულაციები არ ახასითებს და, როგორც წესი, ორივე სქესის წარმომადგენლების მიმართ გამოიყენება. გასუბსტანტებული ზედსართავი სახელებით გამოხატული მიმართვები შეფასებით-მახასითებელ ფუნქციას უსვამენ ხაზს, რომელიც, თავის მხრივ, ახდენს აქცენტირებას, სუბიექტური ფაქტორის, ვინაიდან აღრესანტი, ნომინაციის გარდა, მიზნად ისახავს აღრესატის შეფასებასაც. ამასთანავე ზედსართავი სახელი ხშირად გვევლინება მიმართვითი სინტაგმის წევრად:

(ბარის ინტერიერი)

ბარის დახლს უკან ახალგაზრდა ქალი ჭიქებს ამშრალებს.

ბარში შედის მარის მამა.

მამა:

– ნანა! (ბარის დახლზე გასაღებს აკაკუნებს) ლამაზო ნანა!

ნანა:

გაულიმებს შემოსულს.

– მშვიდობა თქვენს მობრძანებას! ... ვიფიქრე, ხომ არაფერი დაემართა-მეთქი!

(თამაზ ექვთიმიშვილი, „ჰუნტები“)

მოსაუბრე ცდილობს, საქმეში გართული ადრესატის ყურადღება მიიპყროს, რისთვისაც იგი იყენებს ზედსართავ სახელს ანთროპონიმთან კოლოკაციაში (ლამაზო ნანა).

ზედსართავი სახელები ან მართო გამოიყენება ადრესატის ნამდვილი სახელის ნაცვლად, ან ადრესატის სახელთან კოლოკაციაში (მშვენიერო, შენ გელი): „ვარდო, საით მიდიხარ?“

ზედსართავით გამოხატულ ეპითეტების გამოყენებას, ჩვეულებრივ, თან ახლავს ისეთი პარალინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები, როგორცაა ღიმილი, თვალის ჩაკვრა, ოდნავი შეხება მხარზე ან ხელზე, ხელის ჩამორთმევა ან/და სხვა. თავად ეპითეტები კი წარმოითქმება „შერბილებული“ ტონითა და ინტონაციით. ხშირ შემთხვევაში ეპითეტები გვხვდება კოლოკაციაში (სიტყვათშეხამებაში) სხვა სიტყვებთან - „ჩემო“, „ჩემო ძვირფასო“ და სხვა. მათ უმთავრესად ეფექტის გამაძლიერებელი ფუნქცია აკისრია.

როგორც ნ.არუთინოვა წერს, „აპელატივებისთვის (აპელატივებში ის გულისხმობს მიმართვის ფუნქციით გამოყენებულ ფორმებს) ტიპურია, პირველ რიგში, სუბიექტური მიმართების სემანტიკის მატარებელ ზედსართავ სახელებთან შეხამება, ხოლო აპელატივების ისეთი სტანდარტული ატრიბუტები, როგორცაა, милый (საყვარელო), дорогой (ძვირასო), уважаемый (პატივცემულო), რომლებიც გამოხატავენ ადრესანტის დამოკიდებულებას ადრესატის მიმართ, ნებისმიერი სემანტიკის სახელებს

ეხამებიან...“ (არუთინოვა, 2002, 356). უნდა ითქვას, რომ არც ქართული და არც ინგლისური ენა ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენენ.

საალერსო მიმართვის მორფოლოგიური გამოხატვის ენობრივ რესურსს ნაცვალსახელებით გამოხატული მიმართვებიც წარმოადგენს, რომლებიც დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევიან. ძირითადად ამ ფუნქციით ქართულში გამოიყენება პირის ნაცვალსახელის მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ფორმები. ნაცვალსახელები კი არ ასახელებენ ადრესატს, არამედ მხოლოდ მიუთითებენ მასზე, შესაბამისად არ გამოხატავენ ნომინატიურ ფუნქციას, რითიც სხვა დანარჩენი ნაირსახეობებისგან განსხვავდებიან (ამ მხრივ ისინი ახლოს დგანან ნულოვან მიმართვებთან). ითვლება, რომ კომუნიკაციურ სიტუაციებში, სადაც ურთიერთობის პერსონალური დისტანცია არსებობს, მიმართვაში ხშირად გამოიყენება ნაცვალსახელი „ჩემო“, რომელიც პოზიტიური დამოკიდებულების მარკერია, მეორე მხრივ კი - ხშირად შეიცავს დარიგებისა და დამოძღვრის სემასაც: „ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“. უნდა ითქვას, რომ მიმართვის დამოუკიდებელ ფორმად კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემო“ პრაქტიკულად არ გვხვდება ქართულში და სხვადასხვა სახის კომბინაციებს ქმნის ზედსართავსა და არსებით სახელთან. საალერსო მიმართვის ერთ-ერთ გავრცელებულ ნაირსახეობას წარმოადგენს საზოგადო სახელის ან გასუბსტანტებული ზედსართავის კომბინაცია კუთვნილებით ნაცვალსახელთან „ჩემო“, რომელიც სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება: 1) ჩემო + არსებითი სახელი (*ჩემო ძმაო*); 2) ჩემო + სუბსტანტივირებული ზედსართავი (*ჩემო მშვენიერო*) და 3) გავრცობილი ვარიანტი - ჩემო + გასუბსტანტებული ზედსართავი + არსებითი სახელი (*ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო*).

კომპონენტ „ჩემო“-სთან დაკავშირებული მიმართვები მყარ აღწარმოებად კონსტრუქციებს ქმნიან და ერთ-ერთ პროდუქტიულ მოდელს წარმოადგენენ. მიმართვის ეს ფორმა, მონაცემთა მიხედვით, თითქმის ყველა შემთხვევაში პირველი პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად გამოიყენება - *ჩემო, ჩვენო*.

სულიკო. ქართულ ენაში მიმართვის ამ ფორმას ალერსის გამოსახატავად ორივე სქესის წარმომადგენლისადმი იყენებენ.

— შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავ, რომ ისე გამომეცნო. როგორ არ დავთვალე, აი, დალახვრა ღმერთმა, — შემცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

(ილია ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეოცე საუკუნის ქართულ ენაში ამ ფორმამ გარკვეული სიმბოლური დატვირთვა შეიძინა აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის – „სულიკო“-ს გამოქვეყნების შემდეგ, სადაც პოეტი თავისი ლირიკული ლექსის ადრესატში, მეცნიერთა ვარაუდით, სამშობლოს გულისხმობს.

„საყვარლის საფლავს ვეძებდი,

ვერ ვნახე, დაკარგულიყო!...

გულამოსკვნილი ვჩიოდი:

„სადა ხარ ჩემო სულიკო?..“

ინგლისურ ენაში მოიპოვება ეკვივალენტური ფორმა *my soul*, თუმცა ეს უკანასკნელი ინგლისურ ენაში მიმართვის ფორმად კი არ გამოიყენება, არამედ მხოლოდ ეპითეტად.

„You are my soul, you are my very eyes“

ქართულ ენაში შეინიშნება მიმართვის რამდენიმე საალერსო ფორმის ერთად გამოყენება, ერთმანეთის კვალდაკვალ, როგორც ეს ზემოთ მოცემულ მაგალითებმა გვიჩვენა. ამის მიზეზი, მოსაუბრის მიერ წარმოთქმულის ეფექტის გაძლიერებაა:

ა) ჩემო სიამაყევ, ჩემო გულის ვარდო ჩემო გვირილაო ... ჩემო საკმეველო ...
ფიქრო – უსასრულო, ნუთო დასაცდელიო ... ჩემო სიხარულო, ჩემო განსაცდელიო.

ბ) ჩემო ჩიტუნია, ჩემო გვრიტუნია, შენთვის მომინდია ეს გული გაზაფხულის ვარდო, შენთან მოსვლას ვნატრობ...

ჩემო ყველავე. ქართულ ენაში, შენი კვინესამე ფორმის მსგავსად, ჩემო ყველავე უმეტესად ჩრდილო-აღმოსავლეთშია გავრცელებული. ის ჭარბობს მთის პოეზიასა და პროზაში, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ყაზბეგისა და მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებში. ჩემო ყველავე ფორმის მნიშვნელობა გადმოსცემს ადრესატისადმი სიყვარულს დიდი ინტენსიურობით. ეს ფორმა ძირითადად სატრფოთა მიმართ გამოიყენება.

გოგონი ... ჩემო გოგონავ ... ჩემო ყველავე. - ბურტყუნებდა არსენა და ცხარედ ჰკოცნიდა საბედოს.

(მიხეილ ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ენაში ფორმას *ჩემო ყველავე* ინგლისურ ენაში შეესაბამება მიმართვის საალერსო ფორმა *my all*. ასევე შეიძლება ითქვას, რომ მათ სოციალურ სემანტიკასა და გამოყენებას შორის სრული თანხვედრაა.

შდრ.:

My darling, my one, my all, there will be other babies, I write, somewhat confusingly.

(ბრიტანეთის ეროვნული კორპუსი)

ჩემო კარგო ქართულ ენაში ალერსის შედარებით სუსტად გამომხატველი ფორმაა. მას ორივე სქესის წარმომადგენელთან, და ხშირად – უცნობ პირებთან მიმართებაშიც იყენებენ. ამ ფორმის ვარიაციებია - *ჩემო კარგო, შე კარგო კაცო, შე კარგო ქალო, კარგო, შენ კარგო* და *პატიოსანო, კარგო კაცო*.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემებით, ამ სიტყვაშეხამების სიხშირის მაჩვენებელია 491, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყოველდღიურ საუბარში ამ ფორმას

სშირად მიმართავენ (პოპულარულია მოდელები ჩემო კარგო, ჩემო კარგო მეგობარო..., ჩემო კარგო ქვეყანავ).

აქვე უნდა გამოიყოს სიტყვაფორმა *შე კაი კაცო*, რომელიც *შე კარგო კაცო* ფორმის რედუცირებული სასაუბრო ვარიანტია. ამ სიტყვაფორმამ, დროთა განმავლობაში, საალერსო ფორმის ფუნქცია დაკარგა და შეიძინა მსუბუქი საყვედურის მნიშვნელობა, რომელიც ადრესატის მიერ დაშვებულ შეცდომაზე მიუთითებს. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნაცნობების, ასევე უცხო პირთა მიმართაც. კონტექსტი ყოველთვის არ გულისხმობს საუბრის მონაწილეთა შორის არაკეთილგანწყობას ან ემოციურად დაძაბულ ურთიერთობას. ნაცნობებს შორის სშირად გამხნევების ფუნქციასაც კი იღებს, გულისხმობს რა, რომ ადრესანტი ადრესატს გულშემატკივრობს (მაგალითები ა, ბ, გ).

ა) თავჩაქინდრული ვიჯეჟი ისევ, იმან კი, შალვამ – თავხედმა, ბრიყვმა, მხარზე ვითომ ნუგეშის ნიშნად დამადო ხელი:

– რას მოგინწყენია, რომ მოგინწყენია, ა, გერასიმე, რასაა რომ მოგინწყენია, შე კაი კაცო, – მცირედ შემაჯანჯლარა და, ვითომც გამამხნევა, თავისი ჭკუით.

(გურამ დოჩანაშვილი, ერთი რამის სიყვარული, დათვარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეჟერაძე)

ბ) მალე ვ ... გგადავუხდი.

– როგორ? საიდან?

– ცხინვალში ან გორში სამსახურს მომცემენ.

– შე კაი კაცო, რაღა ცხინვალში ან გორში მირბიხარ? აკი ვითხარი ამას წინათ, ნაშინდარში სკოლას გავხსნით მეთქი. აქვე დარჩი და შემოდგომაზე მასწავლებლობას შეუდექი.

(მიხეილ ჯავახიშვილი, „ჯაცოს ხიზნები“)

გ) დილით რაღაც ლანალოუნის ხმამ გამაღვიძა. ვაიმე! წამოვხტი და გავვარდი კარში.

შესულა ჩემი ქმარი მარანში, შეუტანია დიდი კეტი და ამტვრევს ამ სავესე ბალონებსა!

ვეცი ხელებში, რას აკეთებ, კაცო-მეთეი!

მამეცა, უნდა დავლენო სულა, ამისი მამტანის მკვდარი და ცოცხალი, ამისიო!

შე კაი კაცო, მაგის მამტანმა არ დავარიგა, წყალი დაასხიო, რატო არ დაასხი-მეთეი!

ოხ, შენი დედა, შენიო და დამიშვა კეტი. აი, ეხლაცა მტკივა მხარი.

(ნუგზარ შატაიძე, „სოფი“)

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში, ინგლისური ენისგან განსხვავებით, საალერსო ფორმების უმეტესობას პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი ჩემო უძღვის წინ - ჩემო დედოფალა, ჩემო ვარსკვლავო და სხვ.

ქვემოთ განვიხილავთ ქართულ ენაში მიმართვის ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმებს:

საყვარელო. ფორმა *საყვარელო* ყოველდღიურ საუბარში გამოიყენება როგორც ოჯახის წევრებისა და ნაცნობ-მეგობრების მიმართ, ასევე უცნობების მიმართაც. ის შეიძლება გვხვდებოდეს როგორც ცალკე ფორმა (იხ. მაგალითი ა) და, როგორც კოლოკაციის ნაწილი, საზოგადო სახელებთან ერთად (იხ. მაგალითი ბ) ან უფრო გავრცობილ კოლოკაციაში (კუთვნილებითი ნაცვალსახელი + საალერსო ფორმა + საზოგადო სახელი) (იხ. მაგალითი გ).

ა. იზოლირებული ფორმა

შავი პირი, თეთრი კბილი,
საყვარელო, რატომ ტირი?
მე შენი კაცი ღვევსაზე,
რა ყოფილა _ მრეში ვირი!

ბ. კოლოკაცია

საყვარელო მერცხალო,
სად მიფრინავ, სადღაო?
ჰა, ეს წიგნი წაიღე
იმ ჩემ საყვარელთანო,
იქ ამბები გაიგე,
გადმოფრინდი ჩემთანო.

გ. გაფრცობილი კოლოკაცია

რა გავიჭირდა, ჩემო საყვარელო მეუღლე?

(შოთა ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები)

არსებობს ინვერსიის შემთხვევებიც, როდესაც საზოგადო სახელი კოლოკაციის დასაწყისში წოდებითი ბრუნვის ნიშნით გადმოინაცვლებს, შემდეგ მოსდევს თავად საალერსო ფორმა (და ხშირად კუთვნილებითი ნაცვალსახელიც), თუმცა მსგავსი ფორმები ახალ ქართულში უფრო და უფრო ნაკლებად გვხვდება.

– შეილო ჩემო საყვარელო! დადგა განშორების უამი. მე გავდივარ ამ სოფლიდან. ნუ იტირებ ჩემ გამო და ნუ იტყვი, რომ ობოლი ხარ, რადგან მამად გყავს ღმერთი, რომელიც დაგიფარავს თავისი მადლით და რომლის წინაშეც შენთვის ვილოცებ.

(ქართული დიალექტური კორპუსი)

*ნუ შემძიმდების სული შენი, დაო ჩემო საყვარელო, ნუ ეჭვნიულ იქმნები:
ნაყოფისაგან მისისა იცნობების ხეი კეთილი, ხოლო ნაყოფი ჩვენის
მოღვაწეობისა სასიკეთო არის კაცთათვის და სათნო წინაშე ღვთისა*

(ვასილ ბარნოვი, „ტრფობა წამებული“)

*– შეილო საყვარელო, მხედარი ვიდრე წყობასა არა შესრულ არნ, ძლევაჲ
მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არნ, არცა მეფეთაგან ნიჭი
მიილოს, ხოლო ვინაჲთგან ახოვნად გამოჩნდის ძალი ბრძოლისა მისისაჲ
ყოველთა ზედა, საცნაურ იქმნის, და ნიჭი დიდძალი მიანიჭის მას სამართლად
მეფემან.*

(გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“)

*ფორმა საყვარელო, როგორც ცალკე ფორმა, ქართული ენის ეროვნული
კორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით, ყველაზე გავრცელებული ფორმაა.
იზოლირებული ფორმა რიცხობრივად ბევრად სჭარბობს კოლოკაციების რაოდენობას.
ცხრილში კოლოკაციებს ვინარჩუნებთ იმავე სახით, რა სახითაც კორპუსი ამას
გვთავაზობს (პუნქტუაციისა და კომუნიკაციურ ბლოკში მათი ადგილმდებარეობის
ჩათვლით):*

სიხშირე	კოლოკაცია
376	, საყვარელო
334	საყვარელო,
239	<i>ჩემო</i> საყვარელო
85	<i>ჩვენო</i> საყვარელო
80	საყვარელო!
35	საყვარელო <i>ძმაო</i>
27	საყვარელო და
27	საყვარელო <i>შვილო</i>
17	საყვარელო <i>მეგობარო</i>
16	საყვარელო <i>დედა</i>
16	საყვარელო <i>დაო</i>
15	საყვარელო <i>ჩემო</i>
13	<i>მამულო</i> საყვარელო
9	საყვარელო <i>ძმებო</i>
9	საყვარელო <i>შვილებო</i>
8	საყვარელო <i>დღიურო</i>
8	საყვარელო <i>მკითხველო</i>
8	საყვარელო <i>დედავ</i>
8	<i>პატარა</i> საყვარელო
6	საყვარელო <i>მშობლებო</i>
5	საყვარელო <i>ქართველო</i>
5	საყვარელო <i>მინა-წყალო</i>
5	საყვარელო <i>მეუღლე</i>
4	საყვარელო <i>ადამიანო</i>
4	საყვარელო <i>ხალხო</i>
4	საყვარელო <i>ბავშვებო</i>
4	<i>შვილო</i> საყვარელო

4	საყვარელო მამა
4	საყვარელო კოლეგა
4	საყვარელო ადამიანებო
3	საყვარელო სამშობლო

ცხრილი 8. საყვარელო ფორმის მონაცემები ქვევ-ში

როგორც კორპუსული მონაცემებიდან ვხედავთ, ფორმა საყვარელო, როგორც ცალკე ფორმა, უფრო გავრცელებულია მეტყველებაში, ვიდრე მისი კოლოკაციური ფორმა.

ზეპირ მეტყველებაში ხშირია საყვარელო ფორმის გამოყენება სიტყვით გამოსვლისას. თავად სიტყვით გამოსვლა ხშირად პომპეზურია და ოფიციალური სახე აქვს. სწორედ ამ ფორმალური მხარის შესარბილებლად, გამომსვლელები ხშირად მიმართავენ შემარბილებელ და სოლიდარულ სტრატეგიას, მაგალითად, პოლიტიკოსები: „საყვარელო თანამემამულეებო!“

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საყვარელო ფორმას სიხშირით „ძვირფასო“ აჭარბებს.

ძვირფასო. ეს ფორმა ისევე გავრცელებულია ქართულ ენაში, როგორც საყვარელო. მას ხშირად მიმართავენ ყოველდღიურ საუბარში.

„...ძვირფასო თანამემამულეებო მოვინოდებთ გავერთიანდეთ და გავაძვეოთ ეს ამერიკული ქმნილება საქართველოდან“.

(ქვევ)

„ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო, ყველა ეთნიკური წარმომავლობის თანამოქალაქენო!

მთავარი, რაც ჩვენმა არაკეთილმოსურნემ ამ დღეებში ვერ დაინახა, არის შეშინებული საქართველო;

მაგრამ თქვენ, კარგად ნახეთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულეებო, როგორი თავშეკავება გამოიჩინა საქართველოს მთავრობამ. როგორი უკიდურესი სირბილით და მაქსიმალური გახსნილი იყო დიალოგისთვის იყო ჩვენი რეაქცია, მათ შორის იმისათვის, რომ არ მივვეცა საბაბი საქართველოს მტრისთვის.“

(ქეევ)

თვალისჩინო. ქართულ ენაში მიმართვის ეს საალერსო ფორმა ინტიმურობის ძლიერ ხარისხს გამოხატავს და მას მხოლოდ ახლობელ ადამიანებთან მიმართებაში იყენებენ (იხ. მაგალითი ა). ამის გარდა, იგი კომპლიმენტის, შეფასების ფუნქციითაც გამოიყენება (იხ. მაგალითი ბ, გ) მას ეკვივალენტის მოეპოვება ინგლისურ ენაში - *apple of my eye*.

ა) – გამარჯობა შენი, ჩემო გვრიტო, ჩემო სახეღარო, ჩემო შვილო, ჩემო ამხანაგო, ჩემო თვალისჩინო! ხომ კარგად ხარ, ჩემო მშვენიერო?

(მიგელ დე სერვანტესი, „ღონ კიხოტ ლამანჩელი“, ქეევ)

ბ) ეს რომ კეთილმა საჭურველმტვირთველმა სანჩომ დაინახა, ხმამაღლა შესძახა:

– შენთან იყოს ღმერთი, მოგზაურ რაინდთა თვალისჩინო, გამარჯვება მოგანიჭოს მან, რადგან შენსკენაა სიმართლე!

(მიგელ დე სერვანტესი, „ღონ კიხოტ ლამანჩელი“, ქეევ)

გ) – ხომ კარგად ხარ, ჩვენო თვალისჩინო, ზანქან, ხომ კარგად! – ცხადია, ამ ირონიამ ზანქანს გული დაუკოდა, მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ანი უნდა მოესმინა, – აფერუმ, ჩემო ზანქან, ჩვენო თვალისჩინო, აფერუმ, რა ისრაელური ოჯახი გქონია, შვილიც რა წესიერი!

(გურამ ბათიაშვილი, სივრცე და დრო – ერთი თავი რომანიდან „შინაური უცხო“)

ოქრო. ქართულ ენაში საინტერესო ფორმას წარმოადგენს მიმართვის ფორმა ოქრო. სიტყვის სემანტიკიდან გამომდინარე (მის ფასეულობასა და საზოგადოებაში მის

ღირებულებაზე დაყრდნობით), მას ხშირად ძვირფასის, საუკეთესოს მეტაფორად, ან ქება-ხოტბის მნიშვნელობითაც იყენებენ.

აღარასოდეს ვიმარჩილებ საბედოს გამოსაცნობად! – თქვა მან, როცა სუსხიანი ჰაერისაგან აწითლებული და აქოშინებული პარმალთან დაბრუნდა და საფეხურებზე ჩემს გვერდით ჩამოჯდა. – ხომ არ ჩაგეძინა, კოსტია? შეიძლება შენს გვერდით ჩამოვჯდე, ჩემო ოქრო, ჩემო საყვარელო?

(ივან ბუნინი, „ახალი წელი“, ქვევ)

შე ოქრო კაცო, ძმობილო ჩემო!

(კალევალა, ფოლკლორი, ქვევ)

ქართული ენისგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში სიტყვის ოქრო პირდაპირი თარგმანის გზით არ გვაძლევს იმავე სოციალური ღირებულების ეკვივალენტს.

მიმართვის ზმნური ფორმები. ეს ის ფორმებია, რომლებიც თანამოსაუბრის რეფერენციისას გამოიყენება. ძალიან ხშირად ასეთი ზმნური ფორმები მრავალსიტყვიანია, მაგალითად, მათ თან ახლავთ მიმართვის ნაცვალსახელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ ენებში, სადაც სუბიექტური ნაცვალსახელის გამოყენება სავალდებულო არ არის, ზმნა შეიძლება გახდეს თანამოსაუბრის რეფერენციის მატარებელი. განსხვავებით ინგლისური ენისაგან, რომელსაც ზმნის განსხვავებული სტრუქტურა აქვს, ქართული ზმნა რეფერენციას თავის თავში შეიძლება შეიცავდეს. ქართულ მაგალითებში „სად მიდიხარ?“ ზმნა მიდიხარ შეიცავს მიმართვის ფორმას. აქედან, ფლექსიური პრეფიქსი *ბ-* (მეორე პირის მხოლოობითი რიცხვი) ერთადერთი ელემენტია, რომელიც თანამოსაუბრისადმი რეფერენციას გამოხატავს. მსგავს შემთხვევებს ინგლისურში ნულოვანი რეფერენცია შეესაბამება, ვინაიდან იქ განსხვავებული ზმნური სტრუქტურაა.

ქართული ენის უნიკალური ხასიათი მულავნდება ზმნებისა და ზმნური წარმოშობის საალერსო ფორმების გამოყენების სპეციფიკაში.

ქართულ ენაში მიმართვის რამდენიმე საალერსო ზმნური ფორმა ყურადღებას იმსახურებს, რადგან მსგავსი ფორმები უნიკალურია თავისი ეტიმოლოგიისა და გამოყენების თვალსაზრისით.

სანამ უშუალოდ ამ პრობლემაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხოთ ამგვარი ფორმებისა და შორისდებულების პრობლემას. ქართველ მეცნიერთა შორის ეჭვს არ იწვევს შორისდებულის, როგორც ემოციურობის მარკერის ფუნქცია. ასე, მაგალითად, ა. შანიძის კლასიფიკაციის მიხედვით შორისდებულები იყოფიან სამ შინაარსობრივ ჯგუფად: ა) გრძნობების გამომხატველ ბ) ფიცილის, ალერსის გამომხატველი და გ) მოსაუბრის ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულები. ლ. კვაჭაძე კი გამოყოფს ორ ჯგუფს: განცდა-გრძნობების და ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულები. ავტორი მეორე ჯგუფში ათავსებს ალერსობით ფორმებს: *ჭირიმე, გენაცვალე*, თუმცა ამ კლასიფიკაციას ვერ დავეთანხმებით, რადგან ამ ჯგუფში მოთავსება მიუთითებს მსგავსი ფორმების მნიშვნელობის მხოლოდ წარმოშობაზე - სურვილს, ჩაენაცვლოს მიმართვის ადრესატს (*ჭირიმე/გენაცვალე* - გასაჭირსა თუ სიკვდილში), რომელიც, როგორც სემანტიკა, დღესდღეობით სრულად დაკარგულია და ახალ ქართულში ამ მნიშვნელობით არ გამოიყენება. სავარაუდოდ, ალერსის გამომხატველი ფორმულები პირველ ჯგუფში უნდა მოთავსდეს წინადადებაში მათი მნიშვნელობის გამომხატველი ელფერის მიხედვით, მაგალითად, მოწონება: *გენაცვალე* (დვიდა! უნივერსიტეტი „ფრიალებზე“ დავამთავრე - *გენაცვალე შენ!/ჭირიმე შენი!*). აქ, ალერსის ეს ფორმა უტოლდება ისეთ ფორმებს, როგორიცაა: *ბარაქლა! ყოჩაღ!* და გამომხატავს მოქმედის ინტორმაციის მოწონებას, თუმცა, რაც შეეხება ალერსის მნიშვნელობის მქონე შორისდებულების გრამატიკულ ფორმას, მათ შეუძლიათ დაირთონ მრავლობითი რიცხვის გრამატიკული ნიშანი, თუ ეს ფორმა ადრესატის მრავლობითობის აღსანიშნავად არის გამოყენებული: *თქვენი ჭირიმეთ!* (კვაჭაძე 1961, 320).

მიმართვის საალერსო ფორმებისა და შორისდებულების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ეხება ოთარ გაჩეჩილაძე ნაშრომში „შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში“ და ისეთ სიტყვებს, როგორიცაა *გეთაყვანე, გენაცვალე, კენესამე, შემოგველე, ჭირიმე* და მათ სიტყვა-ფორმებს

შორისდებულების რიგში აყენებს. ნაშრომს თან ახლავს შორისდებულების ლექსიკონი, რომელშიც შესულია საალერსო სიტყვების მთელი რიგი: *გენაცვალე, გენაცვა, გენაცვალეთ, გეთაყვა, გეთაყვათ, შენი ჭირიმე, თქვენი ჭირიმე, შემოგველე, ჭირიმე, შენ გენაცვალე, თავს შემოგველე, შენი კვნესამე, ჭირი მოგჭამე, შენი იმედის ჭირიმე, შენი სულის ჭირიმე, შენი გულის ჭირიმე, შენი ძუძუების ჭირიმე, შენი თვალების ჭირიმე, შენი ღმერთების ჭირიმე, შენი ჯანის ჭირიმე, შენი ღვთის ჭირიმე, შენი მუხლების ჭირიმე, შენი მადლისა და სახელი ჭირიმე, შენს სულს ვენაცვალე, შენს მადლს ვენაცვალე, შენს მშვეს ვენაცვალე, ვენაცვალოს დედა* (გაჩეჩილაძე 1979, 110).

იქვე ავტორი განმარტავს, რომ „მიმართვის საალერსო ფორმები ხშირად გვხვდება შორისდებულებთან მოსაზღვრე კომუნიკაციურ ბლოკში (- უი, გენაცვალე! დღევანდელი დღე მკითხავის ბაკში სუ მა ყარაიაზე ლაპარაკობდნენ“) და, რომ „ხშირად შორისდებული მიმართვის ფორმის გამაძლიერებლად გვევლინება, ხოლო ზოგჯერ რაიმე ემოციების გამოხატვის მიზნითაა წარმოთქმული“ (გაჩეჩილაძე 1979, 125).

აღნიშნული ორმაგი სტატუსი - ერთ შემთხვევაში შორისდებულისა, ხოლო მეორეში - შორისდებულებთან მოსაზღვრე კომუნიკაციურ ბლოკში შემავალი ერთეულისა, ჩვენი აზრით, ერთი და იმავე მოვლენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიგვანიშნებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სემანტიკური ცვლეტი შედეგად აღნიშნულმა ფორმებმა დაკარგა პირველადი მნიშვნელობა და ალერსობითობის ემოციურ სიგნალად იქცა. დესემანტიზაციის პროცესი, რომელიც ნებისმიერი ენის დამახასიათებელი პროცესია, ბევრ მოვლენას შეეხება, მათ შორის „ზმნადალექილ“ ფორმებსაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ უკანასკნელთა სტატუსის განსაზღვრაში არავითარი წინააღმდეგობა არ არის. სახეზეა მოვლენის განვითარების ორი სტადია, როდესაც დესემანტიზაციის პროცესში მოხდა გარკვეული სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი სტრუქტურის მისი თანმდევი ზოგადი ემოციური მუხტით ჩანაცვლება.

ხშირად მიმართვის საალერსო ფორმები თავიანთ ფუნქციას იცვლიან. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მსმენელი წარმოთქვამს მათ მოსაუბრის მიერ წარმოთქმული წინადადების მიმართ გაოცების, აღფრთოვანების ან რაიმე სხვა გრძნობის გამოსახატავად - *გენაცვათ!, დედა!* (აბულაძე და ლუდენი 2013). ქართული ენა

ხასიათდება კომუნიკაციის ორივე მონაწილის - მსმენელისა და მოსაუბრის ორმხრივი ჩართულობით საკომუნიკაციო აქტში. მსმენელი მუდმივად აგრძნობინებს მოსაუბრეს, რომ ის მას უსმენს, თანაუგრძნობს, „მისდევს ინფორმაციულ ჯაჭვს“, ლოცავს ან სულაც ამაყობს მისით:

- გუშინ საფულე მომჰარეს!
- დედა!

ან

- გამოცდაზე შემაქვს, რა კარგი გოგო ხარო!
- ჭირიმოს შენ ბებია!

მიმართვების ასეთი ფუნქციით - კომენტარის შემცველი სიგნალებითა და უკუკავშირის ქცევით ისეთი საალერსო ფორმები გამოიყენება როგორცაა *გენაცვალე* (და მისი სიტყვაფორმები), *ჭირიმე* (და მისი სიტყვაფორმები), *შემოგველე* (და მისი სიტყვაფორმები).

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ქართულ ენაში მიმართვის საალერსო ზმნური ფორმები, როგორცაა: *გენაცვალე*, *შემოგველე*, *ჭირიმე*, *გეთაყვანე* და *შენი კვნესამე* და სხვ. (ზღრ. მეგრულში *ქოგვალე* - შემოგველე, *თოლიგე* - თვალისჩინად შემოგველე, *შურიგე* - შენს სამშვინველს შემოგველე) ქართული ენის უნიკალურობაზე მეტყველებს და მის ეთნოსპეციფიკურ ხედვას გამოხატავს.

ისინი ობიექტური წყობის ზმნის II პირის ფორმებია. *გენა*, *გეთაყვა* კი ფორმის *გეთაყვანე* ჩამოკვეცილი სახეებია. ერთ სიტყვად დალექილი ფორმულებია *გენაცვალე* და II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის შემცველი კონსტრუქცია *შენი ჭირიმე* (აფრიდონიძე 2003). შ. აფრიდონიძის თანახმად, სიტყვა *ჭირიმე* მახვილის გავლენით კონდენსირებული ფრაზაა და ის შემდეგნაირად გვისახავს ამ პროცესს: *შენი ჭირი მე მქონდეს/მომცეს [ღმერთმა] > შენი ჭირიმე > ჭირიმე*. ზმნადალექილი ტრადიციული საალერსო ფორმულებია: *გენაცვალე > გენა(ცვა); გეთაყვანე! > გეთაყვა*.

საალერსო სიტყვა-ფრაზების კორპუსული ანალიზის დაწყებამდე დადგა საკითხი ტერმინის ვარიანტულობის მიმართ. ჩაითვალოს თუ არა ტერმინის ვარიანტები ერთ ტერმინად? ან ცვლის თუ არა ნაცვალსახელის დამატება მოცემული ტერმინისადმი მის სემანტიკას (მაგალითად: შენი ჭირიმე/ჭირიმე) და უნდა ჩაითვალოს თუ არა ის ერთ ერთეულად? მასთან სავარაუდო პრობლემის თავიდან არიდების მიზნით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ისინი ორ ტერმინად ჩაგვეთვალა. ყოველი ცალკეული, შესაძლებელი ვარიანტი ცალკე ფორმად მივიჩნიეთ. შემდგომში, ყოველი ერთი კონკრეტული ფორმის ყველა ვარიანტი გავაერთიანეთ და ჩავთვალეთ ერთ ფორმად:

	ყველა ვარიანტის რაოდენობა	ვარიანტთა შეკრებილი რაოდენობა
მიმართვის საალერსო ფორმები (სულ)	> 50	>15

ცხრილი 9. საალერსო ტერმინთა რაოდენობა ქართულ დიალექტურ კორპუსში

გენაცვალე. სიტყვა *გენაცვალე* ქართულ ენაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მიმართვის ფორმაა. მისი ეტიმოლოგია გულისხმობს მოსაუბრის სურვილს, გაიზიაროს ადრესატის ჭირი. ფორმამ „ცვეთა“ განიცადა რედუქციების სახით და დღესდღეობით მას სულ მცირე 14 სიტყვაფორმა მოეპოვება:

- | | | |
|-----------------|----------------|-----------------|
| 1. გენაცვალე | 6. გენაცვალა | 11. გენაცვალოს |
| 2. გენაცვალეზი | 7. გენაცვა | 12. გენაცვალოსო |
| 3. გენაცვალეზიო | 8. გენაცვათ | 13. გენა |
| 4. გენაცვალევი | 9. გენაცვალეო | 14. გენავ |
| 5. გენაცვალეთ | 10. გენაცვალოდ | |

ცხრილი 10. *გენაცვალე* სიტყვის სიტყვა-ფორმები.

სიტყვაფორმა *გენაცვალოდ* არქაული ფორმაა. დღესდღეობით, ეს ფორმა ახალ ქართულში თითქმის აღარსად გვხვდება. ძირითადად, ის დამახასიათებელი იყო მეტყველებისთვის აღმოსავლეთ საქართველოში. ხშირად გვხვდება შაირებსა და ფოლკლორულ თხრობაში.

*ა) გენაცვალოდ დედაო,
რა ლამაში მყევხარო,
რაც გინდა ძველი ჩაიცო,
მაინც მოვიხდებო.*

(ანაბაჯი, სატრფიალო შაირები)

*ბ) მემრე მამამთილ მიჰხედა, ჰნახა საბრალო კვდარია, აილო, გულში ჩაიკრა,
შენ გენაცვალოდ რძალია.*

(ხოდაშენის ისტორია, შელოცვები)

*გ) წავიდეთ, გენაცვალოდ მამა, დაბალ ბუჩქ-ჯაგეფში სადმე ვიპოვნო ბუდე და
იქიდან ამოვიღებ კვერცხეფსო.*

(ოქროს დედალი, ქართული დიალექტოლოგია)

განვიხილოთ *გენაცვალე* ფორმის სიტყვაფორმების სტრუქტურული აგებულება. როგორც უკვე ვახსენეთ, ფორმა *გენაცვალე* ერთ სიტყვად დალექილი საალერსო ფორმაა, რომლის საწყისი ფორმულაა *შენ გენაცვალე მე*. *გენაცვალე* ზმნა-დალექილი საალერსო ფორმულის წოდებითი ბრუნვაა; მორფოლოგიურად - ყოფილი ზმნა. *შენ გენაცვალე* - ზმნის მყოფადი ფორმაა. *გენაცვალე* - ზმნა-დალექილი საალერსო ფორმულის წოდებითი ბრუნვაა მიუხედავად იმისა, რომ ის ემთხვევა მე-3 პირის ნათქვამის რეპროდუქციულ ფორმას (-ო); სინტაქსურად - ყოფილი ზმნა. *გენაცვა* - *გენა-გენავ* - ასევე ზმნა-დალექილი საალერსო ფორმულეებია. *გენაცვათ* წარმოადგენს ზმნა დალექილ საალერსო ფორმულას მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ობიექტურ ნიშანთან ერთად.

გენაცვალე ფორმის სხვა დანარჩენ სიტყვაფორმებს წარმოადგენენ: *დედა გენაცვალა*; *დედა გენაცვალოს* (მყოფადი); *დედა გენაცვალოდ* (აღმ. საქართველო).

ჭირიმე. სიტყვა *ჭირიმე* ქართულ ენაში ასევე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართვის საალერსო ფორმაა. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში მისი პოზიციერება 1000-ს აღემატება. აქედან 700-ზე მეტი მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთან *შენი (თქვენი)* კოლოკაციაში გვხვდება. მას მოეპოვება სულ მცირე 5 სიტყვაფორმა:

ჭირიმე
ჭირიმეთ
ჭირიმენ
ჭირიმეო
ჭირიმოს

ცხრილი 11. *ჭირიმე* სიტყვის სიტყვა-ფორმები

ფორმა *ჭირიმე*, მიმართვის სხვა საალერსო ფორმებისგან განსხვავებით, მეტი მოქნილობით გამოირჩევა, რადგან ის ხშირად გვხვდება სხვადასხვა სიტყვათშეხამებაში, რომელთაგანაც ყველაზე უფრო გავრცელებულია *შენი გამჩენის ჭირიმე* და *შენი მარჯვენის ჭირიმე*, თუმცა ის ნებისმიერი სახელის კუთვნილებითი ბრუნვის ფორმასთან შედის კოლოკაციაში და ამ სახელის საქებარ თვისებაზე მიუთითებს და ხოტბას ასხამს - *ჭირიმე გუთანო*; *მიხედვ-მოხედვის ჭირიმე*, *დედაკაცობის ჭირიმე*, *სულის ჭირიმე* (ასევე, *სულში ჭირიმე*), *ვაჟკაცობის ჭირიმე* და ა.შ.

საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს სიტყვათშეხამება *შენი (თქვენი) გამჩენის ჭირიმე* - ეს ფორმულა უმეტესწილად მშობელს/მშობლებს ასხამს ხოტბას, ანუ მიმართვის ამ საალერსო ფორმას ორი ადრესატი ჰყავს: - პირველი - საუბრის უშუალო მონაწილე, ანუ თანამოსაუბრე, და მეორე - ადრესატის მშობელი, რომელსაც მისი შვილის კარგად აღზრდისთვის აქებენ:

„თქვენი გამჩენის ჭირიშე, ქართველო დედაკაცებო ... თუ მეტნი არ არიან კაცებზე, ნაკლებათ კი აღარ ითქმის“.

თუ სიტყვათშეხამებაში უსულო სახელია ნახსენები, მაშინ ხოტბის საგანი მისი შემქმნელია ან ღმერთი:

*„გლესავ და გლესავ, ხანჯალო,
ამოვიფერავ გულსაო...
შენი გამჩენის ჭირიშე,
ვინც რომ შენ გამოგჭედაო!“*

(აკაკი წერეთელი, „ხანჯალს“)

შემოგველე. შემოგველე ფორმის ეტიმოლოგია მეტად საინტერესოა, რადგან ის უკავშირდება ერთ-ერთ უძველეს ტრადიციას, რომელსაც შემდეგნაირად განმარტავენ:

„ეს გამოთქმა წარმოიშვა შემდეგი ადათიდან: ძველად, თუ ვინმე ავად გახდებოდა და ოჯახის წევრებს თუ ეგონათ, რომ მოკვდებოდა, ავადმყოფის სიკვდილისაგან დასახსნელად ოჯახის წევრები თავს ევლებოდნენ, რომ ავადმყოფის მაგიერ თვითონ შეგებებოდნენ სიკვდილს და თვითონ კი სწირავდნენ ავადმყოფის გასაგონად“ (გრიშაშვილი 1997, 304).

ზოგიერთი წყაროს მიხედვით კი, ცხოველს შემოავლებდნენ ავადმყოფს გარშემო იმ რწმენით, რომ სწელება ცხოველს გადაეცემოდა და ავადმყოფი გამოჯანმრთელდებოდა. შემდგომში, ამ ცხოველს მსხვერპლად სწირავდნენ. მისი ერთ-ერთი სიტყვაფორმა *თავს შემოგველეები* ნიშნავს: „მზად ვარ შენი ყოველგვარი გასაჭირი და ავადმყოფობა ვიტვირთო, თავსაც კი გავწირავ შენთვის“.

ფორმა *შემოგველე* შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი ვარიაციებით: 1. *შემოგველე*; 2. *თავს შემოგველე*; 3. *შენ შემოგველე*; 4. *შემოგველოს* + [ადრესანტი]; 5. *შემოგველე* + [საზოგადო სახელი ან სახელმწიფო -ში თანდებულით]:

ბებია. *შენ გენაცვალოს ბებიაშენი ...*

*ქეთათო... კალაქი ოლასი გლამი, ელთი წიქა მანონი, ნაქევალი ცაის კოვძი
სოდა, ოლი სუფლის კოვძი კაკაო და კავა...*

*ლია დეიდა. (იყინის) შენ შემოგველე მაგ „კავაში“! ყ-ს ვერ ამბობ, ხო?! ყ ალ
სეგიძლია, ქო?!*

ავთო. ვერ ამბობს და ისა კიდე... თქვი, ბაბუ ყავა.

ქეთათო. კავა!

(ლაშა ბულაძე, „ქეთათო“)

საინტერესო შემთხვევაა *შემოგველოს* + [ადრესანტი]. ეს ინვერსიული ფორმა, ძალზე ხშირად, ახლო ნათესავების მიერ გამოიყენება ხშირად ასაკით უმცროსი ნათესავის მიმართ (შვილი, შვილიშვილი და სხვა).

*მახსოვს, ადრე მისი ნაყოფი ბებიას ზამთრობით თბილისში ჩამოჰქონდა,
დილით რკინიგზის სადგურიდან მოსული, სოფლის სურნელად აყვავებული
და დაღვრილი, გულში ჩამიკრავდა, მუშტისოდენა ცივ, შეუხედავ, შემჭკნარ
ვაშლს ლოგინში შემომიგორებდა და მეტყოდა:*

*– აგი, ნენა, შენი ეზოს ხაზარულაა, კია ალმასხანას დაფინოსავით
დაპრანჭული, მაგრამ მაგის უკეთესს ვერაფერს მოიხილავ უზმოზე, ჭამე,
შენ შემოგველოს შენი ბებია...*

მართლაც უგემრიელესი იყო ეზოს ხაზარულა.

(ნოდარ დუმბაძე, „ხაზარულა“)

მისი რეფლექსური სიტყვაფორმაა *შემოგველოს* + [ჩემი თავი]:

*– ბატი კუხმაყვალის წვენში ჩააწყვეთ. საცივს ტერეზას ვავაკეთებთ. შენ რომ
საცივის ვაკეთება იცი, ტერეზა, შენ შემოგველოს ჩემი თავი, იმისთანა
არსად არ მიჭამია!*

(ლიტერატურული პალიტრა, ქვევ)

არსებობს შემთხვევებიც, როდესაც კოლოკაციის მეორე ნაწილი საკუთარი სახელია. ხშირად ასეთი კოლოკაცია ადრესატისადმი ტრფობის ინდიკატორია.

– ეონა, გოგო, ველარ გამიძლია უშენოდ, გენაცვალე! – ნასჩურჩულა გზაზე აღელვებულმა ახალგაზრდამ.

ეონასაც ტკბილად მოესმა ბიჭის სიტყვები; ისე გამოაცოცხლა იგი ამ მიაღერებამ, როგორც გვალვისაგან ჩამჭკნარი რამ ყვაველი ცივმა წყალმა.

– თავს შემოგვევლოს შენ შენი ეონა! –ოდნავ მოესმა ბიჭს ხმა მაცოცხლებელი.

(ვასილ ბარნოვი, „თებერას დანიშნული“)

ფორმა შემოგვევლე ჩამოთვლილი მისივე სიტყვაფორმებიდან, ქართული ეროვნული კორპუსის მონაცემებზე დაყრდნობით ყველაზე გავრცელებულია. ქართულ ეროვნულ კორპუსში მისი პოზიციების სიხშირე 400-მდეა რომელიც მოიცავს 10-მდე ყველაზე პოპულარულ კოლოკაციას შემოგვევლე ფორმის შემცველობით. მათ შორის რამდენიმეს წარმოვადგენთ შემდეგ ცხრილში:

სიხშირე	კოლოკაცია
59	შენ შემოგვევლე
11	თავს შემოგვევლე
1	შემოგვევლე მაგ...
1	შემოგვევლე რა
1	თავ შემოგვევლე

ცხრილი 12. შემოგვევლე სიტყვის კორპუსული მონაცემები

გეთაყვანე. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გეთაყვა ობიექტური წყობის ზმნის II პირის სრული ფორმაა. ფორმა სავარაუდოდ სიტყვისგან თაყვანი უნდა

მომდინარეობდეს, რომელიც, თავის მხრივ, მიღებულია თავ + ყანის + ცემ-ისაგან (მეტათეზისის შედეგად: თავის ყანაზე (=მიწაზე) ცემა). *გეთაყვა* კი ფორმის *გეთაყვანე* ჩამოკვეცილი სახეებია. ქართულ ენაში ფორმა *გეთაყვანე* ხშირად ფორმის *გენაცვალე* ეკვივალენტურია გამოყენების და მნიშვნელობის თვალსაზრისით. სრული ფორმა *გეთაყვანე* ინტიმური ფორმაა და მას ხშირად ახლობელ ადამიანებთან მიმართ იყენებენ ალერსის გამოსახატავად.

რაზედ ვაცხარდი, შენ გეთაყვანე! - *მიატანა ლუარსაბსა ცოლმა.*

(ილია ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანი?!“)

მის შემოკლებულ ფორმას *გეთაყვა* უფრო ფართო გამოყენება აქვს. იგი თხოვნის აღმნიშვნელი სიტყვის „გთხოვთ“ ნაცვლადაც გამოიყენება:

შვილო ტატე, დაბრუნდი! კნიაზ ზაალ, გეთაყვა, დაადევნე ვინმე, თორემ ჩამოვარდება და დამღუპავს.

(მიხეილ ჭავჭავაძის მიხედვით, „არსენა მარაბდელი“)

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში სიტყვა *გეთაყვანე*-ს პოვნის სიხშირე 30-ზე მეტია, რაც არც ისე დიდი რიცხვის მაჩვენებელია. მოცემული კოლოკაციებიდან ყველაზე ხშირად გამოყენებულია *შენ გეთაყვანე* (სიხშირის ინდექსი: 10).

შენს არეს აფენს სურნელს სუმბული;

შენთვის ბიბინებს თვით მღელღო მწვანე,

... შენ გეთაყვანე! ...

შენსკენ ისწრაფვის ობოლი გული,

სული იტანჯვის სევდით მოცული;

(მარინა ბუზუკაშვილი, „უსახლკარო არქივის ნარჩენები“)

აღმოჩნდა, რომ ფორმა *გეთაყვა* ბევრად უფრო გავრცელებული ფორმაა, ვიდრე მისი სრული ფორმა *გეთაყვანე*, როგორც ამას კორპუსი გვიჩვენებს: სიხშირის მაჩვენებელი +400 (ქეეკ).

ქართულ ენაში მიმართვის ალერსობით ფორმებს, განსაკუთრებით ხშირად კი ფორმებს *გენაცვალე* და *გეთაყვანე* (ასევე, მათ ჩამოკვეცილ ფორმებს) შეუძლიათ ეგრეთ წოდებული სიტყვა-პარაზიტის ფუნქციაც შეასრულონ. მათი პოზიციერება წინადადების შუაში ან ზოგად შეკითხვაზე პასუხში ორი მიზნით არის განპირობებული. პირველი, ისინი მოსაუბრისთვის „უხერხულ“ სივრცეს ავსებენ:

... და მეეტლევი, თუ მათ ალერსს ვერ ველირსე, გეთაყვანე,

საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე ...

(გალაკტიონი, „გურიის მთები“)

მეორე, სტატუსით უფროსთან საუბარში ხშირად თანამოსაუბრეები საუბრის „თავაზიან“ ფორმებს მიმართავენ, რაც გულისხმობს ქართულ ენაში მეორე პირის მრავლობითი რიცხვის *თქვენ* ნაცვალსახელის, ჰონორიფიკების, ანუ პატივისცემისა და შეფასების გამომხატველი ტიტულებისა და ზმნის თავაზიანი ფორმების გამოყენებას, რაც დეფერენციის, ანუ ბრაუნისა და ლევენსონის ერთ-ერთი ზე-სტრატეგიის უარყოფითი თავაზიანობის მარკერებს წარმოადგენენ. ასეთ საუბრებში, ქართულენოვან სივრცეში, ხშირად მიმართვის საალერსო ფორმებია ჩართული, რაც გარკვეულ სტილისტიკურ პარადოქსს ქმნის - ადრესანტი ცდილობს, პატივისცემა გამოხატოს ადრესატის მიმართ, რაც მათ შორის არსებულ სოციალურ სიშორეს ეფუძნება, და, ამავე დროს, მოიპოვოს მისი კეთილგანწყობა მიმართვის დადებითი თავაზიანობის მარკერების - მიმართვის საალერსო ფორმების გამოყენების გზით.

სტრატეგიების ასეთ შეზავებას ასევე ადგილი აქვს შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემისას, სადაც მიმართვის საალერსო ფორმა მყისვე მოჰყვება უარყოფით ნაწილაკს ეფექტის შესარბილებლად:

მე კი ვერ შევხედავ, მე თვალებს დავხუჭავ და შენ გასინჯე - უი, არა, გეთაყვანე, შენ თითონა ჰნახე, მე დავხუჭავ თვალებსა.

სტრუქტურულად მსგავსი შემთხვევები ხშირად ადრესატისადმი ირონიასაც გამოხატავენ:

ჩემი ამ ჩვეულებით ხომ არ შეგანუხებთ? - არა, გეთაყვა, შეგიძლიათ ოთხივე ფეხი შემოაწყოთ.

შენი კვნესამე. მიმართვის ფორმა *შენი კვნესამე* საალერსო ფორმების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც დღესდღეობით, ახალ ქართულში, უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენება. ეს ფორმა უმეტესად ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი. მნიშვნელობით ის ძალიან ახლოს დგას *შენი ჭირიმე* ფორმასთან. *შენი კვნესამე* ფორმის სემანტიკა გულისხმობს ადრესატის ჭირის გაზიარების სურვილს.

კესანე, შენი კვნესამე,

სევდა შეგატყვე კილოში, –

პატარა, მორცხვო ყვავილო,

გაზრდილო საინგილოში.

(გიორგი ლეონიძე, „კესანე“)

თავდაპირველი ფორმა, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო *შენი კვნესა მე მომცეს* (*ღმერთმა*). დროთა განმავლობაში ეს ფრაზა ჩამოიკვეცა ზმნის ხარჯზე და დარჩა მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი და ობიექტურ ნაცვალსახელთან შეზიარებული დამატება. გავრცელებულია მისი სამი ეკვივალენტური ფორმა: *შენი კვნესამე*, *თქვენი კვნესამე* (თავაზიანი ფორმა) და *მავ შენი გულის კვნესამე* (გავრცობილი კოლოკაცია). ქართული ენის ეროვნულ კორპუსში მისი პოვნირება აღემატება დანარჩენი ეკვივალენტური ფორმებისას:

პოვნირება/სიხშირე	კოლოკაცია
+ 60	შენი კვნესამე
4	თქვენი კვნესამე
1	[მაგ შენი] გულის კვნესამე

ცხრილი 13. კვნესამე სიტყვის და მისი კოლოკაციების პოვნირება ქვეკ-ში.

გავრცობილი კოლოკაცია ამ ჩამოთვლილი ფორმებიდან ყველაზე ნაკლებად გავრცელებულია.

" მაგ შენი გულის კვნესამე,

ყინვამ შეიპყრო ნამქერი,

საქართველოდან შორს თუ ვარ,

განა, აღარ ვარ ქართველი?! "

(თეა მოსია, უცხო ქვეყანაში ქართულ საქმეს ემსახურებიან)

ქართულ ენაში მოკლე პასუხის გაცემისას ხშირად გამოიყენებენ მიმართვის ალერსობით ფორმებს. მოკლე პასუხი დეფერენციის მაჩვენებელია, რასაც ხშირად მოსაუბრეები მიმართვის ალერსობით ფორმების დართვით „არბილებენ“.

– *შენ ვილას ბაღლი ხარ?*

– *მე არახვეთელი გახლავარ, შენი კვნესამე, – მოვუქციე მთიულურად,*

– *ბურულიან იაკობასი.*

– *მოჯამავირედა ხარ, თუ ცხორი გყავს დამიარებული? – კიდევა მკითხეს.*

– *ცხორი, შენი კვნესამე, – მივეც პასუხად.*

(ალექსანდრე ყაზბეგი, „ნამწყემსარის მოგონებანი“)

ქართულ ენაში მიმართვის სხვა ზმნური წარმოშობის საალერსო ფორმებია *ჭირი მოგჭამე, წამლად დაგედე (დაგაყენე)*, ამ ფორმებს ზემოთ ხსენებული ზმნური საალერსო ფორმების მსგავსი მნიშვნელობები აქვთ და ყველა მათგანი ადრესატის ჭირის გაზიარების, ადრესატის ადვილზე ყოფნის ან მისი ავადმყოფობისგან მორჩენის სურვილს გამოხატავს. მიმართვის ფუნქციის გარდა, ისინი დალოცვის მნიშვნელობითაც გამოიყენება: *ბარაქა შენს ცხორსა! უფალმა გილხინასთ!* (შდრ. ინგლ. *God bless you!*)

ქართული ენა, როგორც უკვე ვახსენეთ, იმ ენათა კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც სატრფოთა შორის ღიად სიყვარულის გამოხატვა აკრძალული იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში კულტურულ-რელიგიური ფონით განპირობებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამო, თუმცა, მეორეს მხრივ, ქართულ ენაში ხშირია უსულო საგნების მიმართ დადებითი გრძნობის/სიყვარულის/ აღფრთოვანების გამოხატვა.

– *ჰოი, შენ კი გენაცვალე!*

– *ვის ეალერსები, დეიდა?*

– *ჰხედავ, ეზოში ცაცხვი როგორ მწვანედ ხასხასებს!*

– *მშვენიერო, სასურველო, ტკბილო და საყვარელო! აი, შე კამკამა სხივით გაზრდილო! – იტყოდა და მოეხვეოდა ფანჯარასთან მდგომ წითელ ვარდს და წყალს დააპკურებდა.*

(გიორგი ლეონიძე, „დეიდა მაიკო“)

კორპუსული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საალერსო ფორმების მაჩვენებელი წყაროები ძირითადად მეოცე საუკუნეს მიეკუთვნება, მაგრამ რაკი ხალხურია, ძველიდან (ან უფრო ადრინდელი) ფორმულიდან მომდინარედ უნდა ვიგულოთ. მათი გამოყენება უფრო და უფრო იშვიათი ხდება. ასევე უფრო მწირია გამოყენებული ფორმების ვარიანტები. თუმცა, წყვილთა შორის გამოყენებული მიმართვის საალერსო ფორმები გამრავალფეროვნების პროცესს გადიან, რაც, სავარაუდოდ, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და სოციალურ ცვლილებებს უნდა მივანეროთ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფუნქციონალური თვალსაზრისით მიმართვები შეიძლება ორი სახის იყოს: არაშეფასებითი (რომლებიც მხოლოდ ასახელებენ ადრესატს) და შეფასებითი (ადრესატის ყურადღების მიქცევის და მისი დამახასიათებელი თვისებების განმსაზღვრელი). საალერსო მიმართვის ინტერპრეტაციისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგნობრივ-ცნებით სუბსტრატს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ეთნოენობრივ ცნობიერებასთან და წარმოადგენს მოვლენათა სპეციფიკურ ხედვას, რომელშიც იკვეთება კულტურის მეტაფორული აზროვნება.

ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა მაია ჩხეიძის ნაშრომი „ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა“, რომელშიც ავტორი ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური ველისა და ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემის სტრუქტურირების საკითხებთან ერთად განიხილავს ემოციური შინაარსის შემცველი ერთეულის ინტენსიურობის ხარისხის შექმნის ფაქტორებს (ჩხეიძე 1992, 120). ავტორი გამოყოფს დადებითი ემოციური დამოკიდებულების აღმნიშვნელ ერთეულთა ჯგუფს და იმ სიტყვა-იდენტიფიკატორებს, რომლებიც, მსმენელის აღქმიდან გამომდინარე, ღირებულებასა და „წონას“ განსაზღვრავს მათ სტრუქტურაში. მ. ჩხეიძე ისეთ სიტყვებს როგორცაა *გენაცვალე/ჭირიმე* ათავსებს თავგანწირვის ზონაში, სიტყვებს *შემოგველე* კი აქტივობის ზონაში, *სიცოცხლე/სული* - სიცოცხლისთვის არსობრივად აუცილებელ ნიშანთა ზონაშია, *ხატი/ღმერთი/ანგელოზი* - რწმენასთან დაკავშირებულ შინაარსთა/ღვთაებრივი სინმინდის ზონაშია, *სიყვარული/სიხარული/ოცნება* - სულიერი სწრაფვის/განცდის ზონაა, ფიზიკურ-მატერიალური ღირებულების ზონაშია *მარგალიტი/ძვირფასი/უტკბილესი*, ხოლო არამატერიალური ღირებულების ზონაშია მოთავსებული *სატრფო/სანატრელი, სასურველი*. ავტორი ასევე გამოყოფს სოციალური სტატუსის (დედოფალი), ზღაპრულ-მითოლოგიურ შინაარსთა (ფერია), სათამაშოების (თოჯინა), ფრინველებისა და ცხოველების (მტრედი), სიჰატარავის (ცეროდენა), ფიზიკური თვისებების (ხატულა), ოჯახური მიმართების აღმნიშვნელ სახელთა (შვილი), ფსიქოლოგიური თვისებების (ცელქი), მოქმედების (ჭიკჭიკი) ზონებს. ამ კვლევაში მოცემული თითქმის ყველა სიტყვა-იდენტიფიკატორი მიმართვის

აღერსობით ფორმულებში გვხვდება სწორედ იმ სემანტიკური სტრუქტურის გამოვლინებით, რომელსაც ავტორი გვთავაზობს. ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დადებითი ემოციების აღმნიშვნელ ერთეულთა სემური ანალიზის დროს გამოიკვეთა იგივე სურათი, რაც ინგლისურში, რუსულსა და ფრანგულში (ჩხეიძე 1992, 120).

აღნიშნულ ნაშრომში მოყვანილ სემანტიკური იდენტიფიკატორები ქართული სააღერსო მიმართვების აღწერისათვის მნიშვნელოვანია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთი მათგანის გამოყენება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ე.წ. „თავგანწირვის ზონას“, რომელსაც სხვა ენებში ანალოგი არა აქვს:

- თავგანწირვის ზონაში შევა *გენაცვალე/ჭირიმე/შემოგვევლე/შენი კვნესამე* და ა.შ.;
- სიცოცხლისთვის არსობრივად აუცილებელ ნიშანთა ზონაშია *სიცოცხლე/სული* - სადაც შევა სააღერსო მიმართვები: *სიცოცხლე (ჩემო), სულიკო*;
- რწმენასთან დაკავშირებულ შინაარსთა/ღვთაებრივი სინწინდის ზონაშია: *ხატი/ღმერთი/ანგელოზი-ღვთაება* (შესაბამისი სააღერსო მიმართვებით)
- სულიერი სწრაფვის/განცდის ზონაა *სიყვარული/სიხარული/ოცნება* და შესაბამისი სააღერსო მიმართვები: *სიყვარულო/სიხარულო/ოცნებავ*
- ფიზიკურ-მატერიალური ღირებულების ზონაშია: *მარგალიტი/ძვირფასი/ოქრო*;
- ზღაპრულ-მითოლოგიური შინაარსის (ფერია) ზონას, ჩვენი აზრით, უპრიანია დაემატოს ცნობილი ადამიანების, მხატვრული ნაწარმოებებისა და ფილმების პერსონაჟთა სახელები: *ღვთაებავ, ანგელოზო, რომეო, ვარსკვლავებიჭუნა, არსენა, გმირო* და ა.შ., რომლებიც პრეცედენტული სახელების ველს ქმნიან და კულტურის შიგნით არსებულ ღირებულებებს ასახავენ;
- სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ფორმები (დელოფალი, პრინცესა, პრინცი, ბატონი (*ჩემო ბატონო*)) ასევე გვხვდება აღერსობით მიმართვებში;

- გარკვეულ ჯგუფს შეადგენს ქცევის სემანტიკასთან დაკავშირებული მიმართვები: ფანცქალა, ჭიკჭიკა, ფაქიზო;
- ბავშვთან ასოცირებული მიმართვები : პატარა, ნამცეცა, ცეროდენა;
- სიამოვნების წყაროსთან და განსაკუთრებით საკვებთან ასოცირებული მიმართვები : თათლო, მურაბა (კაცო), ფუნთუშა, ჭივრის ყაურმა;
- ადამიანის სომატოსფეროსთან და ფსიქოლოგიურ თვისებებთან ასოცირებული მიმართვები: გულო, თვალუუუნა, ჭიგარო (ფამილარულია), ცელქო;
- ბუნების მოვლენებთან შედარება: მზეო, ვარსკვლავო;
- ფიზიკურ თვისებებსა და გარეგნობასთან დაკავშირებული მიმართვები: მშვენიერო, ლამაზო, ხატულა;
- აბსტრაქტული სახელები: სიყვარულო, ოცნებავ;
- ბიონიმები, სადაც შედის ზოონიმები (ცხოველთა): მამაკატა ალსანიშნად – ლომო, ვეფხვო, ქალთა ალსანიშნავად – ბაჭია, ფისო, ფრინველთა (ორნითონიმები) - მერცხალო, გვრიტო, ფლორონიმები: ვარდო, ია და სხვ.

საინტერესოა, რომ ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება რამდენიმე ჯგუფში მოხვდეს. მაგალითად, მიმართვა „სიყვარულო“ შეიძლება შევიდეს როგორც აბსტრაქტული სახელების ზონაში, ასევე სულიერი სწრაფვის/განცდის ზონაშიც. აქედან გამომდინარე ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ეს კლასიფიკაცია აბსოლუტური არ არის და შესაძლოა კიდევ უფრო დაიხვეწოს, რაშიც დაგვეხმარება ქართული მასალის ინგლისურთან შედარება.

2.2 საალერსო მიმართვის სტრუქტურულ-ფუნქციონალური

თავისებურებები ინგლისურ ენაში

როდესაც ვმსჯელობთ ინგლისურ ენაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ის არ წარმოადგენს ერთიან ჰომოგენურ მთლიანობას და სხვადასხვა ვარიანტებითაა წარმოდგენილი მსოფლიოში. პროფესორ კაჩრუს კლასიფიკაციით, ინგლისურენოვანი მოსახლეობა სამი ე.წ. „წრით“ არის წარმოდგენილი. შიდა წრეს შეადგენს ქვეყნები, სადაც ინგლისური მშობლიური ენაა (native language): აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ავსტრალია და ახალი ზელანდია. გარე წრეს მიეკუთვნება ინგლისის ყოფილი კოლონიები: ინდოეთი, სინგაპური, მალაიზია, სამხრეთი აფრიკა, ხოლო გაფართოებადს: ჩინეთი, იაპონია, ისრაელი, საბერძნეთი და სხვ. (კაჩრუ 1992). აღნიშნულმა არაერთგვაროვნებამ ბიძგი მისცა ახალი თეორიის „ვარიანტოლოგიის“ წარმოშობას, რომლის მიხედვითაც ენის ნაციონალური ვარიანტები ხასითდება საკუთარი სუბსტანციისა და სტრუქტურის ძირითადი ელემენტების ინვენტარის სრული ერთიანობით, თუმცა ეს არ ნიშნავს ვარიანტთა იგივეობას. დ.ბროზოვიჩის აზრით, წარმოდგენილია იმის დაშვება „რომ ენას, რომელიც ემსახურება ერთ საზოგადოებას, ერთ ერსა და ერთ კულტურასა და ცივილიზაციას, ერთ მეცნიერებასა და ლიტერატურას იგივე ბუნება ჰქონდეს, რაც ენას, რომელიც იმავე ფუნქციას ორ სხვადასხვა ერს უნაწილებს“ (ბროზოვიჩი 1963, 17). უფრო შორს მიდის გ.მენკენი, რომელიც ამერიკულ ვარიანტს დამოუკიდებელ, ამერიკულ ენად გამოყოფს (მენკენი 1957). ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვერ შევხვებით ინგლისური ენის ყველა ვარიანტს და დავკმაყოფილდებით მხოლოდ ბრიტანული და ამერიკული ვარიანტებით, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში ვისარგებლებთ კვლევებით, სადაც აღწერილია ავსტრალიური და კანადური მიმართვების ტიპებიც.

2.2.1 საალერსო მიმართვის საკომუნიკაციო კოდი და

რესურსები ინგლისურ ენაში

საალერსო სამეტყველო აქტის სტრატეგია განსაზღვრულია ემოციური დაახლოების, ურთიერთგაგების, აღრესატის თვითშეფასების აწევის, მისდამი ინტერესის დემონსტრირებისა და ა.შ. სურვილით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰიპოქორისტიკა გულისხმობს მოდიფიკაციას სახელში, აფიქსაციის ან რედუპლიკაციის გზით, და აღრესატისადმი სიყვარულს გადმოსცემს. ინგლისურ ჰიპოქორიზმებს, ისევე როგორც ქართულში, ახასიათებთ კნინობითი დაბოლოებები და ფამილარობის მარკერები. ჰიპოქორიზმები ინგლისურშიც იწარმოება საკუთარი და საზოგადო სახელებისგან, მათ შორის ნათესაობის აღმნიშვნელი სახელებისგანაც. განვიხილოთ საკუთარი სახელებისგან წარმოებული კნინობითი და შემოკლებული სახელები, რომლებიც ალერსობითობის გამოხატვის ძირითად რესურსს წარმოადგენენ.

საალერსო კოდის ენობრივი მანიფესტაცია სხვადასხვა დონის ერთეულებით ვლინდება. მორფოლოგიური რესურსების თვალსაზრისით ინგლისური საალერსო მიმართვა სამი ძირითადი გრამატიკული კატეგორიით გამოიხატება: არსებითი სახელებით, სუბსტანტივირებული ზედსართავი სახელით და ნაცვალსახელით. განსხვავებით ქართულისგან, ინგლისურ ენაში ზმნა არ წარმოადგენს საალერსო ნომინაციის რესურსს. ინგლისურ ენაშიც მიმართვის ყველაზე გავრცელებული ფორმაა საკუთარი სახელი. მიმართვის ფუნქციის მატარებელი არსებითი სახელები ძირითადად საკუთარი სახელების საკმაოდ მრავალფეროვანი სახით არიან წარმოდგენილნი: შემოკლებული - Pat; სრული - Oliver; საალერსო - Annie, გვართ - Fritz და ა.შ. ფორმით.

მიმართვის საალერსო ფუნქციით გამოყენებულ არსებით სახელებს - ჰიპოქორიზმებს წინამდებარე ნაშრომში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვიხილავთ, როგორც საკუთარი სახელისგან წარმომდგარ იმავე დენოტაციის, მაგრამ მოფერება-ალერსის მიზნით გამოყენებულ სხვადასხვა ფორმალობის (რეგისტრის) მქონე სახელებს (დიმინუტივებს, ანუ სახელის კნინობით ფორმებსა და მეტსახელებს).

ჰიპოქორისტიკა გულისხმობს მოდიფიკაციას სახელში, აფიქსაციის ან რედუპლიკაციის გზით, და აღრესატივადმი სიყვარულს გადმოსცემს. ინგლისურ ჰიპოქორიზმებს, ისევე როგორც ქართულში, ახასიათებთ კნინობითი დაბოლოებები და ფამილარობის მარკერები. ინგლისურშიც ჰიპოქორიზმები იწამოება საკუთარი და საზოგადო სახელებიდან მათ შორის ნათესაობის აღმნიშვნელი სახელებიდანაც. განვიხილოთ საკუთარი სახელებისგან წარმოშობი კნინობითი და შემოკლებული სახელები, რომლებიც ალერსობითობის გამოხატვის ძირითად რესურსს წარმოადგენს. ჰიპოქორიზმების ფუნქციონალურ ანალოგად ხშირად დომინუტივებს მოიხსენიებენ, რაც მხოლოდ ტერმინოლოგიურ და არა შინაარსობრივ სხვაობადაა მიჩნეული. კ.შნაიდერი, რომელიც თავის მონოგრაფიაში თანამედროვე ინგლისურის კორპუსის მასალაზე იკვლევს დომინუტივებს, განიხილავს მათი წარმოების სინთეზურ და ანალიტიკურ გზებს სასაუბრო ინგლისურში. დომინუტივების ფორმირების მორფოლოგიური პრინციპი, რომელსაც კ.შნაიდერი სინთეზურ გზას უწოდებს, მოიცავს აფიქსაციას, რედუპლიკაციას, შეერთებასა და შეკვეცას. მაგალითად, სიტყვები *mini-cruise*, *mini-submarine* or *micro-processor* წარმოადგენს დერივაციულ პრეფიქსაციას, *John-John*, *goody-goody* ჩვეულებრივ, *Annie-Pannie* or *Brinnie-Winnie* რითმულ რედუპლიკაციას. შეკვეცის მაგალითია *Mike* < *Michael*-იდან, *Pat* > *Patricia* -დან, ხოლო შერეული-შეკვეცილ ფორმის კომბინაცია სუფიქს -*ie/-y*-სთან: *football* > *footie* and *Andrew* > *Andy*.

შნაიდერს მოჰყავს დომინუტივების წარმოების ხერხები:

- გრძელი სიტყვის ან შესიტყვების რედუქციით და ბოლოში *-y* ან *-ie* დამატებით, მაგალითად, *movie* ("moving picture"), *telly* ("television") or *Aussie* ("Australian");
- საკუთარი სახელის შემოკლებული ფორმით, მაგალითად, *Tony Anthony*-დან, *Rosy* - *Rosemarie* -დან ან *Vicky* - *Victoria* -დან;
- ბავშვის მეტყველების მიბაძვით, *Bess* - *Elizabeth* -იდან, ან *Bubba* - *brother* -დან;
- დომინუტივის სუფიქსის დართვით საკუთარ სახელზე (შნაიდერი 2003);

დიმინუტიურ სუფიქსთა ინვენტარი მოიცავს: “-a, -aculus, -chik, -cule, -culus, -die, -ee, -een, -el1, -el2, -ella, -ellus, -em, -en, -eolus, -eon, -er, -erel, -ers, -et, -ette, -ey, -ickie, -icle, -icule, -iculus, -idium, -ie, -ikie, -ikin, -il, -illa, -ille, -illo, -illus, -in, -ina, -incel, -ing, -iolus, -ion, -k, -kie, -kin, -kins, -l, -le, -let, -ling, -lot, -n, -nel, -nie, -no, -o, -ock, -ockie, -ol, -ole, -om, -on, -oon, -ot, -podicum, -poo(h), -pops, -r, -rel, -s, -sie, -sky, -sy, -t, -tie, -to, -ton, -ula1, ula2, -ule, -uleus, -ulous, -ulum, -ulus, -unculus, -usculus, -y” (შნაიდერი 2003, 78).

შნაიდერი თვლის, რომ ენის განვითარების პროცესში ზოგიერთი მანარმოებელი სუფიქსი კარგავს თავის აქტუალობას. მისი აზრით, თანამედროვე ინგლისურში შეიძლება გამოიყოს ორი ნაკლებად საჭირო სუბკლასი: 1) ნასესხები დიმინუტიური სუფიქსები, რომელთა მანარმოებელი ფუნქციაც ინგლისურში არაპროდუქტიულია და 2) ორიგინალური დიმინუტიური სუფიქსები, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში იყო პროდუქტიული და დღეს უკვე აღარ არის (შნაიდერი 2003, 79).

არაპროდუქტიულია, მაგალითად, სლავური წარმოშობის სუფიქსები: -chick -sky, და აღარ გამოიყენება ამერიკაში; -et, რომელიც არ დაფიქსირებულა 1960 წლის შემდეგ; -ing და -ock, რომლებიც მხოლოდ ძველ პუბლიკაციებში გვხვდება .

შნაიდერი აქვე გვთავაზობს, რომ სუფიქსების ფონეტიკური ვარიანტები, როგორცაა: -ie, -y, -ey and უმახვილო -ee, ერთ სუფიქსზე დავიყვანოთ. ზოგიერთი სუფიქსი გვხვდება როგორც კომბინაციაში, ასევე დამოუკიდებლად (-ie და -kin) (იგივე).

ენის ანალიტიკური ბუნების გამო ინგლისური ღარიბია საალერსო მნიშვნელობის მანარმოებელი აფიქსებით.

დიმინუტივის მორფოლოგიური წარმოება საკმაოდ შეზღუდულია ინგლისურ ენაში. რომეინი მიიჩნევს, რომ მხოლოდ საკუთარი სახელების დონეზე დიმინუტივის მორფოლოგიური კატეგორია შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი. დიმინუტივები აქტიურად გამოიყენება საკუთარ სახელებში და ირთავენ სუფიქსებს -y/-ie, -ling (მაგ.: Andrew/Andy, Bernard/ Berny, Ernest/Ernie, Nick/Nicky, Gerald/Gerry, Agnes/Aggie, Constance/Conny, Katherine/Kathy, Jacqueline/Jacky, Margery/Margy, Winifred/Winnie. რომეინი ასევე თვლის, რომ ინგლისურ ენაში საკუთარი სახელების კნინობითი ფორმის

წარმოების რამდენიმე ხერხი არსებობს. ერთ-ერთი მათგანია *-ie* და *-y* სუფიქსის დართვა. ეს სუფიქსები შოტლანდიური წარმოშობისაა და მრავალ საკუთარ სახელს ერთვის. იგი მხოლოდ ფამილარულ კონტექსტში გამოიყენება: *John – Johnny; Ann – Annie; Robert – Bobbie; Catherine – Kitty*. ინგლისურ ენაში დიდი ალბათობა არსებობს, რომ ქალს უფრო ხშირად მიმართონ *-ie* ან *-y* სუფიქსით წარმოებული კნინობითი ფორმით, ვიდრე მამაკაცს. სიუზენ რომეინის თანახმად, თუ ზრდასრულ ადამიანს მიმართავენ ფორმით *Chrissie* მეტი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ის ქალია სახელად *Christina* ან *Christine*, ვიდრე მამაკაცი სახელად *Chris* ან *Christopher* (რომეინი 1998):

„... If you want me to call Lillian myself and tell her, I will. ” “ No. It’s okay, Chrissie. I’ll explain it to her. Don’t worry about it. ” As they reached the end of the moving walkway Christine spotted an airport bookstore.“

(ჰოკი 1955)

დომინუტივის მორფოლოგიურ წარმოებას ეხება საბინ ლაპიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ინგლისურ ენაში ჰიპოქორისტიკის ფორმათწარმოების რამდენიმე ხერხი არსებობს. ყველაზე გავრცელებული კი *-y(ie)*-სუფიქსით წარმოებული ჰიპოქორისტიკაა, სადაც მთავარი პროცესია ხმოვნის ცვლილება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ხმოვანთა ცვლილებები დაყოფილია იმის მიხედვით, იცვლება თუ არა ფუძისეული ხმოვანი („დენეიტრალიზაცია“), იცვლება თუ არა ფუძისეული ხმოვნის რაოდენობა (ხმოვნის ტენსინგი და ლექსინგი) და იცვლება თუ არა ფუძისეული ხმოვნის თვისება რაოდენობის უცვლელად (ლაპი 2007):

ჰიპოქორისტიკული ხმოვანი	მაგალითი
არანაირი ცვლილება	Wandie < Wanda
[ა] > სრული ხმოვანი	Patty < Patricia
ლექსინგი (ცენტრალიზაცია და სიმოკლე წარმოთქმისას)	Minnie < Almena
თვისებრივი ცვლილება	Ellie < Alexanda
ტენსინგი (ნაკლები ცენტრალიზაცია და მეტი სიგრძე)	Dody < Dorothy
ლექსინგი	Aleta > Letty
ლექსინგი	Irene > Rennie
ლექსინგი	Amelia > Milly
ლექსინგი	Rica > Ricky
ა	Babby < Barbara
	Sherry < Charlotte
	Bonny < Barbara
აი	Mickey < Michael
ეი	Abby < Abner (Abraham)
	Ebby < Abner (Abraham)
	Jimmy < James
ი	Jenny < Eugene
	Vinny < Elvina
	Fanny < Euphemia
ო	Dorry < Adora
	Larry < Lawrence
აჲ	Conny < Conan
	Saffy < Sophia

ცხრილი 14. ლაპის ჰიპოქორისტიკის ფორმათწარმოების ხერხები (ლაპი 2007)

სხვა მსგავსი მაგალითებია:

Elfrida > Freddy

Obedience > Biddy

Alvina > Vinny

Lorraine > Lorrie

Torrence > Torry

-y(ie)-სუფიქსით წარმოებული ჰიპოქორისტიკაში თანხმონის ცვლილება შემდეგნაირად შეიძლება მოხდეს:

საწყისი სახელი	თანხმონის ცვლილება (ძირითადად ბავისმიერი ფრიკატივებისა)	თანხმონი არ იცვლება
Ruth	Rutie	Ruthie
Martha	Martia	Marthia
Athena	Attie	Athie
Cynthia	Cynty	Cynthy
Bertha	Bertie	Berthie
Nathanial	Nattie	Nathie

ცხრილი 15. თანხმონის ცვლილება -y(ie)-სუფიქსით ფორმათწარმოებაში (ლაპი 2007)

სხვა მსგავსი მაგალითებია:

Nelly < Eleanor, Ellender, Ellen, Hellen;

Nanny < Ann, Anna, Hannah;

Neddy < Edgar, Edmund, Edward;

Bobby < Roberta;

Caddy (Cassie) < Caroline

Mitzie < Miriam

Sallie < Sarah

Dolly < Dorothy

Lolly < Laura

ერთმარცვლიანი შემოკლებული ფორმებია: Floss/Flossy < Florence, Hal/Hallie < Harold, Haralda, Jem/Jemmy < Jeremy, Tess/Tessy < Teresa, Lon/Lonnie < Lawrence, Sal/Sally < Sarah.

ენქორინგი (anchoring) სახელის საწყისი ფორმის სხვადასხვა მარცვლის ნაწილების მიერთებაა სუფიქსთან: Vallie < Vallerie; Goldy < Golda; Sulie < Ursula; Athie < Athena; Cindy < Lucinda; Bettie < Elizabeth.

არსებობს ერთი და იმავე სახელის ენქორინგის ალტერნატიული ფორმებიც:

ფორმა #1	ფორმა #2	საწყისი ფორმა
Allie	Bertie	Alberta
Cassy	Sandy	Cassandra
Cordie	Delia	Cordelia
Mercie	Sadie	Mercedes

ცხრილი 16. ენქორინგის ვარიაციები ჰიპოქორისტიკაში (ლაპი 2007)

არსებობს რამდენიმე ბუნდოვანი წარმოშობისა და მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე სახელებიც: Fanny < Euphemia, Laffy < Lafayette, Ninny < Helen, Jimmy < Jacob, Hatsy < Henrietta, Jacky < Hyacinth, Wendy < Guinevere.

კიდევ ერთი ხერხია -s სუფიქსის დართვა სახელზე. ხშირია მოზრდილი ადამიანის მიერ ბავშვის სახელზე -ie და -y სუფიქსისა და სხვა ისეთი სუფიქსებისა, როგორცაა -kin და -s-ის კომბინირების საშუალებით წარმოებული მიმართვის ფორმების გამოყენება, მაგალითად, Suzan (Suzy) - Suzykins, Simon - Simkin, Paul -

Paulikins. ასეთი წესით წარმოებული ჰიპოქორიზმები მხოლოდ მიმართვის ფორმებად გამოიყენება.

ინგლისურ ენაში არსებობს დომინუტივების ფორმირების ანალიტიკური გზაც. ლექსიკური ერთეულების *little* და *baby-ს* დამატება (ნაკისკონე 2000, 136). როგორც ნაკისკონე აღნიშნავს, ანალიტიკური დომინუტივები, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვა ექსპრესიული მნიშვნელობები გადმოსცენ, ინგლისურში შედარებით უფრო ხშირია, ვიდრე დომინუტივის სუფიქსები. ამგვარ ანალიტიკურ კონსტრუქციებში გამოიყენება ანალიტიკური მარკერები: *little, small, wee, tiny* და სემანტიკურ ველ „*small-ში*“ შემავალი სხვა ზედსართავი სახელები, რათა გამოხატონ ემოცია და სიმცირის მნიშვნელობა (ნაკისკონე 2010).

საკმაოდ გავრცელებულია სახელისა და სიტყვა *little-ის* კომბინაცია, რომელიც წინ უძღვის სახელს და აწარმოებს კნინობით ფორმას:

“And to the angels who don't look like angels, but like small children. No, like a small child, my daughter, Sophie Anne Louise.”

(ბარნსი 1991, XVII)

“- I bet Stuart sees her basically as a good little shopper.”

(ბარნსი 1991, IX)

სახელის კნინობითი ფორმის წარმოების ასეთ ხერხს ანალიტიკურ მეთოდს უწოდებენ. ხშირად კნინობითობის მარკერი სახელის მუდმივი შემადგენელი ნაწილი ხდება, სადაც სიტყვა *little* მთავრული ასოთი გამოიყოფა: *Little Mike, Little Joe*. წინამდებარე ნაშრომის საკვლევ კორპუსში ანალიტიკური გზით წარმოებული საკუთარი სახელების კნინობითი ფორმები მიმართვის ფორმად მრავლად არ მოიპოვება.

ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვნადაა გაგებული ალერსობითობასთან დაკავშირებული ისეთი მოვლენა, როგორცაა **სახელის შემოკლება**. ასე, მაგალითად, შნაიდერის აზრით, **სახელების შემოკლება** გარე-გრამატიკული მოვლენაა და ის უნდა გამოირიცხოს სიტყვათწარმოება/მორფოლოგიიდან. შნაიდერს ამის საფუძვლად შემდეგი მიზეზები მოჰყავს: ა) შემოკლება არ ხდება მორფოლოგიის კანონების მიხედვით; ბ) შეუძლებელია იმის

პროგნოზირება, თუ სად და რა ნაწილი შეიკვეცება; გ) შემოკლების შედეგი ახალი სიტყვები არ არის - ისინი, უბრალოდ, არსებული სიტყვების სასაუბრო ვარიანტებია (შნაიდერი 2003). ამის საწინააღმდეგოდ, მაშუტა სახელების შემოკლებაში თავისებურ სისტემას ხედავს და სახელთა შემოკლების გზებსაც გვთავაზობს: სახელები შეიძლება შემოკლდეს რამდენიმე გზით: მოსცილდეს თავკიდური ან ბოლოკიდური მარცვალი. შემოკლებული სახელები, ჩვეულებისამებრ, წარმოითქმება მჟღერი ხმით. ისინი, როგორც წესი, ნაკლებად ფორმალურია, ვიდრე მათი სრული ფორმები და გამოხატავენ არაფორმალურ/ფაშოლარულ დამოკიდებულებას ადრესატის მიმართ. „ხშირად მიმართვის ფორმად შემოკლებული ფორმის არასტანდარტული ფორმა გამოიყენება და ფორმის არჩევანი ინფორმაციას გვაწვდის მოსაუბრე ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და სასაუბრო თემის შესახებ“, მაგალითად, *Michael – Mike, Patricia – Pat* (მაშუტა 1997, 2).

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია: ალერსობითობის მნიშვნელობა სახელის ფორმის შეკვეცითაც შეიძლება იყოს გადმოცემული: Benjamin/Ben; Albert, Gilbert, Herbert, Hubert/Bert; Desmond/Des; Geoffrey/Geoff; Geffrey/Geff; Joseph/Joe; Leonard/Len; Elizabeth/Lisa, Liza; Gillian/Gill. ის ფაქტი, რომ არსებობს დიმინუტივები, რომელთაც წარმოება ამ წესებს არ ემორჩილება: Richard/Dick; John/Jack; Barbara/Babs; Mary/Mamy, Molly, ვერ გამოდგება იმის უარსაყოფად, რომ აღნიშნული გზა სამეტყველო რეალობას ასახავს და საკმაოდ პროდუქტიულიცაა. ინგლისურსა და ქართულშიც საკუთარი სახელების შემოკლებული ფორმების გამოიყენების პრინციპები არ განსხვავდება. განსხვავებულია მხოლოდ ენობრივი მასალა.

საალერსო მნიშვნელობის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს ინგლისურში წარმოადგენს სახელის რედუპლიკაცია, რაც არ არის დამახასიათებელი ქართული ენისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურ ენაში შემოკლებული კნინობითი ფორმები შეიძლება ინარმოებოდეს ნაწილობრივი ან სრული რედუპლიკაციით. სრული რედუპლიკაცია არსებობს განმეორებითი და რითმული.

როგორც წესი, რედუპლიკაციურ ფორმებში მარჯვენა კომპონენტი სემანტიკურად ცარიელია.

განმეორებითი: John-John

რიტმული: Annie-Pannie; Brinie-Winnie

ინგლისურ ენაში რედუპლიკაციური საკუთარი სახელი მიმართვის ფორმად არა მარტო ფამილარულ, არამედ ფორმალურ კონტექსტშიც გამოიყენება, რადგან ასეთი გზით წარმოებული სახელები ხშირად ერთადერთი ვარიანტია, აქედან გამომდინარე, ის ყოველთვის ალერსობით ფორმად არ აღიქმება:

"Hey, John-John, why do you got two first names?" "Cuz you have to say anything twice to make it true?" "No, that ain't it." "Cuz our parents really meant it when they named me?" "I don't think so." "Maybe it's just a memory device." (Sherman Alexie, "Flight")

საალერსო მიმართვების კიდევ ერთ ნაირსახეობას მეტსახელები წარმოადგენს, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხასიათის კონკრეტული ნიშნის, გარეგნობის, ქცევის, ჩვევების მიხედვით ეძლევათ ადამიანებს. ისევე როგორც ქართულში, მეტსახელები მათი სემანტიკური კომპონენტების შეფერილობის მიხედვით ორ კატეგორიად იყოფა: დადებით და უარყოფით მეტსახელებად, რომელთაც მიმართვაში რამდენიმე ფუნქცია აკისრიათ. „ისინი შეიძლება იყვნენ სახუმარო, დაცინვითი, მოფერებითი, პატივისცემის გამოხატვისა და ნეიტრალური მეტსახელები“ (გოდერძიშვილი 2012, 261). რაც შეეხება დადებით მეტსახელებს, ისინი ალერსისა და ღირებულებების სიმბოლოებია. ხშირად რთულია ხაზის გავლება მეტსახელებსა და საალერსო ფორმებს შორის, რადგან მეტსახელები ალერსის კომპონენტსაც შეიცავენ თავის თავში. საზოგადოების წევრები ხშირად ინდივიდუალურ პირებს მეტსახელებს უქმნიან. მეტსახელები მეტწილად დესკრიფციულია და მოიცავენ პირის ხასიათს, ფიზიკურ მახასიათებლებს და იდიოსინკრაზიასაც (კაპარი 1990, 283). საინტერესოა, რომ დაცინვის შემცველი მეტსახელები ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ პირისგან მალულად გამოიყენება და მიმართვის ფუნქცია არ გააჩნია, თუმცა, როდესაც ადრესანტს

განზრახული აქვს ადრესატის საჯარო შეურაცხყოფა, დაცინვა, მდგომარეობიდან გამოყვანა და ნეგატიური განწყობის შექმნა, შეუძლია მას პირადად მიმართოს მეტსახელით – ისევე როგორც ქართულში, ხშირია „მეტსახელების დუელი“, როდესაც მეტსახელს საპასუხო მეტსახელი მოჰყვება.

განსხვავებით საალერსო მეტსახელისგან, ამგვარი შემთხვევა მოჰყავს სარა შვეალიეს, როდესაც ასაკით უმცროსი გოგონა მეტსახელს *Clare Bear* (< *Clare*) შეაგებებს საპასუხო მეტსახელს *Geoffrey Bear* (< *Geoffrey*) (შვეალიე 2006).

ფუნქციური თვალსაზრისით, ინგლისურ ენაში პირველადი საკუთარი სახელები აპრიორი სახელებია (ნათლობის სახელი, „პირველი სახელი“ (გვარისგან განსხვავებით), შერქმეული სახელი). სწორედ ეს პირველადი სახელები ხდება მეტსახელების წყარო (ლანგენდონკი 2007, 190).

უნდა ითქვას, რომ წარმოების ტექნოლოგიის თვალსაზრისით მოფერებითი მეტსახელები პრინციპულად არ განსხვავდება ჰიპოქორიზმების წარმოებისგან, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება კომუნიკაციის ფსიქო-სოციალური პარამეტრებით, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

საალერსო მიმართვების კიდევ ერთ მნიშვნელოვან რესურსს ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინებიდან ნაწარმოები მოფერებითი სახელები წარმოადგენს. ისევე როგორც ქართულში, კნინობითი სახელები ინგლისურში ძირითადად ასაკით უფროსების ან უფროსი შვილების მიერ უმცროსი ოჯახის წევრების მიმართ გამოიყენება, რასაც ხშირად ვერტიკალური და დამავალი მიმართულება აქვს. შვილები და უმცროსი წევრები უფროსების მიმართ იშვიათად იყენებენ საკუთარი სახელების კნინობით ფორმას, თუმცა არსებობს განსხვავებული შემთხვევებიც.

ქართული ენის მსგავსად, ინგლისურ ენაში ახლო ნათესავების აღმნიშვნელ ტერმინებსაც მოეპოვებათ კნინობითი ფორმები:

Mother - Ma/mam/mammy/mom/momma/mommy/mum/mummy

Father - Da/dad/daddy/pa/pop/poppa

Grandmother - Grandma/gran/grannie

Grandfather - Grandad/granda/grandpa/gramps

Aunt - Auntie

Uncle - Uncie

Son - Sonny

ზემოთ მოცემული ფორმებიდან ნათლად ჩანს, რომ თითქმის ყველა მათგანი, გარდა *Son*-ისა, ერთი ან ორი თაობით უფროსი ნათესაური ტერმინებია.

მიმართვის ფორმები *sissy* და *buddy* წარმოებულია სიტყვებიდან *sister* და *brother*. ამ სიტყვებმა დაკარგეს თავდაპირველი კნინობით-საალერსო ფორმების მნიშვნელობები. პირველი ნაკლებად მამაკაცური მამრობითი სქესის წარმომადგენლისადმი მიმართვის დამცრობითი ფორმაა; მეორე კი, მამაკაცთან საუბრის დროს მეგობრული დამოკიდებულების/სოლიდარობის გამოსახატავად გამოიყენება. ინგლისურ ენაში, ფორმები *sis* და *bro* არ არის მიჩნეული მიმართვის ალერსობით ფორმებად – ისინი შემოკლებული ფორმებია და დადებითი თავაზიანობის ძლიერი მარკერებია, განსაკუთრებით – ამერიკის შეერთებულ შტატებში შავკანიან მოსახლეობას შორის, რაც ისტორიულად მათ მონობისგან გათავისუფლებასა და გაერთიანებას უკავშირდება. ეს ფორმები ჯგუფის შიდა იდენტობის მარკერებია. სხვათა შორის, ნათესაური ურთიერთობის მიღმა მიმართვები *brother* და *sister* უფრო ხშირად გამოიყენება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ინგლისურ ენაში ნტ-ის კნინობითი ფორმების შესაძლო კომბინაციები სრულ სახელთან: *Auntie Elizabeth* და საკუთარი სახელის კნინობით ფორმასთან, რომელიც საკმაოდ იშვიათად გვხვდება - *Auntie Beth*. ქართულ ენაში ასეთი კომბინაციები მისაღებია მიმართვის ფორმად, მხოლოდ არა ნტ-ის კნინობითი ფორმების საშუალებით - *(ბი)ძია დათო, პაპა თედო*.

ქართული ენისგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში ნტ-ის კნინობითი ფორმა იხმარება მხოლოდ მიმართვის რეალური დენოტატის მიმართ, მხოლოდ უშუალოდ

ნათესავების მიმართ გამოიყენება (და ისიც საკმაოდ შეზღუდულად, როგორც წესი, ჩანაცვლდება სახელით), ქართულში კი გაცილებით ფართოა მისი გამოყენება.

გამონაკლისი მხოლოდ *Auntie* და *Uncle (Uncie)* შეიძლება იყოს - ეს ფორმები შეიძლება მიმართული იყოს მშობლების ახლო მეგობრების მიმართ (შნაიდერი 2003). გამონაკლისს ასევე ფორმა *son/sonny* წარმოადგენს, რომელიც უფროსი თაობის მიერ უცნობ და უმცროსი თაობის წარმომადგენელთან გამოიყენება სოლიდარობის გამოსახატავად.

"All right, let's say you are Jesse James. I'm not buying that, but let's say that you are. You're ninety five years old. Just what is it that you think you could do for the army?" Sergeant Kilbride asked. "I can teach' em how to fight behind the lines." "Behind the lines?" Jesse laughed. "Sonny, I spent most of my career behind the lines, be it Yankee lines or the law. There's a lot I could teach your soldier boys."

(William W. Johnstone, "Shot in the back")

ინგლისურშიც ნტ-ის კნინობითი ფორმების გამოყენება მიმართვებში ძირითადად განპირობებულია ნათესაური კავშირის სიახლოვით, ასაკობრივი სხვაობითა და ადრესატის სქესით. ასეთი მიმართვები უმეტესად ბავშვების მიერ ასაკით/თაობით უფროსი ნათესავების მიმართ გამოიყენება. რაც უფრო ახლო ნათესაური კავშირია და/ან დიდი სიყვარულია, ნტ-ის კნინობითი ფორმების გამოყენების მით უფრო მეტი ალბათობა არსებობს (შნაიდერი 2003, 150).

საალერსო მიმართვების კიდევ ერთ გავრცელებულ ტიპს, ისევე როგორც ქართულში, გასუბსტანტებული ზედსართავი სახელები წარმოადგენს, რომელთაც მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი აქვთ სამეტყველო პროექტიკაში (*sweetie, darling, sweet, charming, onlyone, dear, beloved, sweetheart*).

ფორმა *Sweetie*-ს გარდა, რომელიც მხოლოდ ქალების მიმართ გამოიყენება, ყველა დანარჩენ შემთხვევაში გენდერული ფაქტორი არარელევანტურია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმართვაში სახელის ამა თუ იმ ფორმით გამოყენება (სრული სახელი, შემოკლებული სახელი, მეტსახელი, გვარი და ა.შ.) რეგულირდება

მათი ფუნქციონირების სამეტყველო სფეროთი, საზოგადოებრივი გარემოთი, კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულებითა და სხვა **ექსტრალინგვისტური** ფაქტორებით.

ნაცვალსახელებით გამოხატული მიმართვები ინგლისურში შემდეგი ტიპებითაა წარმოდგენილი: პირის ნაცვალსახელი you-ს მრავლობითი რიცხვის მეორე პირით, რომელსაც, განსხვავებით ქართულისგან, თანამედროვე ინგლისურში მხოლოდობითი რიცხვი არ გააჩნია და ამიტომ სოციალური მარკერის როლში ვერ გამოდგება; და განსაზღვრებითი ნაცვალსახელება: everyone, everybody; აქაც ნაცვალსახელები მხოლოდ მიუთითებენ ადრესატზე, თუმცა ვერ ახდენენ მის ნომინაციას. ინგლისურში მიმართვის ფუნქციით გვხვდება პირის ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის კომბინაცია: “*Listen, you two, I’m dying of thirst*” (Modern English Plays 1966, 182), “I never even met him, you silly thing, I was only on a fishing expedition” (Binchy 2003, 27), “Oh, no, no ... Jack - my love, whats happened to you?” (ნილი 2002, 98). საკუთარი სახელისა და კუთვნილებით ნაცვალსახელ my-ს კომბინაციაში, ისევე როგორც ქართულში, ზოგიერთ შემთხვევაში დიდაქტიკური ტონალობა ჩნდება ხოლმე:

“Whatever you do, my dear boy, marry a girl who’s your equal.”

(Modern English Drama 1984, 78)

“Don’t seem to realize the world you’re living in, my boy.”

(Modern English Drama 1984, 44)

“You start sneering again, my boy, just remember one thing.”

(Modern English Drama 1984, 68)

საალერსო მიმართვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს საზოგადო სახელის ან გასუბსტანტებული ზედსართავების კომბინაცია კუთვნილებით ნაცვალსახელ my-სთან, რომელიც, ქართულის მსგავსად, სამ ვარიანტში გვევლინება (My + არსებითი სახელი: “*So as long as I live I love you, my baby*”; My + გასუბსტანტებული ზედსართავი: “*You look so beautiful in white, my darling. I love you and I will hold you tight and never let you, my sweetie*” და My + ზედსართავი + არსებითი სახელი: “Hey my little

dove, can you please get me a cup of tea while you are up?”). ისევე როგორც ქართულში, ინგლისურშიც შორისდებულებს გარკვეული კავშირი აქვს მიმართვასთან. თავისებურ უნივერსალურობას წარმოადგენენ კომპლექსური ფორმები: Oh, my God! Mon Dieu! Mein Gott! (ო, ღმერთო ჩემო!)

ვინაიდან შორისდებულები ემოციურ რეაქციას გამოხატავენ, რომელიც საგნობრივ შინაარსში არ აისახება, ისინი მარტივად გადადიან ენიდან ენაში, რისი მაგალითიცაა, შორისდებულების Wow!, Yeah! და Ok! გავრცელება ქართველი ახალგაზრდების მეტყველებაში. ისევე როგორც ბუნებაში, ენაშიც ლოგიკა და ემოცია მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი და ხშირად ერთიან კომპლექსს ქმნიან, ან ფუნქციონალურად ენაცვლებიან ერთმანეთს. მიმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადრესატის ყურადღების მიპყრობა, რაშიც მათ ხშირ შემთხვევაში შორისდებულებიც ეხმარება. ინგლისური შორისდებულები Hey! (Hey! Can I come in?); Hallo! (Hallo! Where is this bus going?) ფუნქციურად არაფრით განსხვავდებიან მიმართვებისგან. ისეთი შორისდებულები კი, როგორიცაა Pst!, Tsk-tsk! სრულიად ეწინააღმდეგებიან ინგლისური ენის ფონეტიკას, მხოლოდ ყურადღების მიპყრობის ფუნქციას ასრულებენ და სინამდვილეში ნულოვან მიმართვას წარმოადგენენ. მათი ამგვარი ფორმა ზოგჯერ სპეციალისტებს აეჭვებს კიდევ, თუ რამდენად წარმოადგენენ ისინი ენობრივ ერთეულებს.

ისევე როგორც ქართულში, ინგლისურშიც მიმართვას ხშირად თან ახლავს დალოცვისა და გამხნეების ფორმულები, რომლებიც მეტყველებაში მიმართვის ფუნქციონალური გამოტოვების შემთხვევაში თვითონ იღებენ თავის თავზე სამისამართო ფუნქციას: *God bless you! Go your own way! Cheer up! Keep up your spirits! Keep your chin up! Make the best of it! Pluck up your courage! Pull yourself together* (ქართ.: ღმერთმა დაგლოცოს! გამხნევდი! და ა.შ.).

ადამიანთა ურთიერთობების სპეციფიკის გამოვლენა მიმართვის ფორმათა არჩევანის ანალიზითაც ჩანს. მიმართვა არა მარტო დიალოგში ჩართვისა და

კომუნიკაციის ხელშეწყობის საშუალებაა, არამედ ურთიერთობაში გამოყენებული ფსიქოლოგიური ხერხიც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფუნქციონალური თვალსაზრისით მიმართვები შეიძლება ორი სახის იყოს: **არაშეფასებითი** (რომლებიც მხოლოდ ასახელებენ ადრესატს) და **შეფასებითი** (ადრესატის ყურადღების მიქცევის და მისი დამახასიათებელი თვისებების განმსაზღვრელი): baby, dear, sweetheart, honey, treasure, precious, flutter-mouse, lovey, gorgeous, hottie, little-diddle; ინგლისურ ენაში მიმართვის სააღერსო ფორმებიდან გამოიყოფა რამდენიმე მსხვილი სემანტიკური ქვეჯგუფი. იგი ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეჯგუფს წარმოადგენს:

1. საკვების აღმნიშვნელი სააღერსო ფორმები, განსაკუთრებით კი „ტკბილი“ საკვები. ინგლისურ ენაში უჩვეულო არ არის ტკბილეულის აღმნიშვნელი სიტყვების აღერსობით ფორმებად გამოყენება, რაც სტატისტიკურადაც აისახება: Babycakes, beef, bella, cakes, bunchberry, cupcake, honey, hon, honey bun, hunnie bunny, sugar, sweetie, sweet pie, sweet, sugar; (მათგან ნაწარმოები შინაურული ფორმებია: sweetkin, sweeting). მაგალითად, *honey* (თათლი) ჯ. ჩოსერის ნაწარმოებებშიც კი გვხვდება და დღესაც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა - *Alisoun his hony deere* (ჩოსერი, კენტერბერიული მოთხრობები) და ის ორივე სქესის წარმომადგენლებისადმი გამოიყენება სხვა ისეთი მსგავსი ტერმინებისგან განსხვავებით, როგორცაა *cookie, cupcake, muffin, peach* და *crumpet*.

2. მეორე ქვეჯგუფი მოიცავს ისეთ ტერმინებს, რომელთა მნიშვნელობებიც ხაზს უსვამენ ადრესატის ფიზიკურ ან ქცევით მახასიათებლებს, ან რომელიმე განსაკუთრებულ თვისებას: *gallant, bumpkin, baby-face, charming, cutie-patootie, goodlooker, gorgeous, hunk, snuggles* და ა.შ.

3. სიდიდით მესამე ქვეჯგუფს მიეკუთვნება ცხოველთა ქვეჯგუფი, რომელიც მოიცავს ცხოველთა, ფრინველთა და მწერთა სახელებს და/ან მათ სითტყვაშეხამებებსა და ვარიანტებს: *bugsy, bunny, chick, chickabiddy, cuddle-bear, cute-chick, doodle-bug,*

duckie, little-dove, pussy-cat, snuggle-bear და სხვა. ცხოველებისადმი საალერსო მიმართვა ორ-ორი სიტყვითაა გამოხატული: *kitten* და *pussy*.

ამ ქვეჯგუფებს მოჰყვება შედარებით მცირერიცხოვანი ქვეჯგუფები: ა) სტერეოტიპები, რომლებიც შეიძლება მოიცავდნენ რელიგიურ ან მხატვრულ პერსონაჟებს: *dazzler, dulcinea, romeo, lothario, muggles, pin-up girl, schatzi, sheik, tootles, cherub, angel* და ა.შ.; ბ) პროფესია, საქმიანობის ან ხელობის აღმნიშვნელი სიტყვების ქვე-ჯგუფი: *cowboy, esquire (squire), knight-in-shining-armor* და ა.შ.; გ) სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი სიტყვები: *duchess, magic-princess, prince-charming, prince, princess, queen* და ა.შ.; დ) სხვა ენიდან ნასესხები საალერსო ფორმები: *amoroso, caballero, casanova, cavalier, inamorato/inamorata*; ე) სათამაშოების აღმნიშვნელი სიტყვები: *doll-baby, doll, dolly-boy*; ვ) ფლორის აღმნიშვნელი სიტყვები: *blossom, butter-cup, petal, rose*. მ) კიდევ ერთ საინტერესო ქვეჯგუფს წარმოადგენენ სიტყვები, რომლებიც მიეკუთვნება „შერეულ კატეგორიებს“, ე. ი. ნაზავი ტერმინებია: *baby-cakes, daddy-mack, lambey-pie, love-bug, love-muffin*.

საზოგადო სახელები მიმართვის ფუნქციით ენაცვლებიან ადამიანის სახელებს და, ისევე, როგორც ქართულში, სახელდებისა და შეფასებით მნიშვნელობით გვევლინებიან (მაგ.: *Baby, dear, sweetheart, honey, treasure, precious, flutter-mouse, lovey, gorgeous, hottie, little- diddle*).

ადამიანის სულისა და სომატური ერთეულებით: *Heart, soul, eye (sometimes)*; მსგავსი მიმართვები ახლობელ ადამიანების ურთიერთობაში და ასაკით უფროსის უმცროსებისადმი მიმართვებში გამოიყენება: “- *My heart, let me tell you everything*”.

ალერსობით მიმართვაში ხშირია “რა” ჯგუფის სულიერ არსებათა სახელების გამოყენება: *Pet, puppy, bunny, kitten, lamb, ducky, bird, puss-cat, butterfly, cuddlebunny, monkey*.

ინგლისურ ენაში საალერსო მიმართვების რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: 1. აბსტრაქტული სახელები: *Love, beauty*; აბსტრაქტულ სახელებს თავისი

მორფოლოგიური თავისებურებები აქვთ. ასე, მაგალითად სიტყვა “beauty-ს” შეიძლება ჰქონდეს შეკვეცილი ფორმა “beaut”, ხოლო “love-ს” აქვს ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი “lovely”: “- Have a look at this, lovely!”; ორივე ფორმას ქალებიც და კაცებიც იყენებენ. 2. ტკბილეულის დასახელება: honey, sweet, sweet- pie, sugar; საინტერესოა, რომ თვით ამ სიტყვებისგანაც აწარმოებენ ალერსობით ფორმებს: hon, sweetie, sweetkin, sweeting, sweetie- pie; ხშირია მიმართვის ფუნქციით ზოონიმების გამოყენებაც: Pet, puppy, bunny, kitten, lamb, ducky, bird, puss-cat, butterfly, cuddlebunny, monkey (ქართ.: ცუგა, ფისო, ჩიტუნა).

ინგლისურ ენაში, ზოგადად, წყვილებს შორის გამოყენებული ეპითეტები საკმაოდ მრავალფეროვანი ქვეკატეგორიაა. არსებული სია შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად - ქალისა და მამაკაცისთვის განკუთვნილი ეპითეტები. ნაშრომის ბოლოს მოცემულია ინგლისურ ენაში გამოყენებული მიმართვის საალერსო ფორმების სია, სადაც მითითებულია, რომელი სქესის წარმომადგენლისადმი გამოიყენება მოცემული ფორმები (იხ. დანართი 2). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხრილში მოცემული დიქტომია სქესის მიხედვით კატეგორიული ვერ იქნება, რადგან თავად საალერსო ფორმების გამოყენება ინდივიდუალური ბუნებით ხასიათდება და აქ მხოლოდ მონაცემთა და წყაროთა მაჩვენებლებს დავეყრდნობით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ ცხრილში (დანართი 2) მოყვანილი ინგლისურ-ენოვანი საალერსო ფორმების ქართულ ენაზე თარგმნის შედეგად, ქართულ ენაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენციები. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაზე თარგმნისას შევეცადეთ, მოგვეძია ისეთი ეკვივალენტები, რომელიც მეტ-ნაკლებად ზუსტად გადმოსცემდა იმ სოციალურ-სემანტიკურ მნიშვნელობას/ნიუანსებს, რაც იმ კონკრეტულ საალერსო ფორმას გააჩნია, ანუ მოგვეძია მსგავსი საალერსო ფორმები და არა მხოლოდ ლექსიკონური ტიპის თარგმნის შედეგად მიღებული ეკვივალენტები. მაგალითად, *bunny/bugsy* შეიძლება შეესატყვისებოდეს ფორმას „ბაჭია“; *cherub/angel* – “ანგელოზო”; *chick/chickabiddy* – “წინილა”, „ჩიორა“, „ჩიტუნა“; *dear/dearie/deary/dear-one/ducky/hon(hun)* – “ძვირფასო” და ა.შ.

მეორე: აღმოჩნდა, რომ უმეტესი მათგანი ქართულ ენაში, როგორც საალერსო ფორმა, საერთოდ არ მოიძებნება (ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ქართულ ენაში სახელების ტაბუირებაა, რაც ზემოთ არის განმარტებული), მაგალითად, *dumpling*, *pumpkin*, *snooks*, თუმცა ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე მხატვრულ ან ზეპირ თარგმანში, ყველაზე მისაღები ეკვივალენტია ქართულ ენაში გავრცელებული ისეთი საალერსო ფორმები, როგორიცაა *ძვირფასო*, *საყვარელო*, *ჩემო პატარავ* და სხვ.

მესამე: ინგლისურ ენაში არსებული საალერსო ეპითეტების ქართულ ენაზე ლექსიკონური ეკვივალენტების მოძიებამ შეიძლება იმედგამაცრუებელ და/ან საპირისპირო შედეგებამდე მიგვიყვანოს, რადგან არც თუ ისე მცირე რაოდენობა ქართული ეკვივალენტებისა ნეგატიური კონოტაციის მქონეა. ნეგატიურობის ხარისხი კი იმდენად ძლიერი შეიძლება იყოს, რომ შეურაცხმყოფელი, კნინობითი ან სალანძღავი სიტყვა/ფრაზაც კი აღმოჩნდეს, ან/და მოცემული ურთიერთობისთვის მიმართვის მიუღებელი ფორმა. მიზეზი ალბათ უნდა ვეძიოთ იმ თვისებაში, რომელიც ამა თუ იმ სემებით არის გადმოცემული ამა თუ იმ კონკრეტულ სიტყვაში. მაგალითად, *bumpkin*, რომლის ეკვივალენტიც ახალ ქართულში (მეტწილად – ახალგაზრდების მეტყველებაში) შეიძლება იყოს *ბანძი/გოიმი/ხეპრე/ტეტია/ბიხო/გავრია*, რადგან მოცემული ინგლისური ტერმინი გულისხმობს პროვინციელი, დაუხვეწელი მანერების მქონე ადამიანს. მსგავსი მაგალითებია, *charlatan*, *Casanova*, *cloth-ears*, *ladies-man*, *Lothario*, *lover-boy*, *seducer* და სხვა. მათი ქართული ეკვივალენტები კი ნამდვილად არ მიეკუთვნება საალერსო ფორმების კატეგორიას ქართულ ენაში. აქაც, ისევე როგორც ზემოთ მოცემულ მეორე შემთხვევაში, თარგმნისას, გამოსავალია მივმართოთ ქართულ ენაში გავრცელებულ ფორმებს.

მეოთხე: ინგლისურ ენაში საალერსო ფორმების კატეგორიზაცია შეიძლება სრულიად განსხვავებული აღმოჩნდეს ქართულ ენაში შესაბამისი ეკვივალენტების კატეგორიზაციისგან. ინგლისურ ენაში არსებული ის საალერსო ფორმები, რომლებიც ორივე სქესის მიმართ გამოიყენება, ქართულ ენაში მათ ეკვივალენტებს შეიძლება სულაც მხოლოდ ბავშვის და/ან ქალის მიმართ იყენებდნენ, მაგალითად,

duck/duckling/big-boy გამოიყენება ძირითადად ბავშვების, კერძოდ, მამრობითი სქესის მიმართ.

დასასრულ, ინგლისური ენის მიმართვის (გარკვეული რაოდენობის) საალერსო ფორმების მნიშვნელობებს ქართულ ენაში კომპლიმენტები გადმოსცემენ. მაგალითად, *cavalier* - შენ ნამდვილი კავალერი ხარ, *charming* - რა მომხიბვლელი ხარ, *dream-girl* - ჩემი საოცნებო ქალი ხარ (სხვა ფორმებია: *dreamboat, gallant, goodlooker, knight-in-shining-armor, star-sweeper, stunner* და სხვ.).

რომ შევაჯამოთ საკუთარი სახელების მიმართვის საალერსო ფორმების მიმოხილვა ქართულსა და ინგლისურ ენებში, ასეთ სურათს მივიღებთ:

1. საალერსო მიმართვა წარმოადგენს კომუნიკაციის დონის ერთეულს – კომუნიკემას, რომელიც შესაბამისი სამეტყველო აქტითაა წარმოდგენილი. მიმართვა არა წინადადების, არამედ ტექსტის კომპონენტია და მასში ინტერტექსტის პრინციპით ერთვება;

2. როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენას მოეპოვება მიმართვის ფორმების აგებისა და სოციალური მნიშვნელობების გამოხატვის თავისებური საშუალებები. საალერსო კოდის დანიშნულებაა (ორივე ენაში), ისე ასახოს კომუნიკანტთა შორის დამოკიდებულება, რომ ორივე მხარისთვის გასაგები იყოს გამონათქვამის მიზანი, ინტენცია. საალერსო კოდის კონვენციური მხარე განისაზღვრება სპეციალურ ენობრივ მარკერების შემუშავებაში, რომლებიც მიანიშნებენ აღნიშნულ მნიშვნელობაზე.

3. საალერსო მიმართვის ენობრივი მანიფესტაცია ანალიტიკური და სინთეზური გზით ხორციელდება. როგორც ინგლისური, ასევე ქართული ენისთვის დამახასიათებელია აფიქსაციის მორფოლოგიური პროცესი. საალერსო მიმართვის გამოხატვა უპირატესად ხდება სპეციალური ფორმანტების მიხედვით, რომლებსაც ამბივალენტური ხასიათი შეიძლება ჰქონდეთ, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში იმავე აფიქსებს შეუძლიათ ნეგატიური მნიშვნელობის გამოხატვაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ემოციური დამოკიდებულების ორ პოლუსთან, რომლებიც ერთიან

სემანტიკურ კავშირში ერთიანდებიან. ანალიტიკური ხერხი ორივე ენისთვის დამახასიათებელია და სხვადასხვა ლექსიკური ფორმანტების კომბინაციით გამოიხატება.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ საალერსო მიმართვების, როგორც საკომუნიკაციო კოდის სპეციფიკა ინგლისურსა და ქართულში, გავაანალიზეთ ის ენობრივი საშუალებები და ხერხები, რომელთა მეშვეობითაც ხდება აღნიშნული მნიშვნელობის გადმოცემა, რაც საშუალებას გვაძლევს, კვლევა ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკის სფეროში გადავიყვანოთ და საკომუნიკაციო კოდის, როგორც დამაკავშირებელი რგოლის, მეშვეობით განვიხილოთ კომუნიკანტთა ურთიერთობის სოციო-ფსიქოლოგიური და პრაგმატიკული ასპექტები და დავადგინოთ კომუნიკაციის ქართული და ინგლისური სტილის განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ საალერსო მიმართვის ფუნქციონირებას რეალურ კომუნიკაციაში.

თავი 3: საალერსო მიმართვის უნივერსალური ბუნება და ნაციონალურ-სპეციფიკური თავისებურებები

3.1 საალერსო მიმართვის ეთნოსტილი და კომუნიკაციის სპეციფიკა

საალერსო მიმართვის ინტერპრეტაცია არ დაიყვანება იმ საშუალებათა აღწერაზე, რომლებიც მის ენობრივ ფორმას განსაზღვრავენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის წარმოადგენს უფრო რთული სისტემის ნაწილს, რომელსაც სამეტყველო ქცევა და სამეტყველო ეტიკეტი ჰქვია და რომელიც, თავის მხრივ, კულტურის ნაციონალური ეთნოსტილის შემადგენლობაში შედის. მიუხედავად იმისა, რომ საკომუნიკაციო კოდს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ის მაინც დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, რადგან მისი შერჩევა და გამოყენება კომუნიკანტების ინტერაქციის ხასიათზეა დამოკიდებული.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღვნიშნოს, რომ სამეტყველო ქცევის ნაციონალურ-სპეციფიკური განსხვავებები გამომწვეულია არა მარტო საკომუნიკაციო საშუალებებისა და მათი შერჩევის მექანიზმების არაერთგვაროვნებით, არამედ ამა თუ იმ სიტუაციაში მათი სიხშირისა და გამოყენების განსხვავებული პრიორიტეტულობით. კომუნიკაციური ქცევის ნაციონალური სპეციფიკა წარმოადგენს „ტრადიციით განმტკიცებულ ხალხის კოლექტიურ ჩვევას, რომელიც ვლინდება ინტერპერსონალური ურთიერთობის პროცესში გამოყენებულ ამა თუ იმ კომუნიკაციური სტრატეგიისთვის ან საკომუნიკაციო საშუალებისთვის უპირატესობის მინიჭებაში, რის შედეგადაც ყალიბდება კომუნიკაციის ნაციონალური სტილი, ანუ ეთნოსტილი“ (ლარინა 2009, 32). მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამეტყველო ქცევა რეგულირდება სოციალური იერარქიით, ეროვნული კულტურით, ეტიკეტით, რიტუალებით, ენობრივი პიროვნების აღზრდითა და სხვა ფაქტორებით.

სამეტყველო ქცევის დარეგულირების უმნიშვნელოვანეს საშუალებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საალერსო კომუნიკაცია წარმოადგენს, რომელიც თავაზიანობის

კატეგორიასთან ერთად პოზიტიური დამოკიდებულების გამომხატველია და შესაბამისი სამეტყველო ეტიკეტი და სამეტყველო სტრატეგიებით რეგულირდება. უნდა ითქვას, რომ სამეტყველო ეტიკეტი განიცდის ახალი სოციოკულტურული პირობებისა და ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინტენსიურ ზეგავლენას, რაც წარმოშობს ახალ კულტურულ-ქცევს ტენდენციებს (მაგალითად, პოლიტკორექტულობას, ეიჯიზმსა და ა.შ.) და გარკვეული სახით მიმართვებზედაც აისახება. ამ თვალსაზრისით სააღერსო მიმართვა საკმაოდ სერიოზულ ინფორმაციას შეიცავს საკვლევ კულტურებში არსებულ საკომუნიკაციო ნორმების, ტრადიციების, სოციალურ-სტატუსური მიმართებების, თავაზიანობის ნორმების შესახებ. სააღერსო მიმართვა, ინტრაკულტურულის გარდა, შეიძლება განხილული იყოს ინტერკულტურული კომუნიკაციის ჭრილშიც. სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევხებოდეთ, შიდაკულტურული ინტერპერსონალური ურთიერთობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განვიხილოთ სააღერსო მიმართვის (როგორც სამეტყველო ქცევისა და სამეტყველო ეტიკეტის მნიშვნელოვანი სეგმენტის) როლებრივი სპეციფიკა, რომელიც არეგულირებს კომუნიკანტთა ურთიერთობის ფორმებსა და პრინციპებს ქართულსა და ინგლისურ ენებში. აღსანიშნავია ისიც, რომ სამეტყველო ქცევის გარკვეულ სიტუაციებთან დაკავშირებული სტრატეგიები მეტ-ნაკლებად სტანდარტიზებულია, რაც შესაბამისად აისახება სააღერსო ფორმების სტერეოტიპულობაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ სააღერსო მიმართვის, როგორც სპეციფიკური სამეტყველო აქტის, ფენომენალური სტატუსის ინტერპრეტაცია მხოლოდ კომუნიკაციის პროცესიდან გამომდინარეა შესაძლებელი.

სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევაჯამოთ ის სასტარტო ინფორმაცია, რომელიც მოვიპოვეთ ქართული და ინგლისური სააღერსო მიმართვების ენობრივი ბუნების ანალიზისას. აღნიშნული ფენომენი უნივერსალური ბუნებისაა, ვინაიდან აქტუალურია მსოფლიოს ნებისმიერი ენისათვის. უნივერსალურად უნდა ჩაითვალოს სააღერსო მიმართვების ფუნქციებიც: **ნომინატიური**, ანუ ადრესატის დასახელების ფუნქცია; **მახასიათებელი**, ანუ ადრესატისადმი პირადი დამოკიდებულების დემონსტრირების ფუნქცია; **ეტიკეტური**, ანუ სოციალურ-მარეგულირებელი ფუნქცია, რომელიც უფლებას გვაძლევს, ურთიერთობა

განვიხილოთ, როგორც პროცესი, რომლის მიმდინარეობაც შეესაბამება ამ საზოგადოებაში (სოციალურ ჯგუფში) სხვადასხვა სოციალური სიტუაციებისთვის მიღებული ურთიერთობის კონვენციურ ნორმებს და **ზემოქმედებითი ფუნქცია**. პირველ სამ ფუნქციაში ენები სრულ თანხვედრაში არიან, მეოთხე ფუნქციას კი ინგლისელი მკვლევრები განსხვავებულად უდგებიან. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ინგლისურ ენაში პერლოკუციურ, ანუ **ზემოქმედებით ფუნქციას** ნაკლები ყურადღება ექცევა და მას ყველა მკვლევარი არ გამოყოფს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სამეტყველო ერთეულს, მას საკუთარი კომუნიკაციური დანიშნულება და ინტონაციური გაფორმება აქვს, რაც, უდავოდ იძლევა ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობას.

საერთოა ისიც, რომ ემთხვევა ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, რომლებიც აწარმოებენ საალერსო მიმართვის ფორმებს. ბუნებრივია, ეს არ შეეხება ე.წ. „ზმნადალექილ ფორმებს“, რომელთა სპეციფიკაც დაკავშირებულია როგორც ქართული ზმნის უნიკალურობასთან, ასევე აზროვნების წესთან. ამგვარი ხასიათისაა თანამედროვე ინგლისურ ენაში პირის ნაცვალსახელის მხოლოდობითი რიცხვის მეორე პირის უქონლობა, რაც სრულიად განსხვავებს მას ქართული ენისგან. ორივე ენაში საალერსო მიმართვა ემიჯნება სამეტყველო ეტიკეტის პოზიტიურად მარკირებულ ერთეულებს, ჰონორიფიკებსა და პატივისცემის გამომხატველ სხვა საშუალებებს, თუმცა საზოგადოების არაერთგვაროვანი სტრუქტურა არაერთგვაროვან მიმართებებს ქმნის სოციუმის შიგნით. უნივერსალურია ნულოვანი მიმართვებიც, რომლებშიც აღრესაცია იმპლიკაციის პრინციპითაა კოდირებული, ვერბალური ნაწილი არაშეფასებითი (რომლებიც მხოლოდ ასახელებენ აღრესატს) და შეფასებითი მნიშვნელობებით წარმოგვიდგება.

მიუხედავად იმისა, რომ საალერსო მიმართვების სემანტიკურ საფუძველს, ძირითადად, მსგავსი შინაარსის რეფერენტები წარმოადგენენ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მნიშვნელოვანი სხვაობაა არა მარტო მეტაფორულ სახეებში, არამედ ერთი და იმავე ერთეულის აქსიოლოგიაში. საკვლევ თემასთან დაკავშირებული საალერსო კომუნიკაციის ენობრივი რესურსების განხილვის შემდეგ (ქართულ და ინგლისურ ენებში) მნიშვნელოვანია კომუნიკანტთა როლებრივი პარტიტურის

განხილვა, ვინაიდან სწორედ ამ დონეზეა შესაძლებელი საალერსო მიმართვის ფენომენის ინტერპრეტაცია. დიალოგის პროცესში კომუნიკანტთა ურთიერთობის სპეციფიკის დასადგენად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკომუნიკაციო კოდის, ჩვენს შემთხვევაში მიმართვის ფორმის, შერჩევას, რომლის დროსაც შემდეგი სოციოლინგვისტური ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული:

- კომუნიკანტების სოციალური როლების აღწარმოებადობა/სიტუაციურობა (ასაკი, სოციალური სტატუსი);
- კომუნიკანტთა როლების სიმეტრიულობა/ასიმეტრიულობა;
- ადრესანტისა და ადრესატის პოზიციების ხასიათი;
- ურთიერთობის ოფიციალური/არაოფიციალური გარემო;
- ნაცნობობის ხარისხი;
- კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი.

ადრესანტისა და ადრესატის როლებს კომუნიკაციური სიტუაცია განაპირობებს. მართო ერთი დღის განმავლობაში პიროვნება მრავალგზის იცვლის როლებს; ერთ სიტუაციაში ის ადრესანტად გვევლინება, მეორეში – ადრესატად, ერთ სიტუაციაში ის ასაკით ან თანამდებობით უფროსს წარმოადგენს, მეორეში კი – პირიქით: ის ხან ოფიციალურ გარემოში მოქმედებს, ხან – არაოფიციალურში; დღის განმავლობაში მას ხან ნაცნობებთან უხდება ურთიერთობა, ხან – უცნობებთან, ხან მტრულ გარემოში, ხანაც – მეგობრულში და ა.შ., რის გამოც მას კომუნიკაციური პროფილის ტრანსფორმაცია უხდება. პარტნიორთა დამოკიდებულების სიმეტრიულ, თუ ასიმეტრიულ ხასიათს ურთიერთობის კომუნიკაციური სტილი განსაზღვრავს. „საკომუნიკაციო აქტებში ყველა კომუნიკანტი განიცდის იმ სიტუაციათა და გარემოებათა გავლენას, რომლებშიც თანამოსაუბრეები გვაყენებენ საკუთარი კომუნიკაციური როლების შესრულებისას“ (გრუშევიცკაია 2003, 156).

ალერსობით კომუნიკაციას თავისი სპეციფიკა აქვს, ამიტომ მისთვის აუცილებელია **პოზიტიურად მარკირებული** სიტუაციური გარემო. საალერსო კომუნიკაცია გულისხმობს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას კომუნიკანტთა შორის,

ამიტომ ზოგადად მიმართვისთვის რელევანტური ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართება არ შეიძლება იყოს მისთვის ტიპური. ასე, მაგალითად, ნაკლებად მოსალოდნელია საალერსო მიმართვის გამოყენება: ერთჯერადი კომუნიკაციისას, ოფიციალურ გარემოში, უცნობებთან მიმართებაში, კომუნიკანტთა ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის შემთხვევებში.

ადრესანტის როლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირდაპირ კორელაციაშია საკომუნიკაციო სიტუაციასთან, რომელიც განსაზღვრავს მის სამეტყველო სტრატეგიას. ადრესანტის პოზიცია მომგებიანი პოზიციაა, ვინაიდან მას აქვს ინიციატივის უფლება, რაც აძლევს მას შესაძლებლობას, სიტუაციის შესაბამისად მოახდინოს სტატუსური თვითიდენტიფიკაცია და, აქედან გამომდინარე, პრაგმატიკული მიზნების შესაბამისად, შეარჩიოს საკომუნიკაციო კოდი. მიუხედავად ამგვარი თავისუფლებისა, მიმართვის ადეკვატურობა მხოლოდ ადრესატთან ურთიერთობაში ვლინდება. სწორედ ადრესანტისა და ადრესატის როლების თანაფარდობა განსაზღვრავს კომუნიკაციური ბალანსის დამყარების შესაძლო პერსპექტივას.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ტ. გრუშევიცკაიას სტანდარტული სოციალური სიტუაციების კლასიფიკაცია, რომელიც კომუნიკაციაში ადამიანის პირად ჩართულობას ეყრდნობა და სოციალურ-როლებრივ, საქმიან და ინტიმურ-პირადულ დონეებში ვლინდება და ყველა მათგანს საკუთარი სოციალური როლი, მოქმედების სცენარი და კომუნიკაციის მარეგულირებელი წესები და ნორმები აქვსა (გრუშევიცკაია 2003). როგორც უკვე აღვნიშნეთ, **სოციალურ-როლებრივ დონეზე** კონტაქტი შემოიფარგლება სიტუაციური აუცილებლობით (ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაღაზიაში და ა.შ.). აქ მთავარია კომუნიკანტების მიერ სოციალური ინტერაქციის ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა, თვით საუბრის თემატიკას კი კონკრეტული სიტუაცია განსაზღვრავს. საალერსო კომუნიკაციის თვალსაზრისით, ამ სიტუაციაში საალერსო მიმართვის გამოყენება სრულიად შეუსაბამო იქნება.

ზემოთ ჩვენ შევეხეთ **კომუნიკაციის საქმიან დონეს**, რომელიც აერთიანებს საერთო საქმიან და მიზნებით დაკავშირებულ ადამიანებს. ეს უკვე არ არის ერთჯერადი კონტაქტი და მიზნად ისახავს, მოახდინოს კომუნიკანტთა ურთიერთობის

რაციონალიზაცია და ამით თანამშრომლობა უფრო ეფექტიანი გახადოს. გამომდინარე ურთიერთობის ოფიციალური ხასიათიდან, კომუნიკაციის პოზიტიური მუხტი ჩადებულია ისეთ სამეტყველო სტრატეგიებში, როგორცაა, ქათინაური, ჰონორიფიკები. მიუხედავად იმისა, რომ საალერსო მიმართვასთან ამ უკანასკნელებს პოზიტიური სამეტყველო სტრატეგია აახლოებთ, სოციოფსიქოლოგიური და პრაგმატული თვალსაზრისით ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან და სხვადასხვა პრესუპოზიციებს ემყარებიან. კომპლიმენტი არ ითვალისწინებს რაიმე წინაპირობას და მისი აღრესატი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად აღრესანტის მასთან სიახლოვისა. უმეტეს შემთხვევაში ის თავაზიანობის გამოხატულებაა, და არა აღრესატის აუცილებლობით შეპირობებული პოზიტიური თვისებების ობიექტური შეფასება. რაც შეეხება ჰონორიფიკებს, ისინი პატივისცემის მარკერებია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პატივისცემა და სიყვარული ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში (მიუხედავად იმისა, რომ მათი მნიშვნელობები გარკვეულად იკვეთება, თუმცა ერთმანეთზე არ დაიყვანება) საკმაოდ განსხვავებულ ცნებებად ითვლება, უნდა ვაღიაროთ, რომ საალერსო მიმართვა უნდა გავმიჯნოთ აღნიშნული მოვლენებისგან.

კომუნიკაციის ინტიმურ-პირადული დონე აერთიანებს ახლობელ ადამიანებს და განსაკუთრებული ფსიქოლოგიური სიახლოვით, სიმპათიითა და თანაგრძნობით ხასიათდება. ამ დონეზე ადამიანი ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას იღებს, ამიტომ მისთვის კომუნიკაციის პროცესი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი. სწორედ ამ დონეზე არის შესაძლებელი საალერსო მიმართვის ნამდვილი სპეციფიკის წარმოჩენა.

ამრიგად, კიდევ უფრო დაზუსტდა საალერსო მიმართვების სოციო-ფსიქოლოგიური გარემო, რომლის სემანტიკურ საფუძველს სიყვარულის გამოხატვის ინტენცია წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტორი, ბუნებრივია, ავინროებს საალერსო ტიპის კომუნიკაციური ურთიერთობის მონაწილეთა ნაირსახეობებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზემომოყვანილი სოციოლინგვისტური ფაქტორებიდან, რომლებიც მნიშვნელოვანია ზოგადად მიმართვის ფენომენტთან მიმართებაში, გამოვყოფთ საალერსო კომუნიკაციისთვის რელევანტურ პარამეტრებს:

1. სააღერსო მიმართვის პრესუპოზიციი;
2. სააღერსო კომუნიკაციის ეკოსფერო (ურთიერთობის ოფიციალური და არაოფიციალური, ინტიმური და არაინტიმური გარემო, კომუნიკანტთა სტატუსის სიმეტრიულობა/ასიმეტრიულობა);
3. სააღერსო მიმართვის სოციოკულტურული (ეტიკეტური) ნორმატივები (შეზღუდვები);
4. კომუნიკანტთა ლინგვოპერსონოლოგიური პარამეტრების შეთავსებადობა აღერსობით მიმართვასთან და კომუნიკანტთა მიერ სააღერსო კოდის ინტერპრეტაციის ერთგვაროვნება/არაერთგვაროვნება.
5. სააღერსო კოდის ფუნქციონირების სპეციფიკა ზეპირ და ეპისტოლარულ კომუნიკაციაში.

სააღერსო მიმართვის პრესუპოზიციი ემყარება კომუნიკანტთა შორის თბილ ადამიანურ დამოკიდებულებას, რაც აძლევს უფლებას ადრესანტს, აღნიშნული სამეტყველო სტრატეგია გამოიყენოს. ის პირდაპირ კავშირშია სააღერსო კომუნიკაციის ეკოსფეროსთან, რომელიც მოიცავს იმ გარემო პირობებს, რომელიც აუცილებელია აღნიშნული სამეტყველო სტრატეგიის განხორციელებისთვის (ასე, მაგალითად, თუ ურთიერთობის ოფიციალურსა და არაინტიმურ გარემოში ტიპობრივია ჰონორიფიკების გამოყენება, არაოფიციალურსა და ინტიმურ გარემოში სააღერსო ფორმები დომინირებენ).

სააღერსო მიმართვა კომუნიკაციის ეთნოსტილის ნაწილია და მასზე ვრცელდება საზოგადოებაში მიღებული სოციოკულტურული (ეტიკეტური) ნორმატივები (შეზღუდვები). უდიდეს მნიშვნელობას იძენს კომუნიკანტთა ლინგვოპერსონოლოგიური პარამეტრების შეთავსებადობა აღერსობით მიმართვასთან და კომუნიკანტთა მიერ სააღერსო კოდის ინტერპრეტაციის ერთგვაროვნება/არაერთგვაროვნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარდა სოციოკულტურული (ეტიკეტური) ნორმატივებისა, სააღერსო მიმართვის რელევანტურობას არეგულირებს ფსიქოლოგიური უკუკავშირის ფაქტორიც, ვინაიდან გამონათქვამის ინტერპრეტაციისას და, გამომდინარე სუბიექტური

განწყობიდან, ადრესატი შესაძლოა სრულიად განსხვავებულად აღიქვამდეს ადრესანტის ინტენციას. ხშირად არასასურველი პიროვნებიდან მომდინარე კომპლიმენტსაც კი ადამიანი შეურაცხყოფად აღიქვამს. განსხვავებულ ფსიქოლოგიურ რეჟიმში ხდება საალერსო მიმართვის გამოყენება ზეპირ და ეპისტოლარულ კომუნიკაციაში, ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს კონტაქტის ფორმას. ერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ალერსის არავერბალური საშუალებებით გაძლიერება პოზით, უესტითა და მიმიკით, მეორე შემთხვევაში კი აქცენტი ძირითადად ვერბალურ მხარეზე კეთდება, თუმცა, ადრესანტის ფანტაზიიდან გამომდინარე, შესაძლებელია გრაფიკული ხერხების (ნახატის, სიმბოლოს, ხაზგასმის, მთავრული ასოების და ა.შ.) გამოყენებაც.

საალერსო მიმართვა განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ განწყობას ეფუძნება, რომელიც განსხვავდება პატივისცემისა და თავაზიანობისგან. პირველი აღიარებს პიროვნების პირად ღირსებებს, მაგრამ სრულიად არ არის აუცილებელი, პატივისცემას სიყვარული ერთოდეს. ზრდილობა არ ემყარება ადამიანის ღირსებების აღიარებას, ის მხოლოდ არეგულირებს კორექტულობას, ხშირ შემთხვევაში ნეგატიური განწყობის ფონზეც. ალერსის უფლება ადრესანტს კულტურითა და ინტერპერსონალური ურთიერთობით განსაზღვრულ სპეციფიკურ ჩარჩოებში აქცევს. მას არ შეუძლია მოფერების ობიექტად ნებისმიერი ადამიანი აქციოს. საალერსო მიმართვის ადრესატს უფლება აქვს, გააპროტესტოს ან უარყოს დამოკიდებულება. არასწორი საალერსო ადრესაცია მრავალი კონფლიქტის მიზეზიც გამხდარა. საინტერესოა, რომ ე.წ. „ძველი ბიჭები“ სიტყვაზე წამოკიდებისას ხშირად იყენებენ მიმართვის შესაბამისობის ფაქტორს, მათ შორის საალერსოსაც. მიმართვითი ნომინაცია კომუნიკაციის საწყისი ეტაპია და არაკორექტულმა ფორმამ შეიძლება საპასუხო რეაქცია გამოიწვიოს (მაგალითად, კონტრმეტსახელი), ამიტომ აუცილებელია, ადრესანტმა გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინოს. ადრესანტი ნომინაციის პროცესში გვევლინება, როგორც შემფასებელი, ხოლო ადრესატი - როგორც შეფასების ობიექტი და კომუნიკანტთა შემდგომი ურთიერთობა ამ შეფასების შესაბამისობაზეა დამოკიდებული. ადრესანტი სთავაზობს ადრესატს ურთიერთობის ტონალობას, რომელსაც ადრესატი ან იღებს, ან - არა.

ფსიქოლოგიური ფაქტორი განაპირობებს აგრეთვე საალერსო მიმართვის შესაძლებლობას სტატუსური სხვაობის დროსაც, როდესაც ემოციური ფაქტორი იმდენად ძლიერია, რომ აიძულებს ადრესანტს, საზოგადოებაში მიღებულ ნორმებსაც გადაუხვიოს.

მიმართვის საალერსო ფორმებს ნინო დარასელია აკულტურაციის ერთ-ერთ ფაქტორადაც განიხილავს. ისინი არა მხოლოდ ინდივიდის სოციალურ იდენტიფიკაციას ახდენენ, არამედ გამოხატავენ აქტის მონაწილეთა შორის არსებულ სოციალურ მიმართებებსა და/ან ურთიერთობას :

შვილიშვილი: *„გამოცდა კარგად დავწერე. მკონი, კარგი ნიშანი უნდა მივიღო.“*

ბებია: *„გენაცვალოს შენი ბებია!“*

დამონშებულ მაგალითში ჩანს, რომ ქართულ ენაში მიმართვის საალერსო ფორმები **ემპათიის მარკერებადაც** გვევლინებიან. ისინი მოსაუბრისადმი თანაგრძნობას გამოხატავენ, რის საშუალებითაც მსმენელი მეტყველ სუბიექტს აგრძნობინებს, რომ ჩართულია კომუნიკაციის პროცესში. მიმართვის საალერსო ფორმების ამგვარად გამოყენება სოციალური ხასიათის უკუკავშირის მაჩვენებლებია (დარასელია 2013, 106).

ავტორის თანახმად, საალერსო ფუნქციის მატარებელი შორისდებულები ენის ექსტრალინგვისტურ რეალობაში ინტეგრირების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენენ (დარასელია 2013, 129). მიმართვის საალერსო ფორმებიც, შორისდებულების მსგავსად, ემოციური მუხტის, განწყობის გამომხატველი და კულტურის სპეციფიკით განპირობებული ენობრივი ერთეულებია, რომლებსაც განსაზღვრავს ენობრივი კოლექტივის ტრადიციები, ერის ტემპერამენტი, ფსიქოლოგიური ტიპი და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი (დარასელია 2013, 170). მიმართვის საალერსო ფორმები უკუკავშირის გამომხატველი ენობრივი ერთეულებიც არიან. ავტორის დაკვირვების მიხედვით: *„ინგლისურ, ამერიკულ და ქართულ საკომუნიკაციო სისტემას ახასიათებს მოსმენის რეფლექსური ტიპი, რაც კომუნიკაციის პროცესში მსმენელის აქტიურ ჩართვასა და გარკვეულ აქტიურობას გულისხმობს“* (დარასელია 2013, 173).

საალერსო მიმართვის ზემოქმედებითი ეფექტი რეფლექსური მოსმენით ძლიერდება, რომელიც გულისხმობს მსმენელის მხრიდან გარკვეულ ჩართულობას კომუნიკაციაში და მოსმენილი ინფორმაციის მიმართ გამოხატულ ემოციურ რეაქციას. ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ემპათიურობის მარკერები ქართულ ენაში უფრო მეტი სიხშირით ქალის მეტყველებაში გამოიყენება.

ფსიქოლინგვისტური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქალები უფრო ემპათიურნი არიან, ვიდრე მამაკაცები. კომუნიკაციისას მამაკაცები ორიენტირებულნი არიან საუბრის თემაზე, ქალები კი – თავიანთ კომუნიკანტზე და თავად კომუნიკაციის მსვლელობაზე. ქალის „დადებითი სახისათვის“ აუცილებელია ემპათიის ექსპლიციტური გამოხატვა, მამაკაცის „სახისათვის“ კი - გრძნობათა კონტროლი. ქართველები, როგორც ექსტროვერტული კულტურის წარმომადგენლები, განსახილველი კულტურებიდან ყველაზე უფრო ემპათიურნი არიან, რაც ვლინდება როგორც ვერბალური, ასევე ტაქტილური საშუალებების გამოყენების მაღალ სიხშირეში. ემპათიის გამოხატვა ქართველების სოციალური ქცევის აუცილებელი თვისებაა (დარასელია 2013, 175).

ფსიქოლოგიური ფაქტორები მიმართვაში გარკვეულ წინააღმდეგობაშია **სოციალურთან**. ურთიერთობის ინტიმურ-პირადული დონიდან გამომდინარე, მიმართვა არ უნდა იყოს ტრაფარეტული, ის უნდა შეიცავდეს გარკვეულ სიახლეს, რათა მიიქციოს ყურადღება. მეორე მხრივ, საზოგადოება მიისწრაფის სოციალური ცხოვრების სტანდარტიზაციისკენ, რაც ურთიერთობის შესაბამისი ფორმულების დამკვიდრების ტენდენციაში ვლინდება. ამ ორი ტენდენციის დაპირისპირება მიმართვის ფორმების არჩევანის პრიორიტეტულობაშიც ვლინდება. მიმართვები, როგორც აღინიშნა, სოციალური ინტერაქციის საშუალებაა, შესაბამისად, ნორმატიულობისკენ მიისწრაფის.

სოციალურად მარკირებულ, ანუ ნორმატიულ მიმართვებში, რომელთა შემადგენლობაში შედის, უპირველეს ყოვლისა, ეტიკეტური (Mr., Miss, Mrs., Ms., Sir, და სხვ), პროფესიულ-თანამდებობრივი (Doctor, Professor, Colonel, Minister.) და ადრესატის სოციალური ან პროფესიული სტატუსის მაიდენტიფიცირებელი ნაირსახეობები, მეცნიერები განიხილავენ შეფასებით-მახასიათებელი მიმართვებსაც, რომლებიც

საალერსო ადრესაციის სფეროსაც (ნათესაებს, მეგობრებს, შეყვარებულებს და ა.შ.) ასახავენ.

განსხვავებით ნორმატიული მიმართებისგან, არანორმატიული მიმართებები, სადაც წინა პლანზე ფსიქოლოგიური მოტივია წამოწეული, ძირითადად კრიპტონიმებში გამოიყენება, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არასტერეოტიპულობასა და კოდის ორიგინალობას. უნდა ითქვას, რომ წარმოების წესის თვალსაზრისით კრიპტონიმები ენობრივ ნორმებს არ სცილდებიან, განსხვავებას კი ქმნის საალერსო კოდის ფონობრიობა, რომელიც ამ შემთხვევაში ორი ადამიანით არის შემოფარგლული. არანორმატიული საალერსო მიმართების მაგალითებია: *ჩემო მიმინო* და *ჩემო ფრთანათელი*; *ჩემო სიცოცხლის სიცოცხლეო*, *Mr. Big Man* და სხვები. ფსიქოლოგიური ფაქტორი ვლინდება აგრეთვე მეტყველების მანერაში. მიმართვის საალერსო ფორმების გამოყენება სუბიექტის მეტყველებას ინდივიდუალურობას, სპეციფიკურობასა და ინტიმურობას სძენს. ეს თვისებები კი მეტა-კომუნიკაციის იმ კომპონენტებით იქმნება და/ან ძლიერდება, როგორცაა ხმის ტონი, მიმიკა, უესტიკულაცია (ღიმილი, თვალის ჩაკვრა, ოდნავი შეხება მხარზე ან ხელზე, ხელის ჩამორთმევა) ან/და სხვა.

მიმართვის საალერსო ფორმები ხშირად „შერბილებული“ ტონითა და ინტონაციით წარმოითქმება. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის - მათი ჩვეული ტონით წარმოთქმა სხვა, ფარულ ინტენციაზე მიანიშნებს - სავარაუდოდ, ირონიაზე, გაღიზიანებაზე.

საალერსო ფორმის გამოყენების სფერო, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადრესატის ფაქტორზე. საალერსო მიმართების ობიექტები სიხშირის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: პირველ ადგილზეა ბავშვები, შემდეგ მოდიან შეყვარებულები, ნათესაები და მეგობრები.

მიმართვის საალერსო ფორმები გამოიყენება ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიმართ - ბავშვია თუ ასაკოვანი. მათ გამოყენებას კი სხვადასხვაგვარი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ადრესატზე, რასაც უმეტესწილად ადრესანტის საუბრის სტილი განაპირობებს. ხშირად ადრესატის სოციალური ცვლადები ადრესანტის საუბრის სტილზე ახდენს გავლენას,

რომ არათფერი ვთქვათ პარალიგვისტურ ფაქტორებზე. ცნობილია, რომ ბავშვების მიმართ მოსაუბრე ხშირად ენასაც კი „იჩლექს“ (გადიას ენა), საუბრის ტემპი ნელდება და უმახვილო სიტყვები/მარცვლები მახვილის ქვეშ ექცევა. რაც შეეხება მათ მიმართ ინტენციას, ის ნაირგვარია. ყველაზე ხშირია სიყვარულის გამოხატვა/ მოთვრება. თუმცა ეს ინტენცია ბავშვების გარკვეული ასაკობრივი ჯგუფისთვის უფრო მეტად არის გამიზნული (თუმცა არა ყოველთვის), კონკრეტულად კი – იმ ასაკამდე, სანამ ბავშვი ლაპარაკის უნარს დაეუფლება. ცოტა უფრო მოგვიანებით ინტენცია შერეულია. კერძოდ, პირველადია სიყვარულის გამოხატვა/დაყვავება და, ამასთანავე, ბავშვის „დაყოლიება“ შეასრულოს გარკვეული დავალება.

დედა: ვიო, შემოგველე, მენ ხომ კეთილი ბიჭი ხარ! მიდი, დაუბრუნე დათის მისი სათამაშო!

საალერსო ფორმის გამოყენება ბავშვს ანიჭებს უფრო მეტ თავდაჯერებულობასა და მიზანდასახულობას, ასევე შთააგონებს, რომ *მასაც* სურს იმავეს გაკეთება, რაც მას უფროსმა ადამიანმა დაავალა.

როგორც ჩანს, საუბრის ასეთი სტილი დამახასიათებელია არა მარტო მეტყველებისთვის ბავშვებისადმი მიმართვისას, არამედ ასაკოვანი ადამიანების მიმართვის დროსაც. ამასვე მოწმობს მეტყველების ადაპტაციის თეორია (თაკერარი და სხვები 1982). თეორია მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები ცვლიან საუბრის ასპექტებს ადრესატის შეფასებისდა მიხედვით. მაგალითად, პირველი შეხვედრის დროს, ეს შეფასება სტერეოტიპებს ეფუძნება. ამგვარად, *ადრესანტის* სამეტყველო მარკერები ხშირად *ადრესატის* სოციალური თუ ფუნქციონალური სტატუსის და/ან კომპეტენციის მაჩვენებელი შეიძლება იყოს (ბრაუნი და დრეიპერი 2003, 16). ედუორდსმა და ნოლერმა ამ თეორიაზე დაფუძნებით წამოაყენეს მოსაზრება, რომ არსებობს ფენომენი, რომელსაც ზედაპტაცია შეიძლება ეწოდოს (ედუორდსი და ნოლერი 1993). ეს მოსაზრება ეყრდნობა მეტყველების გარკვეული ნიმუშის მოდიფიკაციას მოხუცებთან საუბრის დროს. საუბრის ასეთი სტილი ხასიათდება ხმის მაღალი ტონითა და საუბრის შენელებული ტემპით, გაზვიადებული მახვილით გარკვეულ სიტყვებზე, ბრძანებითი კილოს ზედმეტად გამოყენებით, შეკითხვებითა და გამეორებებით, ადრესატის

სახელისა (კნინობითი ფორმის) და მიმართვის საალერსო ფორმების ხშირი გამოყენებით. ასეთი სტილი მოგვაგონებს იმ სტილს, რომელსაც ბავშვთან საუბრის დროს მიმართავენ და მას სხვაგვარად „გაღიების ენას“ და „დაყვავების ენას“ უწოდებენ. ეშბერნისა და გორდონის მიერ მოხუცებულთა თავშესაფარში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ასეთ დაწესებულებებში მომვლელები ხშირად მიმართავენ მათ ბინადრებს მსგავსი სტილით (ეშბერნი და გორდონი 1981), განურჩევლად მათი ფიზიკური მდგომარეობისა. რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ასაკოვან ადრესატზე მსგავს მიმართვას? - ამ შეკითხვას ორგვარ შედეგებამდე მივყავართ. ერთის მხრივ, ასეთმა მიმართვამ შეიძლება გაღიზიანება გამოიწვიოს ასაკოვან ადრესატში, რადგან საუბრის ასეთი სტილი ეიჯისტური დამოკიდებულების მიმანიშნებელიც შეიძლება იყოს. გაღიზიანების მთავარი მიზეზი კი ხშირად მათ ფიზიკურ უძლურებაზე ყურადღების გამახვილებაა. მეორეს მხრივ კი – ინტენსის ეფექტურობა/შედეგიანობა განაპირობოს, ანუ ადრესანტზე დადებითი ეფექტი მოახდინოს.

მიმართვის საალერსო ფორმების გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული გენდერის საკითხთან. ენა ხშირად მიჩნეულია სტერეოტიპების შექმნა-შენარჩუნების ინსტრუმენტად. გლიკისა და ფისკეს მიერ შემუშავებული თეორიის „ბენევიოლენტური სექსიზმის“ მიხედვით, შეხედულებები ქალზე და სექსისტური ენა ერთმანეთთან კავშირშია. ეს თეორია გულისხმობს „სუბიექტურად მომგებიან, რაინდულ იდეოლოგიას, რომელიც გამოხატავს დაცვასა და სიყვარულს იმ ქალის მიმართ, რომელიც ირგებს ტრადიციულ როლს საზოგადოებაში“ (გლიკი და ფისკე 2001, 109). ბოასო, კოვერტი და რაშერი განაგრძობენ ამ თეორიას, რომელიც, თავის მხრივ, სამ ქვეკატეგორიას (იდეოლოგიების ჯგუფს) მოიცავს: შეთავსებადი გენდერული დიფერენციაცია, მფარველობითი პატერნალიზმი და ჰეტეროსექსუალური ინტიმურობა (ბოასო, კოვერტი და რაშერი 2012, 533). პირველი გულისხმობს ქალის როლს, რომ „ქალი უნდა იყოს ქალი და, შესაბამისად, პატივცემული, როგორც ქალი. ქალები უნდა იყვნენ ნაზი, ერთგული და მუდამ კეთილგანწყობილი მამაკაცის მიმართ“. მეორე (მფარველობითი პატერნალიზმი) გულისხმობს „საჭიროებას, ქალები იყვნენ დაცულები, რადგან ისინი ხშირად „ბავშვებივით“ დაუცველები არიან, და რომ ქალს უნდა სცენ პატივი, უყვარდეთ,

და მათ სჭირდებათ ისეთი მამაკაცი მათ გვერდზე, რომელიც მათზე იზრუნებს“. მესამე (ჰეტეროსექსუალური ინტიმურობა) გულისხმობს „რომანტიკული (ქალი) პარტნიორის საჭიროებას მამაკაცის ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ცხოვრება არასრულფასოვანია“ (გლიკი და ფისკე 2001, 109). ბოასო, კოვერტი და რაშერის თანახმად, ბენევილენტური სექსიზმი და საალერსო ფორმები გენდერული სტერეოტიპების შენაჩუნებას უწყობენ ხელს. მათ თანახმად, ქალის მიმართ გამოყენებული საალერსო ფორმები გამოხატავენ ზემოთ მოცემულ დამოკიდებულებებს და ხაზს უსვამენ ბენევილენტურ სექსიზმს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბენევილენტური სექსიზმი არ გულისხმობს შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას ქალის მიმართ. პირიქით, ის ბუნებით დადებითი ფენომენია. სწორედ ამიტომ, მრავალი ქალი ამას პოზიტიურად აღიქვამს. მისი საპირისპიროა „მტრული სექსიზმი“ (გლიკი და ფისკე 2001). ხშირად გაგვიგია გამოთქმა „ქალის ადგილი სამზარეულოში“. ეს სწორედ მტრული სექსიზმის გამოვლინებაა მამაკაცის მხრიდან, მაშინ როდესაც, ბენევილენტური პოზიცია ქალის დაცვას გულისხმობს.

საალერსო მიმართვის „რომანტიკული წყვილებისთვის“ დამახასიათებელი ქვეკატეგორია ქართულ ენაში საკმაოდ მწირია ინგლისურ ენასთან შედარებით. ამას კი, თავისი ისტორიული მიზეზ-შედეგობრივი ახსნა უნდა ჰქონდეს. ისტორიულად, ქართულ ენაში ცოლ-ქმრის მიმართვებში სახელით მიმართვა ტაბუირებული იყო, არათუ საალერსო ფორმების გამოყენება. ძველი დროიდანვე გარკვეულმა რელიგიურმა წარმოდგენებმა, კერძოდ, საკუთარი სახელის სულთან გაიგივებამ, და არა მხოლოდ რელიგიურმა მოსაზრებებმა (სირცხვილად ითვლებოდა მიჯნურობის გამხელა და, ასევე, მეუღლეთა მიერ ერთმანეთისათვის საკუთარი სახელით მიმართვა), დასაბამი მისცა სახელების ტაბუირებასაც:

*„სიყვარულსა მალვა უნდა,
ვითა ცხენსა ნაპარავსა,
გაგიგებენ, – გლოვა უნდა,
როგორც გულის საყვარელსა.“*

(ხალხური, „პასუხი შოთა რუსთაველს“)

*„... მაგრა დამალე, არ გაჩნდეს, შენი ცეცხლისა კვლადება,
ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!“*

(შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 727)

„ნეტარ, მიჯნურობა არ დამაჩნდეს, და-მცა-ვფარე!“

(იქვე, 728)

ნევილთა ურთიერთობაში ქართული მენტალობისთვის დამახასიათებელი ირიბი საალერსო სტრატეგია ინტენციის შენიღბვას უკავშირდება, ვინაიდან საალერსო მიმართვა არღვევს საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს და სახის დაკარგვის საშიშროებას უქმნის პიროვნებას. პირდაპირი საალერსო სტრატეგიის გამოყენება აღრესანტს, ბრაუნისა და ლევენსონის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, უქმნის „უარყოფით სახეს“, იმიჯს, ვინაიდან უპირისპირებს ნორმატიულ ქცევას. „სახის რღვევის აქტისა“ (სრა) და, შესაძლო პრეტენზიების თავიდან ასაცილებლად, ქართველი აღრესანტი ხშირად ირიბ საალერსო სტრატეგიას იყენებს, მსგავსად ინგლისელისა, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციებში ყოველთვის მიმართვის ნულოვან ფორმას მიმართავს, რათა საკუთარი სახე შეინარჩუნოს.

საალერსო მიმართვისა და სახის დაკარგვის საშიშროების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით საინტერესოა შ.აფრიდონიძის მიერ გამოკვლეული ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართვები და ტაბუირება ქართულ ტრადიციებში (აფრიდონიძე 2002). ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ქართულ ტრადიციებზე, რომლებიც გულისხმობს ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართვების თავისებურებს. განმარტებულია

ტერმინი „თიკუნი“, როგორც სახელთა შენაცვლების სპეციფიკური სახე. ოჯახში შემოსული „ახალი“ რძლები საკუთარი სახელით ვერ მიმართავდნენ ქორწინებით შექმნილ ნათესავებს, განსაკუთრებით კი მამაკაცებს, რამაც „რძლები აიძულა“ მეტსახელებით მიემართათ, მაგალითად მამამთილისთვის ან მამლისთვის (პატონი - უფროსი მამლი, ბატა - შუათანა მამლი და ა.შ.) ან საერთოდ აერიდებინათ თავი მიმართვისთვის. ავტორის თანახმად, ძველი დროიდანვე გარკვეულმა რელიგიურმა წარმოდგენებმა, კერძოდ, საკუთარი სახელის სულთან გაიგივებამ, და არა მხოლოდ რელიგიურმა მოსაზრებებმა (სირცხვილად ითვლებოდა მეუღლეთა მიერ ერთმანეთისათვის საკუთარი სახელით მიმართვა), დასაბამი მისცა სახელების ტაბუირებასაც - (ათრიდონიძე 2002, 7). ამრიგად, თიკუნი, სულის, ჯვარისა და ნათლობის სახელები, რომლებიც სპეციფიკური „ოჯახური სამართლისა“ და სხვა მოსაზრებების გათვალისწინებით იქმნებოდა, ქართული კომუნიკაციური ეთნოსტილის განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს.

საალერსო მიმართვების შემდეგი ობიექტია ნათესავები, ვისთანაც ურთიერთობა ქართველებს უფრო მჭიდრო აქვთ ვიდრე ინგლისელებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს ფორმათა უფრო მეტ მრავალფეროვნებას, რაც, შესაძლოა, „სიყვარულის მალვის“ პრინციპითაა გამოწვეული. შემდეგ ქვეთავში ჩვენ განვიხილავთ მიმართვებში ნათესავებთან საალერსო დამოკიდებულების გამოხატვის ევოლუციას საკვლევ კულტურებში, აქ კი დავძენთ, რომ საალერსო მიმართვის გამოყენების სპეციფიკა მეტყველების ფორმაზეცაა დამოკიდებული. ასე, მაგალითად, სასაუბრო მეტყველებაში უფრო ხშირია გაუვრცობელი მიმართვები, წერილობითში - გავრცობილი. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ნებისმიერი მოვლენის წვდომა მოითხოვს მისთვის რელევანტური გარემოს შერჩევას, სადაც ყველაზე ნათლად ვლინდება მისი სპეციფიკა.

საალერსო მიმართვის სპეციფიკის გამოსაკვეთად ასეთად ჩვენ მივიჩნით ეპისტოლარული ჟანრი. ამგვარი არჩევანი განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: 1. საალერსო მიმართვა დისტანციურ კომუნიკაციაში თავისი სპეციფიკით ახლოსაა კრიპტონიმებთან და რეგულირდება ეპისტოლარული კომუნიკაციის დაუნერელი კანონით, რომლის თანახმადაც დიდ უზნეობად ითვლებოდა სხვისი წერილის წაკითხვა.

ეს გარკვეულ ინტიმურ გარემოს უქმნიდა კომუნიკანტებს და საშუალებას აძლევდა მათ, უფრო ღიად გამოეთქვათ თავიანთი გრძნობები. 2. განსხვავებით მხატვრული ლიტერატურიდან აღებული მაგალითებიდან, წერილებში შემონახული საალერსო მიმართვები ცოცხალ მეტყველებასა და ნამდვილ დამოკიდებულებას ასახავენ და ეპოქის კვალის მატარებლები არიან. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე გვსურს, რომ ჩვენთვის საინტერსო მოვლენა ეპისტოლარული ჟანრის კუთხითაც შევაფასოთ. ბრაუნისა და ლევენსონის თავაზიანობის თეორიაზე დაყრდნობით (ბრაუნი და ლევენსონი 1987), შევეცდებით დიაქრონულ ჭრილში გავაანალიზოთ მიმართვის ფორმების დინამიკა ინგლისურსა და ქართულ ეპისტოლარულ კომუნიკაციაში.

ნებისმიერი მოვლენის დინამიკას სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესები განსაზღვრავს, განსაკუთრებით, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში. იცვლება მიმართვის ფორმების სტილისტური კონოტაციები, გამოყენების სფეროები და სიხშირე.

წერილის წერა, როგორც სამეტყველო ქმედება, გარკვეულ სტილისტიკურ ნორმებს უკავშირდება, განსაკუთრებით კი – დასაწყისი და დასასრული. ყოველი წერილი, რომელიც სტილისტიკური სტანდარტების ჩარჩოში ჯდება, უნდა იწყებოდეს ადრესატისადმი მიმართვით, რაც ხშირ შემთხვევაში მიმართვის საალერსო ფორმების გამოყენებას გულისხმობს.

ძვირფასო დედა,

Dear Gordon,

„ინგლისურ ენაში მიუღებელია მიმართვის საალერსო ფორმისა და ადრესატის სახელის ერთად გამოყენება, თუ „შესაბამისი ურთიერთობა“ არ არსებობს ადრესანტსა და ადრესატს შორის, მაგალითად, *Dear Willy* ან *Friend Johnson*” - ამას აცხადებდა ცნობილი წიგნის „წერილის წერის ანალიზის“ ავტორი კელვინ ტაუნსენდი 1873 წელს მის მიერვე გამოქვეყნებულ წიგნში (ტაუნსენდი 1873). თუმცა ინგლისურ ენაში მიმონერასთან დაკავშირებულმა რეგისტრმა და ნორმებმა მას შემდეგ უამრავი ცვლილება განიცადეს. ისტორიას თვალს თუ გადავაავლებთ, ინგლისურ ენაში, კორესპონდენციაში, ადრესატისადმი მიმართვა სტრუქტურულად რთულ კომბინაციებს მოიცავდა:

- *Right worshipful and my right singular good master*
- *Right worshipful mother.*
- *Reverent and worshipful sir and my special friend and gossip*

(1420-1500 წლები)

მიმართვის საალერსო ფორმები წერილის მიმართვაში სხვა სახელებთან ერთად კომბინაციაში გამოიყენებოდა:

- *Right entirely and my most special beloved husband*
- *Mine own most entirely beloved father*
- *Right honourable, and my own most trusty & heartily beloved good lord in ours savior Christ Jesus*

(1420-1500 წლები)

დროთა განმავლობაში უფრო მეტად მარტივი სტრუქტურები იჩენენ თავს:

- *Dear brother*
- *My sweet Will*
- *Sweet heart*

(1570-1630)

(ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი 1996, 168)

ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი წიგნში “Sociolinguistics and Language History (ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი 1996, 171) თავაზიანობის ორი სტრატეგიის ანალიზისთვის მიმართვის ფორმებს ათავსებენ ღირებულებების სკალაზე. ეს სკალა დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის შესახებ ბრაუნი და ლევინსონის მიერ შემუშავებულ თეორიას ეყრდნობა. ერთ ბოლოში, რომელიც უარყოფითი სტრატეგიის მხარეს აღნიშნავს, ავტორებმა განათავსეს სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ტიტულები, რაც დეფერენციას გულისხმობს, ხოლო მეორე ბოლოში ზედმეტი სახელები და საალერსო ფორმებია. ასეთი უკიდურესობა მოიცავს ბრაუნისა და

ლევინსონის რამდენიმე სტრატეგიას: ჯგუფისშიდა იდენტობის მარკერებს, ხუმრობას, თანაგრძნობასა და გაგებას. „ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელების შერჩევა, რომელიცაა ნათესაური კავშირის აღმნიშვნელი სიტყვები და ზოგიერთი სტატუსის აღმნიშვნელი სახელები, გულისხმობს თანაზიარ ურთიერთობას, რომელიც შეიძლება ძალაუფლების სტრატეგია იყოს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გულისხმობს უარყოფით თავაზიანობას (მამა/შვილი, ბატონი/მსახური), ან შეიძლება გამოხატავდეს მხოლოდ დადებით თანაზიარობას (საყვარელო) (ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი 1996). სკალა კი ასე გამოიყურება:

უარყოფითი			დადებითი
I -----I -----I -----I			
<u>ჰონორიფიკები</u>	<u>სხვა ტიტულები</u>	<u>ოჯახი</u>	<u>მიმართვის</u>
(წოდებრივი ტიტულები) (თავადო)	(კაპიტანო)	(ძმაო)	<u>ალერსობითი</u> <u>ფორმები</u> (საყვარელო)
<u>ზედსართავი სახელები</u>			<u>მეტსახელები</u>
(პატივცემულო)			(დათუნა)

ცხრილი 17. ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგის თავაზიანობის კონტინუმი (ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი 1996)

სახელისა და მეტსახელის გამოყენება ცალკე და საალერსო მნიშვნელობის მქონე ზედსართავ სახელებთან კომბინაციაში ხშირი იყო „არაკეთილშობილთა“ წრეში. ნიველეინენისა და რომოლინ-ბრუნბერგის თანახმად, მე-16 საუკუნემდე მიმოწერაში გავრცელებული იყო უარყოფითი თავაზიანობის მიმართვები, მაგალითად: *right reverend, worshipful mother/father, right worshipful sir* (ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი 1996, 176). დადებითი სემანტიკის მქონე სიტყვები თავს იჩენენ მე-16 საუკუნიდან და ფებს იკიდებენ მომდევნო საუკუნეში, და მათ უფრო ხშირად დედის მიმართ იყენებდნენ - *(most) dear mother*.

მეტსახელების გამოყენება დასტურდება მე-17 საუკუნის დასაწყისიდან, მაგალითად, *Jack and Bess*. საალერსო ფორმები იცვლება ფორმიდან *right well-beloved son* ფორმამდე *son*, რომელიც საზღვრულია ზედსართავი სახელებით *good* ან *dear*.

ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი მათ წიგნში, სადაც საკვლევად 260 წლიან პერიოდს იღებენ (ინგლისის გვიანი შუა საუკუნეებიდან ადრეულ თანამედროვე ხანამდე), აღნიშნავენ, რომ გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეულ თანამედროვე ინგლისში, ოჯახებში, ორი გარე ფაქტორის - სოციალური მანძილისა და რელატიური ძალაუფლების შორის ურთიერთობების კვლევამ აჩვენა, რომ ძალაუფლება დომინანტურია სოციალურ სიახლოვესთან მიმართებაში (ნიველეინენი და რომოლინ-ბრუნბერგი 1996, 175). შვილები დეფერენციული ფორმებით მიმართავენ მშობლებს, ისევე როგორც, უმცროსი ძმები უფროს ძმებს, ცოლები ქმრებს, და ა.შ. დროთა განმავლობაში უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიების ჩანაცვლება ხდება დადებითი ან სტანდარტულად ნეიტრალური ფორმებით. და, ეს ცვლილებები ფებს იკიდებენ როგორც ვაჭართა, ისე კეთილშობილთა შორისაც - *brother* ნეიტრალურ ფორმად რჩება მთელი 260 წლის განმავლობაში, ისევე როგორც *sister*. პირველი ხშირად გამოიყენება საკუთარ სახელთან ერთად, ხოლო მეორე – გვართან ერთად, რაც მას ნაკლებად ინტიმურ ფორმად აქცევს. ხსენებული პერიოდის ბოლოს *dear(est) sister* დადასტურებული ფორმაა (იქვე).

ქართულ ენაში მიმართვის საალერსო ფორმა „ძვირფასო“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მას როგორც ზეპირ მეტყველებაში, ასევე მიმონერაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი უნიკალურია იმ კუთხით, რომ ერთდროულად შეიძლება ადრესატის მიმართ ფორმალურ და არაფორმალურ წერილობივ იყოს გამოყენებული.

ოფიციალური წერილი:

ძვირფასო ბატონო/ქალბატონო!

მე მივიღე წერილი საქართველოს კოოპერაციული მოძრაობის წევრებისგან, სადაც გამოხატულია მათი წუხილი კოოპერაციის საკუთრების ექსპროპრიაციის შესახებ.

(GRC კორპუსი, გაზ. ახალი თაობა)

არაფორმალური წერილი:

ძვირფასო დედა! მე კარგად ვარ, შენ ყოფილხარ ავად - სამწუხაროა. შემომითვალე, რით შემძლია დახმარება ... ისე, ისეთი ამბები მე არ მანუხებს და არც ვიტკივებ თავს მას ზეფიქრით, – არაა საჭირო ამაზე წერა.

(GRC კორპუსი, „პირადი წერილები“)

ოფიციალური რეგისტრის კორესპონდენციაში ფორმა „ძვირფასო“ ხშირად გვხვდება კომბინაციაში მიმართვებთან *ბატონო/ქალბატონო*, ან თანამდებობრივ ტიტულებთან. ფორმულები შეიძლება შემდეგნაირი იყოს:

ა) ძვირფასო ბატონო/ქალბატონო

" ძვირფასო ბატონო,

მიპატიუებული ვიყავი დავით მახათელის წარმოდგენაზე, იგი სამეფო ბაღეტთან ერთად ცეკვავდა. დამებადა სურვილი, თქვენთვის, დავითის თანამემამულეებისთვის, მომეთხრო მის წარმატებაზე ლონდონში. მჭერა, გაინტერესებთ...

პატივისცემით,

მარგარეტ ვილისი "

(GRC კორპუსი, „ახალი ეპოქა“)

ბ) ძვირფასო ბატონო/ქალბატონო + სახელი

ძვირფასო ბატონო დავით,

პატივი მაქვს, წარგადგინოთ ძალიან მნიშვნელოვან და გავლენიან პრემიაზე.

(GRC კორპუსი, „24 საათი“)

დ) ძვირფასო + თანამდებობა

ძვირფასო მინისტრო,

ქართულ ენაზე განათლება უნდა შემოეღოთ საქართველოს დამოუკიდებლობისთანავე. სამწუხაროდ, დღემდე, არცერთ პოლიტიკურ პარტიას საქართველოში არ გამოუჩენია ინტერესი ამ პრობლემის გადაწყვეტისთვის.

(GRC კორპუსი, „თავისუფლება“)

გ) ძვირფასო ბატონო/ქალბატონო + თანამდებობა

„ძვირფასო ბატონო მინისტრო,

პოლიციის ოფიცრების ანონიმურობა ყველანაირად ზრდის რისკის წამებისა...“

(GRC კორპუსი, „რეზონანსი“)

მიმონწერაში, მიმართვად „ძვირფასო“ ფორმის გამოყენება (განსაკუთრებით კი – ფორმალური რეგისტრის კორესპონდენციაში) უარყოფითი თავაზიანობის გამომხატველია. იგი აღრესატისადმი პატივისცემას გამოხატავს, რაც, თავის მხრივ, სოციალურ დისტანციაზე მიუთითებს.

წერილი ოფიციალური თუ ფამილარული რეგისტრის არის, ამაზე მიმართვის შემდგომი ნაწილი მეტყველებს. მიმონწერაში, მიმართვის შემდგომ ნაწილში, მეორე

პირის მრავლობითი ფორმის ნაცვალსახელის გამოყენება მიუთითებს სოციალურ მანძილზე, რაც, თავის მხრივ, პატივისცემის, მორიდებულობის (deference) გამოხატულებაა. ადრესანტი ცდილობს, შეამციროს „მოკრძალების“ ხარისხი ადრესატის მიმართ და სურს, მიზნისკენ იაროს „უსაფრთხო გზით“. მსგავსი სტრატეგია გამოიყენება ფამილარული რეგისტრის მქონე მიმონერაშიც - მშობლის, და-ძმის, მეგობრის, ახლობლისადმი მიმართვაში, თუმცა კორპუსული მონაცემების მიხედვით, ახალ ქართულ ენაში, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ეს ნაკლებად ტენდენციურია. ისინი, უმეტეს წილად, მხატვრული შინაარსის ან პუბლიცისტური ტიპის წერილებში გვხვდება.

ინგლისურ ენაში ფორმის „ძვირფასო“ შესატყვისი „dear“ უფრო ფართო გამოყენების არის. იგი გამოიყენება როგორც ოფიციალურ, ისე ფამილარული რეგისტრის წერილებში. იგი ხშირად გვხვდება ისეთ სიტყვათშეხამებებში, როგორიცაა:

1. *Dear* + სახელი [*Dear James*]
2. *dear* + ტიტული + სახელი [*Dear Mr Hawthorn*]
3. *dear* + ბატონო და/ან ქალბატონო [*Dear Sir or Madam*]
4. *dear* + წოდებრივი ტიტული + სახელი [*Dear Reverend Matthew/ Dear Professor Smith*]

ინგლისური ენის კორესპონდენციის სტილისტური ნორმების მიხედვით, თუ ადრესატი კარგად ცნობილია ადრესანტისთვის, მაშინ უმჯობესია (1) ფორმულის გამოყენება.

- *Dear George,*

ადრესატის სახელის არცოდნის შემთხვევაში გამოიყენება თანამდებობრივი ტიტული ან გენერკული, საერთო მისალმება:

- *Dear Recruiter:*

- *Dear Client:*

- *Dear Sir or Madam*

თუ ადრესატის სქესი უცნობია, გამოიყენება სრული სახელი, ტიტულის გარეშე:

- *Dear Hanah North*

- *Dear M.J. Wentworth*

თუ აღრესატი კომპანიაა და არა ინდივიდუალური პირი, მისალმებაში კომპანიის სახელი გამოიყენება, რაც შედარებით არაოფიციალურია:

- *Dear Kuwait Oil Company*

როგორც ვხედავთ, საალერსო ფორმა *dear* ინგლისურ ენაში კარგავს თავის პირველადს მნიშვნელობას და გარკვეული ეტიკეტური ფუნქცია ეკისრება. კორესპონდენციაში იგი იძენს უნარს გამოხატოს დეფერენცია (deference), გამოხატავს რა თავაზიანობას აღრესატის, ხშირად აღრესანტისათვის სრულიად უცნობი პირისა თუ კომპანია/დანესებულების, მიმართ. ზოგადად, თავაზიანობასა და დეფერენციას შორის განსხვავება ძირითადად ენობრივი ფორმების ორ ჯგუფს შორის სხვაობას ეფუძნება. თავაზიანობა წარმოადგენს ენის უზუსის „ღია მოდელს, მათ შორის მოდალურ ელემენტებს, შემარბილებელ ზმნიზედურ მსაზღვრელებს, ირიბ თქმას, სასაუბრო იმპლიკატურებს, ელიფსსა და არავერბალურ ქცევას“ (სონი 1986, 412). მეორეს მხრივ, დეფერენცია სოციალურად დეიქტური ფორმების (მაგალითად, ჰონორიფიკები) „ჩაკეტილი, ენისთვის სპეციფიკური სისტემაა“. თავაზიანობა გარკვეულწილად „ნებაყოფლობით“ არჩევანს გულისხმობს, მაშინ როდესაც დეფერენცია თავაზიანობის „სოციოპრაგმატულად განპირობებული და/ან იძულებითი“ გამოხატულებაა (ილი 1989, 227).

ქართულ ენაში, ოფიციალური ყაიდის მიმონწერაში ჰონორიფიკი „პატივცემულო“ გამოიყენება. იგი გვხვდება ისეთ სიტყვათშეხამებებში, როგორიცაა პატივცემულო ქალბატონო/ბატონო, პატივცემულო ბატონო + სახელი და/ან გვარი.

პატივცემულო ბატონო იაკობ სიმონის ძე.

თქვენი წერილი და თქვენგან გამოგზავნილი ხუთი თუმანი ფული მივიღე გუშინ-11 ამ თვეს. ჯერ ქუთაისის ფოსტის კანტორაში გაეჩერებიათ, მერე დაბა ლანჩხუთის საფოსტო განყოფილებაში გადმოეგზავნათ და ამ მიზეზის გამო დაგვიანებულიყო....“

(ქეევ, „იაკობ გოგებაშვილს“)

ნატალია: „პატივცემულო მამა ანდრეი! მაღლობას გიხდით, რომ გამონახეთ დრო ჩემს შეკითხვაზე საპასუხოდ, თუმცა მომეჩვენა, რომ არ თქვით ის, რაც მნიშვნელოვანია: როგორ წყვეტთ ამ პრობლემას თქვენს სამრევლოში?“

(ქეეკ)

ქართული ენისთვის წერილის დაწყება სატრფოსადმი ან საყვარელი ადამიანისადმი ხშირია ნაირგვარი საალერსო ფორმებით: ჩემო ვარდის კოკობო,

„ჩემო ვარდის კოკობო!

ჩაგებვევი მაგ ვედის ყელში და ათასს გაკოცებ. სხვა ღვთით კარგათ ვარ. სასიამოვნო ამბავი ათასი მინდა გაგაგებინო, რომელი ერთი ვითხრა?....“

(ნიკო ლორქთიფანიძე, „დანგრეული ბუდეები“)

„საყვარელო ძიავ! აგრე წელიწად- ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სულა ი რასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი.“

(ქეეკ)

ფორმა საყვარელო ხშირად გვხდება წერით მეტყველებაში, თუმცა ახალ ქართულში წერილის დაწყება ფორმით საყვარელო + სახელი დღესდღეობით უფრო და უფრო იშვიათია (განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებისადმი). საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა ამ მიმართულებით საყვარელო ფორმის კორპუსული ანალიზისას - ახალ ქართულში (განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში), ფორმის საყვარელო + სახელი გამოყენება ჭარბობს ნეკროლოგებსა და მილოცვებში.

ჩვენო საყვარელო დედა,

ცოტა ხნის წინ რა ბედნიერები ვიყავით, სულ ვერ წარმოვიდგენდით, რომ გაზაფხულს უშენოდ შევხვდებოდით, ნახვედი და დავგვიტოვე გულში სიცარიელე ... “

(ქეეკ)

ჩვენო საყვარელო შვილო,

გვინდა, მოგილოცოთ დაბადების დღე, რომელიც ჩვენთვის დღემდე ისეთი სასიხარულოა, როგორც შენი დაბადებისას ...“

(ქეკ)

მას შემდეგ, რაც ჩვენ განვიხილეთ საალერსო კოდის ფუნქციონირების სპეციფიკა ზეპირ და ეპისტოლარულ კომუნიკაციაში, განვსაზღვრეთ საალერსო მიმართვის პრესუპოზიცია და საალერსო კომუნიკაციის ეკოსფერო, დავადგინეთ საალერსო მიმართვის სოციოკულტურული (ეტიკეტური) ნორმატივები და კომუნიკანტთა ლინგვოპერსონოლოგიური პარამეტრების შეთავსებადობა საალერსო მიმართვასთან, დავრწმუნდით, რომ მიმართვა წარმოადგენს პიროვნებათშორისი და სოციალური ურთიერთობის ინდიკატორს. ის არა მარტო ასახავს კომუნიკანტთა როლებრივ ფუნქციებს, გამოხატავს მათ საზოგადოებრივ მდგომარეობათა თანაფარდობას, ასაკობრივ, გენდერულ მიმართებებს, ნაცნობობის ხარისხს, არამედ წარმოადგენს თავისებურ ეთნოკულტურულ მარკერს. წინა ნაწილში საალერსო მიმართვების თავისებურებები ჩვენ შიდაკულტურული განზომილებიდან განვიხილეთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული და ინგლისური ენების საალერსო მიმართვები შევისწავლეთ კულტურის შიგნით მიღებული კომუნიკაციის სტილისა და სამეტყველო ეტიკეტის პოზიციებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ სამეტყველო (კომუნიკაციური) ქცევა მნიშვნელოვანია არა მარტო ინტერპერსონალური ურთიერთობის, არამედ კულტურათშორისი ჭრილშიც. თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ცვლილებებმა ურთიერთობის ახალი შესაძლებლობები, ფორმები და სახეები მოიტანა, რომელთა ეფექტიანობის მთავარ პირობას წარმოადგენს ურთიერთგაგება, კულტურათა დიალოგი, ტოლერანტობა და პარტნიორთა კულტურის პატივისცემა. ადამიანის როლებრივი ქცევა, რომელსაც ნაციონალური სპეციფიკის მატარებელია, დეტერმინირებულია პიროვნების განმსაზღვრელი ფაქტორებით, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია დავინახოთ მისი სოციო-ფსიქოლოგიური სპეციფიკა.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მიმართვის ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნების გამოვლენა კროსკულტურულ ასპექტში ინგლისური და ქართული ენების საალერსო მიმართვების მაგალითზე, რამაც მოითხოვა აღნიშნული ფენომენის ადგილის განსაზღვრა სამეტყველო ეტიკეტის სტრუქტურაში. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ეროვნული კულტურის იმ ნაწილს, რომელსაც „სამეტყველო ქცევის კულტურას“ უწოდებენ. სწორედ ურთიერთობის პროცესში აცნობიერებენ ადამიანები იმას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ სიტუაციაში, თუ როგორ წარმართონ სამეტყველო კონტაქტი განსხვავებულ სიტუაციებში და როგორ შეინარჩუნონ საკუთარი სახე კომუნიკაციის პროცესში.

რადგან საერთაშორისო კულტურათშორისი კონტაქტები უაღრესად სწრაფ ტემპში ვითარდება და ფართოვდება, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ხალხის ეროვნულ თვითმყოფადობასთან დაკავშირებული კომუნიკაციური ქცევის აღწერა, რასაც კულტურათა ურთიერთობის ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საალერსო მიმართვის ფუნქციონირებას განსაზღვრავს სამეტყველო ეტიკეტი, რომელიც წარმოადგენს ნაციონალურ-სპეციფიკურ ვერბალურ ერთეულთა მიკროსისტემას, რომელიც მიღებულია საზოგადოებაში, რათა სამეტყველო ქცევის წესების მიხედვით დაარეგულიროს კომუნიკანტთა შორის კონტაქტის დამყარებისა და ურთიერთობის სასურველ ტონალობაში წარმართვის პროცესი, მეორე მხრივ კი, სამეტყველო ეტიკეტი წარმოადგენს საზოგადოების მიერ შემუშავებულ სამეტყველო ქცევის მარეგულირებელ წესებს, რომლებიც ნაციონალური სპეციფიკის მატარებელ მყარ სამეტყველო ერთეულებშია ასახული. მიმართვას ნ. ფორმანოვსკაია სამეტყველო ეტიკეტის პირველ ელემენტად მიიჩნევს და სტატისტიკური თვალსაზრისით ყველაზე ხშირად გამოყენებულ საკომუნიკაციო ერთეულს უწოდებს. მისი აზრით, ისევე როგორც სამეტყველო ეტიკეტის ყველა სხვა თემატური ერთეული, მიმართვა ნაციონალურ-სპეციფიკური ვერბალური ერთეულებით, ურთიერთობის მყარი ფორმულებით, ანუ სტერეოტიპებით გამოიხატება, რომლებიც ჩვენ ენობრივ ცნობიერებაში თავისებური მზა

ტიპიზებული ფორმების სახით ინახება. ფორმანოვსკაია იმასაც აღნიშნავს, რომ სამეტყველო ქცევა სტანდარტიზებულია. სტანდარტული და სტერეოტიპულია სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციები, მიუხედავად იმისა, რომ, გამომდინარე ისეთი პარამეტრებიდან, როგორცაა ურთიერთობის ოფიციალური/არაოფიციალური გარემო, ადრესანტისა და ადრესატის სოციალური მახასიათებლები, ადრესანტს ფართო ენობრივი არსენალიდან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა უხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეტყველო ერთეულების გამოყენებაში შეთავსებულია სტანდარტი და შემოქმედებითი არჩევანი (ფორმანოვსკაია 1990, 15-16).

აღნიშნული კატეგორიის განსაზღვრისას ქცევის სოციალურ წესებს ავტორი უკავშირებს საზოგადოებაში მიღებულ შესაბამის ვერბალურ ერთეულებს. მისი აზრით, სამეტყველო ეტიკეტი წარმოადგენს ნაციონალურ-სპეციფიკურ ვერბალურ ერთეულთა მიკროსისტემას, რომელიც მიღებულია საზოგადოებაში, რათა სამეტყველო ქცევის წესების მიხედვით დაარეგულიროს მოსაუბრეთა შორის კონტაქტის დამყარებისა და ურთიერთობის სასურველ ტონალობაში წარმართვის პროცესი, მეორე მხრივ კი, სამეტყველო ეტიკეტი წარმოადგენს საზოგადოების მიერ შემუშავებულ სამეტყველო ქცევის მარეგულირებელ წესებს, რომლებიც ნაციონალური სპეციფიკის მატარებელ მყარ სამეტყველო ერთეულებშია ასახული (ფორმანოვსკაია 1987, 63).

სამეტყველო ეტიკეტთან დაკავშირებულ ტიპურ სიტუაციებს ნ.ფორმანოვსკაია „სამეტყველო სიტუაციის თემატურ ერთეულებსა და“ კონტაქტის დამამყარებელ საშუალებებს უწოდებს და მიმართვასთან ერთად ამ ჯგუფს მიაკუთვნებს მისალმებებს, დამშვიდობებებს, ბოდიშის მოხდას, მადლობის გადახდას, თხოვნას, გაცნობას, რჩევას და ა.შ. (ფორმანოვსკაია 1990, 35).

ეტიკეტური ინტერპერსონალური ურთიერთობები თავაზიანობის (რომელიც ეტიკეტური სამეტყველო ურთიერთობის წამყვან კრიტერიუმს წარმოადგენს) და კომუნიკანტთა ურთიერთობის სოციალური რეგულირების პრინციპებს ემყარება.

ბუნებრივია, ყველა კულტურას ქცევის საკუთარი სტანდარტი გააჩნია. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა კულტურის ადამიანების ურთიერთგაგების გზების ძიება კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის

გადაწყვეტაც პიროვნების, ენისა და კულტურის ურთიერთქმედების შესწავლას მოითხოვს. ანთროპოცენტრისტულ კვლევას ადამიანი აინტერესებს არა ზოგადად, არამედ როგორც ადამიანი ენაში, რადგანაც ენა ერთადერთი საშუალებაა, შევალწიოთ მენტალობის დაფარულ სფეროში, და სწორედ ენაში ვლინდება სამყაროს სეგმენტაციის ალგორითმი, რომელიც ჩადებულია ამა თუ იმ კულტურაში. ადამიანი და საზოგადოება ისტორიის ხანგრძლივი განვითარების პროდუქტებია, რომლებიც წინამორბედთა კოლექტიური გამოცდილების აკუმულირებას ახდენენ, ხოლო ენა ამთლიანებს თაობათა კავშირს და კოლექტიური გამოცდილების ინფორმაციულ საცავს წარმოადგენს.

კულტურათშორისი კომუნიკაციის ჰარმონიზაციის ერთ-ერთ საყურადღებო მიმართულებად კროსკულტურული კვლევები ჩამოყალიბდა, რომლებმაც საშუალება მოგვცა (ჩვენს შემთხვევაში) ალერსობით მიმართვებში ასახული კულტუროლოგიური ინფორმაცია შესაბამისი ენობრივი სოციუმების ცხოვრებასთან კავშირში გაგვეზრებინა. კონცეპტ „მიმართვასთან“ დაკავშირებულმა საალერსო სამეტყველო სტრატეგიის კონფრონტაციულმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, დაგვენახა სიღრმისეული კავშირი შესაბამის ენობრივ ფაქტებსა და კულტურებს შორის. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ვ. რამიშვილი, „კულტურათა კომუნიკაცია უპირველესად კულტურულ ღირებულებათა ურთიერთობაა. ორი კულტურის მიმართება არის ორი ღირებულებათა სისტემის მიმართება. მეორე კულტურის გაგება ნიშნავს ამ კულტურის ნორმების, ტრადიციების, ცხოვრების წესის საფუძველმდებარე ღირებულებათა სისტემის გაგებას, რომელიც არის ამ კულტურის მსოფლმხედველობის გამოხატულება“ (რამიშვილი, 2010, 511).

საალერსო მიმართვები ჩვენ განვიხილეთ არა მარტო როგორც გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი, არამედ როგორც შესაბამისი კულტურის ინფორმაციულ თეზაურუსში შეღწევის საშუალება. ”ადამიანის “ ფენომენის უნივერსალობამ შესაძლებლობა მოგვცა, შეპირისპირება რელევანტურ საფუძველზე დაგვემყარებინა. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ საალერსო მიმართვების საკლასიფიკაციო ჰარამეტრებს უნივერსალური ხასიათი აქვს და კომუნიკანტებს განსხვავებული პოზიციებიდან

ახასიათებს. მართალია, შეფასება უნივერსალური სემანტიკური და კომუნიკაციური კატეგორიაა, მაგრამ მისი კონკრეტული შინაარსი ყოველთვის დეტერმინირებულია შესაბამისი კულტურის მსოფლხედვით და აქსიოლოგიური სკალით. საალერსო მიმართვები ადამიანის ამა თუ იმ თვისების შეფასებისას საზოგადოებაში მიღებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს ეყრდნობიან, რომლებიც შესაძლოა არ ემთხვეოდნენ სხვა კულტურაში მიღებულ წარმოდგენებს და შესაძლოა გახდნენ წინააღმდეგობა კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში.

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა საალერსო მიმართვების კროსკულტურული ანალიზი და ქართული და ინგლისური საალერსო მიმართვების უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნების დადგენა. კულტურათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ დებულებად ითვლება ის, რომ ყველა კულტურას თავისი ლოგიკა, თავისი წარმოდგენა აქვს. ის, რაც ღირებულია ერთი კულტურისათვის, შესაძლოა სრულიად უმნიშვნელო იყოს - მეორისთვის. ამიტომ კულტურათშორისი კომუნიკაციის ჰარმონიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას კონტაქტური კულტურის პატივისცემა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი გამოიხატება არა მარტო მეორე კულტურისადმი ინტერესის გამოვლენაში, არამედ აღნიშნული კულტურის ზოგიერთი თვისებურების ცოდნაში. კულტურათშორისი კომუნიკაციის წარუმატებლობის თვალსაზრისით საინტერესოა შემთხვევა, რომელმაც დიდი აღშფოთება გამოიწვია დასავლეთის ქვეყნებში. ერნესტ ჰემინგუეი თავისი რომანის - "მშვიდობით, იარაღო"-ს ერთ-ერთ ეპიზოდში წმინდა პეტრეს ადარებს ვინმე დი მაჯოს მამას: "წმინდა პეტრეც მეთევზე იყო, ისევე როგორც დიდი დი მაჯოს მამა". ევროპელთათვის და არა მარტო ევროპელთათვის (მით უმეტეს, თანამედროვე თაობისთვის) ბევრი არაფრის მოქმედია დი მაჯოს სახელი, რის გამოც ამგვარმა შედარებამ მკითხველთა გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია და თავისებურ მკრეხელობადაც კი იქნა აღქმული. რაც შეეხება ამერიკელებს, რომელთა "კერპთაყვანისმცემლობა" საყოველთაოდაა ცნობილი, მათთვის თავისი კარიერის ზენიტში მყოფი ბეისბოლის ვარსკვლავი საყოველთაო პატივისცემისა და აღტაცების ობიექტი იყო, რომელიც პოპულარობით არ ჩამოუვარდებოდა თვით წმინდანსაც.

ამავდროულად დი მაჯოს სახელი ამერიკელთათვის დაკავშირებული იყო კინოვარსკვლავ მერილინ მონროსთან, რაც მის პიროვნებას (როგორც მერილინ მონროს ქმარს) კიდევ უფრო დიდ ავტორიტეტს სძენდა. უაღრესად მნიშვნელოვანი ამერიკელთათვის იყო ისიც, რომ დი მაჯო, ისევე როგორც მერილინ მონრო, ამერიკული სოციალური მითის (დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლის მიერ წარმატებული კარიერის გაკეთება) ხორცშესხმის მაგალითებს წარმოადგენდნენ. მოყვანილი მაგალითი ნათლად ადასტურებს შეფასებითი კრიტერიუმების დეტერმინირებულობას შესაბამისი კულტურით.

კულტურათა და შეფასებათა არაერთგვაროვნება დადასტურდა იმ ემპირიული მასალითაც, რომელიც ჩვენ ქართული და ინგლისური წყაროებიდან მოვიხმეთ. ნებისმიერი შეფასება ორ პოლარულ წერტილს შორის – უარყოფით (ნეგატიურ) და დადებით (პოზიტიურ) შეფასებებს შორის თავსდება. გვაქვს აგრეთვე ამბივალენტური შეფასებები, რომლებიც კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება პოზიტიური ან ნეგატიური მნიშვნელობით მოგვევლინოს.

კულტურული სივრცის ტრანსნაციონალიზაციის ტენდენცია, რომელიც გლობალიზაციის თანმდევ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ბუნებრივია, განაპირობებს კულტურათშორისი კომუნიკაციის ჰარმონიზაციის მოთხოვნილებას. კულტურათა ახალი კონტაქტური ველი განსაზღვრავს გლობალურ (ინგლისურ) კულტურასთან ინტრაკულტურული ღირებულებებისა და აქსიოლოგიის შეჯერებას. სააღერსო მიმართვების კროსკულტურული ანალიზისას გამოიკვეთა უნივერსალური ტენდენციები, რომელთაც საფუძვლად სრულიად განსხვავებული მიზეზები უდევთ. აქტიურად მიმდინარე კულტურული სივრცის ტრანსნაციონალიზაციის ტენდენციამ განაპირობა გლობალურ საინფორმაციო სივრცეში სხვადასხვა კულტურის ჩართვა. ერთიანმა საინფორმაციო ველმა კი განაპირობა საერთო პრეცედენტული ველი. ასე, მაგალითად, ანგლო-ამერიკული კულტურის ბევრი წარმომადგენელი, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ჩაკეტილი საზოგადოების პირობებში პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო, დღეს ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი და მისაღები გახდა, ამიტომაც შესაძლებელი

გახდა ისეთი მიმართვა, როგორცაა „შვარცნევერ“, Roonie (განსაკუთრებით ჩემო ფორმანთან კომბინაციაში) და ა.შ. ინგლისური ენა მშობლიურია და სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მრავალ ქვეყანაში, თუმცა ეს სრულიადაც არ განაპირობებს ამ ტერიტორიებზე საალერსო მიმართვების იდენტურობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენა მშობლიურია ამერიკელთათვისაც, ინგლისელთათვისაც და ავსტრალიელთათვისაც, არსებობს მიმართვები, რომლებიც სპეციფიკურია ცალკეული მათგანისთვის. ფორმები: bestie, dawg, fella საალერსო მიმართვის ამერიკული ვარიანტებია, ხოლო chap, mate, crony – ბრიტანული. საინტერესოა, რომ ინტრაკულტურული ღირებულებების დინამიკა განაპირობებს ეტალონური ობიექტების ცვლას.

მიუხედავად ეტალონების დინამიკისა, ამა თუ იმ კულტურის საალერსო მიმართვები ზოგჯერ ინახავენ ისეთ ცნებებსა და რეალიებს, რომლებიც ისტორიზმების კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. ინგლისურ მყარ ენობრივ შედარებაში შემავალი ფორმანტი “dodo” აღნიშნავს გადაშენებულ ფრინველს – დრონტს, რომლის არსებობაც ინგლისელთა უდიდესმა უმრავლესობამ არც კი იცის, თუმცა სიტყვა შემონახულია კონსტრუქციაში – “as dead as the dodo “. ეს უკანასკნელი კი ავსტრალიაში საკმაოდ გავრცელებული მეტსახელიცაა.

ანალიზმა გვაჩვენა, რომ სამივე კულტურაში არსებობს საალერსო მიმართვები, რომლებიც როგორც სტრუქტურულ, ასევე შეფასებით ნაწილში დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ. ამგვარი სიახლოვის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ კულტურული სივრცის ტრანსნაციონალიზაციის ტენდენცია, რომელიც ფაქტობრივად გავრცელებაა გლობალიზაციის პროცესის ადრეული მცდელობებისა. ანტიკურმა კულტურამ, ქრისტიანობამ, იუდაიზმმა, ისლამმა, კომუნისტურმა იმპერიამ, შესაბამისი ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ინფორმაციული სივრცის თავისებური (ნაწილობრივი) გლობალიზაცია მოახდინეს, რაც საერთო პრეცედენტული სახელების არსებობაში გამოიხატა, რომლებიც საერთო წყაროდან იღებენ სათავეს.

შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ბევრ საალერსო მიმართვას, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ბიბლიურ და ანტიკურ წყაროებს უკავშირდება, სრული ანალოგები მოეძებნა ინგლისურ მიმართვებში „სოლომონ!“, „თომა“ და ა.შ.

საალერსო მიმართვების მსგავსება, საერთო წყაროს გარდა, მატერიალური სამყაროს ერთიანობასა და ადამიანური აღქმის უნივერსალურ ხასიათთანაც არის დაკავშირებული. არც ინგლისელსა და არც ქართველს არ გამორჩენია იისა და ვარდის და მშვენიერება, რაც მათ სახელებსა და, შესაბამისად, მიმართვებშიც ასახეს.

ბუნებრივია, ზემოთ აღნიშნული შემთხვევები სრულიადაც არ ქმნიან წინააღმდეგობებს და გაუგებრობებს კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში. ამ უკანასკნელის დროს ერთმნიშვნელოვნად აღიქმება საალერსო მიმართვა – „ლომონ“, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ლომის დახასიათებისას განმსაზღვრელი თვისება და იგი შესაბამისად ორივე კულტურის ხედვას.

აღნიშნული ტიპის შემთხვევები კულტურათშორის კომუნიკაციაში დადებით როლს თამაშობენ და ხელს უწყობენ ურთიერთგაგების პროცესს. ამასთანავე, არის შემთხვევები, როდესაც მსგავსი საალერსო მიმართვები თითქოს განსხვავებული აქსიოლოგიის მატარებელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იდეების კონფიგურაცია, რომელიც მოცემულია მშობლიური ენის საალერსო მიმართვებში, მოლაპარაკის მიერ აღიქმება როგორც თავისთავადი, და მას უჩნდება ილუზია, რომ ამგვარადაა მონყობილი სამყარო. მსგავსი მოვლენა კულტურათშორის კომუნიკაციაში ხშირად უარყოფით როლს თამაშობს. ასე, მაგალითად, ინგლისური „Tootsie“ ინგლისურში პოზიტიურადაა მარკირებული, რაც არ შეესაბამება მისი ქართული ენობრივი შესატყვისის შეფერილობას. ფეხის თითთან შედარება ქართველმა შეიძლება შეურაცხყოფადაც მიიღოს და საკმაოდ არაადეკვატური რეაქციაც შეიძლება მოჰყვეს, ამიტომ საჭიროა მისი ფუნქციონალური ეკვივალენტი მოვიძიოთ, რათა საალერსო მიმართვის მნიშვნელობა შევინარჩუნოთ.

როგორც ცნობილია, შეფერხებები კულტურათშორის კომუნიკაციაში გამონვეულია შესაბამისი კულტურების ეთნონობრივი ცნობიერების არაერთგვაროვნებითაც.

ადამიანის ფენომენთან დაკავშირებული საალერსო მიმართვები, რომლებიც კულტურის სპეციფიკურ ხედვას ასახავენ, შესაძლოა გაუგებრობის წყაროდ იქცნენ. ეთნოკულტურული სპეციფიკა საალერსო მიმართვების ენობრივ გაფორმებაში ვლინდება. სპეციფიკური შეიძლება იყოს საგნები და მოვლენები, რომლებიც მხატვრულ სახეს ქმნიან, ასევე საგნები და მოვლენები, რომლებიც შედარების ობიექტს წარმოადგენენ, და შედარების გამოხატვის საშუალებებიც. გარკვეული ეთნოსის საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება, მისი ცხოვრების წესი, კულტურა სპეციფიკურ შეფერილობას აძლევენ გარემო სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს, რითაც გავლენას ახდენენ სამყაროს ეთნოენობრივ სურათზე.

კულტურათშორის კომუნიკაციაში პრობლემას ქმნის როგორც საინფორმაციო დეფიციტი, ასევე კოდის არცოდნით თუ ზეკოდური ცოდნის უქონლობით გამონვეული ინტერპრეტაციის შეცდომები. საალერსო მიმართვა-შეფასება წარმოადგენს სტერეოტიპული დამოკიდებულების ნიშანს, რომლის დესკრიფციული მხარე გარე სინამდვილეს შესაბამისი ლექსიკური ერთეულებით გამოხატავს. სხვადასხვა კულტურაში ნომინაციის საფუძვლად შეიძლება განსხვავებული ეთნოსპეციფიკური რეალიები და პრეცედენტული სახელები იქნეს გამოიყენებული, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პრობლემას ქმნის ალერსობით მიმართვაში შემავალი ლექსიკური ერთეულის არქონა ინტერპრეტატორის კოგნიტურ ბაზაში, შესაძლოა, სირთულეს ქმნიდეს ალერსობით მიმართვაში შემავალ ფორმანტთა განსხვავებული ღირებულება შესაბამის კულტურაში. ასე, მაგალითად ინგლისურსა და ამერიკულ კულტურებში გავრცელებულ ალერსობით ფორმის *old boy* პირდაპირი ქართული თარგმანი „ძველი ბიჭი“, შესაძლოა, საკმაოდ ირონიული დამოკიდებულების ობიექტი გახდეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა სხვა კულტურის საალერსო მიმართვების ინტერპრეტაციისას უნდა მიეცეს პრეცედენტულ სახელებს, რომლებიც ეთნოსპეციფიკურ რეალიებს და ხედვას ასახავენ. ინტერპრეტაცია შესაბამისი კულტურის ფაქტების ცოდნას მოითხოვს. პრეცედენტული სახელის პოპულარობა

კულტურაში სახელის დარქმევით ვლინდება. საწინააღმდეგო შემთხვევაა, როდესაც პერსონაჟისადმი ნეგატიური დამოკიდებულება სახელის გაქრობაში ვლინდება. ასე, მაგალითად, ისეთი დარბაისლური სახელი, როგორცაა „ლუარსაბი“, ილიას შემდეგ თავისებურ ნეგატიურ სიმბოლოდ იქცა და ფაქტობრივად გამოვიდა ხმარებიდან. პრეცედენტულ სახელებში ხშირად ვლინდება წინააღმდეგობა შეფასებაში. მაგალითად, ინტერპრეტატორის პოზიციიდან გამომდინარე, თემურ ლენგი ეროვნულ გმირადაც შეიძლება იქნეს აღქმული და უღმობელ დამპყრობლადაც. დრეიკი ფრანგებისთვის მეკობრეა, ხოლო ინგლისელთათვის – ეროვნული გმირი. ქართული მენტალობისთვის ცოტა უცნაურად გვეჩვენება არა მარტო მტარვალ თემურ ლენგის სახელის დამკვიდრება, არამედ მისგან საალერსო „თემურიკო“ ფორმის წარმოებაც.

კულტურათმორის კომუნიკაციაში პრობლემური შეიძლება გახდეს ალერსობით, მიმართვაში შემავალი ფორმანტის კონოტაციური არაერთგვაროვნება. ქართველებისთვის სრულიად გაუგებარია, როდესაც ამერიკელი ერთი დღის გაცნობილ ადამიანს „friend“-ს უწოდებს, შესაბამისად, ეს იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულებას და არაგულწრფელობის შეგრძნებას. გაუგებრობის წყაროდ კულტურათმორის კომუნიკაციაში შეიძლება იქცნენ სოციალურ ცხოვრებასთან და იდეოლოგიასთან დაკავშირებული კონოტაციები (მღრ. ქართველის ცნობიერებისთვის რუს. *добр* – უარგონული ხმარებით, მაგრამ ქართ. *ძმაო* – მეგობრულია).

კულტურათა ურთიერთუპატივცემულობა, ისევე როგორც სიძულვილი და აგრესია, კულტურათმორის კომუნიკაციაში მრავალი კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს. სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ერთსა და იმავე კულტურას შეიძლება სრულიად განსხვავებული თვალთ უყურებდეს. ასე, მაგალითად, ფრანგი გერმანელისთვის სიძუნწის ეტალონია. იგივე ფრანგი რუსისთვის და ქართველისთვის გალანტურობის მაგალითია, ხოლო იტალიელისთვის – ქედმაღლობისა. გერმანელი პუნქტუალობის მაგალითია რუსისთვის და ქართველისთვისაც; იტალიელი – ხმაურიანობის, ინგლისელი – თავშეკავებულობისა. ქართველისთვის გერმანელი პუნქტუალობის, იტალიელი – არტისტულობის, ხოლო ინგლისელი – მაღალი ღირსების მაგალითია. ასევე არაერთგვაროვანია პოლონელისადმი დამოკიდებულება. რუსი

პოლონელს ქედმაღლურად და გამომწვევად აღიქვამს, ამერიკელი – სულელად, ფრანგი – ლოთად. ამ უკანასკნელ ამპლუაში ქართველი რუსს ხედავს. აღნიშნული მაგალითები გვიჩვენებს, რომ მიმართვაში ასახულ პოლიტიკორექტულობის ფაქტორს შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს კულტურათშორისი ურთიერთობის როგორც ნორმალიზაციაში, ასევე დესტაბილიზაციაში (ამ ფაქტორს ხშირად წარმატებით იყენებს პროვოკაციის მიზნით მესამე ძალაც). ასეთი კონფლიქტის წყაროდ შეიძლება სწორედ მიმართვა მოგვევლინოს. ასე, მაგალითად, ნებისმიერი კულტურის წარმომადგენლისთვის დიდად უსიამოვნო იქნება ეთნონიმით მიმართვა: „შე, თურქო“, ან თუნდაც „შე, ქართველო“ (You, Georgian!). მიმართვის უხემ ფორმას ბოლომდე ვერც სიახლოვის ფორმანტის „ჩემო“ დამატება ვერ უშველის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საალერსო მიმართვა გვევლინება არსებობის ბინარული მოდუსით – როგორც **ინტრაკულტურული ნიშანი**, რომელშიც ასახულია შესაბამისი კულტურის ეთნოეროვნული ხედვა და განკუთვნილია „შიდაკულტურული მოხმარებისათვის“ და, მეორე მხრივ, როგორც – კულტურის სპეციფიკური **აქსიოლოგიური კოდი**, რომელიც მონაწილეობს **კულტურათშორის კომუნიკაციაში**. როგორც წინა თავმა გვიჩვენა, „შიდაკულტურული მოხმარებისთვის“ განკუთვნილი საალერსო მიმართვები ითვალისწინებენ შესაბამის ადრესატს, მის ფსიქოლოგიას, მისთვის ინფორმაციის მისაწვდომობას და ა.შ. კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში ხდება ადრესატის სრულიად განსხვავებულ ტიპთან ურთიერთობა, რაც გულისხმობს მოქმედების უცხო კულტურის წარმომადგენელზე გათვლას, მისი სოციო-კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა განმასხვავებელი ფაქტორის გათვალისწინებას. ვინაიდან ჩვენ გვიხდება საალერსო მიმართვების შედარება სამ განსხვავებულ კულტურაში: ინგლისურში, ქართულსა და ამერიკულში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შედარებისთვის მყარი საფუძველი გამოვძებნოთ. განსხვავებულ კულტურათა შედარებას კი თავისი მეთოდები აქვს, რომელთა შორის პოპულარობით სარგებლობს გერდ ჰოფშტიდის ექვსგანზომილებიანი მოდელი, რომელიც კულტურების ტიპოლოგიური კვლევისას გამოიყენება.

გერდ ჰოფშტიდის თეორიის მიხედვით, კულტურები ექვსი განზომილებით უპირისპირდებიან ერთმანეთს:

გაურკვევლობის თავიდან აცილების ინდექსი განსაზღვრავს, თუ რამდენად ტოლერანტულია საზოგადოება გაურკვეველ სიტუაციასთან და ნორმატიულ გადახრებთან მიმართებაში, როგორია ხალხის რეაქცია უცხო და არაპროგნოზირებად სიტუაციაში. მაღალი ინდექსის მატარებელი კულტურები ნაკლებად მომთმენნი არიან ცვლილებებთან მიმართებაში და ცდილობენ მკაცრი წესებისა და ნორმატივების და კანონების მეშვეობით დაიცვან თავი მოულოდნელობებისგან.

დაბალ ინდექსიანი საზოგადოება უფრო ღიაა ცვლილებებისთვის და არ არის მკაცრად დამოკიდებული წეს-ჩვეულებებზე. ქართული კულტურა შუალედურ პოზიციაზეა. ერთი მხრივ, ცნობიერება გარკვეულად დამოკიდებულია წეს-ჩვეულებებზე, მეორე მხრივ კი, სწრაფად ადაპტირებადია ცვლილებებისადმი. საინტერესოა, რომ არაპროგნოზირებად სიტუაციებში ურთიერთობისას ყველა განსახილველი კულტურის წარმომადგენელი - ინგლისელიც, ამერიკელიცა და ქართველიც - ნულოვან მიმართვას იყენებს. ამ სამეულში ყველაზე მაღალი ინდექსის მატარებლები ინგლისელები არიან. ამერიკა და საქართველო ამ მაჩვენებლით თითქმის ერთნაირად გამოიყურება.

მომავალზე მოკლევადიანი და ხანგრძლივი დროითი ორიენტაცია. მოკლევადიან პერიოდზე ორიენტირებული კულტურები პატივს სცემენ ტრადიციულ მეთოდებს, დიდ დროს უთმობენ ურთიერთობის განმტკიცებას და დროს განიხილავენ როგორც ჩაკეტილ წრეს, რაც ნიშნავს იმას, რომ მათთვის წარსული და მომავალი დაკავშირებულია და ის, რაც არ შეიძლება გაკეთდეს დღეს, შეიძლება გაკეთდეს ხვალ. მომავალზე ხანგრძლივი დროით ორიენტაციისას დრო განიხილება, როგორც ვექტორი და ხალხი უფრო მომავალზე ფიქრობს, ვიდრე აწმყოზე ან წარსულზე. ასეთი საზოგადოება ორიენტირებულია მიზანზე და დიდად აფასებს მიღწევებს. ქართული კულტურა მოკლევადიან პერიოდზე უფროა ორიენტირებული. ინგლისურსა და შემდეგ ამერიკულს შესაბამისად უფრო მაღალი ინდექსები აქვთ ამ მხრივ.

საკუთარი სურვილების ხელშეწყობა თუ თავშეკავება. იმ საზოგადოებაში, სადაც თავშეკავება ღირებულებას წარმოადგენს, მკაცრი კანონები და რეგულაციები მოქმედებს და პირადი სურვილების აყოლა ცუდ ტონად ითვლება. სამხრეთული ტემპერამენტიდან გამომდინარე, ქართველი ნაკლებად თავშეკავებულია (თუმცა აქაც შიდაკუთხური ნიუანსებიც გასათვალისწინებელია, მაგალითად, კახელები/რაჭველები), ვიდრე ინგლისელი ან ამერიკელი, მაგრამ, კულტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, აცნობიერებს და ცდილობს, თავის ქცევაში ასახოს აღნიშნული მაქსიმა. ამ მხრივ საინტერესოა ქართული ქცევითი მაქსიმები: „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“, „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი“. მიუხედავად ამისა, ამერიკელებს და, უფრო მეტად – ინგლისელებს, ამ მხრივ უფრო მაღალი ინდექსები აქვთ.

ძალაუფლების დისტანცია დაკავშირებულია ძალაუფლების მქონე და არმქონე პირების სოციალურ უთანაბრობასთან, რაც ვლინდება ტიპურ სიტუაციებში ქცევის მკაცრ იერარქიაში განსაკუთრებით სამსახურში და ქუჩაში შეხვედრისას, შედარებით ნაკლებად – სტუმრად ყოფნისას.

საქართველოში ძალაუფლების იერარქია თავაზიანობაში ვლინდება. დისტანცია უფროსსა და თანამშრომლებს შორის უფრო მეტია, ვიდრე ამერიკაში, რაც მიმართვის თქვენობით მარკერშიც აისახება. თავის მხრივ, უფროსი იყენებს მიმართვას “შენ” და, ამერიკელისა და ინგლისელისგან განსხვავებით, იშვიათად იღიმება.

საქართველოში უფროსის პატივისცემა მიმართვებშიც აისახება. სამუშაო გარემოში ხშირად გამოიყენება უფროსის მიმართ პატივისცემის გამოხატვა, ძირითადად უნივერსალურ ფორმულა „ბატონოსა“ და მისი გენდერული ვარიანტის „ქალბატონოს“ მეშვეობით.

ამერიკაში ძალაუფლების დისტანცია უფრო ნაკლებია:

- ძალაუფლების იერარქიას პრაგმატიკული ხასიათი აქვს, რომელსაც განსაზღვრავს პროფესიულ-სამსახურებრივი და არა პირადული თვისებები
- იდეალური უფროსი დემოკრატიული სტილის მიმდევარი უნდა იყოს.

თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სამუშაო პრობლემების განაწილებაში.

ინგლისში ძალუფლების დისტანცია ყველაზე ნაკლებია, რაც ბრიტანული მენტალობითა და ფსიქოლოგიით აიხსნება.

მასკულინურ/ფემინური ტიპები შემდეგი კრიტერიუმებით განისაზღვრება: თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტრადიციულად მამაკაცური ღირებულებები: მიზანსწრაფულობა, ამბიციურობა, სწრაფვა ძალაუფლებისკენ და ქალთა ღირებულებები: ადამიანურობა, სიბრალული. მასკულინური ტიპის კულტურები აღინიშნება მკვეთრი განსხვავებით სქესებს შორის.

საქართველო მასკულინურ კულტურად ითვლება. აქ წინა პლანზეა წამოწეული მამაკაცური პრიორიტეტები და ღირებულებები, სიმჰათიის გრძნობასაც უფრო სუსტების მიმართ გამოხატავენ. გენდერული როლების განაწილების თვალსაზრისით ალერსობით მიმართვას უფრო ქალები იყენებენ. ხელმძღვანელი ქალები მიმართვისას ბატონო ფორმას იყენებენ (უფროსების მიმართ, ხოლო ახალგაზრდებს სახელით მიმართავენ, ზოგჯერ საალერსო ფორმითაც); მამაკაცი ხელმძღვანელები თანამშრომლებიდან უფრო მეტად ქალებს აქებენ.

ამერიკული კულტურა აღმოჩნდა ნაკლებად ფემინური, ვიდრე ქართული:

- საუბარში დიდი ადგილი ეთმობა ყოფით, სამსახურებრივი მიღწევებისა და აგრეთვე ფულის თემას.
- ამერიკისთვის დამახასიათებელია დაახლოებითი თანათვარდობა მეუღლეებს შორის მოვალეობათა განაწილებაში. არავის უკვირს, როდესაც სტუმრების თანდასწრებით მამაკაცი სამზარეულოში შეიძლება საქმიანობდეს. ქალები და მამაკაცები ერთნაირად ამბიციურნი არიან და კარიერული ზრდისკენ მიისწრაფიან.
- ემოციური როლების განაწილება დაახლოებით თანაბარია. ამერიკელი მამაკაცები ძალზე ემოციურები არიან და ღიად გამოთქვამენ თავიანთ გრძნობებს მიმიკით, უესტებით, ინტონაციით.

ქართველი მამაკაცები უფრო თავშეკავებულნი არიან, რაც საალერსო მიმართვების სიმწირეში გამოიხატება.

ინგლისელები ამერიკელებთან შედარებით ნაკლებად ემოციურნი არიან და უფრო მეტად შეზღუდულები ურთიერთობის ეტიკეტური მხარით.

ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი:

- ამ პარამეტრით საქართველო უფრო კოლექტივისტური აღმოჩნდა, ვიდრე ინგლისი და ამერიკა: საკმარისია, გავიხსენოთ ისეთი ფორმები, როგორიცაა, გენაცვალე, შემოგვევლე, ჭირიმე და ა.შ., რომ დავრწმუნდეთ ამაში.

- ოჯახთან დამოკიდებულება საქართველოში განსაკუთრებულია და მოიცავს ისეთ ცნებას, როგორიცაა, „დიდი ოჯახი“, რომლის მრავალგვარ წევრებთან გაცილებით უფრო თბილი დამოკიდებულებაა, ვიდრე აღნიშნულ ქვეყნებში;

- საქართველოში გაცილებით უფრო მეტია რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებიც მშობლებთან ცხოვრობს, ხოლო, ვინც ცალკე ცხოვრობს, მშობლებისთვის ისევ „ბავშვებად რჩებიან“, და ხშირად ასედაც მოიხსენებიან;

- „ჩვენ-ცნობიერება“ უფრო დამახასიათებელია ქართული კულტურისათვის, ვიდრე ბრიტანული ან ამერიკულისთვის, რომელიც *მე* ცნობიერებისკენაა მიდრეკილი.

ამერიკელებს მეტად, ვიდრე ქართველებს, და ნაკლებად, ვიდრე ინგლისელებს ახასიათებთ:

- 1) „მე-ცნობიერება“. თუნდაც ის, რომ ინგლისური ორთოგრაფიით ნაცვალსახელი *მე* (I) დიდი ასოთი იწერება, ხაზს უსვამს პიროვნული ფაქტორის მნიშვნელობას.
- 2) ამერიკელები და ინგლისელები ჯგუფურ ინტერესზე წინ ინდივიდუალურს აყენებენ;
- 3) ურთიერთობის შენარჩუნება მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი აზრის გამოთქმა;
- 4) ინგლისელებისა და ქართველებისგან განსხვავებით, ამერიკელები არ ერიდებიან სასიხარულო განწყობის ღიად გამოხატვას და მუდმივად თან ახლავთ სახეზე ღიმილი.

ამგვარად, ძალაუფლების დისტანციის თვალსაზრისით საქართველო უფრო კონსერვატულია, ვიდრე ინგლისი და, განსაკუთრებით, აშშ;

ფემინურობის თვალსაზრისით საქართველო ასევე უფრო ნაკლებად ფემინურია, ვიდრე, ინგლისი და, განსაკუთრებით, აშშ;

მნიშვნელოვანი სხვაობაა კოლექტივიზმის პარამეტრშიც - ქცევის თვალსაზრისით საქართველო უფრო კოლექტივისტურია, ვიდრე ინგლისი და აშშ.

ჰოფსტიდი ხაზს უსვამს, რომ კულტურათა ინტერპრეტაციის ამგვარი მოდელი მხოლოდ საფუძველს წარმოადგენს, რომელიც გვეხმარება, შევაფასოთ კონკრეტული კულტურა, რათა მივიღოთ გადაწყვეტილება. არსებობს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, პირადი მახასიათებლები, ოჯახის ისტორია, და ა.შ. ავტორის აზრით, მოცემული განზომილებები წინასწარ ვერ განსაზღვრავს ცალკეული პირის ქცევას და ვერ გაითვალისწინებს ყველა ადამიანის ინდივიდუალურ სპეციფიკას (ჰოფსტიდი 1991, 412).

ჰოფსტიდის კულტურულ განზომილებათა თეორიის ბოლო სამ პარამეტრს საკმაოდ საინტერესოდ იყენებს ტ.ლარინა რუსულ და ინგლისურ მიმართვების შედარებისას. ვინაიდან შედარების ეს მეთოდოლოგია სავსებით მისაღებია ქართული კულტურისათვისაც, მოკლედ შევხებით მას.

კულტურათშორისი კომუნიკაციის პოზიციებიდან კომუნიკაციური ქცევის ანალიზისას ტ.ლარინა გამოყოფს კომუნიკაციურ ეთნოსტილებს, ანუ კომუნიკაციის ეროვნულ სტილს, რომელიც ამა თუ იმ ხალხის ქცევას ახასიათებს. ამასთანავე, ხაზს უსვამს იმას, რომ მსჯელობაა ტიპიზებული ადამიანის ტიპიზებულ ქცევაზე ტიპიზებულ სიტუაციაში, რადგანაც თითოეული კონკრეტული ადამიანის ქცევას თავისი ინდივიდუალური თავისებურებები აქვს (ლარინა 2009, 13).

კომუნიკაციის ეთნოსტილი ავტორმა განსაზღვრა, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული, კულტურით განსაზღვრული და ტრადიციით განმტკიცებული ხალხის კომუნიკაციური ქცევის ტიპი, რომელიც პირთაშორის ურთიერთობებში კომუნიკაციის გარკვეული საშუალებების (ვერბალურისა თუ არავერბალურისა) პრეფერენციაში ვლინდება (ლარინა 2009, 36). კომუნიკაციის ეთნოსტილის გამოვლინებაა, მაგალითად, ინგლისური კომუნიკაციური კულტურისთვის დამახასიათებელი დისტანციურობა, რაც ვერბალურ დისტანციაშიც აისახება. ქართული კომუნიკაციისთვის ბუნებრივი შეკითხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში: ჩაბრძანდებით? (ჩადიხართ?), ზოგ შემთხვევაში გაფორმებული მიმართვებით „მშვენიერო“, „გენაცვალე“, სრულიად მიუღებელი და,

შესაძლოა, შოკის მომგვრელიც კი იყოს ინგლისელისთვის (შედარებით ნაკლებად ამერიკელისთვის). ნაცვლად აღნიშნული ფორმის ეკვივალენტისა – *Are you getting off?* - , რომელიც ინგლისელების მიერ ძალზე პირადულად აღიქმება, ვინაიდან არღვევს კომუნიკანტთა შორის არსებულ საზღვრებს, ინგლისელი მგზავრი აღნიშნულ სიტუაციაში იყენებს ყურადღების მიპყრობის ფორმებს, როგორცაა “Excuse me” (უფრო იშვიათად “Pardon me”).

იქიდან გამომდინარე, რომ კომუნიკაციის ამა თუ იმ საშუალების არჩევა შეპირობებულია კომუნიკაციის ეთნოსტილით, შეიძლება დაბეჭითებით განვაცხადოთ, რომ მიმართვის ფორმულების არჩევანიც ასევე დამოკიდებულია კომუნიკაციის ეროვნულ სტილზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმართვის ფორმულების სხვაობა ქართულსა და ინგლისურში კულტურათა თვითმყოფადობიდან და კომუნიკაციურ ღირებულებათა არაერთგვაროვნებიდან მომდინარეობს.

მოკლედ დავახასიათოთ ქართული და ინგლისური კომუნიკაციური ღირებულებები (ამერიკულის ჩათვლით). კომუნიკაციურ ღირებულებათა შორის, რომლებიც ქცევის თავისებურებებსა და ინგლისურ კომუნიკაციის სტილზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, მიიჩნევა ურთიერთობის სოციალურ-კულტურული ტიპით შეპირობებული ღირებულებები: დისტანციურობა და პიროვნების ავტონომიურობა, თანასწორობა, ცხოვრების ოპტიმისტური აღქმა (positive thinking) ან „ოპტიმისტური განწყობა, ხალხისადმი კეთილგანწყობა და ემოციური თავშეკავებულობა“ (ლარინა 2009, 36). როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციური ღირებულებები და ეთნოსტილი ისეთი ექსტრალინგვისტური ფაქტორით განისაზღვრება, როგორცაა, კულტურის ტიპი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰოფშტიდი, გამომდინარე საზოგადოების წევრთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული დისტანციიდან (ჰორიზონტალური დისტანციიდან), კულტურებს ინდივიდუალისტურად და კოლექტივისტურად ყოფს. პირველში ჰორიზონტალური დისტანცია მეტია, მეორეში – ნაკლები. ეს ცვლილებები აისახება იდეოლოგიაშიც, საკუთარი „მეს“ აღქმაში, საზოგადოების წევრთა ურთიერთობის ტიპებში, განათლების სისტემაში, კულტურულ ღირებულებებში და ა.შ.

საინტერესოა, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით „ედვარდ ჰოლის მიერ შემოტანილი ცნებები „კულტურის ვიწროკონტექსტური (*low context cultures*) და ფართოკონტექსტური ტიპები (*high context cultures*)“, ფაქტობრივი შინაარსით შეესაბამება ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურების ცნებებს (ჰოლი 1976, 67).

ინგლისურ ენას ვიწროკონტექსტურს მიაკუთვნებენ, ხოლო ქართული, ჩვენი მონაცემებიდან გამომდინარე, კოლექტივისტურ კულტურებს შორისაა. ინდივიდუალისტურ კულტურაში ინდივიდის ინტერესებია წამყვანი, “მე“ უფრო მაღლა დგას, ვიდრე „ჩვენ“; ინდივიდუალური მიზნები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯგუფური. ინდივიდთა ურთიერთობა აგებულია თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპზე.

კოლექტივისტურ კულტურებში, პირიქით, წამყვანია ჯგუფის ინტერესები და „ჩვენ“ შესაბამისად მაღლა დგას, ვიდრე “მე“, ჯგუფური მიზნები უფრო მნიშვნელოვანია ინდივიდუალურზე. კოლექტივისტურ კულტურებში საზოგადოების წევრთა დამოკიდებულება უფრო მჭიდროა და აგებულია ურთიერთდამოკიდებულებაზე, ურთიერთდახმარებასა და დაქვემდებარებაზე (ფორმანოვსკაია 1990 , 27).

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დაყოფა აბსოლუტური არ არის: ინდივიდუალისტურ კულტურებში შეიძლება არსებობდნენ კოლექტივისტები და, პირიქით. კულტურათა უმრავლესობა ამ ნიშანთა ნაზავია, თუმცა ერთ-ერთი ტენდენცია მაინც განმსაზღვრელი რჩება.

ლარინას აზრით, ინგლისურ ინდივიდუალისტურ კულტურაში საზოგადოების წევრთა შორის სოციალური დისტანცია უფრო გრძელია, ვიდრე რუსულში და ყველა ინდივიდს აქვს უფლება, იყოს ავტონომიური, ჰქონდეს ე.წ. “privacy“, რომელიც წარმოადგენს ინგლისური კომუნიკაციური ცნობიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონცეპტს (ლარინა 2009, 37). საკომუნიკაციო ქცევის ეროვნული თავისებურებების გამოვლინებას ხშირად ვაწყდებით კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში. ურთიერთობის სტილი, როგორც ცნობილია, ყალიბდება ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენით – გარეენობრივი სინამდვილის იმ მოვლენების შესაბამისად,

რომლებშიც მიმდინარეობს სამეტყველო ურთიერთობა. კომუნიკაციის ეროვნული სტილი ყალიბდება სოციოკულტურული ურთიერთობების, კულტურული ღირებულებების, ნორმებისა და ტრადიციების გავლენით, რომლებიც დამახასიათებელია შესაბამისი კულტურისათვის. ის ფაქტი, რომ ინგლისური საკომუნიკაციო კულტურისთვის დამახასიათებელია არაფორმალური ხასიათი, კომუნიკანტებს შორის სიმეტრიული დამოკიდებულება და აქცენტი თანასწორობაზე გაკეთებული, რაც განპირობებულია ინგლისური კულტურისთვის დამახასიათებელ შედარებით მცირე სტატუსური დისტანციით (Power distance) (ჰოფსტიდი 1991), შესაძლებლობას იძლევა, კომუნიკაციის ინგლისური სტილი განვსაზღვროთ, როგორც პიროვნებაზე ორიენტირებული, განსხვავებით ქართულისგან, რომელშიც კომუნიკანტთა უფრო დიდი სტატუსური განსხვავების გამო საკომუნიკაციო სტილი მეტი ფორმალურობით, როლების ასიმეტრიულობით ხასიათდება და სტატუსზე-ორიენტირებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ინგლისური საკომუნიკაციო ქცევისთვის დამახასიათებელი ნიშნები ნათლად მიუთითებენ მკვეთრად გამოხატულ აქცენტს ადრესატზე და უფლებას გვაძლევენ ვთქვათ, რომ ინგლისური კომუნიკაციური კულტურისათვის დამახასიათებელია ურთიერთობის ტიპი, რომელსაც ფსიქოლინგვისტების ენაზე „კოოპერაციულ-კონფორმული“ შეიძლება ეწოდოს. ამისგან განსხვავებით, ქართული კომუნიკაცია თვით პიროვნებაზე – ადრესატზეა ორიენტირებული.

ამგვარად, ვერბალური კომუნიკაციის ნაციონალურ სტილის აღწერას შეიძლება საფუძვლად განსხვავებული პარამეტრები დაედოს, რომლებიც დაკავშირებულია რაოდენობრივ, თვისებრივ, ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ, ფსიქოლინგვისტურ მახასიათებლებთან:

- ურთიერთობის დისტანციურობა / ინტიმურობა;
- ურთიერთობის ფორმალურობა / არაფორმალურობა;
- კომუნიკანტთა სუბიექტურ/ობიექტური ორიენტირებულობა;
- კომუნიკაციური ზემოქმედების დასაშვებობის ხარისხი;
- კომუნიკაციური ინტენციის პირდაპირი/ირიბი გამოხატვა;

- ემოციების გამოვლენის ხარისხი (ემოციური თავშეკავება/ გახსნილობა);
- ექსპრესიულობის ხარისხი;
- რიტუალიზაციის ხარისხი

ავტორი არ თვლის, რომ ჩამოთვლილი პარამეტრები სრულად ასახავს ინგლისური ფატიკური კომუნიკაციის არსს, მაგრამ, უკვე, ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლებლად თვლის მის დახასიათებას, როგორც:

1. *დისტანციურობა* (დისტანცია მკაცრად არის დაცული),
2. *არაიმპოზიტიურობა* (კომუნიკაციური ზეგავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი),
3. *ირიბი* (კომუნიკაციური ინტენციების გამოხატვის ხერხების მიხედვით),
4. *არაკატეგორიული* (სუბიექტურია აზრის ან რჩევის გამოხატვის თვალსაზრისით),
5. *კოოპერაციულობა* (ხასიათდება კომუნიკაციურ პარტნიორზე მკვეთრად გამოხატული ორიენტაციით),
6. *არაფორმალურობა* (ახასიათებს როლებრივი სიმეტრიის, კომუნიკანტთა თანასწორობა),
7. *პიროვნებაზე ორიენტირებულობა* (პრიორიტეტი ენიჭება ადრესატის პიროვნებას და არა სტატუსს),
8. *კონფორმულობა* (პარტნიორის პოზიციამდე აწყობა),
9. *ატრაქციულობა* (კეთილგანწყობა დემონსტრაციულადაა გამოხატული),
10. *ემოციური* და *ექსპრესიულობა* (ახასიათებს სუპერლატივების ხშირი გამოყენება ბევრ კომუნიკაციურ სიტუაციაში),
11. *უფრო მეტად ფორმალზე და არა შინაარსზე ორიენტირებულობა* (გამონათქვამის სემანტიკისა და პრაგმატიკის ასიმეტრია)
12. *მრავალსიტყვაობა*.

ფატიკური კომუნიკაციის ამერიკული სტილი, გარდა რამდენიმე პუნქტისა, ემთხვევა ინგლისურს. კომუნიკაციური ინტენციების გამოხატვის ირიბი ხერხი შედარებით ნაკლებად დამახასიათებელია ამერიკელებისთვის. ინგლისელებისგან განსხვავებით, დისტანცია კომუნიკანტთა შორის მკაცრად არ არის დაცული, ამერიკელთათვის

დამახასიათებელია კომუნიკაციური ზეგავლენისკენ სწრაფვა, რაც რეკლამის სამყაროში მაცხოვრებელი ადამიანებისთვის მეტნაკლებად ბუნებრივია.

რაც შეეხება ქართულ საკომუნიკაციო სტილს, აქ ინგლისურისგან უფრო მეტი განსხვავება გვაქვს. მოკლედ აღვწეროთ ის მოცემული პარამეტრების მიხედვით:

1. *არადისტანციური* (დისტანცია მკაცრად არ არის დაცული);
2. *იმპოზიტიური* (კომუნიკაციური ზეგავლენა მინიმუმამდე არ არის დაყვანილი);
3. *პირდაპირი, ძირითადად* (კომუნიკაციური ინტენციების გამოხატვა განსხვავდება რეგიონების მიხედვით, მაგალითად, დასავლეთ საქართველო ირიბ ფორმას ამჯობინებს),
4. *კატეგორიული* (ცდილობს, ადრესატს თავს მოახვიოს თავისი აზრი),
5. *კოოპერაციული* (ხასიათდება კომუნიკაციურ პარტნიორზე გამოხატული ორიენტაციით),
6. *ფორმალურ-ეტიკეტური*,
7. *სტატუსზე ორიენტირებული* (პრიორიტეტი ენიჭება პარტნიორთა სტატუსს),
8. *არაკონფორმული*,
9. *განწყობაზე ორიენტირებული*,
10. *ემოციური და ექსპრესიული*,
11. *უფრო მეტად შინაარსზე ორიენტირებული*,
12. *მრავალსიტყვიანი* (რეგიონების მიხედვით)

ფატიკური კომუნიკაციის აღნიშნული მახასიათებლები ასახვას პოულობენ შესაბამისი კულტურების საკომუნიკაციო სტრატეგიებში, ენობრივი საშუალებებისა და, ბუნებრივია, საალერსო ფორმების სიხშირესა და არჩევანში საალერსო მიმართვების სპეციფიკის გამოსავლენად რეალურ კომუნიკაციის პროცესში ჩვენ გამოვიკვლიეთ სოციალურ-როლებრივ (არაოფიციალურ ვითარებაში უცნობი ადრესატისადმი მიმართვა ასაკობრივი და გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით); საქმიან (ნაცნობ/უცნობ ადრესატისადმი მიმართვა ოფიციალურ გარემოში) და ინტიმურ-პირადულ (ნაცნობ ადრესატისადმი მიმართვა არაოფიციალურ სიტუაციაში) კომუნიკაციაში საალერსო მიმართვის გამოყენების შესაძლებლობა საკვლევ სამ კულტურაში (იხ. დანართი 3).

ანალიზი ჩატარდა მონაცემთა ბაზაზე, რომელიც მიღებულ იქნა 50 ინგლისურენოვანი (აქედან 25 ინგლისელი და 25 ამერიკელი) და 25 ქართულენოვანი რესპონდენტის (19 დან 24 წლამდე ასაკის) გამოკითხვის საფუძველზე. რესპონდენტთა ასაკის არჩევანი განსაზღვრა მობილურობისა და მზაობის ფაქტორმა. ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტისას ქართულენოვანი რესპონდენტი მოვიძიეთ და შევარჩიეთ ძირითადად უმაღლესი სასწავლებლებიდან. რაც შეეხება ინგლისურენოვან რესპონდენტებს, მათ მოძიებაში დაგვეხმარნენ: ბრიტანული მასალის მოპოვებაში – პროფესორი ტერი ლემბი, ხოლო ამერიკულისაში - პროფესორი დენ დევიდსონი. გამოკითხვისას რესპონდენტებს შევთავაზეთ კითხვები, რომლებიც, ურთიერთობის რეგისტრიდან გამომდინარე, სამ მიმართულებად იყო დაყოფილი: სოციალურ-როლებრივი (არაოფიციალურ ვითარებაში უცნობი ადრესატისადმი მიმართვა ასაკობრივი და გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით); საქმიანი (ნაცნობ/უცნობ ადრესატისადმი მიმართვა ოფიციალურ გარემოში) და ინტიმურ-პირადული (ნაცნობი ადრესატისადმი მიმართვა არაოფიციალურ სიტუაციაში).

გამოკითხვის მეთოდის გამოყენება კვლევაში განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: აღნიშნულ მეთოდს, როგორც ემპირიული ინფორმაციის მიღების გზას, რიგი უპირატესობა აქვს (კორპუსთან შედარებით): მონაცემები წარმოადგენენ უკანასკნელ ინფორმაციას მიმდინარე ენობრივი პროცესებისა და მოვლენების შესახებ. მიმართვის და, განსაკუთრებით სააღერსო მიმართვის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონაცემები საკმაოდ სწრაფად ძველდება (არავის სურს, საყვარელ ადამიანს ტრაფარეტულად მიმართოს) და ბოლომდე ზუსტად არ ასახავს მოვლენას. მეორე მხრივ, ეს ფორმა კარგად ექვემდებარება ფორმალიზაციას, მინიმუმამდეა დაყვანილი კორესპონდენტის ზეგავლენის ფაქტორი, ოპერატულია და შესაძლებელია, დიდი რაოდენობით ხალხი მოიცვას.

ექსპერიმენტმა დაადასტურა ინგლისური ენის კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც კომუნიკაციის სტილზეც აისახება, ეს არის ურთიერთობის არაფორმალური ხასიათი. ამგვარი კომუნიკაციური სპეციფიკა, რომელიც ინგლისური კომუნიკაციური კულტურის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად იქცა, საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესითაა

გამონწვეული და განსაკუთრებით ნათლად აისახა ეტიკეტში, რასაც შემდეგი ფაქტები ადასტურებენ:

- შეიზღუდა *sir* და *madam* ფორმულების ფუნქციონირება (დღეს ისინი, ძირითადად, გვხვდება მომსახურების სფეროში, კლიენტის მიმართ, უცნობი ადრესატისთვის მიწერილ ოფიციალურ წერილებში და მოსწავლეთა მამაკაც მასწავლებლისადმი მიმართვაში);

- პატივისცემის გამომხატველ მიმართვებში *Mr / Mrs / Miss + გვარი*;

- სახელით მიმართვაზე სწრაფი გადასვლა;

- ასიმეტრიულ სიტუაციებში (სტუდენტი > მასწავლებელი, ბავშვი > უფროსი) სახელით მიმართვის შესაძლებლობა;

- სახელის შემოკლებული ფორმის გამოყენება ოფიციალურ ვითარებაში.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გამოკითხულ ინგლისელ რესპონდენტთა უმრავლესობამ უცხო ადამიანებთან ურთიერთობისას ნულოვანი მიმართვა გამოიყენა (*Hello, Hi/Hey, Excuse me, Sorry*), რომელსაც არ გააჩნია მიმართვის ნომინაციური ფუნქცია. ეს კი ნიშნავს, რომ ადრესანტი გაურბის ადრესატის დასახელებას, რითაც სურს ხაზი გაუსვას დისტანციის არსებობას კომუნიკაციაში. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საქმიან კომუნიკაციაში იყენებენ მიმართვის ისეთ ფორმულებს, როგორცაა, *Mr/Mrs/Ms/Madam/Sir*, ან *Doctor, Professor, Officer*, და სხვა. რაც ასევე ხაზს უსვამს დისტანციის ხაზგასმის სურვილს. სახელით მიმართვა ასეთ შემთხვევაში უადგილო ინტიმურობის ნიშნად აღიქმებოდა. მიმართვის ნულოვანი ფორმა არ ასახელებს ადრესატს და მის ნომინაციას ანაცვლებს ყურადღების მიპყრობის ფორმულებით: *Excuse me, Sorry*, უკაცრავად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჰორიზონტალური დისტანციის გარდა (საზოგადოების წევრთა შორის არსებული, ანუ სოციალური დისტანციის გარდა), დიდ როლს თამაშობს მასთან დაკავშირებული ვერტიკალური დისტანცია, რომელსაც ლარინა განსაზღვრავს როგორც ძალაუფლების, ანუ სტატუსურ დისტანციას, რომელიც

წარმოადგენს „მანძილს მათ შორის, ვისაც მინიჭებული აქვს ძალაუფლება და მათ შორის, ვინც არ არის ძალაუფლებით აღჭურვილი, ანუ, რამდენად ცდილობენ პირველნი მოახდინონ თავიანთი უპირატესობის დემონსტრირება“ (ლარინა 2009, 37). სტატუსური უთანაბრობის ხარისხი სხვადასხვა კულტურებშიც განსხვავებულია. ამასთანავე სოციალური და სტატუსური დისტანცია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან: ინდივიდუალისტური კულტურები ნაკლები ვერტიკალური დისტანციით ხასიათდებიან კოლექტივისტურ კულტურებთან შედარებით.

როგორც გ. ჰოფსტიდი აღნიშნავს, ინდივიდუალისტურ კულტურებში, ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანები ცდილობენ, ხაზი არ გაუსვან თავის მდგომარეობას (*Powerful people try to look less powerful than they are*), მაშინ, როდესაც კოლექტივისტურ კულტურებში, პირიქით, ძალაუფლების მქონე პირები ცდილობენ, ხაზი გაუსვან თავიანთი პერსონების მნიშვნელობას (*Powerful people try to look as impressive as possible*) (ჰოფსტიდი 1991, 132).

ამ თვალსაზრისით ინგლისური კომუნიკაციური კულტურა უმნიშვნელო სტატუსური დისტანციით ხასიათდება და თანასწორობის პრინციპს ემყარება. ინგლისელები თავაზიანობად მიიჩნევენ არაფორმალურობას, მათთვის დამახასიათებელია სახელით მიმართვაზე სწრაფი გადასვლა, დასაშვებია, რომ ასაკით უფროსს ან სოციალური მდგომარეობით მაღლა მდგომს სახელით მიმართო. ინგლისურენოვან რესპონდენტთა 80% (20) განაცხადა, რომ სწავლის ან მუშაობის პროცესში მასწავლებლებსა და უფროსებს სახელით მიმართავენ, თუ ისინი თავითონ შესთავაზებენ ამას. სახელით მიმართვა შესაძლებელია უფროსი თაობის ნათესავების მიმართ, რაც არ არის დამახასიათებელი ქართული კულტურისთვის.

ჩვენმა ექსპერიმენტმა დაადასტურა ტ. ლარინას აზრი, რომ ინგლისური კომუნიკაციური კულტურისთვის დამახასიათებელი მიმართვების არაფორმალური ხასიათი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესის შედეგია. ვერტიკალური მიმართვების (ქვემოდან ზემოთ) და მეტსახელების (nicknames) თავისუფალი გამოყენება ინგლისურ კომუნიკაციაში წარმოადგენს თავაზიანობის კონვენციურ სტრატეგიას (ლარინა 2009, 39). საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესის გავლენას ინგლისურ

ენაზე, ტ. ლარინას აზრით, ადასტურებს ისეთი სამეტყველო ფორმულების, როგორცაა, *Sir/ Madam/ Miss*, ფუნქციონირების სფეროების შეზღუდვა, რომლებიც არა მარტო განსაზღვრავდნენ პარტნიორთა როლებრივ პოზიციებს, არამედ ხაზს უსვამდნენ ადრესატის სტატუსურ უპირატესობას და, შესაბამისად, ადრესანტის დამოკიდებულ მდგომარეობას. ეს ფაქტიც გამოკითხვის შედეგებითაც დასტურდება. გამოკითხულთა ინგლისურენოვან რესპონდენტთა მხოლოდ 20% იყენებს ამ ფორმას მიმართვაში ასაკოვან ადამიანებთან ურთიერთობის სოციალურ-როლებრივ სიტუაციაში და 16% ოფიციალური ურთიერთობის სიტუაციაში. რესპონდენტთა აზრით, ამგვარი მიმართვა დღეს ყველაზე ხშირად მომსახურების სფეროში ისმის.

ქართულ კომუნიკაციაში დიდი სტატუსური დისტანციის გამო არის როლების დიდი ასიმეტრია და ფორმალობა. ჩვენთან თავაზიანად ითვლება უფროსების მიმართ პატივისცემისა და სტატუსური უპირატესობის დემონსტრირება, რასაც ხაზს უსვამს „თქვენ“ ნაცვალსახელი გამოყენება, რომელიც, ინგლისურისგან განსხვავებით, ოპოზიციას ქმნის მხოლოდობითი რიცხვის ნაცვალსახელ „შენ“-თან და ამ ფონზე უფრო მკვეთრად წარმოაჩენს პატივისცემის მნიშვნელობას.

ქართველი ინფორმანტები „თქვენობით“ მიმართვას შემდეგ შემთხვევებში იყენებენ: საქმიან და ინტიმურ - პიროვნულ დონეზე – უფრო მაღალი სტატუსის ნაცნობ ადრესატებთან (უფროსებთან, მასწავლებლებთან) და ზოგიერთ ნათესავთან (ბიძა, დეიდა, მამიდა).

სოციალურ-როლებრივ დონეზე „თქვენობით“ მიმართვას რესპონდენტთა უმრავლესობა იყენებს არა მარტო ასაკით უფროსის მიმართ, არამედ უცნობ თანატოლთა მიმართაც. ინგლისელი რესპონდენტი მამაკაცები *mate* მიმართვას იყენებენ თანატოლ და იმავე სქესის პირთა მიმართ. ეს ფაქტიც ადასტურებს ინგლისური საკომუნიკაციო კულტურის ვერტიკალური დისტანციის ნაკლებად გამოხატულობას ქართულთან შედარებით. ქართული მიმართვები „ჯიგარო“, „იუზგარ“, „ძმაკაც“, რომლებიც, ძირითადად, ქალაქურ მეტყველებაში ვერტიკალური დისტანციის შემცირებისა და შიდა იდენტობის ხაზგასმის მიზნით გამოიყენება, დღეს არა ალერსობის, არამედ ფამილარობის ელფერის მატარებელია.

ექსპერიმენტის შედეგები

1. უფროსი ასაკისა და თანამდებობის ადამიანებისადმი მხოლოდ თქვენობით მიმართვა ყველა ქართველმა რესპონდენტმა დაადასტურა. ქართულში ამგვარ სიტუაციაში „შენობით“ მიმართვა უხემ ფამილარობად აღიქმება და, ინგლისურისგან განსხვავებით, არ აღიქმება თანასწორობად.
2. ინგლისურენოვანი რესპონდენტები შემდეგ მიმართვებს იყენებენ: *mate, dude, baby, boy, dear, angel, dearest, dear boy, dear girl, friend, honey, kid, love, lovely, sweet, sweetheart, sweets* და ა.შ.
3. საერთო ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს მეტსახელების გამოყენება (nicknames). გვარები კი სარკაზმის ან ხუმრობის გამოსახატავად გამოიყენება.

ქართული და ინგლისური მიმართვების განსხვავების ძირითადი მიზეზი კომუნიკანტთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ დისტანციაში მდგომარეობს.

ქართულ კოლექტივისტურ კულტურაში, ინგლისური ინდივიდუალისტური კულტურისგან განსხვავებით, კომუნიკანტთა შორის არსებული სტატუსური განსხვავება მეტია, სოციალური კი – ნაკლები.

ძირითადი განსხვავებები:

- უცნობი ადრესატისადმი მიმართვაში ინგლისურში ძირითად ფორმად ნულოვანი მიმართვა გამოიყენება, ქართულში შეინიშნება ადრესატის ნომინაციის ტენდენცია;
- ინგლისური კომუნიკაციისთვის დამახასიათებელია არაფორმალურობა, სახელით მიმართვაზე სწრაფი გადასვლა, დასაშვებია სახელით მიმართვა თანამდებობითა და ასაკით უფროსების მიმართ;
- ქართული კომუნიკაცია უფრო ფორმალური ხასიათით გამოირჩევა და მისთვის მიუღებელია, რომ თანამდებობითა და ასაკით უფროს ადამიანებს მხოლოდ სახელით მიმართო;
- ინგლისური საალერსო ფორმები განსხვავდებიან ქართულისგან როგორც სტრუქტურულ-ფუნქციონალური თვალსაზრისით, ასევე იმ ემოციური კონოტაციებითა და მხატვრული სახეებით, რომელიც საუბრულად უდევთ ალერსობით მიმართვებს;

- მნიშვნელოვან განსხვავებას იძლევა ქართულში „შენ“ ფორმის არსებობა, რომელიც კომუნიკაციაში რიგ სტილისტიკურ ეფექტს წარმოშობს.

ამრიგად, უნდა აღვნიშნოთ, რომ საალერსო მიმართვა გვევლინება არსებობის ბინარული მოდუსით – როგორც ინტრაკულტურული ნიშანი, რომელშიც ასახულია შესაბამისი კულტურის ეთნოეროვნული ხედვა და განკუთვნილია „შიდაკულტურული მოხმარებისათვის“, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც – კულტურის სპეციფიკური აქსიოლოგიური კოდი, რომელიც მონაწილეობს კულტურათშორის კომუნიკაციაში.

წინამდებარე თავში საალერსო მიმართვები მოგვევლინა, როგორც ქცევის ერთ-ერთი ნაირსახეობის ეთნოენობრივი ინტერპრეტაციის ემპირიული ბაზა, რომლის ანალიზმაც შესაძლებლობა მოგვცა, შემდეგი დასკვნები გამოგვეტანა:

1. საალერსო მიმართვების ეთნოკულტურული სპეციფიკა გამოვლინდა როგორც მხატვრული სახის შესაქმნელად გამოყენებული საგნებისა და მოვლენების შერჩევაში, ასევე შესადარებელი საგნებისა თუ მოვლენების და შედარებისთვის გამოყენებული ხერხების არაერთგვაროვნებაში;
2. საალერსო მიმართვების სტრუქტურაში შემავალი კომპონენტები წარმოდგენას გვიქმნიან ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის ადგილზე შესაბამისი კულტურის სამყაროს სურათში და მიგვანიშნებენ საკვლევი კულტურების წარმომადგენელთა აზროვნების თავისებურებებზე;
3. საალერსო მიმართვა ორ განსხვავებულ ეთნოკულტურაში უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი, რომლებიც კულტურათშორის კომუნიკაციაში გარკვეულ პრობლემებს ქმნიან, ვინაიდან შესაბამის აქსიოლოგიურ სისტემებთან არიან დაკავშირებულნი;
4. საალერსო მიმართვებში მოცემული ადამიანის ეთნოსპეციფიკური ბიოლოგიური, ინტელექტუალური, სულიერი და სოციალური მახასიათებლები დეტერმინირებულია შესაბამისი მსოფლხედვით (რაც აისახება ეთნოეროვნულ სიმბოლოებში და პრეცედენტულ სახელებში, ეთნოსპეციფიკურ რეალიებში,

გამოყენებულ მხატვრულ სახეთა და მოვლენათა შეფასების სპეციფიკურობაში), ხოლო უნივერსალური - გამოწვეულია ადამიანის ფენომენის უნივერსალობით, პოეტური სახის შინაფორმის დამთხვევით, საერთო წყაროსთან კავშირით და კულტურათა კონტაქტებით;

5. განსხვავებათა ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ სხვაობა საალერსო მიმართვების სტატუსში, რომელიც, ძირითადად, ვლინდება: 1) ლაკუნარული ტიპის სახეებში, რომლებიც ერთი ეთნოსის ცნობიერებაში არსებობენ, როგორც პოტენციურად შესაძლებელნი, ხოლო – მეორეში ენობრივი ცნობიერების ფაქტს წარმოადგენენ; 2) ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკაზე დაფუძნებულ სახეებში, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისობა სხვა კულტურაში;
6. კულტურათმორისი კომუნიკაციის პროცესში გასათვალისწინებელია კომუნიკანტთა კოგნიტური ბაზის არაერთგვაროვნება, რაც სხვადასხვა ხასიათის წინაღობას წარმოშობს – ფასეულობათა შეუსაბამობას, ქცევის განსხვავებულ აქსიოლოგიას, ზეკოდური ცოდნის უქონლობით გამოწვეული გაუგებრობებს.
7. კულტურათმორისი კომუნიკაციის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია ეთნოკორექტულობის ფაქტორის გათვალისწინება, ვინაიდან კულტურთა ურთიერთდახასიათებისას ხშირად აღვილი აქვს სხვა ეთნოსის არაკორექტულად მოხსენიებას, რაც ურთიერთობის ტონალობაშიც აისახება.
8. საალერსო მიმართვის ფორმულების სისტემა ყალიბდება და მოდიფიცირდება საზოგადოების ისტორიული განვითარების შედეგად
9. საზოგადოებრივ გარდაქმნათა ხასიათი აისახება ეტიკეტური ცვლილებების მასშტაბებში, მათ შორის, საალერსო მიმართვების სფეროშიც.

3.2 საალერსო მიმართვის განვითარების ტენდენციები ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ კულტურებში

საალერსო მიმართვებში წარმოდგენილმა ადამიანის მახასიათებელთა ერთობლიობამ შეადგინა ემპირიული ბაზა ეთნოლინგვისტური განზოგადებისთვის. კომუნიკანტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია საალერსო მიმართვის საგნობრივ-ცნებითი სუბსტრატის, რომელსაც კროსკულტურული ანალიზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სოციალური გამოცდილება თავის კვალს აჩნევს ენას და ვლინდება იმაში, რომ ერთი და იმავე მოვლენების აღწერისას კულტურები უდარებენ მათ სხვადასხვა რეალიებს, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული ენის მატარებელთა ცხოვრებასთან, მათ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებთან, რაც საშუალებას გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ საალერსო მიმართვებში აისახება ეროვნული მენტალობა და სულიერი კულტურა. ამ თვალსაზრისით შევეცადოთ კროსკულტურულ რეალობაში გავაცნობიეროთ. როგორც აღვნიშნეთ, საალერსო მიმართვების ეთნოკულტურულ სპეციფიკას ქმნის როგორც მხატვრული სახის შესაქმნელად გამოყენებული საგნებისა და მოვლენების შერჩევა, ასევე შესადარებელი საგნებისა თუ მოვლენების და შედარებისთვის გამოყენებული ხერხების არაერთგვაროვნება. საალერსო მიმართვების სტრუქტურაში შემავალი კომპონენტები წარმოდგენას გვიქმნიან ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის ადგილზე შესაბამისი კულტურის სამყაროს სურათში და მიგვანიშნებენ საკვლევი კულტურების წარმომადგენელთა აზროვნების თავისებურებებზე.

საალერსო მიმართვის კროსკულტურული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა საალერსო ნომინაციის სემანტიკური საფუძველი. სემანტიკური ფაქტორიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უნდა გამოიყოს ორი ჯგუფი: პირდაპირი ნომინაციით, ანუ ადრესატის ფიქსაციით გამოხატული მიმართვები, სადაც შევა, მაგალითად, ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებთან დაკავშირებული ფორმები. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, რომელსაც შეფასებით-ნომინაციური შეგვიძლია ვუწოდოთ, აქ მიმართვა არა მხოლოდ ადრესატის სახელდებას ახდენს, არამედ შედარების გზით მისდამი დამოკიდებულებას გამოხატავს.

წინა თავში ჩვენ შედარებით დეტალურად განვიხილეთ ნათესაობის ტერმინებთან დაკავშირებული საალერსო მიმართვები ინგლისურსა და ქართულ ენებში, ამიტომ აქ უფრო დეტალურად შევეხებით შეფასებით-ნომინაციურს. სწორედ ამ ჯგუფში ვლინდება ეთნოენობრივი ცნობიერება. ეს ეხება როგორც ნომინაციისთვის გამოყენებული ერთეულების ენობრივ ფორმას, ასევე იმ ეთნოსპეციფიკურ რეალიათა შიდაკულტურულ აქსიოლოგიას, რომელიც ალერსობით კომუნიკაციაში გამოიყენება. ზემოთ ჩვენ შევეხეთ იმ სემანტიკურ ველს, რომელშიც სტრუქტურირდება საალერსო მიმართვის შინაარსობრივი ზონები. აპრიორულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალერსობითობა ცნებითი კატეგორიაა, რომლის აქტუალობაც ერთი და ორი ენით არ ამოიწურება. განსხვავებას კულტურებს შორის ცნებითი კატეგორიების ენობრივი მანიფესტაციები ქმნიან, ხოლო მათი შინაარსობრივი მხარე უნივერსალურ ხასიათს ატარებს. ვინაიდან საალერსო მიმართვის შინაარსი ადრესატისადმი კეთილგანწყობას ასახავს, შევადაროთ იმ მიმართვათა სემანტიკა, რომლებიც ამგვარი დამოკიდებულების გამოსახატავად გამოიყენება.

1. ინგლისურსა და ამერიკულ ალერსობით მიმართვებში თავისი სიხშირით პირველ ადგილზეა სიამოვნების წყაროსთან და, განსაკუთრებით, საკვებთან ასოციირებული მიმართვები. ინგლისურენოვანი რესპონდენტები პირველ ადგილზე აყენებენ ტკბილეულობასთან და ზოგადად საკვებთან დაკავშირებულ ფორმებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აჭარბებენ სხვა ჯგუფებს: ზოგადად სიტკბოსთან: *sweet, sweetheart, sweets, sweetie, sweet pie, sweetie, sweetums (My dear sweet)*; თათლთან - *hunny, honeybun, honeybunch, hunnie bunnie, honey* (შემოკლ. *hun*), ცომეულ-ტკბილეულობასთან: *cupcake, babycakes, bella cakes, baby cakes, bella cakes, cupcake, honeycake, cuddle cakes, muffin, cutiepie*; შაქართან და შაქრის ნაწარმთან: *sugar, sugar* და მისგან ნაწარმოები: *sugar pie, sugar cake, sugarplum, gumdrop, jelly bean*, ხილკენკროვნებთან: *bunchberry cherry, marshmallow, gum-drop muffin, pudding*. აღნიშნული ჯგუფი ერთნაირად პოპულარულია როგორც ინგლისში, ასევე ამერიკაში. ინგლისური და ამერიკული საალერსო მიმართვები გასტრონომიული მრავალფეროვნებით გამოირჩევიან და მათ შორის განსხვავებას ქმნის არა “საალერსო

მენიუში“ შემავალი პროდუქტები, არამედ გასტრონომიული პრიორიტეტები. ასე, მაგალითად ამერიკელები ცომეულს ამჭობინებენ, ინგლისელები კი – პუდინგსა და ხილის წვენზე დამზადებულ ტკბილეულს.

რაც შეეხება საქართველოს, საკვებთან ასოცირებული მიმართვების ჯგუფი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი და საერთო სემანტიკურ ერთეულებთან ერთად (თაფლო, ფუნთუშა) შეიცავს სპეციფიკურსაც (მურაბა, ჯიგრის ყაურმა). სპეციფიკურია ინგლისური მიმართვა “pumpkin”. საქართველოში არავის მოუვა თავში საალერსო ფუნქციაში საყვარელ ადამიანს *კოკრა* უწოდოს;

2. თავისი მნიშვნელობითაც და რაოდენობითაც საკმაოდ დიდ ჯგუფს წარმოადგენს ბავშვთან ასოცირებული მიმართვები: *baby, babe, bub, bubbly, baby-kins, kiddy, childie, moppet*, ტკბილეულის სემა აქაც შემოდის, რაც მიმართვაშიც *honey child* აისახება. თავის მხრივ სემა „პატარა“ გასტრონომიულ ნაწარმსაც და სხვა რეალიებსაც „აკეთილშობილებს“: *babycakes, littlelamb, baby-doll, button, teddy, cuddly-wuddly, poppet, snuggle-bunny, snuggle-bear, dumpling*. მეტაფორული მნიშვნელობა იქმნება ბავშვთან ასოციაციით: პატარა, ნამცეცა, ცეროდენა, ცუნცულა, თოჯინა და ა.შ..

3. სულიერი სწრაფვის/განცდის ზონაში შემავალი საალერსო მიმართვები (მათ შორის აბსტრაქტული სახელებიც) თავისი ინდივიდუალური სტატისტიკით ყველას აღემატებიან, თუმცა არ ქმნიან ისე მრავალკომპონენტურ სემანტიკურ ველს, როგორც წინა ჯგუფები. საკმარისია დავასახელოთ ისეთი საალერსო მიმართვები, როგორიცაა: *dear-ის (dear, dearest, dear boy, dear girl, deary, dearie)* და *love-ის (beloved, love, lovey-dovey lovely, lover, truelove)* პარადიგმები, რომ დავრწმუნდეთ ამაში. ამ ჯგუფში შედის კიდევ რიგი საალერსო მიმართვისა: *one and only, my pleasure, dreamboat* (ინგლ.), *lovey-dovey* (ამერიკ.), *schnooky lumps* (ამერიკ.), *poopsie* (ამერიკ.), *snuggle, tootsie-wootsy* (ამერიკ.); ქართული ფორმები: *ჩასახუტებელი, სანატრელი, სიყვარული/სიხარული/ოცნება*;

4. სამივე კულტურაში განსხვავებული ინტენსივობით არიან წარმოდგენილი ბიონიმები: ინგლისურში მოფერებით მიმართვაში ძირითადად შემდეგი ზოონიმები გამოიყენება: ბაჭია - *bunny, honeybunny*, დათვი - *teddybear, honey-bear, cuddle-bear, bugabear*, (ეს უკანასკნელი ფორმა განსაკუთრებით დიდი პოპულარობით ამერიკაში სარგებლობს). მეტსახელებში გვხვდება *tiger*-იც.

დათვი ქართულშიც ყველაზე აქტიური საალერსო მიმართვაა (ჩემო დათუნია), შემდეგ მოდიან ბაჭია, ფისო, ლომო, ვეფხვო;

ფრინველთა (ორნითონიმები) სახელების შემცველი მოფერებითი სახელები შემდეგი სახეობებითაა წარმოდგენილი: *duckling, little-dove, chuckie*;

აღსანიშნავია, რომ ინგლისურმა ალერსობითმა ფორმამ *ducky* სემანტიკური ცვლილება განიცადა და ახლა არატრადიციული ორიენტაციის ადამიანისადმი მიმართვას წარმოადგენს.

ქართული ორნითონიმები ამ ფუნქციით რამდენიმე ფორმით არიან წარმოდგენილნი: *ჩიტო/ჩიტუნია, მტრედო, მერცხალო, გვრიტო, მიმინო, არწივო*.

საალერსო ფუნქციით გამოყენებული ფლორონიმები არ გამოირჩევიან დიდი მრავალფეროვნებით, თუმცა, საკმარისია, მათ დაემატოთ შესაბამისად ფორმანტები: “my” და „ ჩემო“, რომ ნებისმიერი ფლორონიმი ალერსობით ფუნქციას შეიძენს: ჩემო ვარდო, ია და სხვ.: *my blossom; my buttercup* (საპოვნელა); *my flower*.

თუ *Peanut*-ის ალერსობით მნიშვნელობას “პატარა”-სთან მიმართება ქმნის, ქართველისთვის სრულიად გაუგებარია საყვარელი ადამიანისადმი მიმართვის დაკავშირება “ბალლინჯო”-სთან (ენტომონიმში: *Love-bug*), თუმცა ამას ინგლისურ ენაში სხვა სემანტიკური კავშირის გააქტიურება უდევს საფუძვლად: როგორც პრაქტიკულად მოუპოვებელია ბალლინჯო, ასევე მოუპოვებელი და ტკბილ-მწარეა საყვარელ ადამიანზე ფიქრი.

5. მართალია, ინდივიდუალური სტატისტიკური მაჩვენებლით რწმენასთან დაკავშირებულ შინაარსთა/ღვთაებრივი სიმბოლოს ზონაში შემავალი საალერსო მიმართვების რაოდენობა მაღალია, თვით აღნიშნული სემანტიკური ველის სიმცირე

განაპირობებს მის ერთგვაროვნებას: *ხატი/ღმერთი/ანგელოზი/ღვთაება* (შესაბამისი საალერსო მიმართვებით) - *angel pippin, fetish, eidolon*.

6. ამავე ზონასთან იკვეთება ზღაპრულ-მითოლოგიური შინაარსების (ფერია) და ცნობილი ადამიანების, მხატვრული ნაწარმოებებისა და ფილმების პერსონაჟების სახელები: *romeo, prince-charming, sprite, pixie, fairy*, ზონაში შემავალი საალერსო მიმართვები: *ღვთაება, ანგელოზო, რომეო, ვარსკვლავებიჭუნა, არსენა, გმირო*.

7. სიცოცხლისთვის არსობრივად აუცილებელ ნიშანთა ზონაში შემავალი საალერსო მიმართვები ასევე მცირე ჯგუფით არიან წარმოდგენილები: *სიცოცხლე (ჩემო), სულიკო; life, breath, fetcher, spirit*, ისევე როგორც ფიზიკურ-მატერიალური ღირებულების ზონაში შემავალი საალერსო მიმართვები: *მარგალიტო/ძვირფასო/ოქრო; precious, treasure, sense, endearing, sweet, adorable*.

8. სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ფორმები (*დედოფალი, პრინცესა, პრინცი, ბატონი (ჩემო ბატონო); Duck, duchess, magic-princess, Prince Charming* - შედარებით ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფია, ვინაიდან დემოკრატიზაციის პროცესებმა სოციალური სოლიდარობის ტენდენცია გამოიწვია, რაც აღნიშნულ სტატისტიკაშიც აისახა.

9. გარკვეულ ჯგუფს შეადგენს ქცევის სემანტიკასთან დაკავშირებული მიმართვები: *ფანტქალა, ჭიკჭიკა, ფაქიზო; Funny, crazy, Smiley, Sparky, Sticky*.

10. ადამიანის ფიზიკურ თვისებებსა და გარეგნობასთან დაკავშირებული მიმართვები და ადამიანის სომატოსფეროსთან და ფსიქოლოგიურ თვისებებთან ასოცირებული მიმართვები ფაქტობრივად ერთ ჯგუფს ქმნიან. აქ წინა პლანზეა წამოწეული ბუნების მოვლენებთან შედარება: *sunshine, snowflake, twinkles; მზეო, ვარსკვლავო*; ისევე როგორც სხვა ჯგუფებში აქაც იჭრება სიტკბოების სემა: *Sweet Cheeks, Sweet heart*.

აქვე გვხვდება ფორმა *Tootsie*, რომელიც ქართული მენტალობისთვის სრულიად გაუგებარია, ვინაიდან ჩვენს აღქმაში ფეხის თითი ვერ იწვევს იმ ემოციურ რეაქციას, როგორც ინგლისურში. უნივერსალური ფორმების გარდა, როგორიცაა: *მშვენიერო*,

ლამაზო, ანგელოზო (*angel-face*), არის სპეციფიკურიც - ხატულა, თვალყუყუნა, ჭიგარო, ისევე, როგორც ინგლისური *stunner*.

11. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავგანწირვის ზონაში შემავალი სააღერსო მიმართვის უნიკალური ფორმები : *გენაცვალე/ჭირიმე/შემოგვევლე/შენი კვნესამე* და ა.შ.; ეს ზონა უნიკალურია როგორც თავისი შინაარსით, ასევე თავისი ფორმით და ქართული მენტალობის სპეციფიკურ გამოვლინებას უკავშირდება, რის ენობრივ გაფორმებასაც ქართული ზმნის მოქნილობა უწყობს ხელს;

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, აღერსობითობის ფენომენი განაპირობებს სემანტიკურ დამთხვევებს ენებს შორის. მეორე მხრივ კი, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე კულტურებიც კი განსხვავდებიან გარკვეული ფორმების სპეციფიკით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სააღერსო მიმართვები მჭიდრო კავშირშია იმ საზოგადოებასთან, რომლის ეტიკეტის ნაწილსაც ის წარმოადგენს. მოვიყვანთ ბრიტანული და ამერიკული სააღერსო მიმართვების განსხვავების რამდენიმე მაგალითს:

ბრიტანული ინგლისური:

chap: "Dear old chap, I've missed you!"

mate: "Hey, mate, you want to hit the pub?"

pal (ნელ-ნელა პოპულარული ხდება ამერიკაშიც): "My most useful acting tip came from my pal John Wayne. Talk low, talk slow, and don't say too much."

crony: "I'm going to the pub with me cronies".

mucker: "What about ye, mucker? Are ye in or out?"

ასევე სპეციფიკურია *beard-splitter* (ბრიტ.), *ducky* (ბრიტ.), *chucky* (*chucky*).

ამერიკული ვარიანტისთვის სპეციფიკურია:

homie: “Time to go, homie.”

home slice: “You’re coming with us tonight, home slice? – Sure.”

amigo: “Hey, amigo, long time no see.”

buddy: “I’m going to have some beers with my buddy tonight.”

bestie: “You and I are besties for life!”

dawg: “Waddup, dawg? – Nothing, jus’ chillin.”

fella: “Good to see you, fella.”

dude: “Dude, where’s my car?”

ზემოთ მოცემული მიმართვის ფორმების უმეტესობის ადრესატი მამაკაცია.

ასევე სპეციფიკურია: *Sweetpea, pumpkin, bumpkin, honeypumpkin, dude, cupcake, gumdrop, honeypie, poopsy-woopsy, slick-chick* და სხვ.

სააღერსო მიმართვა სამ განსხვავებულ ეთნოკულტურაში უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი და განსხვავებულ აქსიოლოგიურ სისტემებთან არის დაკავშირებული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აღერსობით მიმართვებში მოცემული შეფასებები დეტერმინირებულია შესაბამისი მსოფლხედვით (რაც აისახება ეთნოეროვნულ სიმბოლოებში და პრეცედენტულ სახელებში, ეთნოსპეციფიკურ რეალიებში, გამოყენებულ მხატვრულ სახეებისა და მოვლენათა შეფასების სპეციფიკურობაში). მეორე მხრივ კი, უნივერსალური ნიშნები გამოწვეულია ადამიანის ფენომენის უნივერსალობით, პოეტური სახის შინაფორმის დამთხვევით, საერთო წყაროსთან კავშირით და კულტურათა ურთიერთობით.

დასკვნა

ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, თუ როგორ ახდენს ენა თავისი ეტალონებისა და სტერეოტიპების მეშვეობით სამყაროს ეროვნული სურათის კატეგორიზაციას და გამოგვევლინა, თუ როგორ აისახება საკვლევი კულტურების მსოფლხედვა საალერსო მიმართვების სარკეში. საალერსო მიმართვების, როგორც კულტურის საკვანძო კონსეპტების, ანთროპოცენტრისტული პოზიციიდან ინტერპრეტაციამ შესაძლებლობა მოგვცა, დაგვენახა მათი ფუნქციონირების სპეციფიკა რეალურ ენობრივ სივრცეში. საალერსო მიმართვებით ასახული "ენობრივი სამყარო" წარმოადგენს ადამიანის მენტალური აქტივობის შედეგს, რომლის თვალსაზრისიც თვით უბრალო ნომინაციის აქტში ვლინდება.

საალერსო მიმართვების კროსკულტურული ანალიზი მიზნად ისახავდა საკვლევი ენების ეთნოენობრივი ცნობიერების სპეციფიკის გამოვლენას. კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა საალერსო მიმართვების ინტერდისციპლინარული კომპლექსური ინტერპრეტაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო ენის, როგორც ცნობიერების მატერიალიზაციის ერთ-ერთი ფორმის გაგება, რომელიც ადამიანს აძლევს გარემო სინამდვილეში ორიენტაციის საშუალებას, საკუთარი კულტურის სპეციფიკურობიდან გამომდინარე. ვიზირებთ რა დებულებას, რომ ჩვენი ცნობიერების შინაარსი გამოხატულებას პოუვებს ენობრივ ერთეულებში, მივიჩნევთ, რომ ენობრივი ცნობიერება წარმოადგენს ლინგვოკულტურული მთლიანობის საფუძველს, რომელიც აერთიანებს მასში შემავალ ინდივიდებს საერთო კულტურის მეშვეობით. კოლექტიური ცნობიერების ერთიანობა განსაკუთრებული სახით ვლინდება ორგანიზებული ცოდნისა და წარმოდგენების ფონდში, ანუ კოგნიტურ ბაზაში. ემპირიული მასალის ინტერპრეტაციისას ჩვენ გავითვალისწინეთ ენის, აზროვნებისა და კულტურის კატეგორიების მჭიდრო კავშირი და ენობრივი ერთეულების საშუალებით შევეცადეთ, გამოგვევლინა მენტალობის ეთნოკულტურული სპეციფიკა.

ემპირიული მასალის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით მენტალობა განვიხილეთ როგორც სამყაროს სურათში ასახული ღირებულებრივი ორიენტირების “გულუბრყვილო სისტემური მთლიანობა”, როგორც მსოფლმხედველობა, რომელიც მშობლიური ენის კატეგორიებსა და ფორმებში აერთიანებს ინტელექტუალურ, სულიერ, ნებელობითს თვისებებს მათ ტიპურ გამოვლინებებში.

ენა სამყაროს აღქმის ორგანიზებას ახდენს. ის გვევლინება როგორც მენტალობის ტრანსლაციის ფორმა კომუნიკაციურად რელევანტურ სტრუქტურაში. საალერსო მიმართვების ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვნად მივიჩნით ხაზგასმა იმისა, რომ ადამიანის მოღვაწეობის სპეციფიკა ენისგან მოითხოვს, თავის ეტალონებსა და სტერეოტიპებში მოახდინოს ეროვნული ხედვის კატეგორიზაცია. სამყაროს ენობრივი სურათი ახორციელებს სამყაროს მენტალური სურათის სტრუქტურირებას და ასახავს მოვლენების რელევანტურობას, ენობრივი ლოგიკიდან გამომდინარე.

იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ენა ასახავს გარკვეულ სამყაროს აღქმისა და მონყობის წესს და ვლინდება ენობრივი ერთეულების შინაარსში გამოხატულ სამყაროს შესახებ წარმოდგენებში, საალერსო მიმართვები გამოვიყენეთ, როგორც ინტერპრეტაციის ემპირიული ბაზა. საალერსო მიმართვები წარმოადგენს სამყაროს ეთნოკულტურულ კატეგორიას, რომელშიც იკვეთება ენობრივი და კულტუროლოგიური პარამეტრების ერთიანობა.

საალერსო მიმართვები ჩვენ განვიხილეთ აგრეთვე, როგორც ენობრივი შეფასებითი სტერეოტიპი, რომელიც, სხვა სტერეოტიპებისგან განსხვავებით (ქცევით, გენდერულ, ასაკობრივ და ა.შ.), წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიურ ნიშანს, რომელიც ენობრივი ფორმით გამოხატავს კულტურისთვის რელევანტურ ინფორმაციას. სტერეოტიპებთან საალერსო მიმართვებს აერთიანებს კლიშირებული ფორმა და საერთო ფუნქციონალური დანიშნულება.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საალერსო მიმართვა წარმოადგენს თავისებურ მარკერს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ღირებულებრივი სტანდარტი და

წარმოადგენს რთულ ინტრაკულტურულ ნიშანს, რომელშიც ასახულია ენობრივი კოლექტივის სტერეოტიპული წარმოდგენა.

დადასტურდა ჩვენი ვარაუდი, რომ საალერსო მიმართვები შეფასების საშუალებით ასახავენ სტანდარტიზებულ წარმოდგენებს გარე სამყაროს მოვლენების ტიპობრივი თვისებების შესახებ.

საალერსო მიმართვებში წარმოდგენილმა ადამიანის მახასიათებელთა ერთობლიობამ შეადგინა ემპირიული ბაზა ეთნოლინგვისტური განზოგადებისთვის.

სოციალური გამოცდილება თავის კვალს აჩნევს ენას და ვლინდება იმაში, რომ ერთი და იმავე მოვლენების აღწერისას კულტურები უდარებენ მათ სხვადასხვა რეალიებს, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული ენის მატარებელთა ცხოვრებასთან, მათ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებთან, რაც საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საალერსო მიმართვებში ისახება ეროვნული მენტალობა და სულიერი კულტურა.

სამყაროს ენობრივი სურათი ჩვენ განვიხილეთ როგორც ღირებულებრივ ორიენტაციათა სისტემა, რომელიც კოდირებულია ენობრივ ერთეულთა ასოციაციურ - ხატოვან კომპლექსებში და რომელიც გამოვლენილია მკვლევრების მიერ აღნიშნული კომპლექსების ინტერპრეტაციისას, მათ განმსაზღვრელ ნიშნებს და კონცეპტებს თუკი მივმართავთ.

საალერსო მიმართვების დეტალური შესწავლა საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიგოთ, თუ როგორ ხდება კულტურული ღირებულებების კოდირება, რაც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს, სრულყოთ კულტურათმორისი კომუნიკაცია და გავუადვილოთ სპეციალისტებს და არასპეციალისტებს ტექსტობრივი ინფორმაციის ინტერპრეტაცია.

საალერსო მიმართვებში ასახული სტერეოტიპები მოიცავენ არაენობრივ რეალობას – სტანდარტს და ნორმას, რომელიც ენობრივ დონეზე არსებობს. სტერეოტიპები შეიძლება შეიცავდნენ ზოგად ცნებებს, ერთი ერის წარმოდგენას მეორის

შესახებ, ურთიერთობის ფორმებს, მორალურ და ეთიკურ ნორმებს, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს და ა.შ.

ქართულ და ინგლისურ სააღერსო მიმართვების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისინი ასახავენ სამყაროს ინტრაკულტურულ ხედვას, რომელშიც ვლინდება შესაბამისი ხალხის კულტურულ-ისტორიული, სოციალური, ეთნიკური და ა.შ. სპეციფიკა. კულტურულ-ისტორიული რეალიები წარმოადგენს ტექსტობრივი ინფორმაციის განსაკუთრებულ ფენას, რომელიც სხვა კულტურის წარმომადგენლისგან მოითხოვს შესაბამის პრაგმატულ ადაპტაციას.

როგორც წესი, „შიდაკულტურული მოხმარებისთვის“ განკუთვნილი სააღერსო მიმართვები ითვალისწინებენ შესაბამის ადრესატს, მის ფსიქოლოგიას, მისთვის ინფორმაციის მისაწვდომობას და ა.შ. კულტურათშორისი კომუნიკაციის პროცესში ხდება ტექსტის გადამისამართება, რაც მოითხოვს უცხო კულტურის წარმომადგენელზე გათვლას, მისი სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა განმასხვავებელი ფაქტორის გათვალისწინებით.

კვლევამ პრობლემათა ნაწილი გადაჭრა, მაგრამ თვალსაწიერის გაფართოება ახალ კორიზონტებს წარმოშობს. სააღერსო მიმართვა მხოლოდ ნაწილია ეტიკეტისა, რომელიც, თავის მხრივ, კომუნიკაციის ეთნოსტილის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ მხრივ კი მუშაობა ახლა იწყება. სრულიად შეუსწავლელია დესტრუქციული კომუნიკაციის სამეტყველო სტრატეგიები, მათ შორის მიმართვებში. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ინტერკულტურულ ურთიერთობებში, განსაკუთრებით დიპლომატიურ დისკურსში, ტიპურია ფორმისა და შინაარსის ასიმეტრია, ცალკე შესწავლას მოითხოვს მიმართვის ირიბი სტრატეგიების (ფორმალური სააღერსო მიმართვების) გამოყენება ასიმეტრიულ სიტუაციებში. კვლევის კიდევ ერთ პერსპექტიულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს მიმართვების შესწავლა შერეულ ინტერნაციონალურ კოლექტივებში, სადაც უშუალოდ ხდება მიმართვითი ქცევის ეთნოსტილების ურთიერთობა.

ბიბლიოგრაფია

1. აფრიდონიძე. შ. *აპულატიური მიმართვის ფორმების გამოყენებისათვის ქართულში*. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXIX, (1990): 94-102.
2. -----. *ბრძანებითი როგორც მიმართვის მშნური ფორმა*, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. IV, (1995): 63-6.
3. -----. *მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში*. თბილისი, 2003.
4. -----. *ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართვებისა და ერთმანეთის მოხსენიების ქართული ტრადიციები*. საენათმეცნიერო ძიებანი, XII, 3 (2002): 3-10.
5. გაჩეჩილაძე ო. *შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში*. თბილისი: თსუ 1979, 228.
6. გოდერძიშვილი ე. *„ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები“*. თბილისი: უნივერსალი, 2012, 449 გვ.
7. გოქსაძე. ლ. *ყოფითი ღირებულებანი და ნორმათა რღვევა როგორც „სახის“ დაკარგვის საშიშროების შემქმნელი ლინგვისტური ქმედება*. საენათმეცნიერო ძიებანი, XII, (2002): 118-124.
8. გრიშაშვილი. ი. *ქალაქური ლექსიკონი*: (საარქივო მასალა). თბ.: სამშობლო, 1997: 304.
9. დარასელია ნ. *შორისდებული საკომუნიკაციო კომპეტენციის თვალსაზრისით*, თბილისი: თსუ 2013, 70-175.
10. თოფურია ვ. *კნინობითი ქართველურ ენებში*. საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის ნ. მარის სახ. ინსტიტუტის მე-3 სამეცნიერო სესიის თეზისები. თბ., 1946: 12-13.
11. კალაძე. ც. *სახელ-მამის სახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში*. კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, „მეცნიერება“, VI (1984): 309-329.
12. კვაჭაძე ლ. *ქართული ენა*. თბილისი: ცოდნა, 1961, 327.
13. კიკვიძე ზ. *მრავლობითი თუ თავაზიანი ფორმა: გრამატიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა*. ენათმეცნიერების საკითხები, 3 (2000): 73-81.

14. კიკვიძე, ზ. „სოციოლინგვისტური ნარკვევები“, თბილისი, 2015.
15. რამიშვილი ვ. *კულტურათმცოდნისი კომუნიკაცია*. ფილოსოფია, თბ.: თსუ 2010.
16. რუსიშვილი მ. „მიმართვის ფორმები აკადემიურ დისკურსში“, ინტელექტუალი, თბილისი, 5 (2007): 7-12.
17. რუხაძე. ნ. *თავაზიანობის საკითხი და მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში*. საენათმეცნიერო ძიებანი, XXI, (2005): 186-197.
18. ფაჩულია ლ. *მიმართვის სახელურ ფორმათა ჯგუფები მეგრულში* ფ. ბრაუნის კლასიფიკაციის მიხედვით. კავკასიოლოგიური ძიებანი, IV, (2012): 109-112.
19. ფეიქრიშვილი უ. *ქართული ენის მორფოლოგია*. ქუთაისი: სარანგი, 1992: 284.
20. ფეიქრიშვილი უ. *სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულში*. თბილისი: გამ. ჯანსუღ ლვინჯილია, 2008: 208.
21. ლლონტი ალ. *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები*. თბილისი: განათლება, 1971: 115.
22. შანიძე ა. *თხზულებანი: 12 ტომად*. ტ.III: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბ.: თსუ, 1980: 44-45.
23. -----. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თბილისი: თსუ, 1973: 659.
24. ჩიქობავა არნ. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. საქ. სსრ მეცნ.აკად. გამოცემა, ტ.1, 1950: 036.
25. ჩხეიძე მ. *ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურირების პრობლემა*. თბ.: პერგამენტი, 1993: 192.
26. ძიძიგური შ. *თავაზიანი მიმართვის ფორმა ქართულ ენაში*. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, 30 ივლისი.
27. ჯანაშია ს. *თუბალ-თაბალი, ტაბარენი, იბერი. ენიშვის მოამბე*, ტ.1, 1937.
28. Abuladze, L. and A. Ludden. *The vocative in Georgian*. In Sonnenhauser, Barbara and Noel Aziz Hanna, Patrizia (eds.), *Vocative! Addressing between System and Performance*, Berlin, Boston: Mouton De Gruyter (2013): 25-42.
29. Almasov, A. *Special uses of “tu” and “usted”*. Hispania, [Appleton], 57; (1974): 56-57.

30. Argyle, M. *The Psychology of Interpersonal Behaviour*. NY, Harmondsworth, 1967: 124.
31. Argyle, M., A. Furnham, and J. A. Graham. *Social Situations*. Cambridge University Press, 1981.
32. Ashburn G. & Gordon A. *Features of a simplified register in speech to elderly conversationalists*. *International Journal of Psycholinguistics* 8, (1981): 7–31.
33. Boasso, A., S. Covert, & J. Ruscher. “*Benevolent Sexist Beliefs Predict Perceptions of Speakers and Recipients of a Term of Endearment*”, *The Journal of Social Psychology*, (2012): 152:5, 533 – 546.
34. Bonvillain, N. *Language, Culture, and Communication: The Meaning of Messages*. n.p.: Pearson, 2013.
35. Braun, F. *Terms of Address: Problems of Patterns and Usage in Various Languages and Cultures*. New York: Mouton de Gruyter, 1988.
36. Brown, A. & P. Draper. *Accommodative speech and terms of endearment: elements of a language mode often experienced by older adults. Integrative literature reviews and meta-analyses*. Blackwell Publishing Ltd, *Journal of Advanced Nursing*, 41(1), 2003: 15–21.
37. Brown, R., and A. Gilman. “*The Pronouns of Power and Solidarity*.” *Style in Language*. Ed. Thomas A. Sebeok. New York/London: Wiley, 1960, 253–76; 435–49.
38. Brown P. and S. Levinson. *Universals in Language Usage: Politeness Phenomena*. In: *Questions and Politeness Strategies in Social Interaction*, 1978: 56-289.
39. Brown, R., and M. Ford. “*Address in American English*”. *Journal of Abnormal and Social Psychology*, 62 (1961): 375-385.
40. Bunch, G. *The Captain and the Kid: Another Imaginary Tale from Margaritaville*. <https://books.google.com.kw/books?id=7IGTBQAAQBAJ&pg=PA96&lpg=PA96&dq=binch+mike,+could+you+come+over+here+for+a+minute&source=bl&ots=TpsmqOUSRN&sig=r5-jqq93j pzHHNWis6->

- RdMZwZNs&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjC4NnA9orTAhUCVhoKHdjRCesQ6AEIGDAA#v=onepage&q&f=false [04.4.2017].
41. Cartland, B. The Introduction to the Barbara Cartland Pink Collection. <https://books.google.com.kw/books?id=4J2dDQAAQBAJ&pg=PT268&dq=cartland+I+will+make+you+happy&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwizxaz6-4rTAhVFvRoKHWZIA7UQ6AEIGDAA#v=onepage&q=cartland%20I%20will%20make%20you%20happy&f=false> [04.4.2017].
 42. Casnig, J. *A Language of Metaphors*. Kingston, Ontario, Canada, 2012. http://knowgramming.com/nicknames_pet_names_and_metaphors.htm (15.12.2015).
 43. Clyne, M., C. Norrby and J. Warren. *Language and Human Relations*, 2009. <https://books.google.com.kw/books?id=JeMENcLO8KgC&pg=PR4&dq=clyne+norrby+warren+2009&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwiUxefl1qHUAhWhC8AKHfExBo4Q6AEIJTAB#v=onepage&q=clyne+norrby+warren+2009&f=false> (3.1.2017).
 44. Crystal D. *English as a Global Language*. Cambridge University Press, 1997.
 45. Edwards H. & Noller P. *Perceptions of over accommodation used by nurses in communication with the elderly*. *Journal of Language and Social Psychology* 12, (1993): 207–223.
 46. Eminovich C.A. *The Intimacy of Address: Friendship Markers in Children's Social Play*. In: *Language in Society*. Cambridge, Vol.10, № 2 (1981): 189-199.
 47. Ervin-Tripp, S. M. *On Sociolinguistic Rules: Alternation and Co-occurrence*. *Directions in Sociolinguistics*. ed J. Gumperz/D. Hymes (New York, Holt, Rinehart and Winston), 1972.
 48. ----- . *Language Acquisition and Communicative Choice*. Stanford University Press, 1973.
 49. ----- . *Sociolinguistic Rules of Address*. In: *Sociolinguistics*. Ed. by J.P. Pride and J. Holmes - London, 1972: 115-139.
 50. Ferguson, C. A. *Baby Talk as a Simplified Register*. Cambridge: Cambridge University Press, 1977.

51. ----- . *The structure and use of politeness formulas*. Language in Society, 1976.
52. Friedrich, P., *Structural Implications of Russian Pronominal Usage*, in William Bright (ed.), *Sociolinguistics: Proceedings of the UCLA Sociolinguistics Conference* (The Hague), 1964: 214-59.
53. Geertz C. *Linguistic Etiquette*. In: *Sociolinguistics*. / Ed. by J.B. Pride and J. Holmes. Harmondsworth, 1972: 167-179.
54. Gilman, Albert, and R. Brown. "Who Says "Tu" to Whom?". *A Review of General Semantics* 15 (3), (1958): 169-174.
55. Ginneken, J. van. *The role of choice in Gimi kinship*. *Southwestern Journal of Taaltuin* 3, (1934): 289-292.
56. Glick, P, & S. Fiske, *An Ambivalent Alliance: "Hostile and benevolent sexism as complementary justifications for gender inequality"* *American Psychologist*, 56, (2001): 109-118.
57. Greenbaum, S. and R. Quirk, *A student's grammar of the English language*, London: Longman., 1990: 75.
58. Greenberg J.H. *Language, Culture and Communication*. In: *Essays*. (Selected and introduced by Anwar, S.D.) Stanford, 1971: 367.
59. Grice H. P. *Further Notes on Logic and Conversation*. *Syntax and Semantics*, №9-NY, 1978: 183-198.
60. Gumperz J. *Discourse Strategies: Studies in Interactional Sociolinguistics*. Cambridge, 1982: 235.
61. Gumperz, J.J. and Hymes, D. (eds.) *The ethnography of communication*. *American Anthropologist*, 66(6), (1971): 1-34.
62. Haas M.R. *Language, Culture and History*. In: *Essays*. (Selected and introduced by Anwar, S.D.) Stanford, 1971: 382.
63. Hall, E. *Beyond Culture. Garden City*. E. Hall, NY: Anchor Books, 1976: 298.
64. Hofstede, G. *Culture and organizations: Software of the mind*. London: McGraw-Hill, 1991: 429.

65. ----- . *Culture's Consequences: International Differences in Work-Related Values*. Beverly Hills CA: Sage Publications, 1984.
66. Hymes D. *The Ethnography of Speaking*. Washington, 1962: 146.
67. Ide, S. *Formal forms and discernment: two neglected aspects of universals of linguistic politeness*. *Multilingua* 8 (2/3), 1989: 223–248.
68. Jakobson, R. "Closing statement: Linguistics and poetics." In Sebeok, 1960: 350–377.
69. Kachru B.B. *The other tongue: English Across Cultures*. University of Illinois Press, 1992.
70. Kahari, G.P. *The Rise of the Shona Novel*. (Gweru, Mambo Press), 1990: 283.
71. Lado, R. *Linguistics across Cultures: Applied Linguistics for Language Teachers*. n.p.: University of Michigan Press, 1957.
72. ----- . *Linguistics across Cultures*. The University of Michigan Press, 1961: 203.
73. Lakoff, R. *Language and Woman 's place*. 2nd edition, New York: Oxford University Press [E-book], 2004.
74. Lambert W.E. *Language, Psychology and Culture*. In: Essays. (Selected and introduced by Anwar, S.D.) Stanford, 1971: 362.
75. Landar, H. *Language and Culture*. Oxford: Oxford University Press, 1966
76. Langendonck W. *Theory and Typology of Proper Names*. n.p.: Walter de Gruyter, 2007.
<https://books.google.com.kw/books?id=B7jOGz7zMnwC&pg=PA307&dq=sociolinguistics+of+proper+names&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwiWxanFjJHPAhWKPxQKHcpLC8UQ6AEIGjAA#v=onepage&q=hypocoristic&f=false> [23.01.17].
77. Lappe, S. *English Prosodic Morphology*. Springer, 2007.
<https://books.google.com.kw/books?id=nR7FcNuV0iUC&pg=PA127&dq=hypocoristics+english&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwiRzY21iJHPAhVB6xoKHTTyAN8Q6AEINDAD#v=onepage&q=hypocoristics%20english&f=false> [23.01.17].
78. Leech, G. *Semantics*. Harmondsworth, 1974: 108-112.
79. ----- . *Principles of Pragmatics*. Lnd., 1983: 218.

80. Luria A.R. *The Role of Speech in the Regulation of Normal and Abnormal Behaviour*. Oxford, 1961: 142.
81. Marchand Hans. *The Categories and Types of Present-Day English Word Formation*. Munchen: C.H. Beck, 1969: 23-25.
82. Mashuta, A. *The linguistic structure of slang in Shona Discourse*. MA Thesis, University of Florida, 1997.
83. Mathesius V. *On linguistic characterology, Actes du Ier Congrès International des Linguistes*. 1928: 56-63.
84. Mencken H.L. *The American Language (An inquiry into the development of English in the USA)*. NY, 1957.
85. Meyer, J.H.F. & Land, R. Threshold Concepts and Troublesome Knowledge. *High Educ.*, April 2005, Volume 49, Issue 3, 2005: 373–388.
86. Miklosich F. *Die bildung der slavischen personennamen*. Wien, 1960.
87. Naciscione, A. *Stylistic Use of Phraseological Units in Discourse*. Amsterdam: John Benjamins, 2010: 136.
88. Nevalainen, T. and H. Raumolin-Brunberg. *Sociolinguistics and Language History: Studies Based on the Corpus of Early*. n.p.: Rodopi, 1996.
<https://books.google.com.kw/books?id=6FIsN-A7lqwC&pg=PA171&lpg=PA171&dq=terms+of+endearment+in+correspondence&source=bl&ots=7TbM9bfkwr&sig=0Ma6O5TwbjRx8Ug8v8x5VW-Fuzc&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwj87Oyc5srLAhWEtBQKHRB5BLMQ6AEIMDAF#v=onepage&q=terms%20of%20endearment%20in%20correspondence&f=false>. [18.03.2016].
89. Okamoto, S. *Politeness and honorifics in the construction of societal norms for speech*. Oxford: Oxford University Press, 2004: 57-75.
90. Parkinson, D. B. *Constructing the Social Context of Communication: Terms of Address in Egyptian Arabic*. New York: De Gruyter, Walter, 1985.
91. Post E. *Etiquett*. NY, 1955: 437.

92. Renzi, L. *Mama, Papa, Elder Brother. The System of Address Inversion in Rumanian.* *Cultura Neolatina* 28, (1968): 89-99.
93. Romaine, S. *Communicating Gender.* Psychology Press, 1998.
https://books.google.com.kw/books?id=ai95AgAAQBAJ&pg=PA141&lpg=PA141&dq=suzykins+suffix&source=bl&ots=wv-Hs8Alwi&sig=pnZZiyHoNjtC3Ku-CPqc_EOVBFc&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjyquy3qsDNAhXJsxQKHZZyD6EQ6AEIJDAC#v=onepage&q=suzykins%20suffix&f=false [24.06.16].
94. Schneider, K. *Diminutives in English.* n.p.: Walter de Gruyter, 2003.
https://books.google.com.kw/books?id=xVwgAAAQBAJ&pg=PA8&lpg=PA8&dq=english+hypocoristics+reduplication&source=bl&ots=rMuT9El5nO&sig=xXTvC-xz_CiZnyPNuOc_cc8ZqMw&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwijmsbxnbzNAhXLGCwKHV3YCccQ6AEIQDAF#v=onepage&q=english%20hypocoristics%20reduplication&f=false [24.06.16].
95. Shevalier, S. *Ava to Zac: A Sociolinguistic Study of Given Names and Nicknames in Australia.* *Swiss Studies in English* 131. Tübingen: Francke, 2006:127-132.
96. Simpson Ed. J. A. and E. S. C. Weiner. *To play at courtship; to practise coquetry.* Oxford English Dictionary. 2nd ed. Oxford: Clarendon Press, 1989.
97. Skagerstrom, K. *Terms of Endearment.* Karlstads Universitet, 2009: 3.
98. Sohn, H. *Linguistic Expeditions.* *Korean Studies*, Vol. 12, (1988): 91-94.
99. Spencer-Oatey, H. *Culturally speaking: Culture, Communication and Politeness Theory.* NY: Continuum International Publishing Group, 2008: 385.
100. Stewart, L, Cooper, P, Stewart, A & S. Friedley. *Communication and Gender.* Boston: USA. Pearson Education, inc., 2003.
101. Thakerar, J. Giles, H., & Cheshire, J. *Psychological and Linguistic Parameters of Speech Accomodation Theory.* Cambridge University Press, 1982.
102. Townsend, C. *Analysis of Letter-Writing.* New York and Chicago, 1873.
<https://books.google.com.kw/books?id=zyUTAwwAAQBAJ&pg=PA9&lpg=PA9&dq=analysis+of+letter->

- writing&source=bl&ots=8ek99TpBVr&sig=SS6Q4qLDoOa_KgOJWb6yWidNBcI&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwiCkoCDrrPKAhXDvBoKHceVA_wQ6AEIOzAF#v=onepage&q=analysis%20of%20letter-writing&f=false [18.01. 2016].
103. Wardhaugh, R. *Sociolinguistics*. Massachusetts: USA. Blackwell publishers, 1998.
104. Watts, R. J. *Key Topics in Sociolinguistics*. Cambridge: Cambridge University Press, 2003: 304.
105. Whitcut J. *The Language of Address*. In: *The State of the Language*. Ed. by Michaels and Ricks. Bericley, LA, London, 1982: 89-97.
106. Адамушко Н.И. *Социальная обусловленность функционирования единиц обращений в современном английском языке (опыт социолингвистического анализа)*. АКД М., 1973 : 24.
107. Анисимова Е.Е. *О коммуникативно-прагматических нормах текста*. Прагматика и структура текста. М., 1983: 5.
108. Арутюнова Н.Д. *Номинация и текст*. Языковая номинация: Виды наименований. М., 1977: 341-346.
109. Балашова Е.В. *Историческое развитие обращения в английском языке*. Диссертация канд. филолог, наук. Л., 1984: 203.
110. Брозович Д. *Славянские стандартные языки и сравнительный метод*. М. 1967: 17-23.
111. Вежбицкая А. *Понимание культур через посредство ключевых слов*. М., 2001: 31.
112. Вежбицкая А. *Язык*. Культура. М., 1996.
113. Велтистова А.В. *Обращение в современном английском языке*: АКД Л., 1964: 28.
114. Воркачев С.Г. *Лингвокультурология, языковая личность, концепт становление антропоцентрической парадигмы в языкознании.*/ *Филологические науки №1*, 2001: 64-72.
115. Гольдин В.Е. *К определению сущности обращения*. Язык и общество. Саратов, 1982: 46-59.
116. ----- . *Обращение: теоретические проблемы*. М.: Либроком, 2009: 136.

117. Грушевицкая, Т.Г. *Основы межкультурной коммуникации: Учебник для вузов.* М.: Юнити-Дана, 2003: 352.
118. Карасик В.И. *Парадигма вокативности.* Сб. науч. тр. Языковые парадигмы и их функционирование. Волгоград, 1992: 44-51.
119. Карацева Л.М. *О классификации обращений в русском и английском языках.* Проблемы филологии. М., 1979: 49-55.
120. Кручинина И.Н. *Обращение.* Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990: 706.
121. Ларина, Т.В. *Категория вежливости и стиль коммуникации.* Сопоставление английских и русских лингвокультурных традиций. М., 2009: 512.
122. Лендел Ж. *Обращения, приветствия, прощания в речевом этикете современных венгров.* Национально-культурная специфика речевого поведения: Международный симпозиум. М., 1971: 76-79.
123. Май Н.Т. *Ситуативная семантика речевого этикета (на материале вьетнамского, русского и английского языков).* Сб. науч. тр. МГТТИИЯ Вып. 331, Семантика перевода. М., 1980: 108-117.
124. Меснянкина Н.П. *Формы приветствия-прощания в английском языке.* Диссертация канд. филолог, наук. М., 1993: 195.
125. Моисеенко Т.Г. *Формулы этикета в английском языке.* Новокузнецк, 1988: 88.
126. Платон. *Собрание сочинений в четырех томах.* Том 1. М.: Мысль, 1990: 67-70.
127. Подольская Н.В. *Словарь русской ономастической терминологии.* Наука, 1978: 11.
128. Русецкая Л.А. *О выборе форм обращения в речевом общении носителей национальных вариантов английского языка.* Прагматические аспекты функционирования языковых единиц. Тезисы докладов и выступлений на совещании. М., 1991: 1.

129. Сейтжанов, Ж. Е. *Обращение как многофункциональное и разностатусное синтаксическое явление*. Филологические науки. Вопросы теории и практики. № 3. (2010): 140-142.
130. Ступин Л.П., Игнатъев К.С. *Современный английский речевого этикет*. Л., 1980: 142.
131. Феличкина Г.П. *Синтаксис и прагматика обращений в разговорном немецком языке (вопрос о подходе)*. Сб, науч. тр. Структуры синтаксиса. Словосочетания и предложения в современном английском языке. Пятигорск, 1988: 21-27.
132. Формановская Н. *Обращение с точки зрения традиционного синтаксиса с точки зрения речевого этикета*. Cesskarusistika, № 3, (1983): 102 -109.
133. ----- . *Речевого этикет*. Русский язык. Энциклопедия. М., 1979: 432.
134. ----- . *Речевого этикет и культура общения*. М., 1989: 156.
135. ----- . *Речевого этикет: Русско-английские соответствия*. М., 1990: 94.
136. ----- . *Русский речевого этикет: лингвистический и методический аспекты*. М., 1987: 158.
137. ----- . *Функциональные и категориальные сущности устойчивых формул общения*. М., 1979: 411.
138. Шляхтина, Е.В. *Языковой аспект политкорректности в англоязычной и русской культурах*: Автореф. дис. на соиск. уч. степ. кандид. филол. н. Ярославль, 2009: 22.

დანართი 1.

ზოგიერთი საკუთარი სახელი და მათი კნინობითი ფორმები ქართულ ენაში:

საკუთარი სახელი	საკუთარი სახელის კნინობითი ფორმა
ავთანდილ	ავთო; თანდილა; ათიკო
აკაკი	კაკო; კაკი
ალექსანდრე	სანდრო; ლექსო; ალეკო; ალიკო; ალექსი; საშა
ანა	ანანო; ანანა; ანუკა; ანუკი; ანუა; ანიკო; ანანა; ანი; ანუსია; ანუშკა; ანკა; ანჩო; ანული
არჩილ	აჩი; აჩო; აჩიკო
ბარბარე	ბაბალე; ბაბე; ბაბო; ბაბულია; ბაბუცა
ბეჟან	ბეჟა; ბეჟიკო
ბესარიონი	ბესო; ბესიკი
ბეჟა	ბეჟუნა
გაბრიელი	გაბო; გაბრო
გაიოზი	გაგი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით ეს სხვა სახელია)
გივი	გივიკო; გიუნა
გიორგი	გიო; გია; გიგა; გიგო; გიგი; გიკა; გიგილო; გოგილო; გიგლა; გიგოლი

გრიგოლი	გიგო; გიგილო; გიგი
გურამი	გურიკა; გური
დავითი	დათო; დათა; დათუნა; დათიკო; დათი; დათია; დათუა
დარეჯან	დარიკო; დარო; დარია
დაჩი	დაჩიკო
დემეტრე	დემე; მიტო
დიანა	დიკო
დიმიტრი	დიტო; დუტა; მიტრო; მიტო
ედიშერი	ედიკო; ელო
ედუარდი	ედიკო; ელო
ეთერი	ეთო; ეთუნა
ეკატერინე	ეკა; ეკო; კატო; კატუნა
ელგუჯა	გუჯა; გუჯი
ელენე	ელე; ელიკო; ელა; ელინო; ელო
ვახტანგი	ვახო; ვატო; ვახუშტი; ვატა

ზურაბი	ზურა; ზურიკველა; ზური; ზურიკო
თამაზი	თაზო; თაზი
თამარი	თამრიკო; თამუნა; თაკო; თათია; თათა; თალიკო; თამარა; თამუნი
თევდორე	თედო; თედიკო
თემური	თემო; თემიკო
თენგიზი	გიზი; გიზო
თეონა	თეო
თინათინი	თინა; თუნა; თიკო; თიკა; თინანო; თინიკო
იაკობი	კობა; იაკო
ივანე	ივა; ივიკო; ევანე; ვანე; ვანა; ვანო; ვანია; ვანიკო; ვანუშკა; ვანუშკი; ვანიჩკო; ვანიჩკა; ვანიჩქა; ვანა; ვანუა; ივანია; ივანიკა; ივანიკო; ივანჩილა; ივანჩო; იოანე; იოვანე; იონა
ილია	ილო; ილიკო
ინგა	ინგული
ირაკლი	იკა; ირა

ირინ-ე(ა)	ირინოლა; ირა; ირიშკა
კესარია	კესო
კონსტანტინე	კოტე; კოსტა; კოტიკო
ლადლო	ლადიკო; ლადუშა; ლადუკა
ლაშა	ლაშიკო
ლევანი	ლეო; ლევანიკო; ლევანჩო; ლენკო
ლია	ლიკა; ლიკუნა
ლუარსაბ	ლუა
ლუკა	ლუკაჩო
მაია	მაიკო; მაკო; მაკუნა
მანანა	მანჩო
მართა	მათიკო
მარიამი	მარი; მარიკა; მაკა; მარიტა; მაშო; მაკრინე (შეიძლება იყოს პირველადი სახელიც)
მეგი	მაგული (შეიძლება იყოს პირველადი სახელიც)
მიხეილი	მიხო; მიშა; მიშიკო; მიხა; მიხაკო
ნათია	ნათი; ნათიკო; ნათუკა
ნანა	ნანიკო; ნანკა; ნანუკა
ნია	ნიაკო

ნიკოლოზი	ნიკა; ნიკო; ნიკუშა
ნინო	ნინიკო; ნინი; ნინუცა; ნუცა; ნუციკო
ოთარ	ოთუნა; ოთო
ჰაატა	ჰატიკო
რევაზი	რეზო; რეზი; რეზიკო
რუსუდან	რუსა; რუსო; რუსიკო
საბა	საბუკა; საბუნა
სოფიო	სოფო; სოფიკო; სოფა; სოფონე
ქეთევანი	ქეთი; ქეთო; ქეთა; ქეთათო; ქეთინო; ქეთუთა
ქრისტიანე	ქრისტი
შალვა	შალიკო; შაკო
ცირა	ციკო; ცირიკო
ხატია	ხატული

დანართი 2.

ინგლისურ ენაში გამოყენებული საალერსო ეპითეტები (სიმფსონი და უაინერი 1989).

ტერმინი	გამოიყენება (მამაკაცების/ქალების/ ორივე სქესის მიმართ)
amoroso	მ
angel	ქ
angel-puss	ქ
angel-face	ქ
apricot	ო
babe	ქ
baby	ო
baby-cakes	ქ
baby-doll	ქ
baby-face	ო
baby-girl	ქ
babykins	ქ
beau	მ
beautiful	ო
best-girl	ქ
big-boy	მ
big-daddy-yum- yum	მ
big-love	მ
bird	ქ
blossom	ქ
boo	ო
bubby	მ
bugsy	ო
bumpkin	მ
bunny	ქ
buttercup	ქ
button	ქ
caballero	მ
cabbage	ო

casanova	მ
cavalier	მ
centerfold	ქ
charlatan	მ
charming	მ
cherub	ო
chick	ქ
chickabiddy	ქ
cloth-ears	მ
cookie	ქ
cowboy	მ
crumpet	ქ
cuddle-bear	მ
cuddlemuffin	ქ
cuddles	ო
cuddly-wuddly	ო
cupcake	ქ
cute-chick	ქ
cutesy-pie	ქ
cutie	ო
cutie-patootie	მ
cutie-pie	ო
daddy	მ
daddy-mack	მ
dahlin	ო
darling	ო
dazzler	ო
dear	ო
dearie	ო
dear-one	ო
deary	ო
dish	ქ
doll-baby	ქ

doll-face	၎
doll	၎
dolly-boy	ခ
doodle-bug	ဒ
dream	ဒ
dreamboat	ဒ
dream-girl	၎
duchess	၎
duck	၎
duckie	ဒ
duckling	၎
ducks	ဒ
ducky	ဒ
dulcinea	၎
dumpling	ဒ
esquire	ခ
flame	ဒ
gallant	ခ
girl	၎
girlfriend	၎
glitter-bug	ဒ
goodlooker	ဒ
gorgeous	ဒ
gum-drop	ဒ
heart	ဒ
heartthrob	ဒ
Hen	၎
hon	ဒ
honey	ဒ
honey-bun	ဒ
honey-bunch	ဒ
honey-bunny	ဒ
honey-pie	ဒ
honey-toast	ဒ
hot-stuff	ဒ
hottie	၎
hubby	ခ
hun	ဒ

hunk	ခ
inamorata	၎
inamorato	ခ
knight-in-shining-armor	ခ
knockout	ဒ
kool-aid	ခ
ladies-man	ခ
lady-bug	၎
lady-killer	ခ
lady-love	၎
lamb	ဒ
lambey-pie	ဒ
lambkin	ဒ
little-dove	၎
looker	ဒ
Lothario	ခ
love	ဒ
love-bug	ဒ
love-maker	ဒ
love-muffin	၎
lover	ဒ
lover-boy	ခ
lovey-dovey	ဒ
magic-princess	၎
main-squeeze	၎
man	ခ
muffin	၎
muggles	ဒ
munchkin	ဒ
Muppet = muppethead?	ဒ
patootie	ဒ
peach	၎
peaches	ဒ
pet	ဒ
petal	၎
petkins	ဒ

pinup	3
pinup-girl	၅
pookie	3
poopsy	၅
poopsy-woopsy	3
poppet	၅
precious	3
prince	၈
prince-charming	၈
princess	၅
puddin'	3
pumpkin	3
pussy-cat	၅
raving-beauty	၅
romeo	၈
schatzi	၅
schnooky lumps	၈
seducer	၈
shabookadook	3
sheik	၈
shnoodle-bum	3
slick-chick	၅
snicker-doodle	3
snooks	၅
snookums	3
snooky	3
snuggle-bear	၈
snuggle-bunny	3
snuggles	3
sparkles	၅
sparky	၈
spunkie	၈
squidgy	၅

squire	၈
star-sweeper	၈
stud	၈
studley-do-right	၈
stunner	၅
sugar	3
sugar-booger	3
sugar-britches	၅
sugar-bun	3
sugar-daddy	၈
sugar-lips	၅
sugar-smacks	၅
sunshine	3
sweet-cheeks	၅
sweet-heart	3
sweetie	3
sweetie-pie	3
sweetkins	3
sweet-pea	3
sweets	3
sweet-thing	3
teddy	၈
ten	၅
tootles	3
Tootsie (also, toots)	၅
tootsie-pie	၅
tootsie-wootsy	၅
twinkles	၅
winky-dink	၈
woman	၅
young-man	၈

დანართი 3.

კითხვარი

საალერსო მიმართვის საშუალებებთან დაკავშირებულ ქართულენოვანი რესპონდენტების გამოკითხვის ფორმა

ვთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1. როგორ მიმართავთ უცნობ ადამიანს (ტრანსპორტში, ქუჩაში, კაფეში)? ჩამოთვალეთ მიმართვის ფორმები, რომლებსაც იყენებთ:

მამრობითი სქესის ახალგაზრდა- საშუალო ასაკის-ასაკოვანი ადამიანის მიმართ

მდედრობითი სქესის ახალგაზრდა- საშუალო ასაკის-ასაკოვანი ადამიანის მიმართ

ამჯობინებთ თუ არა მიმართვის უპირო ფორმებს (უკაცრავად, ბოდიში და ა.შ.)

2. როგორ მიმართავთ ადამიანს ოფიციალურ ვითარებაში (კონფერენციაზე, შეხვედრაზე, უნივერსიტეტში)?

ჩამოთვალეთ მიმართვის ფორმები, რომლებსაც იყენებთ.

იყენებთ თუ არა მიმართვისას თანამდებობის ან სტატუსის დასახელებას (პროფესორო, ექიმო და ა.შ.)

3. როგორ მიმართავთ ოჯახის წევრებს, ნაცნობებს, მეგობრებს?

ჩამოთვალეთ მიმართვის ფორმები, რომლებსაც იყენებთ (სახელი, გვარი, მეტსახელი, დიმინუტივი (კნინობით) და ა.შ.)

ინგლისურენოვან რესპონდენტთათვის განკუთვნილი კითხვარი:

Please answer the following questions:

1. How would you address a stranger in the following situations or places: public transportation, shopping, street, restaurant/cafe, parks, etc.

Male - young people

middle-aged

elder people

Female - young people

middle-aged

elder people

(Ex. madam, mam, miss, sir, etc.)

*Would you prefer to use an impersonal way of addressing (ex. using 'excuse me', 'sorry', 'I say/say', etc.)

2. How would you address a person in formal situations such as meetings, conferences, interviews, at college/university, etc.?

Male:

Female:

*Do you use the title of a person? (Ex. Doctor Harris, Ranger Evans, Officer Landry, etc.)

3. How would you address a person you know quite well (your friends, acquaintances, relatives and family members)?

*Do you prefer calling them by their first names?